

მ მ ა მ ბ ე

8(05)
280

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი შეთერთმეტე

№ I

ი ა ნ ა ჯ ი, 1904

7642
სპ.პ.-60818



ტფილისი

საქართველოს მუშაკთა კავშირის გამომცემი

1904



Дозв. ценз. 16 февраля 1904 г., Тифлисъ.

შინაარსი

38•

- I—მიქელა.—მოთხრობა.—დავ. კლდიაშვილისა 1
- II—ქალბატონი ფიფი.—გიუ დე მოხსანისა თარგმანი
ივ. შურაბიშვილისა 19
- III—უსინათლო მამუსიკა.—გლად. კოროლენკოსი (ეტიუ-
დი), თავი პირველი.—თარგმანი ინ-ანისა 37
- IV—ვლენი კაცი.—თავი XI—XII. რომანი ვილჰელმ ფონ-
ზოლენცისა.—თარგმანი ივ. ზალუშოვსკისა 57
- V—ცრემლი სინანულისა.—ეპიღია ზანდო ბაზანისა.—
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა 90
- VI—ტომორა მომხანი.—ლ. გ.—სა. 1
- VII—ინგლისის ახალმენი.—ახალი ზელანდია.—შ. გ.
მიუევესა, თარგმანი ნიკო აღნიაშვილისა 15
- VIII—ბიბლიოპრაფია.—И. П. Калоголу.—Родословная грузинс-
кой царицы Тамары.—მ. ჯანაშვილისა 51
- IX—ნარმვი—1. მეცნიერულ მწერლობის კატალოგი.—2. ახალი
დრამა გ. ანუნიციოსი.—3. ტოლსტოის მონოგრაფია შექსპი-
რის შესახებ.—4. ზუდერმანის დრამა „სოკრათი“.—5. მწერთა
გამწევეტი მანქანა.—6. ინგლისური საეკლესიო გალობა.—7.
ჰერბერტ სპენსერი.—8. ახალი გამარჯვება ერთაშორის
აღძრულ კითხვათა უომრად გარდაწევეტის იდეისა.—9. ლინჩი-
სებური სამართალი.—10. პოეზია ინგლისში.—11. უცნაური
ჰიპოტეზა.—12. ბერტელოს ახტი ნაფტალინის შესახებ.—13.
ვინ აღმოაჩინა ამერიკა 57

(იხილე მე-2 გვერდი)

- X — უნაურე მიმოსილვა.—ჩვენი ეკონომიური გაქირ-
ვება.—ფ. გოგიჩაიშვილისა 63
- XI—უცხოეთის მიმოსილვა. — რუსეთ-იაპონიის ომი . 103
- XII - „მოამზის“ უნაურსი წარსულის ათის წლისა
(1894—1903) I—XXIV

მ ი ქ ე ლ ა

უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მის მრავალრიცხოვან ოჯახიდან შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დამქვრივებული რძალი მაია..

— მადლობა უფალს!.. ყველაფერი მისი ნებით ხდება!.. ყველა მისი ნების ქვეშ ვიმყოფებით!—ამბობდა, მიქელა, როცა მწუხარება გულს მოაწვებოდა ხოლმე.

მოხუცებული ერიდებოდა, რაიმე საყვედური არ წამოცდენოდა ღვთაების მიმართ. არც შავები ჩაუცვამს, არც თმა და არც წვერი არ მოუშვია; არავის ამჩნევენებდა თავის მგლოვიარობას. მორჩილებით და მოთმინებით უზენაესის ღემის წინაშე იმედობდა მიქელა ღვთაების გულის მოგებას, მისგან შებრალებასა და შეწყალებას. და სწამდა კიდევ, რომ აგრე იყო. შერჩენილი, ცოცხლად მყოფი ორი შვილიშვილი ღვთისაგან საჩუქრად ჰქონდა მიმჩნეული მისი მორჩილად მყოფობისა და მოთმინებისათვის. ღრმად სწამდა ეგ მიქელას, მადლობას სწირავდა უფალს და მზად იყო დაევიწყნა განვლილი უბედურება, რაკი ამათში ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და თავისი გამწარებული სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ.

და სწორედ მაშინ, როცა მიქელა ასეთს იმედს მიეცა, ასეთის რწმენით დამშვიდებული იყო, სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ავად გახდა უფროსი შვილიშვილი, ოცის წლის ბიკი,—სპიდონა. მოხუცებულს თავსზარი დაეცა. მაიამ ხელი

დაავლო თავის პატარა ნესტორას და იმავ დღესვე გადახიზნა მახლობელ სოფელში, თავის სახლს.

ავადმყოფი სპიდონა დღითი-დღე უარესად ხდებოდა. ერთ დღეს იგი ისე მოიქცა, რომ მიქელას ეგონა მოკვდაო. გონება არეული მოხუცი მზადებას შეუდგა, ესეც ისე გაეტანა ურმით, როგორც წინანდელი მიცვალებულები. მალე სპიდონამ, მისდა სასიხარულოდ, ისევ ამოისუნთქვა და თვალიც გაახილა. მაგრამ სიხარული მეტად ხანმოკლე იყო. შვილი შვილმა მიქელას გამოუცხადა, რომ საიქიოს ვიყავიო, მაგრამ რადგან ჩემი იქ წასვლის ბორჯი არ მოსულა, ერთი წლით გამომაზრუნესო უკან.

ახლა კი ვეღარ უძლო მოხუცებულმა მიქელამ ჯავრს. ყოველივე იმედი, ყოველივე რწმენა, მორჩილებით და მოთმინებით ნაპოვნი ვითომ მშვიდობიანობა, კეთილი მომავალი — გაქრა, გაქარწყლდა, მოესპო. მოხუცებული აირია, მოუსვენრობას მიეცა.

ჩუმი ყუჩი, შეხედულებით ბუს მსგავსი, მიქელა, რომლისაგან ძლივს ორ სიტყვას გაიგონებდა კაცი, რომელიც გულგრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, გარდა სამუშაოსა, ეს მოხუცებული ახლა სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. მასში თითქო გიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა, — თავისის გრძნობებითა და წადილებით.

მისი ოჯახის ამომავალი ახლა ისეთ სუსტ ძაფზედ ეკიდა, როგორიც იყო მისი უნცროსი შვილიშვილი, პატარა ათი წლის ნესტორა; ამდენი სულის მომვლელ-მპატრონებლად, როგორიც ესაქიროებოდა ოჯახის მიცვალებულთა და მასაც მისი სიკვდილის შემდეგ — რჩებოდა პატარა, უსუსური ბავშვი, ნორჩი, ჯერეთ გასაზრდელი ნესტორა — სუსტი იმედი.

ამოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, ოჯახის ამოვარდნის შიშმა გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დასცეცხლა. იგი მოისხლიტა, გული ვეღარასფერ საქნარს დაუ-

დვა; მუშაობაზედაც ხელი აიღო. სარჩოს მოყვანა ქერივ მა-
იას დააწვა კისერზედ და ჯანიანი დედა-კაცი მამა-კაცივით
ეკიდა თოხსა და ურემს. მიქელა კი ეზოს აღარ ცილდებოდა;
მოიფთხნებოდა რომელიმე ხის ძირში და დაღონებით იმზირე-
ბოდა გაყუჩებული, დაღუმებული, ხშირად მოალერსე თავის
საიმედო შვილიშვილის პატარა ნესტორასი, რომლის გამო-
ხატულობა ამისთანობაში თითქმის მუდამ თვალწინ უდგა ხოლ-
მე მოხუცებულს; და მიქელას ხან-და-ხან უცნაურად შეიპყ-
რობდა სურვილი ამ პაწაწინას ცხადათ დაანახვის, მისი ხმის
გაგონების და მასთან, მის მარტოდ-მარტო იმედთან, ახლოს
ყოფნისა.

საიქიოდან დაბრუნებულ სპიდონას კი მთლად მათი კუთხის
ახალ მიცვალებულთ ქირისუფალი დედა-კაცები შამოედვნენ.
თვალ ცრემლიანები ესენი ეკითხებოდნენ თავიანთ მიცვალე-
ბულთა ამბავს, ეკითხებოდნენ იმათ იქაურ მყოფობაზედ, კითხუ-
ლობდნენ ეგებ რამეს ითვლევინებოდნენ—ან სამსახური მეტი
ეჭირვებოდესთ, ან წირვა ლოცვა. შესაწირი აკლდეთ, აკლდეთ
აქედან ხელისწყობა და მათი სული სწუხდეს და გასაჭირში
იმყოფობოდეს უგუნურ და მიუმხდომელ, ამ ქვეყნად დარჩე-
ნილ, მათ პატრონთა გამოისობით.

ბევრი ვერავინ გაახარა სპიდონამ საიქიოდან ჩამოტანი-
ლის ამბით; უმეტესობა გულდაწყვეტილი გაბრუნდა, რადგან,
სპიდონას თქმით, მოკლე ხანს იქ მყოფობაში ბევრი ვერავინ
ენახა და ვინც ნახა, მასთან ლაპარაკი არ დასცლია.

— წლის ვადით გამომაბრუნეს!.. ისევ უნდა გავბრუნდე...
რასაც დამაბარებთ, გადავცემ რომ მივალ! ერთნაირად პირდე-
ბოდა იგი ამ მოტირალ, შავებით შემოსილ დედა-კაცებს.

ესენი მადლობას სწირავდნენ და დაიმედებულნი მიდიო-
დნენ, მაგრამ მიქელას კი თითო გამეორება სპიდონასი მის
საიქიოს უკან გაბრუნებაზედ ლახვარივით გულში ხედებოდა
და მწუხარებას უორკეცებდა. ამ დროს სწორედ სურვილი
შორს მყოფი ნესტორასი უფრო უცხოველდებოდა მას, უფრო
მეტის სიმძლავრით შამოენთებოდა ხოლმე მიქელას.

ერთ დღეს ამგვარი სურვილი ისეთის სიმძლავრით შამო-
ეჭიდა მოხუცებულს, რომ იგი ერთიანად შეინძრა. იგი თი-
ოქო გამოცოცხლდაო, გამოფხიზლდაო. უძლევდნა სურვილ-
მა პაწაწინა ნესტორას დანახვისამ მოხუცებული ფეხზე წამოა-
ყენა. აჩქარებით შევიდა იგი სახლში, არც კი გადახედა ყურე-
ში ქვეშაგებთან მიწოლილ სახე ჩაყვითლებულ სპიდონას, გა-
მოიტანა თავისი დაძველებული ჩოხა, შეიკონა თავი ყაბალა-
ხით, აიღო თავისი საბიჯგი გრძელი ჯოხი, გადიარა ჩამოვარდ-
ნილ წქნელის ჭიშკრის გადაღმა და დაეშვა შარა გზით.

— მაია!.. მივდივარ მე... ბავში უნდა ვნახო! — უთხრა
მიქელამ რძალს, როცა ყანაში ჩაუარა.

მცხუნავ მზის სხივების ქვეშ, გულ გაღვლილმა, თავსაფა-
რის ყურებ გახსნილმა, ოფლში გაწურულმა მაიამ თოხი შეა-
ჩერა და მამამთილს თვალი მიაპყრა.

— ბავშთან მივალ! განიმეორა მიქელამ.

— ხომ... არაფერი... წარმოსთქვა შიშისაგან აყვანილმა
ქალმა...

— არაფერი... არა!.. არა!.. ისე... მინდა ვნახო!..

მაია უფრო მიჩერდა მოხუცებულს.

— ნუ მიმალავთ!.. მოკლედ წამოიძახა მაიამ.

— მომენატრა, შე ქალო!.. მომესურვილა ნახვა... ნესტო-
რა ნუ მომიკვდება... გადვირბენ ერთ წამში და ამ სალამოსვე
გადმოვალ ისევ!.. ყანაში ნუ დეიგვიანებ!.. სახლში იმ ბიჭის
მეტი არავინაა!.. ახლავე გადმოვალ ისევ!.. სთქვა ეს მიქე-
ლამ და გაუდგა თავის გზას. მაიამ უკან თვალი გააყოლა.

— ტანისამოსი დაგებერტყათ, ბატონო!.. არაფერი გაგ-
ყვეთ! მიაძახა ქალმა.

— კი, კი!.. გზაში გავიბერტყავ!.. გზაში გავიბერტყავ!
მიუგო მიქელამ აჩქარებულის ფეხით მიმავალმა.

მოხუცებული, შვილიშვილის დანახვის სურვილით გატა-
ცებული, თითქმის შირბოდა ამ სიციხე-პაპანაქებაში და არავი-
თარ დაღალულობას არა გრძნობდა. მისი აზრი და გონება
მიმართული იყო იმ პატარა არსებაზედ, რომელიც შეადგენდა

მის იმედს, მის მომავალსა და ბედნიერებას. იგი მხოლოდ მასზედ ფიქრობდა და, რაც წინ იწეოდა, ნესტორაც თითქო უახლოვდებოდა, ეგებებოდა და ერთ ხანზედ მოხუცებული კიდევ თავის გვერდით გრძნობდა მას, ემუსაიფებოდა, ეალერსებოდა და თავისებურად უცინოდა. მიქელას უხაროდა ეს, მოხუცებული ხარობდა ამ ბავშვის ტიტინით, რომელიც მას ესმოდა, და გამხნევებული თითქმის მირბოდა წინ მომღიმარის სახით, სანამ რალაც ხმაურობამ იგი არ გამოათხიზლა, გონს არ მოიკვანა. მიქელამ მიიხედ-მოიხედა იქით-აქეთ გაოცებით და რავერ დაინახა ეს-ეს იყო მასთან მოტიტინე ნესტორა, იგი შეკრთა და შეშინებულმა პირჯვარი გადისახა. ცუდ ნიშნად მიილო ეს ამბავი მოხუცებულმა --- გულჩაწყვეტილი შეჩერდა, გაათურთხა მარჯვნივ და მარცხნივ, ისევ გადისახა პირჯვარი და განაგრძო გზა.

მზახლის კიშკართან მისულს მიქელას გაახსენდა რძლის დანაბარები --- ტანისამოსის დაბერტყვა; შეჩერდა, გაიხადა ჩოხა, მოიხსნა ყაბალახი, გაიხადა ქალსმნები, ვაბერტყა ესენი, ჩიცვა ხელახლა და მხოლოდ მაშინ შესდგა ფეხი მოყვარეს ეზოში.

რამდენიმე, თითქმის ტიტველა, ბავში ტალახში ჩამდგარ გვერდზედ გადაწეულ საღორესთან გარს შემოხვეოდნენ წელში აბზუკულ, გამხდარ ღორს, რომელიც მათ ხითხითში საცოდავით ჭყვიროდა, მოგრეხილი დაშინებულ წკეპლების ქვეშ. დაინახეს უცხო კაცი თუ არა ბავშვებმა, იმ წამს დაადგეს წკეპლები და შიშველა ფეხების ტკაცუნით დაეშენენ სახლისკენ, გაღივარდნენ დაბალ ღობეს გადაღმა და სახლს ამოთარებულეებმა დაუწყეს მზერა მოსულს.

მიქელამ ამათში შეამჩნია პატარა ნესტორა, რომელმაც ალბად ვერ იცნო თავისი ბაბუა.

ბავშვების ხმაურობაზედ ჯერ წყრომის ხმა მოისმა სახლიდან, მერმე კი კარებში გამოჩნდა მოხუცებული დედა-კაცი, რომელმაც თავდაპირველში ვერ გაარჩია მომსვლელში თავისი მზახალი, სანამ დაკვირვებით არ მიაპყრო მას თავისი სუსტი თვალები.

— ღმერთო მომკალი! — წამოიძახა მან და გამოემართა მიქელასკენ: — ველარ ვიხედები შე უბედური!.. მობძანდით, ჩემო ბატონო! მობძანდით, თქვენი ქირიმე!

დედა-კაცი შეუძღვა მოხუცებულს სახლში. მიქელა ჩამოჯდა მიწოდებულ დაბალ სამუფხა სკამზედ.

— ბავშის ნახვა მომენატრა... ტუფია ჩემო!.. — ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ თქვა მიქელამ და მძიმედ ამოიხვნეშა.

— კენჭივითაა, ენაცვალა მას ბებია მისი... კენჭივითაა!.. ერთობ მაგარი ბავშია!... ტყვილა ფხილი არ წამოსტკივებია, რაი აქ არი! ნესტორა, ბებია! — გასძახა კარებიდან ტუფიამ ეზოში, საიდანაც ბავშვებს ხმა მოისმოდა, — ნესტორა, მოდი აქ, შეილო! აქ მოდი შენ გენაცვალე! შემოდი, ბიჭო, შემოდი! — და ტუფიამ თითქმის შემოათრია კისერ მოქცეული, დაგრებილი დარცხვენილობისაგან თავ-ჩაქინდრული ბავშვი. — მიდი შეილო, ბაბუასთან!.. გასწორდი, შენ გენაცვალე! და დედა-კაცმა ძალით მიუთრია ბავშვი მიქელას.

ამან მოხვია შეილიშვილს ათრთოლებული ხელები, მიიწოდა, ჩაიკრა გულში და ჩააშტერა აცრემლებული თვალები.

— რაფა ხარ, ბიჭო? ა?.. შენ იცი! — სიტყვებ განცალკევებით წაულაპარაკა მიქელამ და ისევ ჩაჩუმდა.

— ვწყდებით, ტუფია ჩემო!.. ვწყდებით!.. თუ ამანაც... მიმტყუნა... ამოვწყდებით...

მოხუცებულმა სიტყვის დათავება ველარ შეიძლო, ხელახლა ჩაჩუმდა.

— უიმე!.. რატომ ნებულობთ... მტერი ამოვიწყდათ!.. — მიაძახა ტუფიამ — ღმერთს ნუ აწყენინებთ!..

— აბა, რაა ჩემს თავზედ?!

— ყველა ღვთის განგების ქვეშ ვართ, ჩემო ბატონო!.. ვინ მიუხვდება მის განკარგულებას, მის სიბრძნე-სიმართლეს!.. მოთმენა გვჭირია და მორჩილად ყოფნა, ჩემო ბატონო!

— ვითმინე... რა გამივიდა!.. ეს მყავს კიდევ... თუ ამანაც მილალატა... მიჩიჩით რამე!.. ბიჭო, ნესტორა... ოჯახი არ გამიცვიო, ბაბუა! ა?

ცრემლებ-მორეულმა მიქელამ მაგრათ ჩაიხუტა გულში ბავში; ეს კი ყოველ ღონეს ხმარობდა თავი გაენთავისუფლებინა და ხელიდან დასძრომოდა რამე რიგად მოხუცებულს.

მიქელაც მიუხვდა, რაც სწადდა ბავშს.

— წადი, შეილო... ითამაშე, ბაბუ!— უთხრა მან, გაუშვა იგი და სიამოვნებით გააყოლა თვალი, როცა განთავისუფლებულმა ბავშვმა მარდად დაჰკრა ფეხი მიწას, გადახტა კარს გადაღმა და იქ შეუერთდა მის მოდარაჯე ამხანაგებს, რომელნიც ახლა ჟრიამულით გარს შემოეხვივნენ მას და გაიტაცეს ეზოში.

— ჯვარი სწერია ავი თვალისაგან... და ერთობ მაგარი ბავშია! საიმედო ბავშია!— თქვა ტუფიამ და მოჰყვა დაწვრილებით, თუ როგორ თამაშობდა ნესტორა მეზობლის ბავშვებთან, როგორ ერთობოდა, როგორ ატარებდა დღეს დილიდან სალამომდინ ხან სირბილში, ხან ჭილაობაში, ხან მუშაობაშიაც კი.

ამ ამბებმა და თვით ბავშვის ნახვამაც მიქელას გული დაუშოშმინეს, დაუწყნარეს, დაუმშვიდეს. იგი უკან გამომგზავრებას ეპირებოდა, როცა სამუშაოდან დაბრუნებულმა მზახალმაც მოუსწრო; მიქელა საიჭიროდან დაბრუნებულ სპიდონას ამბავში იყო.

— გამოცდილი კაცი ხარ თავად, მიქელა ჩემო, მაგრამ ერთს რამეს გეტყვი!— უთხრა გაბრიელამ, — ტყვილა მიატოვე შენ შენი წინანდელი ნამოსახლი... კარგად იყავით იქ!.. ამ ახალ სამოსახლოზედ ბევრი უბედურება გეიარე... შეიძლება სახლის გადატანაზედაც რამე მავნეულობა შეგეპარათ და დაბუდებული იყვეს შიგ... სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზედ სახლს გადავდგამდი, თუ არა და გაწმენდდი მაინც... დაეარღვევდი და ისე გაწმენდდი!... უსათუოდ სახლში შეგყვებოდათ, რო გადადიოდით იმ ახალ სამოსახლოზედ, რამე მავნეული... აბა რა, კუდიანი თქვენს გვარშიაც არავინ ყოფილა და ბოროტი სული... საიდანაა ამდენი ცოდვა თქვენ თავზედ?!..

— კუდიანი ვინ გეყოლია!... დაწყევლილი!... არავინ!— წაილაპარაკა მიქელამ.

— ეგერ ჩემს სახლიკაცსაც თედორეს ასე შენსავით ემართებოდა—მოინაცვლა სამოსახლო, გაწმინდა, გაასუფთავა სახლი.—ახლა ქე არის კარგათ....

— მესამე წელიწადია არავინ მოკვტომია!—დაატანა ტუფიამ.

მიქელამ ამოიოხრა.

— მეც ასე უნდა ვქნა!—წაილაპარაკა მან.—კკუაზედ აღარ ვარ.... ველარ მოვისაზრე!... ასე უნდა ვქნა უსათუოთ!.. რალაც იმედ მოცემული დაბრუნდა მიქელა შინ.

— მაია, სახლი უნდა გავწმინდო და გადავდგა ძველ ნამოსახლზედ!—უთხრა მიქელამ რძალს, როცა ნესტორას ამბავი მოუთავა.—თქვენებმაც ასე მირჩიეს!

— თქვენი ნებაა—მიუგო მაიამ. მას თავათაც უნდოდა ამნაირი რჩევა მიეცა მამამთილისათვის, მაგრამ ვერ უბედავდა, ეშინოდა, მოხუცებულს არა სწყენოდა.

— კი მარა.... სანამ ეს ერთი წელიწადი არ გეივლის, რავა მოხერხდება?...

— ახლავე უნდა შევუდგე!.. ერთი წელიწადი რას ვუყურო!—წამოიძახა მიქელამ.—

— სპილონას რას უშვები?

— სპილონას კარავში გევიყვან!.. კარავს გოვუკეთებ და გევიყვან შიგ!..

— სახლის გამწმენდი დაგვკირდება, ბატონო!... მეზობლები ახლაც აღარ გვეკარებიან.... გასაწმენდათ ვინ გამოიმეტებს თავს...

— ვიცი მე იმისთანა კაცი!.. ხვალვე გადავალ. საჩხირეში ყოფილა ჟამს გამოვლილი აღექსი ბოქორიძე—იმას გავაწმენდინებ!.. ეს გათავებული საქმეა!—წამოიძახა მიქელამ.

— კაი დაგემართოსთ!—დაატანა სიტყვა მაიამ.

მიქელამ მეორე დღესვე მოიარა საჩხირე, ინახულა ნანიშნი კაცი და დაუსვენებლივ გასწია მთაში ურმით წნელის ჩამოსატანად კარვისათვის. საღამომდინ ორჯელ მოიარა მიქელამ შორი მთა, ჰზიდა შემდეგი დღის განმავლობაშიაც და, რო-

ცა საკმაო წნელი ჩამოჰზიდა, შეუდგა კარვის კეთებას ღობესთან, ეზოს ყურეში. მოწნა პატარა კარავი მიქელამ, ზევიდან ჭოგრევი გაუდვა, ზედ ნეშოიანი შტოები გადახლართა სახურავად, შეიტანა შიგ ორი მოკლე ფიცარი, რომელზედ უნდა დაეწვინა სპიდონა და, რა მოაწყო მის გუნებაში აქაურობა, შეილიშვილთან მივიდა.

— სპიდონა!.. შენ კარავში უნდა გახვიდე! რალაც განსხვავებულის კილოთი, გულცივად მიჰმართა მან ყმაწვილს.— სახლი უნდა გავწმინდო!

სპიდონამ გაოცებით მიაპყრო თავისი ჩაყარნილი თვალები მოხუცებულს.

— კარავში?!— წაილაპარაკა მან.

— ჰო!.. ეგერ გაგიკეთე!.. ადექი... ადექი!..— ისევ გულცივად ჩასძახა მიქელამ.

ავადმყოფმა წამოიწია, მოათვითარა გვერდთ ვდებული ჯოხი, წამოდგა მასზედ დანდობილი და გაჩერდა წელში მოხრილი. მიქელამ შეხვია მისი ქვეშაგებელი, ამოიღო ილიაში და გასწია კარებისაკენ.

— გამომყევი!— უთხრა მან.

სპიდონა ისევ იდგა იმავ ადგილას; მერე უღონოდ მიატრიალა-მოატრიალა თავის გაწვრილებულ კისერზედ თავი, სევდიანი თვალი შემოავლო იქაურობას და დასუსტებულის ნაბიჯით გაჰყვა ბაბუა მისს; როგორც იქნა, გადიარა ეზო და მივიდა კარავთან.

მიქელამ შეიტანა კარავში ქვეშაგებელი, გაშალა გდებულ ფიცრებზედ იგი და მიმართა კარვის შესავალზედ მიყუდებულ სპიდონას.

— აჰა!.. დაწევი ამაზედ!.. წყალი აგერ იქნება დოქში!.. თუ რამე დაგჭირდეს— დამიძახე და მოვალ!.. გესმის!..

ბიჭი ხმას არ იღებდა. როცა მიქელამ მიატოვა იგი, შეფორთხდა შიგნით კარავში და მუხლებ მოკვეთილივით მოიკეცა თავის ახალ საწოლზედ სახე მწუხარე, დაღონებული. თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მინც

გული ეჩაგრებოდა, რომ უკვე ხელს იღებდნენ მასზედ, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ. დაწვა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ისევ წამოიწია,—სული უწუბდა, წამოდგა, გამოვიდა გარედ და კარვის შესავალთან ჩაკეცილი, ზურგით მიენდო კარავს. ასე იყო სპიდონა საღამომდინ, როცა მიქელამ ვახშმად ცოტა ლობიო და ქადის ნატეხი მოუტანა; ორიოდღე ლუკმა გადაყლაპა და, რადგან ის იყო კიდევ ჩამოღამდა—შევრდა ისევ კარავში, დაწვა ფეხებზედ და დიდიხნის ტრიალის შემდეგ როგორც იქმნა გაეხვია თავიან-ფეხებიანად თვის თხელსაბანში.

მიქელა ახლა ერთ მოუსვენრობაში იყო. იგი გამოცოცხლდა, გამხნედა, მოღონიერდა, გაქარმაგდა იმედ მოცემული, რომ ამოწყვეტისაგან ოჯახის ხსნა შესაძლებელი ხდებოდა. მან კიდევ ჩამოიტანა რამდენიმე ურემი წნელი და სახლს იქით ამართა მაღალი რაგვი. რამდენისამე დღის შემდეგ მოვიდა ჟამს გამოვლილი ალექსი, სახე ნაყვავილები, ცალთვალ წამხდარი კაცი.

— მზათა მაქვს რაც მითხარი, ალექსი! უთხრა მიქელამ.

ალექსიმ დაათვალიერა სახლი, გარეშემო შემოუარა, გაზომა გაკეთებული რაგვის სიმაღლე და ერთი კარვისკენაც გადისხდა.

— მომხმარე დამქირდება, მიქელა!

— მე მოგეხმარები!—წამოიძახა მიქელამ.

— ჰმ!.. შენ რაფა შეიძლებ! ჩაიცინა ალექსიმ—ამ ძელების გადაზიდვა სად შეგიძლია, შე კაცო!

— კი შეგიძლებ!.. რაფა ვერ შევიძლებ! გამხნეებულად წამოიძახა მოხუცებულმა—შენ ოღონდ კარგად გამიწმინდე, არაფერი ჩარჩეს შიგ და ჩემი თავი ნუ გებრალეხა ამათ გადასაზიდავად! გულიანად დაატანა მიქელამ.

— შენ იცი!.. სახლს კი ისე გაგიწმენდ, რაღა გითხრა!.. ხიდან ამოფხეკ, რაც რომ გინდ შიგ იყვეს... არასფერს არ დავერიდები!.. ათას ქირში ვარ გამოვლილი... არასფერის არ მეშინია!.. დაჩემებით წარმოსტევა ალექსიმ.—აბა, რაკი მზად გაქვს ყველაფერი, ხვალ მოვალ და შევუდგეთ სა-

ქმეს!.. წყალი დაგვკირდება ბევრი სამდულრავად!.. ახლოს თუა?

— ახლოს არაა, მარა მე მოვიტან!.. ყველაფერი იქნება, ხელს არ შეგიშლი. შენ ოღონდ მიშველე!.. ნულა გამიჩერებ საქმეს!

სპიდონას რომ დილას კარავში გამოეღვიძა, მან იმ წამს იგრძნო რაღაც ხრაკის სუნნი; თვით კარავშიც რაღაც შავი ბოლივით იღვა. წამოდგა, მივიდა გამოსავალთან და სახლისკენ გამოიხედა. ისლის სახურავ გადახდილი სახლი შავ ბურუსში იყო გახვეული, შავად მოჩანდა ზედ მდგარი კაცი, რომელიც ძირს ყრიდა შავს ისლს, რომლისაგან მთელ ეზოში და ეზოს გადაღმაც ეფინებოდა დიდრონი შავი, ქვარტლის ნაფლეთები; მთლად იქაურობა გამურული იყო ამ შერყეულ ქვარტლით, რომელიც უფრო გაძლიერდა, როცა ალექსი შეუდგა გადასაკიდლების აყრას. იგი რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ მიქელას არა ესმოდა რა, ისე იყო გართული მუშაობაში, როცა აწყობდა ერთ ადგილას სახლის ხეებს. დღე ნახევარი მოუწინდნენ ორივე სახლის საძირკვლებამდინ სრულიად დარღვევას. როცა აფორიაქებული ქვარტლი ჩადგა, მომუშავეთ დაიბერტყეს, რაც გაეწყობოდათ, ტანსაცმელი და ალექსი შეუდგა ძელების წმენდასვე. ღეროიან შტოებისაგან გაკეთებული ცოცხით იგი წმენდდა სათითაოდ ძელს, ფხეკდა ღანით, შემდეგ გადაჰქონდა რაგვს იქით, სადაც დიდ ქვაბში აცხელებდნენ წყალს, მდულრავდა მდულარით ამ ძელს, რის შემდეგ მიქელა შეიგდებდა მას ზურგზედ და მიაჩიქჩიქებდა თავის ძველ ნამოსახლზედ. წელში იზნიქებოდა მიქელა ამ მძიმე ტვირთის ქვეშ, მაგრამ მოხუცებული არაფრად იმჩნევდა ამას. ალექსის უნებურად ეცინებოდა მის შემხედვარს და ერთხელ კიდევაც უთხრა ღიმილით:

— წელში გაგწყვეტს, მიქელა, შენ რომელიმე ძელი!.. ნამეტანს ექიდები!..

— შენ მაგ გამიწმინდე, მაგ!.. და ეს მე ვიცი! მიუგო მიქელამ და თავდაუზოგველად განაგრძობდა, ოფლით გაღვარული, სახლის გაწმენდილი ხეების გადაზიდვას.

ამ მუშაობამ თითქმის სრულიად მიაფიწყებინა მიქელას კარავში გაყვანილი შვილი-შვილი, თანდათან უკლებდა მიხედვას, თვალ-ყურის დევნას; ხშირად მშიერსაც სტოვებდა. თავდაპირველში სპიდონა იძმენდა ასეთ უპატრონობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეტად უჭირდებოდა ხოლმე; იმდენათ უსაკმელობა არ აწუხებდა, როგორც უსმელ-უწყლობა. ერთ დღეს მიქელამ სრულიად უწყლოდ დასტოვა იგი. ბევრი უძახა, კარვის კართან გაჩერებულმა სპიდონამ ბაბუა მისს, მაგრამ თავისი სუსტი, ძლივ გასაგონი ხმა ვერ მიაწვდინა მოხუცებულის ყურებამდინ. წყურვილისაგან მეტად შეწუხებულმა, აიღო თუნგულა ხელში და ჯოხის ბიჯგებით წამოვიდა თავისი სუსტი ნაბიჯით რაგვისკენ, რომლის იქიდგან მოისმოდა ალექსისა და მიქელას ხმა.

— ბაბუა! — დაუძახა სპიდონამ რაგვს რომ მიაღვა — ბაბუა! — განიმეორა მან.

მიქელამ, რომელსაც ის იყო მხარზედ გაუწყო ალექსიმ კედლის ძელი, მოიხედა და, რა დანახა სპიდონა, დააგლო უცბად მიწაზედ ხე და გაჯაგრებით გამოექანა შვილი-შვილისკენ.

— რა გინდა შენ აქ?!... — მიაძახა მას, — რა გინდა აქ?!... წადი...

— წყალი აღარ მაქვს!... — და სპიდონამ გამოაწოდა თუნგულა.

— დევიძახებდი და მე მოგიტანდი!

— იძახე... მარა ვერ გაგაგონე!

— ვერ გაგაგონე!... მოვითმენდი ერთ წამს!... აქ რა გინდოდა! წადი... წადი!... წადი შენთვის... მოგიტან ახლავე!... — მან გამოგლიჯა თუნგულა ხელიდან და ბუტბუტით წავიდა წყლის მოსატანად.

სპიდონა დამორჩილებით გაბრუნდა და წაფორთხდა თავის კარვისკენ ბანცალით.

გრძელ მუშაობის შემდეგ ალექსიმ მოათავა სახლის გაწმენდა და მისი აწყობა მიქელას ნამოსახლზედ. მოხუცებულმა

თავისუფლად ამოისუნთქა მძიმე მუშაობის შემდეგ, მაგრამ სპიდონას ამით არა თუ მომატებია მისგან მზრუნველობა, ბერმა კაცმა უცნაური საქციელი დაიჭირა ფარღალალა კარავში მარტოდ დარჩენილ ყმაწვილთან. რაი გადადგმულ სახლში შევბოდა მიქელა, მან რიდება დაუწყო სპიდონას, ახლოს აღარ ეკარებოდა შვილი-შვილს. საქმელს რომ მიუტანდა, გადასაცემად მან გაიკეთა გრძელი ჯოხი, წამოაგებდა ზედ ქადს, პაწია ქოთანს, რომელშიც გადუსხამდა სხვა ქოთნით მოტანილ ლობიოს და ისე მიაწოდებდა ხოლმე; წყლის თუნგულასაც წამოაგებინებდა ხელით ამ ჯოხზედ, ჩაუსხამდა მოტანილ წყალს შიგ და ისე გაუწვდენდა; ჯოხი ცალკე ინახებოდა ხეზედ იმავე ეზოში.

თავდაპირველში ძლიერ გოცა ყმაწვილს ასეთი საქციელი ბაბუასი, გული ეჩაგრებოდა — თითქო იგი ქირიანი ყოფილიყო; მაგრამ მერმე ამასაც მოურიგდა; იგიც მიხვდა, რომ მიქელას ეშინოდა მისგან რამე არ გაყოლოდა და გაწმენდილ სახლში ცუდი რამე არ შეეტანა, და მან კიდევ გაამართლა თავის გუნებაში მოხუცი, რომელიც ასეთ შეუბრალებლობის გზას დაადგა, რომ ოჯახი ამოწყვეტისაგან ეხსნა. ყველაფერს ითმენდა სპიდონა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ წლის თავზედ საიქიოს გაბრუნდებოდა; ითმენდა ყველაფერს და თან დღითი დღე ღნებოდა, ქრებოდა. იგი ზეზემდგარ მკვდარს უფრო მიემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალს. მიქელაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არას სწუხდა, რადგან იცოდა, ბიჭი წლის გასულს უსათუოდ საიქიოს გასაბრუნებელი იყო და ვერას უშეელიდა, მისის ფიქრით.

შემოდგომა განახევრებული იყო წვიმებმაც წამოუხშირა და სიცივეც თან და თან მატულობდა. წნელის კარავში ყოფნა მეტად ავი გასაძლისი ხდებოდა. წვიმიანში წყალი ზევიდან თავისუფლად ჩამოდიოდა და სპიდონა ეგდო ფიცრებზედ თავფეხებიანად გახვეული სველ საბანში; ღამ-ღამობით სიცივე უმოწყალოდ უვლიდა მარტოდ კან-გადაკრულ ძვლებამდინ; საწყალი იკრუნჩხებოდა, იგრიხებოდა, იშმუშნებოდა სახურავის ქვეშ, მაგრამ გათბობას მაინც ვერ ეღირსებოდა. ერთხელ მი-

ქელამ ფიჩხი შემოუყარა, ნიგუხალიც შეუგდო ცეცხლი რომ დაენთო, მაგრამ სპიდონამ, რამდენი არ ეწვალა, ვერ მოახერხა ცეცხლის გაღვივება, მოხუცებული კი ახლოს არ ეკარებოდა.

ავათმყოფი ძიგძიგობდა კარავში და ხანდახან ცდილობდა გამოეანგარიშებინა, თუ რამდენი დრო ურჩებოდა კიდევ საიქიოს გაბრუნების ვადის მოსვლამდინ.

უამიდობა მატულობდა. წვიმიან დღეებმა მოუხშირეს; წვიმაც უფრო და უფრო ღონიერი მოდიოდა. მთიან ადგილებში ამ დროს ჩვეული ნიაღვრები თან და თან მეტის ძლიერებით ჩამოდიოდა ქვევითკენ და შემატებულის ღონით ხფეტავდა წინ მდებარე ქვებს, ლობეებს, მიწას და შიაგორებდნენ დაბლისკენ ერთის უხუილითა და ხმაურობით.

ერთ საღამოს ნამეტანი ჩამოღრუბლა და ერთბაშად მძლავრმა წვიმამაც დაუშვა. მათ ვახშმისათვის ქადებს აცხობდა.

— ძალიანი წვიმა მოვა ამდამ, ეტყობა!—თქვა მან შეწუხებულის ხმით.—სპიდონას კარავში რა გააძლებიებს!..

— რა ვუყო ახლა მე!... წაილაპარაკა ცეცხლის პირას მჯდომმა მიქელამ. — ეგებ გადიკაროს! ცოტა ხნის შემდეგ დაატანა მან.—სულ რავე გოუწყრება ღმერთი... სულ წვიმა რავე იქნება!...

წვიმა კი თუ მატულობდა, თვარა არ კლებულობდა. გარედან საშინელი ხმა ისმოდა წყლისა.

— მიქელა!.. მიქელა!—დაიძახა ვიღაცამ გარედან.

— ვინ ხარ? ეი!—მიიძახა მიქელამ წამოუდგომლად.

— მიქელა!.. ანთიმოზა ვარ, ანთიმოზა!.. იმ თქვენ კარავთან ჩამოვიარე ეს არის და წყალი მოდის ზევიდან... ნამეტანი დიდი წყალი აწვება გზის ნაპირს, კარვისკენ არ გადახეთქოს.... მიეშველე რაცხა რიგათ!..

ხმა შეწყდა. მიქელა გაუნძრევლად იდგა კარებთან.

— რა ვუყო ახლა მე!—წაილაპარაკა მან.

— გოუკეთეთ წყალს სავალი... მართლა არ გადვიდეს კარვისკენ!—უთხრა მორიდებით რძალმა.

— გოუკეთე!... ქე გოუკეთე ამას წინად!—თავისთავად წაიბუტბუტა მიქელამ, მერე ამოიკაპიწა შარვლის ბოლოები,

წამოიხურა თავზედ ცალი ყურით ტომარა, ზედ ძველი ჩოხა, მონახა თოხი და გავიდა სახლიდან.

წვიმა საოცრად ასხამდა. ატეხილი ნიაღვრები ერთის ზშუილით მიექანებოდნენ ყოველის მხრიდან. გზებში მთელი მდინარეები მოქუხავდნენ. მიქელა ძლივს იმაგრებდა ფეხს, ისე ღონიერად სცემდა მას წყალი. კარავთან, ღობის დაყოლება, თავშეყრილ ნიაღვრებს წყალსავალი გაეთხარა და ხმაურობით მომდინარეს მოეყარა ქვა, ფიჩხი, მიწის ნაგლეჯები, წაქცეულ ღობის სარები და გიჟურად ეხეთქებოდა და ძალას ატანდა, რომ რამე რიგად წინ გაეგორებინა ისინი და თავისუფალი გზა ეშოვნა ქვეითკენ დასაშვებად. მიქელა მივიდა, როგორც იქნა, ბნელოში მიაგნო ამოყორებულ ადგილას და თოხით დაუწყო ქვებს იქით-აქეთ მიყრა-მოყრა; დაგუბებული წყალი გიჟურად გაექანა ქვევით და აახრიალა თან წადებული წვრილი ქვები.

მიქელა მივიდა ღობესთან და, რაც ხმა ჰქონდა, აქედან გასძახა.

— ბიჭო!.. სპიდონა!... არ შეგეშინდეს, ბიჭო... არ შეგეშინდეს!.. მალე გადიკარებს!.. არ შეგეშინდეს, ბიჭო!..

კარვიდან არაფერი ისმოდა. სპიდონა, საბანში გახვეული, მორგევივით იღვა ფიცრებზედ და ზევიდან უმოწყალოდ ესხმებოდა სახურავიდან ჩამომავალი წვიმა. მას არც კი შეეძლო გაეგონა მიქელას დაძახილი.

დასველებული მოხუცებული, სიცივისაგან მოკაკული, სახლისკენ გაემართა. შინ მისული ცეცხლს მიეცხუნა, რომ გამთბარიყო და თან სველი-გაწუწული ტანისამოსიც შეემშრალლებინა.

წვიმა უფრო ღონიერდებოდა; თითქო წარღვნას ეპირებოდა, ისეთი სხმა იწყო. შეძკრთალი მათა ვახშამსაც არ მიჰკარებია, პირჯვარს იწერდა და თან ამბობდა:

— ღმერთო შეგვიწყალე!.. ღმერთო შეგვიბრალე!.. ღმერთო ნუ შეგვრისხავ!...

— ბატონო! იმ ბოვშს დახედვა უნდა ჰქიდევ... არაფერი ცოდვა დაგვედვას! ველარ მოუთმინმა მათას გულმა და უთხრა მამამთილს.

— რა ცოდვა უნდა დაგვედვას!?!— ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამ მოუვიდა და ისაა!— უკმაყოფილებით წაიბუტბუტა მოხუცებულმა.

— წავალ მე... მე დავხედავ! — გადაწყვეტით თქვა მიაიმ.

— შენ, სად წახვალ?! — წამოიძახა მიქელამ, — მაკალე ერთი, თუ ღმერთი გწამს! და ცოტა ხნის შემდეგ მიქელამ ჩამოინცო თავზედ სველი ტომორა და ჩოხა და გასწია კარვისკენ.

აქ, ამ თავდაღმართში, თითქმის კარვის სწორა უშველებელი კედელი ამართულიყო ჩამოგორებულ ქვებისაგან და ჩამოტანილ მიწისაგან. ბევრს ეწვალა მიქელა თოხით ამის გარღვევას და იქით-აქეთ გადაყრა-გადმოყრას, მაგრამ ბერმა კაცმა ვერა გააწყო-რა ზევიდან ქვები თან და თან ემატებოდა და უფრო ამაგრებდა ამართულ წყლის საკავს, რომელსაც გამძვინვარებით ეხეთქებოდა წყალი და გაგიჟებით სცემდა, რომ რამე რიგათ გაერღვია იგი და თავისუფლად სავალი გზა ეშორვნა. დაგუბებული წყალი ირეოდა, ბობოქრობდა და თან და თან იბერებოდა გულმოსული. გარშემო ისმოდა მხოლოდ წვიმის თხლეშა, ზევიდან წყალთან მოვორავ ქვების ხმა და ჩამოხეთქილ წყლის ბრძოლა მისგანვე ამართულ ყორესთან.

მოღალულმა, მოქანცულმა მიქელამ, რომ ვერა გააწყო თავის მეცადინეობით და წყალს სავალი ვერ მისცა, მიანება თავი ყორეს, მივიდა ისევ ღობესთან, გადიძახა კიდევ:

— სპილონა!.. ეი, ბიჭო!.. სპილონა!.. არ შეგეშინდეს, ბიჭო!.. ახლავე მოვალ კიდევ... ახლავ, ბიჭო!.. გადიძახა და თოხით მხარზედ წათხლაშუნდა სახლისკენ.

წყალი კი ისევ მოჰქროდა ზევიდან, მოთხლიშინებდა და გაგიჟებით სცემდა ყორეს, გადარევით ასკდებოდა, ზედ ეხეთქებოდა. გულმოსულმა რომ ვერა დააკლო-რა მას, ვერ გაარღვია, ვერ მოერია თავისგანვე ამართულ მოწინააღმდეგეს — ერთი იღრიალა უეცრად და ამოდენა წყალი ვაებითა და შხულით გადაეშვა ღობისკენ, ეძგერა მას საოცარის ძალით, ჩამტვრია იგი და მიებდღვნა კარავს; მოისმა მხოლოდ ლაწა-ლუწი და წყლის ჩხრიალი ქვევითისკენ.

კარგა გათენებული არ იყო კიდევ, მიქელა რომ მივიდა კარვის დასახედავად. კარავი აღარსად იყო; იქა-აქ ეყარა კარვის ბოჯგები, არეული ღობის ნამტვრევებთან; ქვის კედელი ამაყათ იღგა; შემწყდარ წვიმის წყალი უღონოთ ეცემოდა მას და გატეხილ ღობისკენ მოიწრიტებოდა. მოხუცებულმა შეილი-შვილს დაუწყა ძებნა. სადაც კარავი იყო, იმის ქვევით რა-ღაც შავათ დარგვალტებულს მოჰკრა თვალი მიქელამ. მივიდა. ეს საბანი იყო სპიდონასი, რომელსაც მხოლოდ თავი შერჩენოდა შიგ.

— ბიჭო!.. სპიდონა!.. სპიდონა!.. ბაბუა! ჩასძახა მიქელამ.

ხმას არავინ იღებდა.

— სპიდონა... ბაბუა!.. გესმის!.. აკანკლებული ხმით ჩასძახა უფრო ხმა მალლა მოხუცებულმა, მაგრამ სპიდონა ეგდო გაუნძრევლად.

იგი მკვდარი იყო.

პირჯვარი გაღისახა მოხუცებულმა და კარგა ხანს ადგა თავს მიცვალებულს ხმა-გაკმენდილი. მერე გადაათარა სველი საბანი მკვდარს და აჩქარებით გაღიარა ნაეზოვარი.

— ი ბიჭი... სპიდონა... მომკვდარა!—უთხრა მან მაიას და ორი კურცხალი თვალთაგან გადმოუვარდა.

— მომკვდარა?!...—ვაოცებით შესძახა მაიამ —წელიწადი რომ არ შესრულებულა?!...


— ალბათ შემტარი იყო... კარგათ ვერ გაუგონია, რა ვადა დაუნიშნეს!...

— ღმერთო, ნუ შეგვრისხავ!... ნუ გვიწყენ!—პიჯვრის წვრით გაიძახოდა შიშს მიცემული მაია.

იმავე დღეს მეზობელმა კუბო შეუკრა დამსკდარ ფიცრებისაგან და მღვდელსაც შეატყობინეს ბიჭის გადაცვალების ამბავი. მღვდელი ძლიერ შეუწყრა მიქელას შეილი-შვილის დატანჯვისათვის და ემუქრებოდა პასუხის გებაში მიცემას.

— თავათ ამბობდა, რომ ვადით იყო გამობრუნებული, შენი ჭირიმე... მაინც ეს დღე მოელოდა ამ მოკლე ხანში...

2197
8/809-3
ის



ხელიდან წასული იყო... ამოწყვეტის კარზედ ვარ მიყენებული—ერთი ზღანა დამრჩა, ის უნდა იყვეს ჩემი პატრონიც და სულის მაცხოვრებელიც... გოუწმენდელ სახლში რაღა შამომეყვანა... რა ვიცი, იმასაც რომ შემთხვევოდა რამე!... ცხრა მთას იქით მყავს გადამალული შიშით, არაფერი გადადებოდა და ისიც არ დამკარგვიყო!... რა ხანია თვალით არ დამინახავს!... შედით ჩემს მდგომარეობაში!...—მიუგო პასუხათ მიქელამ.

წესის აგების შემდეგ, მოხუცებულმა კუბო ურემზედ დაუდო და დიდის წვალებით, მარტოდ-მარტომ, მიაბარა მიწას სპიდონაც. სასაფლაოდან ჩამობრუნებულმა ნაეზოვარში გადაადგო კუბოს ნადგამი ურმის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუხი და შარვალი, დაბანა ხარები და მხოლოდ მაშინ შევიდა სახლში.

ახლა იგი უფრო მოსვენებულსა გავდა, გულდამშვიდებულს. იჯდა ცეცხლის პირას და სულ თავის პაწია ნესტორაზედ ჰქონდა მიმართული აზრი და ფიქრი.

— მაია!—მიმართა მან ერთხელ რძალს—მაია! გადმოვიყვანოთ ი ბავში... აწი აღარაფერი უჭირს!.. თვალწინ გვეყოლოება.

— მოითმინეთ, ბატონო!—მიუგო მაიამ,—იყოს იქ... ამ ზამთარში ყველაფერი გეიწმინდება, გასუფთავდება... გაზაფხულზედ საშიშარი აღარაფერი იქნება, ღვთის მადლით,—მაშინ გადმოვიყვანოთ!... კი ბატონო, ასე აჯობებს!

მიქელამ ჯერ არაფერი სთქვა ამაზედ; მერე ღრმად ამოიოხრა და დაატანა დამძიმებული ხმით:

— იყვეს!... იყვეს!... ის კარგად მეყოლოს და მე მისი ჭირი წამილია!... მისი ჭირი წამილია!... ჩემი სულის მაცხოვრებელი!... იყვეს!—და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა.—მეც მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე!

დავ. კლდააშვილი

ქალგატონი ფიფი

გიუ დე-მობსასნას

(ფრანგულიდან)

გრაფი ფარლსბერგი, პრუსიელი რაზმის უფროსი ჩამჯდარიყო ხალიჩისნაირის ქსოვილით გადაკრულს დიდს სავარძელში და ფოსტიდან ახლად მიღებულ წერილების კითხვას შესდგომოდა. ფეხები ბუხრის მშვენიერ მარმარილოსათვის მიედო. აგერ სამი თვეა, რაც აქ, დ'იუვილის სასახლეში სცხოვრობს რაზმის უფროსი, და ამ ხნის განმავლობაში მისმა დეზებმა ორ ადგილს კარგად ღრმად ამოაფუღურავა მარმარილო და ეს ამოღრმავებული ადგილები დღითი დღე მატულობდნენ.

რაზმის უფროსს პატარა მაგიდა ედგა წინ. მაგიდა მოზიკით იყო ნაკეთები, მაგრამ ზოგან სასმელების ლაქები აჩნდა, ზოგან სიგარის ცეცხლით იყო ამომწვარი და ზოგან კიდევ გამარჯვებულ ჯარის კაცის ჯიბის დანას გაეფლო და გამოეფლო. ოფიცერი ხან-და-ხან გათლიდა ხოლმე კარანდაშს და შემდეგ აქაურ საუცხოვო ავეჯეულობაზე სწერდა რამე ციფრებს ანა და ხატავდა რასმე, რასაც მისი განებივრებული ფანტაზია ჩააგონებდა მას.

რაზმის უფროსმა გაათავა ვახმისტრის მიერ მოტანილის წერილების კითხვა და გერმანულ გაზეთების გადათვალიერება, ადგა, შეუმატა ცეცხლს ორიოდე უშველებელი ღერი ნელლი შეშა,—ნელლი, რადგან ეს ვაჟბატონები გასათბობად ნელ-ნელა ჰკაფავდნენ ბალს,—და ფანჯარასთან მივიდა.

გარედ კოკიბირულად წვიმდა, ნორმანდიის წვიმა იყო, რომელზედაც ნათქვამია, რალაც გაგიჟებული ხელი ასხამსო, ირიბი და ისეთი ხშირი, თითქო სქელი ფარდა ჩამოუშვიათო ან უფრო კედელი აუყუდებიათო, შხაპუნა წვიმა, რომელიც არაფერს არ ტოვებდა დაუსველებელს, ერთი სიტყვით, რუანის მიდამოების წვიმა.

ოფიცერი დიდ ხანს უყურებდა პატარ-პატარა წყალით დაფარულს მინდვრებს და ქვემოდ აღიდებულს ანდელს, რომელიც ნაპირებიდან გამოსულიყო, და ფანჯრების მინებზე რეინის ვალსს უკრავდა თითებით. ამ დროს რალაც ხმაურობამ უკან მიახედვინა: შემოსულიყო მისი თანაშემწე კაპიტანი, ბარონი კელვანგშტაინი.

ჯარის უფროსი დიდის ტანის კაცი იყო, განიერ ბეჭებიანი, გულზე სუფრის მსგავსად დაშვებოდა მარაოსავით მორგვალელებული გრძელი წვერი. წარმოიდგინეთ, რომ ფარშავანგს მისი მშვენიერი კუდი ნისკარტს ქვემოდ აქვს გადაშლილი; აი ასეთს ფარშავანგს წაჰგავდა მთელი მისი დიდებული შეხედულობა. მისი ცისფერი და ლამაზი თვალები ცივად გამოიყურებოდნენ; ლოყაზე ავსტრიასთან ომის დროს მიღებული ქრილობა აჩნდა. ყველა ყოჩაღ კაცად და ყოჩაღ ოფიცრად სთვლიდა.

კაპიტანი სახე წითელი პატარა ტანის კაცი იყო; გადმოშვერილ ღიპზე ძალზე ჰქონდა შემორტყმული ქამარი. მისი წითელი წვერი, ისეთი წითელი, რომ ზოგჯერ სინათლე რომ მიადგებოდა, ფოსფორ წასმული გეგონებოდათ, ისე ჰქონდა შეკრეჭილი, თითქო სამართებლით გადაეპარსა. წინ ორი კბილი აკლდა; ეს ორი კბილი ერთ-ერთ ღამის ქეიფობის დროს დაჰკარგა, მაგრამ ნამდვილად კი არ ახსოვდა, როგორ. ამ კბილების უქონლობის გამო მისი ლაპარაკი გაუგებარი იყო ხოლმე. თავზე მხოლოდ შუა ადგილზე დასცვენოდა თმა და გარეშემო კი ისე ჰქონდა შემოყოლებული, როგორც ბერს.

ჯარის უფროსმა ჩამოართვა ხელი და ერთბაშად გადაყლაბა მთელი თასი ყავა (შეეჭვსე ამ დილას) და მოისმინა თავის

ხელქვეითის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მოხდა ამ უკანასკნელისაგან სამსახურის ასრულების დროს. შემდეგ ორივე ფანჯარასთან მივიდნენ. ორთავეს აზრით, არაფერი სასიამოვნო იყო მათი მდგომარეობა. უფროსი, მშვიდი და ცოლიანი, ყველაფერს ეწყობოდა; მაგრამ ბარონი კაპიტანი, დროს გატარებას შეჩვეული, საიჭვო სადგომების ხშირი სტუმარი, ქალების დიდი მოყვარული, გულზე სკდებოდა, რომ სამის თვის განმავლობაში იძულებული იყო ამ დაკარგულს ადგილს წმინდად შეენახა თავი.

ვიღამაც მოარაკუნა კარს; უფროსმა შემოსვლა უბრძანა. შემოვიდა კაცი, ერთ-ერთი ამათი ჯარის-კაცი — აუტომატი, რომლის აქ მოსვლა უსიტყვოდ ამბობდა, საუბრე მზად არისო.

სასადილო დიდ ოთახში იყო სამი უმცროსი ოფიცერი: ერთი ლიეტენანი ოტტო დე გრესლინგი, ორიც სულიეტენანი — ფრიც შენაუბურგი და მარკიზი ვილჰელმ დ' აირიკი, სულ პატარა ტანის ქერა კაცი, ამაყი და მხეცი ხელქვეითებთან, შეუბრალებელი დამარცხებულებისათვის და ძალმომრეობის მხრივ ტყვიასავით პირდაპირი.

მას აქეთ, რაც საფრანგეთში შემოვიდნენ, მისი ამხანაგები სხვა სახელს აღარ ეძახდნენ, გარდა ქალბატონო ფიფი. ეს მეტი სახელი პრანქიაობის, წვრილის წელის, რომელზედაც, როგორც ამბობდნენ, კარსეტი ჰქონდა გაკეთებული, და მისი მოყვითლებულის სახისა, რომელზედაც ახლად აშლილი უღვაშები ძლივს მოსჩანდნენ, გამო დაერქვა.

გარდა ამისა ამ მეტის სახელის დარქმევა გამოიწვია იმან, რომ ამ ოფიცერმა ჩვეულებად შემოიღო, როდესაც უდიდესის ზიზღის გამოცხადება უნდოდა რისამე შესახებ, ფრანგულს — *fi, fi donc* წამოძახება. ლაპარაკში წამ-და უწუმ ამ სიტყვებს ამბობდა და ჰკდილობდა ფრანგულად გამოეთქვა, რისთვისაც პატარა სტვენასაც მოაყოლებდა. დ' იუვილის სასახლის სასადილო ოთახი წარმოადგენდა დიდსა დ, სამეფო ზალას. მისი ძველებური მრავალ ადგილს ტყვიით დახვრეტილი სარ-

კეები და ხმლისაგან დაჭრილი ხალიჩები მოწმობდნენ ქალბატონ ფიფის სამსახურს გარეშე დროს გატარებას.

კედლებზე ამ სახლის პატრონის ოჯახის სამის წევრის სურათი ეკიდა.—ერთი—შეომარი რკინაში ჩასხმული, ერთი კარდინალი და ერთიც პრეზიდენტი; სამივე გრძელ ფაიფურის პაპიროსებს ეწეოდნენ. მათ შორის კი გახუნებულ ვარაყიანს ჩარჩოში გამოიყურებოდა ქალი; რომლისთვისაც ორი უშველებელი უღვაში გაეკეთებინათ ნახშირით.

საუზმეზე ოფიცრებს თითქმის არ ამოუღიათ ხმა. ამ და სახიჩრებულ ოთახში, რომელიც წვიმისაგან სრულებით დაღამებულიყო და სევდას მოჰგვრიდა კაცს თავისის დამარცხებულის შეხედულობით, მისი ძველი საუცხოვო იატაკი ეხლა დუქნის იატაკს დამსგავსებოდა.

ჰამა რომ გაათავეს და სმას შეუდგნენ და თუთუნის წევას, დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რაზედაც ყოველ დღე ლაპარაკობდნენ,—მოწყენაზე. კონიაკითა და სხვა მაგარ და ტკბილ სასმელით სავსე ბოთლები გადადიოდა ხელიდან ხელში და ყველანი, თავიანთ სკამებზე გადაწოლილები, ხშირ-ხშირად ყლაპავდნენ სასმელს და იმავე დროს პირიდან არ უშვებდნენ აჭრელებულს თითქო გოტენტოტების თვალთ მოსატაცნად გაკეთებულს ფაიფურის ყალიონებს.

დაკლიდნენ თუ არა ჰიქებს, ისევ აავსებდნენ. მხოლოდ ქალბატონი ფიფი ყოველ დაცლაზე ამხნვრევდა თავისას და მოსამსახურე ჯარის კაცი იმწამსვე ახალს უდგამდა წინ.

თუთუნის მწვაფი კომლი გარს ეხვია მათ და ძილის მომგვრელი და დამალონებელი სიმთვრალე უფრო და უფრო ერეოდათ, უსაქმურ კაცების უხალისო სიმთვრალე.

მაგრამ ბარონი ერთბაშად ფეხზე წამოდგა. გულმოსულა მან ერთი წამოიძახა: „ემშაკმა იცის ასეთი სიცოცხლე, შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს, საჭიროა ბოლოს რამე გამოვიგონოთ.“

ლიეტენანმა ოტტომ და სულიეტენანმა ფრიცმა, ორმა გერმანეომა ორივემ უნამდვილოსის გერმანულის სახისაჲმა, ერთხმად უპასუხეს: „რა, ბატონო კაპიტან?“

კაპიტანი დაფიქრდა რამოდენიმე წამს, შემდეგ უპასუხა: „რა?“ რა და რამე გასართობი უნდა მოვაწყოთ, თუ ბ-ნი უფროსი ნებას დაგვრთავს.

უფროსმა გამოიღო პირიდან ყალიონი: „რა გასართობი, კაპიტანო?“

ბარონი მიუახლოვდა: „მე ვიღებ ჩემ თავად ყოველივეს, ბ-ნო უფროსო. მე გავვზავნი რუანში კაცს, რომელიც ქალებს მოგვეგვრის; მე ვიცი, სადაც ნახავს. აქ ვახშამს დავამზადებთ; ამით არა წახდება რა და ჩვენ ერთს სალამოს გავატარებთ მაინც კარგად.“

გრათ ფალსბერგმა მხრები აიწია და გაიცინა: „გიჟი ხართ, მეგობარო.“

მაგრამ ყველა ოფიცრები აღგნენ, შემოეხვივნენ თავიანთ უფროსს და თხოვნა დაუწყეს:

„მიეცით ნება კაპიტანს, ბატონო, თორემ ისეთი მოწყენილი ვართ აქ“.

ბოლოს უფროსი დასთანხმდა: „კარგი“, სთქვა მან. იმ წამსვე ბარონმა დაუძახა ერთს ჯარისკაცს. ეს იყო ძველი უნტერ-ოფიცერი; მის სახეზე არავის არ ენახა ღიმილი, მაგრამ თავის უფროსების ბძანებას ფანატიკურად ასრულებდა ყოველთვის, რაც კი უნდა ებძანებინათ მისთვის.

ფეხზე გაჩერებულმა, თავისს გამომეტყველებას მოკლებულის სახით, მოისმინა მან ბარონის ბრძანება და შემდეგ გავიდა. ხუთს წამს უკან ოთხი ცხენი მიაქანებდა დიდ ტილოთი გადაფარებულს სამხედრო ეტლს.

მაშინვე რაღაც გამოფხიზლების ჟრუანტელმა დაურბინა ტანში ყველას; დაეკარგათ დაღლილი შეხედულება, სახეები გამოუცოცხლდათ და ლაპარაკს მოჰყვნენ.

თუმცა გარედ უწინდებურად სწვიმდა, უფროსი ამტკიცებდა, ისე აღარა ბნელო, და ლიეტენანმა ოტტომ დაბეჯითებით გამოაცხადა, ცა იწმინდებაო. ქალბატონი ფიფი ერთ ადგილს ვერ გაჩერებულყო. მისი ძვალი ეძებდა, იქნება რამე ვიპოვო დასამსხვრევადო. უცებ თვალი უღვაშებიან ქალის

სურათს მოჰკრა ახალგაზდა ქერამ და ამოიღო რევილოვერი. „შენ ვერ იხილავ ამას“, — სთქვა მან და აუღდგომლივ დაუმიზნა. ორმა ტყვიამ ზედი-ზედ გახვრიტეს სურათის ორი თვალი.

შემდეგ წამოიძახა: „გავაკეთოთ ნაღმი!“ და ერთბაშად ლაპარაკი შესწყდა. თითქო რაღაც ახალმა და ძლიერმა ინტერესმა შეიპყრა იქ მყოფნი.

ნაღმი, ეს მისგან მოგონილი საშუალება იყო დაქცევისა და დამსხვრევისა, მისი საუკეთესო შექცევა.

ამ სასახლის კანონიერმა პატრონმა, გრაფ ფერნანდ დ'ამუაი დ'იუვილმა აქედან გასვლის დროს, ვერ მოასწრო ვერც ვერაფრის წაღება და ვერც დამალვა, გარდა ვერცხლეულობისა, რომელიც მან კედელში შეინახა. და რადგან გრაფი ძალიან მდიდარი და გამოჩენილი კაცი იყო, მისი დიდი სალონი, რომელიც სასადილო ზალის გვერდით იყო, მის დაქცევის პირველ ხანებში წარმოადგენდა ნამდვილს გალერეიას მუზეუმისას.

კედლებზე ეკიდა ნახატები დიდი და პატარა, ძვირფასი აკვარელები, ავეჯეულობაზე, ეტაჟერებზე და კოხტა ვიტრინებში ათასობით ელაგა სხვა-და-სხვა პატარა ლამაზი ნივთები, ჩინური ჯამები, პატარ-პატარა სტატუები, საქსონის ფაიფურიდან გაკეთებული კაცუნები და ჩინური ღმერთები, ძველებური სპილოს ძვალი და ვენეტიკური ქიქები, ყველა ამით იყო ავსებული ეს უშველებელი ოთახი:

ეხლა ამ ნივთებთაგან თითქმის აღარა დარჩენილიყო-რა. არ გვეგონოთ, რომ ისინი ვინმემ მოიტაცა, რაზმის უფროსი გრაფი ფარლსპერგი ამის ნებას არავის არ მისცემდა; მხოლოდ ქალბატონი ფიფი დროგამოშვებით აკეთებდა ნაღმებს; და აიღდეს ყველა ოფიცრები ხუთის წამის განმავლობაში ამ შექცევას მოუხდნენ.

პატარა მარკიზი მოჰყვა საჭირო ნივთების ძებნას სალონში; მოიტანა სულ პატარა ჩინური ვარდისფერი ჩაიდანნი, გატენა ზარბაზნის წამლით, შეჰყო ჩაიდანის ცხვირში წვრილი

აბელი, წაუკიდა ცეცხლი და სწრაფად შეიტანა ეს ჯოჯოხეთური მანქანა მეორე ოთახში.

შემდეგ სიჩქარით გამობრუნდა და გამოიხურა კარი. გერმანელები გაჩერებულები ელოდნენ; სახეზე ყველას რაღაც ბავშვური ცნობისმოყვარეობა ეხატებოდათ და ღიმილი, და როდესაც აფეთქებულმა ნაღმმა შეანძრია სასახლე, ყველანი ერთად შევარდნენ ოთახში.

ქალბატონმა ფიფიმ, რომელიც პირველი შევიდა, დიდის სიხარულით დაიწყო ტაშის ცემა, როდესაც დაინახა, რომ ერთს ტერაკოტიდან*) გაკეთებულს ვენერას თავი მოგლეჯოდა; ყოველი მათგანი იღებდა ხელში ფაიფურის ნამსხვრევებს და ყველას ღიღად უკვირდა ამ ნამსხვრევების საუცხოვო გამოხატულება; აღარებდნენ დღევანდელს შედეგს აფეთქებისას უწინდელებს. და უფროსი მამობრივის თვლით დასცქეროდა ამ დიდს სალონს ნერონისებურის საშუალებით გადანგრეულ-გადმონგრეულს და სილად ქცეულს ხელოვნების საგნებს. პირველი ის გამოვიდა ოთახიდან და დიდის სიამოვნებით სთქვა: „დღევანდელი აფეთქება ყველას სჯობდა“. სასადილო ოთახი აივსო კომლით. ეს კომლი შეუერთდა თუთუნის კომლს და ოთახი ისეთ ნაირად აივსო ბოლით, რომ შეუძლებელი იყო სუნთქვა. რაზმის უფროსმა გააღო ფანჯარა და ყველა ოფიცრები, რომელნიც დაბრუნებულიყვნენ კონიაკის უკანასკნელ ჭიქის დასაცლელად, აგრეთვე მივიდნენ ფანჯარასთან. ოთახში შემოვიდა ნოტიო ჰაერი და შემოიტანა მტვერის მსგავსი წვრილ-წვრილი წვიმის წინწყლები, რომელიც წვერულვაშებზე დაეცა ოფიცრებს, თანაც ნაწვიმრის სუნიც შემოვიდა ოთახში.

ოფიცრები უყურებდნენ უშველებელ ხეებს, რომელთაც წვიმის ქვეშ თითქო თავი მოეხარათ, ბნელისა და დაბლა დაშვებულის ნისლით შებურვილს ქალას და სულ შორს ეკ-

*) ტერაკოტა—დამწვარი მიწა, რომლიდანაც აკეთებენ ლამაზ კატარა ნივთებს და მათ შორის სტატუებს.

კლესიის სამრეკლოს, რომელიც შავად ამართულიყო ამ წვიმაში.

რაც ესენი აქ მოვიდნენ, იმ სამრეკლოზე ზარს არ ამოუღია ხმა. ერთად-ერთი წინააღმდეგობა, რომელიც გამოუჩინა აქაურობამ შემოსულებს, იყო ამ ზარის წინააღმდეგობა. მღვდელი სრულებითაც არ ამბობდა უარს, რომ პრუსიელი ჯარის კაცები დაეყენებინა თავის სახლში და ექმია მათთვის; რამოდენიმეჯერ იმაზედაც დასთანხმდა, რომ მტრის რაზმის უფროსთან დაეღია ერთი ბოთლი ლუდი ან ბორდოელი ღვინო. რაზმის უფროსი ხშირად მიმართავდა ხოლმე მღვდელს, როგორც საუკეთესო შუაქაცს. მაგრამ ვერაფერს სთხოვდა მას ზარის ერთხელ ჩამორეკასაც; უმაღლეს დასახვერეტად გაიწირავდა. ასეთი იყო მისი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა წყნარი, წინააღმდეგობა სიჩუმის საშუალებით, რომელიც, როგორც ამბობდა ის, უფრო შეეფერებოდა ღვთის მსახურს, კაცს, რომელიც საშუალებად უფრო მშვიდობიანობას ხმარობდა, ვიდრე სისხლის ღვრას; და ხალხი მთელს ათს ვერსზედ გარშემო, უქებდა უშიშრობას და სიმტკიცეს აბატ შანტოგუანს, რომელიც ბედავდა საზოგადო მწუხარების ამრიგად გამოცხადებას და მის გლოვას თავის ეკკლესიის ზარის განუწყვეტლივ სიჩუმით.

მთელი სოფელიც, გამხნევებული ამნაირ წინააღმდეგობით, მზად იყო ბოლომდე მხარი მიეცა თავისის მოძღვრისათვის, მიუხედავად ყოველივე განსაცდელისა, რადგან ასეთი უსიტყვო წინააღმდეგობა მიაჩნდა ეროვნულ პატიოსნების დაცვად. სოფლელების აზრით, მათი დამსახურება სამშობლოს წინაშე უფრო დიდი იყო, ვიდრე ბელფორისა და სტრასბურგისა, ამით შესანიშნავს მაგალითს იძლეოდნენ და მათის სოფლის სახელი ამგვარ წინააღმდეგობას უკვდავ უნდა ეყო. სხვათაგან გამარჯვებულ პრუსიელებს არაფერზე არ ეუბნებოდნენ უარს.

რაზმის უფროსი და მისი ოფიცრები დასცინოდნენ ასეთს უნებელ სიმამაცეს და, რადგან ხედავდნენ, რომ მთელი არე-

მარე სხვაფერ პატივისცემით ეპყრობოდა მათ, ადვილად ითმენდნენ მის ჩუმ პატრიოტიზმს.

მხოლოდ პატარა მარკიზი ვილჰემი იყო, რომ უნდოდა ძალა დაეტანა და ზარი დაერეკვინებინა. მას აბრაზებდა თავის უფროსის ქცევაში ეს პოლიტიკური თავაზიანობა მღვდლის მიმართ და ყოველ დღე ეხვეწებოდა უფროსს, ნება მომეცი, ერთხელ მაინც გამოვადებინო ზარს ხმა, რათა ცოტა გავიცინოთო. და ამას ისე ითხოვდა, როგორც კატამ იცის თხოვნა ან ქალმა, მის ხმას მხოლოდ ერთის სურვილით გატაცებულის ცოლის სინაზე დაეტყობოდა ხოლმე; მაგრამ უფროსი უარს იდგა და ქალბატონი ფიფი თავის სანუგეშებლად ნაღმებს აკეთებდა დ'იუვილის სასახლეში.

ხუთივე კაცი, ფანჯარასთან ერთად შეყრილი, რამდენსამე ხანს ისე იდგა და ნოტიო ჰაერს ჰყლაპავდა. ბოლოს ლიეტენან ფრიცმა სიცილით სთქვა: „უეჭველია, ის ქალბატონები მოუხერხებელად სთვლიან ამ ცუდ დარში სეირნობას.“

შემდეგ დაიშალნენ და თვითეული თავის საქმეს შეუდგა, ხოლო კაპიტანმა სავახშმოდ მზადება დაიწყო.

როდესაც დაღამებულს ისევ ერთად შეიყარნენ, ყველამ სიცილი დაიწყო, დაინახეს რა, რომ ყველანი ისე გამოწყობილიყვნენ და მორთულიყვნენ, თითქო დიდი ალღუმი მოელოდათ. რაზმის უფროსის თმა ისე ქალარად აღარ სჩანდა, როგორც დილით, კაპიტანს სუფთად გაეპარსა სახე და მხოლოდ აღისფერი უღვაშები-ღა შერჩენოდა.

ფანჯარა ღია დასტოვეს მიუხედავად იმისა, რომ წვიმას არ გადაელო, და დროგამოშვებით ხან ერთი და ხან მეორე შივიდოდა ფანჯარასთან და მიაყურებდა. მეშვიდე საათზე ბარონმა ანიშნა დანარჩენთ, შორიდან ცხენის ფეხის ხმა ისმისო. ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ. ჩქარა უშველებელი ეტლიც შემოხრიგინდა; ცხენები თავდან ფეხებამდე ტალახით გათხვრილნი, ქშენით მორბოდნენ; დაღლილობისაგან ორთქლი ასდიოდათ.

ეტლიდან გადმოხტა ხუთი ქალი, ხუთი ლამაზი ქალიშვილი, ამორჩეული კაპიტანის მეგობრის მიერ, რომელსაც გაგზავნილმა ჯარის კაცმა თავის ოფიცრის წერილი მიუტანა.

მათარ დასჭირვებით დიდი ხვეწნა, დარწმუნებული იყვნენ, რომ ფასს კარგს მიიღებდნენ. ამ უკანასკნელ სამის თვის განმავლობაში მათ კარგად გაიცნეს პრუსიელები და თუ ჰქონდათ მათთან საქმე, ისე როგორც უსულო საგანთან.

„ხელობა მოითხოვს ამას!“ — ამბობდნენ ისინი გზაში და ამით უეჭველია პასუხს იძლეოდნენ მათში დარჩენილ სინიღისის იღუმალ შეკითხვაზე.

მაშინვე სასადილო ოთახში შევიდნენ. გაჩაღებული ოთახი უფრო საცოდავად მოსჩანდა ეხლა, როცა შიგ ყველაფერი დამტვრეული და დანგრეული იყო.

სუფრა მოწყობილი იყო მდიდრულად იმ ვერცხლეულობით, რომელიც სახლის პატრონს კედელში შეენახა და ამით გამოენახათ. ასე მდიდრულად მოწყობილი სუფრა ასეთს ოთახში მოგაგონებდათ რაღაც ყაჩაღების სადგომს, სადაც ისინი ვახშამს შეექცევიან ძარცვაობიდან დაბრუნების შემდეგ. გამხიარულებული კაპიტანი დაეპატრონა ქალებს, როგორც საკუთარს ნივთს რასმე, სინჯავდა, ეხვეოდა და აფასებდა იმით.

სამსავე ახალგაზდა კაცს უნდოდა ამოერჩია თავისთვის რომელიმე ერთი, მაგრამ კაპიტანმა არ დაანება და თითონ მოინდომა ქალების ჩამორიგება უფროს-უმცროსობის მიხედვით.

მაშინ, რათა აეცილებინა ყოველივე იქვი და მითქმამითქმა არ გამოეწვია, მან სიმაღლის მიხედვით რიგზე დააყენა ყველანი და ოფიცრულად, ამაღლებულის ხმით ჰკითხა ყველაზე მაღალს!

„შენი სახელი?“

ქალმაც ხმის ამაღლებით უპასუხა:

„პამელა“,

მაშინ კაპიტანმა გამოაცხადა!

„ნომერი პირველი, სახელად პამელა, რაზმის უფროსს“.

ამასთანავე ხელის მოხვევით დაისაკუთრა შემდეგი, ბლონდინა, და ლიეტენან ოტტოს მიუსაჯა მსხვილი ამანდა, ევა სულიეტენანს ფრიცს და სულ პატარა რაშელი, სრულებით ნორჩი შავ-თმიანი და შავ თვალა გოგო, ურიის ქალი, არგუნა ყველაზე ახალ გაზდა ოფიცერს, მარკიზ ვილჰელმ დ'აირიკს.

მაინცა-და-მაინც ყველა ქალები ლამაზი და მოხდენილები იყვნენ. დიდად არ განირჩეოდნენ ერთმანერთისაგან არც სახით და არც მორთულობით: პირის კანი ხომ სრულებით ერთნაირი, ისეთივე ერთნაირი ჰქონდათ, როგორადაც ერთნაირია ცხოვრება არამხანაში.

სამმა ახალგაზდა კაცმა იმ წამსვე მოინდომეს თავიანთ ქალების წაყვანა, ვითომ-და პირის დაბანა სჭირიათ და ტუალეტის გასწორებაო. მაგრამ კაპიტანი წინააღუდგა მათ: საკმაოდ კარგად არიან მორთული სუფრაზე დასასხდომადო, — სთქვა მან, — და ვისაც წასვლა უნდა, მხოლოდ მისთვის მიდიოდა, რომ დაბრუნებისას ქალები შეეცვალათო. ჯერ დიდი კოცნა გაიმართა მხოლოდ, კოცნა მოლოდინისა.

ერთბაშად რაშელს სული შეუგუბდა და ცრემლ მორეულს ხველება დააწყებინა; ამავე დროს ნესტოებიდან თუთუნის ბოლი გამოდიოდა. მარკიზმა, ვითომ ხელის მოხვევა უნდოდა, დაიღუნა და პირი თამბაქოს ბოლით აუფსო.

ქალი არ გამწყრალა, ერთი სიტყვაც არა სთქვა, მაგრამ მიაჩერდა თავის მფლობელს და მის შავის თვალების სიღრმეში იხატებოდა აღშფოთება და წყრომა.

დასხდნენ. რაზმის უფროსი, ეტყობოდა, დიდად გახარებული იყო: „ეს ძალიან აზრი მოგივიდათ, კაპიტანო, — უთხრა მან ხელსახოცის შლით; მარჯვნივ პამელა უჯდა, მარცხნივ ბლონდინა.

ოტტოსა და ფრიცს, რომელნიც ისე მორიდებულად ისხდნენ, თითქო გვერდით პათიოსანი ქალები ჰყოლოდეთ, ცოტა არ იყოს, შიში ეტყობოდათ თავიანთის მეზობლებისა. ბარონი კელვაინგშტაინი, რომელსაც აღვირი აეშვა თავისის

დაბალ გულის თქმათათვის, ბრწყინავდა, ისროდა ორ-აზროვან სიტყვებს და გეგონებოდათ ცეცხლი წაჰკიდებია მის წითელ თმასაო. სცდილობდა არშიყოფას ფრანგულად, მაგრამ მისი ფრანგული ენა იყო რეინის ფრანგული და მისი დუქნური არშიყოფა, ორის კბილის უქონლობის გამო, ნაფურთხით სვრიდა ქალებს.

უკანასკნელთ არაფერი არ ესმოდათ და არც არაფრად სასიამოვნოდ მიაჩნდათ ოფიცრების ლაპარაკი, ხოლო როდესაც კაპიტანი წამოისროდა რამე უსირცხვილო სიტყვას ან უშნოდ რასმე იოხუნჯებდა, მაშინ ყველანი ერთად გიჟებივით სიცილს იწყებდნენ, თავიანთ მეზობლებს მიეყრდნობოდნენ და იმეორებდნენ ბარონის ნათქვამს, რომელიც უფრო-და-უფრო სცდილობდა სიტყვების დამახინჯებას, რათა ქალებისთვის ისევ და ისევ გაემეორებინა. ქალები პირველ ჭიქის გამოცლისათანავე შექეიფიანდნენ და დიდი ხმაურობა ასტეხეს. ამრიგად ნამდვილი სახე თავისი გამოიჩინეს, ჩვეულებისამებრ უკუაგდეს მორცხვობა და მარცხნივ და მარჯვნივ ტლაშა-ტლუში გამართეს, ჩქმეტდნენ თავიანთ მეზობლებს, ღრიალებდნენ, ხან ერთს ჭიქიდან მოსვამდნენ ღვინოს და ხან მეორიდან, მღეროდნენ ფრანგულ სიმღერას და ცოტას გერმანულსაც, რომელიც ამ ბოლო ხანებში ესწავლათ მტრებისაგან.

ჩქარა კაცებიც, დამთვრალეები ქალების ეშხით, მათის ტანის შეხებით და ამავე ტანის სუნის ყნოსვით, გაგიჟდნენ და ყვირილით და ღრიალით ამსხვრევდნენ შუშეულობას, მათ უკან კი ამართულიყვნენ გაჩუმებული ჯარის კაცები და ემსახურებოდნენ.

მხოლოდ რაზმის უფროსი იჯდა წყნარად.

ქალბატონ ფიფის მუხლზე დაესვა რაშელი და იმდენს და ისე გაშმაგებით უკოცნიდა მის შავის თმის ძირებს კისერთან, ისე აღინთო მისის კანის ნაზის სითბოთი და მთელის მისის არსების სუნით, რომ კანკალი დააწყებინა! რაღაც გიჟურმა სიმკაცრემ აიტანა, მოუარა მისმა თინმა, რომელიც ყველაფერს აოხრებინებდა ხოლმე და ეხლაც დროგამოშვებით

ძალზე ჩქმეტდა ქალს და აკივლებდა. ხშირად კიდევ, მოხვევდა ორივე ხელს და ისეთნაირად და იმდენს ხანს დაეკონებოდა ურიის ქალის ქორთვა ტუჩებს, რომ უკანასკნელს სული შეეხუთებოდა; ბოლოს ერთი ისე უკბინა ნიკაპზე, რომ სისხლი წამოვიდა და კაბის საგულეში ჩაეწვეთა.

ერთხელ კიდევ მიაჩერდა ქალი თვალებში, უყურა ერთ ხანს, მოიწმინდა სისხლი და წაიჩურჩულა: „ამას გადახდა უნდა“. შემდეგ დაიწყო ხარხარი, გიჟური ხარხარი. „გადაგიხდი“.

მოვიდა დესერტის დრო; ჩამოასხეს შამპანური. რაზმის უფროსი წამოდგა და ისეთის კილოთი დალია სადღეგრძელო, თითქო დედოფლის აუგუსტას სადღეგრძელო ყოფილიყოს.

„გაუმარჯოს ჩვენს ქალებს!“ დაიწყეს სადღეგრძელოების სმა, ისეთის სადღეგრძელოების, რომელშიაც ჯარისკაცურ კილოს უერთდებოდა ყავახანური უშნო და უნამუსო სიტყვახუმრობა, რომელიც ენის უცოდინარობის გამო უფრო ულახათო და საძაგელი გამოდიოდა. ხან ერთი წამოდგებოდა და ხან მეორე და სცდილობდნენ მახვილობას და ცინიკობას; ქალები კი, მთვრალეები იმდენად, რომ სკამებზე ძლივს ისხდნენ თვალებ დაბნეულები და ტუჩებ წერწყვეს სავსენი, ტაშს უკრავდნენ ყოველ თქმაზე.

კაპიტანმა, რომელსაც უეჭველია სურდა კარგის თქმით სუფრა დაეშვენებინა, ერთხელ კიდევ აიღო თავისი ჭიქა და წარმოსთქვა: „გაუმარჯოს ვინც ქალის გული დაიპყრო“.

შაშინ ოტტო, რომელიც ეხლა დაბურულ ტყიდან გამოსულ დათვს მოგაგონებდათ, ღვინით გაქდენთილი წამოიქიმა და გაშმაგებულმა ღვინით მოგვრილ სამშობლოს სიყვარულით დაიყვირა: „გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას ევროპაზე!“

ქალები, რომელთაც ღვინომ კინადამ გონება წაართვა, გაჩუმდნენ. აკანკალებული რაშელი მიუბრუნდა ოტტოს და უთხრა: „მე ვიცნობ ისეთ ფრანგებს, რომლებთან მაგის თქმას ვერ გაბედავდი“.

მაგრამ პატარა მარკიზმა, რომელიც არ იშორებდა ქალს მუხლიდან, სიცილი დაიწყო; ღვინომ მეტად გაამხიარულა: „ჰა, ჰა, ჰა! მე კი არ მინახავს მაგისტანეები. გაფჩნდებით სადმე თუ არა, ისინი ადგილს გვიცლიან“.

— „სტყუი, საძაგელო!“ — შეუძახა მოთმინებიდან გამოსულმა ქალიშვილმა.

ერთ წამს კაცმა მიაშტერა თვალები ქალს, თითქო რევოლვერს უშიზნებსო იმ ნახატებს, რომელიც მან ისეთნაირად დახვრიტა, შემდეგ სიცილით განაგრძო: „კარგი, ვილაპარაკოთ მაგაზე, ჩემო მშვენიერო! ისინი რომ მამაცნი ყოფილიყვნენ, ჩვენ რა დაგვაყენებდა აქ!“ კაპიტანი უფრო და უფრო გულადობდა: „ჩვენ მათი ბატონები ვართ! საფრანგეთი ჩვენია!“

ზარდაცემულივით ჩამოხტა ქალი მის მუხლიდან და დაეცა თავის სკამზე. კაპიტანი წამოდგა, გაიშვირა ხელი შუა სუფრისაკენ და გაიმეორა: „ჩვენია საფრანგეთი, ფრანგები, მათი ტყეები, ველები და სახლები.“

დანარჩენებმა, სრულებით მთვრალეებმა და ჯარის კაცურის ენტუზიაზმით გატაცებულეებმა, დაავლეს თავიანთ ჭიქებს ხელი და აღრიალდნენ: „გაუმარჯოს პრუსსიას“ და ერთბაშად დასცალეს ჭიქები.

შეშინებული და გაჩუმებული ქალები აღარ ეწინააღმდეგებოდნენ. გაჩუმებული იჯდა რაშელიც, რადგან არ შეეძლო პასუხის გაცემა.

მაშინ პატარა მარკიზმა შამპანურით ავსებული ჭიქა ხელახლა დაადგა ურიის ქალს თავზე და დაიძახა: „ჩვენია აგრეთვე საფრანგეთის ყველა ქალები!“

ქალი წამოვარდა ერთბაშად ფეხზე. ჭიქა გადმოვარდა ძირს და დაიმსხვრა, ხოლო მის გადმოვარდნამდე, ყვითელი ღვინო თავზე გადაესხა ქალს. ქალი მიაჩერდა ოფიცერს, რომელიც სიცილს თავს არ ანებებდა, და ათრთოლებულის ტუჩებით, მრისხანებით აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა: ეს, ეს,

ეს არ არის მართალი; საფრანგეთის ქალები არ იქნებიან თქვენნი.

კაპიტანი დაჯდა, რათა განეგრძო თავისი მადიანი სიცილი და დამახინჯებულის ფრანგულით, თუმცა ძალიან სცდილობდა წმინდა პარიზულ კილოთი გამოეთქვა, უთხრა ქალს: „კარგი და მშვენიერი, მაგრამ შენ ზისთვის-ლა მოსულობარ აქ?“

შემკრთალი ქალი ერთხანს გაჩუმებული იყო, რადგან ვერ გაეგო აღელვებულს, რასაც ეზუნებოდნენ. შემდეგ, როდესაც მიხვდა ნათქვამს, ცხარედ და აღშფოთებით უპასუხა: „მე, მე, მე ქალი კი არა ვარ, მე როსკიპი ვარ და პრუსიელებს ხომ მეტი არა გინდათ რა“.

ქალს ჯერ არ გაეთაფებინა თავისი, კაცმა ხელი გამოიქნია და სილა გაართვა. გაბრაზებულმა ქალმა პატარა ვერცხლტარიან დანას დაავლო ხელი და, კაცმა რომ მეორედ აიღო ხელი ისე უცბად, რომ ვერავინ დაინახა, დასცა-დანა ყელში, სწორედ იმ ადგილს, სადაც სასულეა.

კაცს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა ყელში გაურჩა და თვალეზ გაშტერებული და პირღია დარჩა თავის ადგილზე. ყველამ იღრიალა და წამოცვიდნენ ფეხზე. ქალმა თავისი სკამი ესროლა ფეხებში ლიეტენან ოტტოს, რომელიც გაიშლართა იატაკზე, მივარდა ფანჯარას, თვალის დახამხამებაზე გააღო და გადახტა და დაიკარგა ღამის სიბნელეში და წვიმაში. წვიმა კი უწინდებურად კოკისპირულად ასხამდა ზემოდან.

ორ წამში ქალბატონი ფიფი გარდაიცვალა. მაშინ ფრიცმა და ოტტომ იშიშვლეს ხმლები და მოინდომეს ქალების დახოცვა. რაზმის უფროსმა დაუშალა მათ ქალების მოკვლა, ბძანა ამ ოთხის, გონება დაბნეულის, ქალის ცალკე ოთახში დამწყვდევა და ორი კაცი დარაჯად მიუყენა; შემდეგ, თითქო საბრძოლველად ამზადებს ჯარის კაცებსო, დაუძახა მათ და გაქცეულ

ქალს დაადევნა და თანაც დარწმუნებული იყო დაიჭერდა.

ორმოცდა ათი კაცი, სასტიკის ბძანებით გამოგზავნილი, დაიფანტა პატარა ტყეში. ორასმა სხვამ გადაატრიალეს მთელი არე-მარე, — ხეები და სახლები.

სუფრა ერთბაშად აალაგეს და გარდაცვალებული დაასვენეს მაგიდაზე. ოთხი გამოთხიზლებული და გაშეშებული ოფიცერი ისეთის სახის გამომეტყველებით, როგორიც მხოლოდ ომში აქვს ჯარის კაცს, ფანჯარასთან იდგა და ღამის წყვდიაღში აცეცებდა თვალებს.

წვიმა უწინდებურად ასხამდა და წყვდიაღში ისმოდა ხმაურობა, არეული ხმა ზემოდან მომავალ წყლისა და წყალის, რომელიც მიწაზე მიმდინარეობს, წყალის ცალკე წვეთებისა და წყალის ჩქეფისა.

უცხად გაისმა თოფის ხმა, შემდეგ მეორე ძალიან შორს, და ასე ოთხი საათის განმავლობაში ისმოდა დროგამოშვებით ხან ახლო და ხან შორს თოფის სროლის ხმა, ისმოდა შეხვედრილთ შეკითხვის ხმა და უცხო ენის სიტყვები.

დილას ჯარის კაცები დაბრუნდნენ. აღმოჩნდა, რომ ღამის სიბნელეში ძებნით გატაცებულთ და ღამის წყვდიაღით შეშინებულ ჯარის კაცებს თავისიანივე მოეკლა ორი კაცი და სამიც დაეჭრა. რაშელი ვერ ნახეს.

მცხოვრებნი თავზარდაცემულნი იყვნენ; სახლები მთლად გადაებრუნებინათ, იქაურობა მრავალჯერ შემოეველოთ; ურისის ქალი თითქო მიწას გადაეყლაპა, ერთი კვალიც ვერ ნახეს მისი.

ღენერალმა, რომელსაც გაეგო ყველაფერი, საქმის ჩაფუშვა ბრძანა, რათა ცუდი მაგალითი არ გამოქვეყნებულიყო და წაბაძვის სურვილი არ გამოეწვია მთელს ჯარში. ჯარის უფროსი კი დასაჯა; ამ უკანასკნელმა დასაჯა თავისი ხელქვეითნი. ღენერალმა ბრძანა: „ომი დროს გასატარებლად და

უზნეო ქალებთან შესაქცევად კი არ გამოუცხადებიათ“. გულ-
მოსულმა გრაფ თარლსბერგმაც გარდასწყვიტა გულში, ჯაფრი
აქაურ ქვეყანაზე ეყარა.

ამ სურვილის სისრულეში მოსაყვანად რაზმის უფროსი
მიზეზს ეძიებდა და ამიტომ ბძანა მღვდელი მოეყვანათ და
უბძანა, მარკიზ დ'არიკის დამარხვაზე ზარი დარეკეო.

სრულებით მოულოდნელად მღვდელმა დიდი მორჩილება
გამოიჩინა და გულშემატკივრობა. როდესაც ქალბატონ ფიფის
გვამი, რომელიც ჯარის კაცებს მიჰქონდათ და რომელსაც
გარშემო ჯარის კაცები შემოხვეოდა და წინ კიდევ ჯარის
კაცები მიუძღოდნენ ყველა თოფის წვერებ ქვეით დაშვებული,
გამოიტანეს დ'იუვილის სასახლიდან და სასაფლაოსაკენ წასვე-
ნეს, ზარმა პირველად გაიწკარუნა მგლოფიარის ხმით ნაზად,
თითქო მეგობრის ხელი შეხებოდეს სააღერსოდ. ზარი სალა-
მოს ჩამორეკეს კიდევ, მეორე დღესაც და ასე ყოველ დღე.
ზარი ხან-და-ხან ღამობითაც წკარუნობდა; ის თავისით დაი-
წყებდა ხან-და-ხან ქანაობას და ჰაერში გაისმოდა ხოლმე
ორი ან სამი ხმა და ამ ხმაში რაღაც განსაკუთრებული სიხა-
რული ისმოდა, მაგრამ რისა—არავინ იცოდა. მაშინ გარშემო
მცხოვრებ სოფლის კაცებმა გადასწყვიტეს, ვიღასაც მოუჯა-
ღოვებიაო და გარდა მღვდლისა და მნათესი აღარავინ ეკარე-
ბოდა სამრეკლოს ახლო.

ზემოდ სამრეკლოზედ კი სცხოვრობდა საბრალო ქალი-
შვილი განმარტოებით და სევდიანი. საქმელს ამ საფარში
მღვდელი და მნათე უზიდავდნენ.

ასე სცხოვრობდა ქალი სამრეკლოზე იმ დრომდის, მინამ
გერმანელი ჯარი არ გავიდა საფრანგეთიდან. მაშინ მღვდელმა
ერთ საღამოს შეება ცხენი მეპურეს შარაბანში, წაიყვანა თა-
ვისი ტყვე ქალი და რუანს მიიყვანა; მიიყვანა და გამოთხო-
ვებისას გადაეხვია. ქალი ჩამოხტა ეტლიდან და მალე ფეხით
მივიდა არამხანაში, რომლის პატრონს მკვდარი ეგონა.

რამდენისაზე ხნის შემდეგ ერთმა პატრიოტმა, რომელსაც ჯერ ამ ქალის გმირობა მოეწონა და მერე თვით ქალიც შეუყვარდა, გამოიყვანა ის იქიდან და ჯვარი დაიწერა მასზე. დღეს ის ისეთივე პატივცემული მანდილოსანია, როგორც მრავალი სხვა.

ივ. ჭურაბაშვილი

უსინათლო მემუსიკე

გლად. კაროლენკოსი

(ეტიუდი)

თავი პირველი.

1

სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, მიყრუებულ შუალემისას, მდიდარს ოჯახში დაიბადა ბავშვი. ახალგაზდა დედა ღრმა დავიწყებას მისცემოდა, მაგრამ, გაისმა თუ არა ახლად-შობილის პირველი, ნელი, შესაბრაალისი ჩხაილი, მაშინვე მოუსვენრად დაიწყო თვალდახუჭულმა ლოგინში ტრიალი. ტუჩებით რაღასაც ჩურჩულებდა და მკრთალს პირისახეზე, რომელსაც ბავშვური ნორჩი მოხაზულობა ჯერ კიდევ შეჭრჩენოდა, მოუთმენრობის ტანჯვა და დაღრეჯა გამოჰკრთომოდა, თითქოს ნებიერი ბავშვი უცნობს რამ არაჩვეულებრივს მწუხარებასა ჰგრძნობსო.

ბებიამ მაშინვე ყური აჩურჩულებულს ტუჩებზე დაადო.

— რათა... ბავშვი რათ სტირის?— კითხულობდა ოდნავის ჩუმის ხმით ავადმყოფი.

ბებიამ ჩაკითხვა ვერ გაიგო. ბავშვმა კიდევ შეჰყვირა. ავადმყოფს სახეზე მწვავე ტანჯვის გრძნობამ გადაჰკრა და მოხუჭულ თვალებიდან სხვილი ცრემლი გადმოეკიდა.

— რათა, რათა? — ჩურჩულებდა კვალად ავადმყოფი.

ბებიამ ჩაკითხვა ამ ჟამად კარგად გაიგო და დამშვიდებულმა უპასუხა:

— იმას მეკითხებით, ბავშვი რათ სტირის, არა? დამშვიდ-
დით, აგრე იციან.

მაგრამ დედა არა მშვიდდებოდა. გაიგებდა თუ არა ბავ-
შვის ხმას, მაშინვე შეხტებოდა და მრისხანედ, მოუთმენრად
იმეორებდა:

— აგრე... აგრე საზარლად რათ?..

ბავშვის ყვირილში ბებია განსაკუთრებულს არასა ჰხე-
დავდა და, რაკი ფიქრობდა, უთუოდ თვითონაც არ ესმის,
ისე ჰბოდავსო, მელოგინეს თავი მიანება, ბავშვის მოვლას
შეუღდა.

მერე ისევ მიჩუმდებოდა და მხოლოდ-ლა დრო-გამოშვე-
ბით რალაცა მძიმე ტანჯვა თვალთაგან სხვილ ცრემლებს გად-
მოაყრევივინებდა ხოლმე, რაკი სიტყვიტა და მოძრაობით ველარ
ახერხებდა გრძობის გარეთ გამოფენასა. ცრემლი შავს, ხშირს
წამწამებში ჩამოჰქონავდა და მარმარილოსავით მიმკრთალეებულს
ლოყებზედ მძიმ-მძიმედ ეწვეთებოდა.

იქნება იგრძნო დედის გულმა, რომ ახლად-შობილს ბავშვს
თან რალაცა მძიმე უბედურება დაჰყვა და აკვნიდგან სამარის
კარამდე განუყრელად თან უნდა ეტარებინა?

ან იქნებ მართლაც მხოლოდ ჰბოდავდა? ასე იყო, თუ
ისე, ბავშვი უსინათლო დაიბადა.

II

პირველად ეს ვერავინ შეჰნიშვა. ბავშვი ჩვეულებრივ
მკრთალად და გაურკვეველად იყურებოდა, როგორც ეს დრომ-
დე საზოგადოდ ყველა ახლად-შობილს ბავშვებსა სჩვევია. დღეს
დღე მისდევდა, კვირას კვირა, ახალი კაცი ნელ-ნელა იზრდე-
ბოდა. თვალეები დაეწმინდა, მღვრიე ბინდი გადაეცალა, თვა-
ლის გუგა გამოერკვა. მაგრამ ფრინველთა მხიარულ ჭიკჭიკთანა
და მწვანე წიფლების ფოთლის შრიალთან ერთად, რომლებიც
იქვე ფანჯრებთან ირხეოდნენ ბალში, გარედან ოთახში შემო-
ცურებულ მზის უუქს ბავშვი თვალს არ აყოლებდა. გამოჯან-

საღებულმა დედამ პირველად შეჰნიშნა ბავშვის სახეს შეშფოთებულმა, რომ როგორღაც უძრავადა და ბავშვისათვის არაჩვეულებრივ დინჯად ექირა.

ახლოგაზდა დედა დამფრთხალი გვრიტივით შეჰყურებდა ყველასა და ეკითხებოდა:

— მითხარით, გეთაყვათ, ასეთი რათ არის?

— როგორი?— ეკითხებოდნენ გულგრილად უცხონი. — ამ ხნის სხვა ბავშვებისაგან სულ არასფრით არ განიჩჩევა.

— უყურეთ, აბა, როგორ უცნაურად ეძებს ხელით რაღასაცა...

— ბავშვს ჯერ მოძრაობა ხელისა და მხედველობითი შთაბეჭდილება კარგად ვერ შეუთანხმებიაო, — უბასუხა ექიმმა.

— სულ ერთ მხარეს რაღატომ იცქირება?.. არა... უთუოდ უსინათლოა! — ამოჰხდა უცბად გულიდგან საზარელი ამოცანა დედასა და ველარავინ ვერ დაამშვიდა, ველარავინ დააშოშმინა.

ექიმმა ბავშვი აიყვანა, სინათლისაკენ მიაბრუნა სწრაფად და თვალებში ჩაჰხედა. ცოტა არ იყოს შეერთა ექიმი, ორიოდე რაღაცა წაილაპარაკა უმნიშვნელოდ და წავიდა; დაჰპირდათ, ორის დღის შემდეგ შემოვივლიო.

დაქრილი ფრინველივით დედა ერთ-თავად მოუსვენრად იყო და სტიროდა, თან ბავშვს გულში მაგრა იხუტებდა; ბავშვი-კი ისევ ისე თვალებ-გაშტერებული, უმოძრაოდ, მკაცრად გამოიყურებოდა.

ორის დღის შემდეგ ექიმი მართლა მოვიდა და თან ოფთალმოსკოპი (თვალის გამოსაკვლევი) მოიტანა. ანთოო სანთელი და ხან სულ ახლოს მიუტანდა თვალთან, ხან მოაშორებდა; ბოლოს გაუტყდა შემკრალი და უთხრა:

— არ მოსტყუვდით, სამწუხაროდ, ქალბატონო... ბავშვი მართლა უსინათლოა და მასთან უიმედოდ, უნუგეშოდ უსინათლო...

ნათქვამი დედამ წყნარად მოისმინა დაღვრემილმა.

— დიდი ხანია ვიცოდი, — უბასუხა დაბალის ხმით.



ოჯახობა, რომელშიაც უსინათლო დაიბადა, დიდი არ იყო. უკვე დასახელებულთა გარდა, ოჯახს შეადგენდნენ მამა და „ბიძია მაქსიმი“, როგორც საზოგადოდ უძახდნენ ხოლმე შინაურები თუ გარეულები. მამა სამხრეთ-დასავლეთ მხარის სხვა მემამულეთაგან სულ არაფრით განირჩეოდა. იყო გულკეთილი, თითქმის რომ კეთილიც, მუშებს მუდამ თვალს კარგად ადევნებდა და უყვარდა ძაან შენება და გადაშენება წისკვილებისა. მთელს დროს ამიტომ თითქმის რომ საქმეს ანდომებდა და ამის გამო იმისი ხმა სახლში მხოლოდ სადილზე და საუზმის დროს თუ ისმოდა-ლა ხოლმე, ან სხვა რამ ამ გვარს შემთხვევაში, თორემ სხვა დროს არა. ამ დროსაც მხოლოდ თავისს კარგად გაკვეთილს სიტყვებს ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „ხომ კარგადახარ, ჩემო მტრედო“ და მაგიდას მიუჯდებოდა, მეტს თითქმის აღარას იტყოდა. იშვიათად მხოლოდ მუხის მორგვებსა და ცხენებზე თუ ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს, ეს იყო. ექვი არ არის, ასეთი მშვიდობანი და უბრალო ცხოვრება მამისა ბავშვის სულიერს ვითარებაზე ვერავითარს გავლენას ვერ იქონიებდა.

სულ სხვა იყო სამაგიეროდ ბიძია მაქსიმი. ათის წლის წინად, ვიდრე აქ აღწერილი ამბავი მოხდებოდა, ბიძია მაქსიმი მეტად დაუდგრომელ და შფოთ ადამიანად იყო ცნობილი, არა მარტო ამ მამულის არე-მარეში, არამედ კიევის „კონტრაქტებზედაც-კი“*). ყველა დიდადა ჰკვირობდა ხოლმე, ყოველ მხრივ პატივცემულს ოჯახში, როგორიც იყო იაცენკოს ასულის პანი პოპელსკაიას ოჯახობა, ასეთი საზარელი ძმა საიდგან გამოიძებნა. აღარ იცოდნენ, ვის როგორ უნდა დაეჭირა თავი ამ დაუდგრომელ ადამიანთან, ვის რითი უსიამოვნებინა. თავაზიანს პანებს მუდამ კადნიერადა და თავხედად ეპყრობოდა, გლახებს-

*) ასე ეძახდნენ ოდესმე სახელგანთქმულს კიევის იარმუკასა.

კი ყოველგვარს თავისნებობასა და სიბრყვეს უთმობდა ხოლომე, რისთვისაც ყველა წყნარი და მშვიდობიანი „შლიახტიჩი“ (ახ-ნაური) უთუოდ ყბებს აუნთებდა. ბოლოს, ყველა კეთილგონიერთა სასიხარულოდ, ბიძია მაქსიმი ავსტრიელებს რაღაზედაც მეტად გაურისხდა და იტალიაში წავიდა. აქ ის თავისსავე მზგავსა, დაუდგრომელსა და მწვალეებელს ჰარიბალდის შეუერთდა, რომელიც, მემამულე-პანების საზარელი გადმოცემით, ეშმაკს თურმე დაუმეგობრდა და თვითონ „პაპეყსაც-კი“ (პაპს) არაფრათ აგდებდა. რასაკვრელია, ამ რიგად მაქსიმმა თავისი მოუსვენარი სული სამუდამოდ დაჰლუპა, მაგრამ სამაგიეროდ „კონტრაქტებზე“ იმდენი შფოთი და ვაი-უშველებელი მაინც აღარა ხდებოდა ხოლომე და კეთილშობილი დედებიც გულდამშვიდებულნი იყვნენ, რომ მათს შვილებს ძღარავინ რას შეამთხვევდა.

ავსტრიელებიც უთუოდ ძალიან უნდა ყოფილიყვნენ ბიძია მაქსიმზე გულმოსულები. მემამულე-პანების ძველის-ძველ საყვარელ გაზეთ „Курьерка“ ში-ლა თუ ჰნახავდა ვინმე დროგამოშვებით ახალ ამბად, რომ ბიძია მაქსიმი ჰარიბალდის თავზე ხელ აღებულ კაცებთან ერთად იბრძოდა. ბოლოს იმავე „Курьерка“-ში ამოიკითხეს ერთხელ პანებმა, რომ მაქსიმი ბრძოლის ველზედ მოეკლათ თავისის ცხენითურთ. გამძვინვარებულმა ავსტრიელებმა, რომლებიც დიდი ხანია კბილებს ილესდნენ ამ მოუსვენარს ვოლინელზე (თანამემამულეების აზრით მაქსიმის წყალობა იყო, რომ ჰარიბალდი ჯერ კიდევ იბრძოდა), კომბოსტოსავით თურმე აკაფეს იგი.

— ცუდად ჩაატარა თავისი სიცოცხლეო, — გადასწყვიტეს პანებმა და მომხდარი ამბავი თავისს მოადგილისადმი წმ. პეტრეს მეოხეობას მიაწერეს. მაქსიმი ძკვდარი ეგონათ.

მაგრამ, დახეთ, ავსტრიელების ხმლებმა კიდევ თურმე ვერ მოახერხეს და მაქსიმის კერპი სული მის დაგლეჯილ-დაფლეთილ გვამიდგან ვერ გამოდევნეს. ჰარიბალდის დაუდეგარმა კაცებმა თავისი ღირსეული ამხანავი მაშინვე თურმე ბრძოლის ველიდან გაიტაცეს და რომელღასაც საავადმყოფოში დააწვი-

ნეს, მოარჩინეს. და აგერ, რამდენისამე წლის შემდეგ, მაქსიმი მოულოდნელად თავის დის სახლს დაუბრუნდა და დარჩა აქ საცხოვრებელად.

მაგრამ ხმალში ვისამე გასაწვევად აღარა სცხელოდა. მარჯვენა ფეხი მთლად მოექრათ და ყავარჯენზე-ლა ეყრდნო, მარცხენა ხელი კიდევ იქამდის დაჰმანინჯებოდა, რომ მხოლოდ ჯოხის დამაგრება-ლა შეეძლო საცოდაობით. საზოგადოდ, მაქსიმი ახლა უფრო დადარბაისლებული და დაწყნარებული იყო, მხოლოდ მწვავე ენას-ლა ამუშავებდა ხოლმე ისე მკრელად, როგორც რომ წინად ხმალსა. „კონტრაქტებზე“ სიარულიც მოჰსპო, აღარც საზოგადოებაში გამოდიოდა და მომეტებულს დროს რაღაცა წიგნების კითხვას ანდომებდა თავისს წიგნთ-საცავში, რომლებსაც არაფინ რა იცოდა და მხოლოდ ისე ანდეთი ამბობდნენ, რომ ღვთის საწინააღმდეგო წიგნებიაო. გარდა ამისა, სწერდა კიდევ სხვა რაღაებსაცა, მაგრამ რადგან მისი ნაწერი არასოდეს „Курьерка“-ში არ დაბეჭდილა, დიდს ყურადღებას მათ არაფინ აქცევდა.

სწორედ იმ დროს, სახლში რომ ახალი არსება დაიბადებდა და იწყო ზრდა, ბიძია მაქსიმის მოკლედ შეკრეკილს თმას უკვე ვერცხლის ფერი ქალარა შეჰპარვოდა. ყავარჯენებისაგან მხრები მალლა ასწეოდა, მუცელი დაჰრგვალეობოდა. უცნაური გარეგნობა, დაღვრემილი წარბები, ყავარჯენების კაკუნი, თამბაქოს ბოლი და ჩიბუხი, რომელსაც ხელიდგან არ აგდებდა, ყოველივე ეს შიშა ჰგვრიდა გარეშეთ და მხოლოდ მახლობლებმა-ლა იცოდნენ კარგად, რომ მაქსიმს მოსიყვარულე, კეთილი გული ჰქონდა, რომ მისს ოთხ-კუთხს, ჯაგარივით მაგარი თმით დაფარულს თავში ერთ-თავად მოუსვენარდ ტვინი მუშაობდა.

თუმცა, მართალია, ცოდნით არც არა მახლობლებმა იცოდნენ რამე, რა საგნის გადაწყვეტაზე ამუშავებდა იგი ფიქრსა. ჰხედავდნენ მხოლოდ, როგორ სჯდა ხოლმე მთელის საათობით თამბაქოს ბოლში გახვეული და იყო ისრე უძრავად დაღვრემილი, წარბებ-მოლუშული. ომისაგან დასახიჩრებული-კი

სულ იმის ფიქრში იყო მუდამ, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ინვალიდები მეტ ბარგად არ უნდა ჰყავდეს. ფიქრობდა, რომ გამოერჩა მომქმედთა შორის და ახლა მხოლოდ სხვისა უქმ ტვირთად შეიქმნა; რომ იგი უნაგირიდგან მონასხლეტი, ცხოვრებისაგან მტვრათ ქცეული რაინდი-ღაა. სულდაბლობა არ არის, განა, რომ გასრესილ ჭიკელოსავით მტვერში იხლაქნებოდეს იგი, ან გამარჯვებულის უზანგს ექიციდებოდეს და საცოდავად ემუდარებოდეს ვაგლახ სიცოცხლის ჩუქებასა?

ვიდრე ბიძია მაქსიმი ასე იყო ვაჟკაცურად გართული მწველს ფიქრებში და რიგ-რიგით ჰსაზრობდა და სწონავდა საპრო და საარაო საბუთებს, თვალ წინ წამოუდგა უკვე ახალი არსება, რომელსაც ბედმა თავიდამვე ინვალიდობა არგუნა. პირველად არავითარს ყურადღებას არ აქცევდა ბიძია მაქსიმი უსინათლო ბავშვსა, მაგრამ ბავშვის ბედის მის საკუთარ ბედთან მზგავსებამ უნებლიედ დააფიქრა იგი და მიიზიდა.

— ჰმ... და მართლაც! — გაიფიქრა ერთხელ მაქსიმმა და თან ბავშვს გადაჰხედა, — ეს პაწიაც ხომ ინვალიდია. ჩვენ რომ ორივე ერთად შეგვკრან, იქნება ერთი რიგიანი კაცუნაც არის დადგეს.

ამ დღიდგან მაქსიმი ბავშვს ხშირად გადაჰხედავდა ხოლმე.

iv

ბავშვი უსინათლო დაიბადა. ვინ იყო მიზეზი მისის უბედურებისა? არავინ! არამც თუ, ოდნავადაც არის ვისიმე „ბოროტი ნება“ იყო ესა, თვით მიზეზიც-კი სადღაც ცხოვრების რთულსა და საიდუმლო პროცესებში იფარებოდა. დედას-კი მწვავედ სტკოდა და ეხუთებოდა გული მუდამ, როგორც-კი უსინათლო შვილს შეჰხედავდა. ეჭვი არ არის, ამ შემთხვევაში იგი, როგორც დედა, შვილის უბედურებითა და იმით იტანჯებოდა, რომ წარმოიდგენდა, მძიმე ტანჯვა მოეღისო შემდგომში; თუმცა ახალგაზრდა დედას გულს უქენჯნიდა აგრეთვე ის შეგნებაც, რომ შესაძლებელი იყო მიზეზი უბედურებისა მშო-

ბლებიც ყოფილიყვნენ. ეს გარემოება-კი სრულიად საკმარისი იყო, რომ ლამაზ-თვალებიანი უსინათლო პაწია არსება მთელის ოჯახის სათაყვანებლად და უნებურ მტარვალად გარდაქმნილიყო, რომლის მცირედს სურვილსაც ემორჩილებოდა ხოლმე მთელი ის ოჯახობა.

ვინ იცის, ამ თავისის უბედურებით უსაგნოდ გაბორბოტებულ ბავშვისაგან, რომელსაც ყოველივე თავკერძობას უფითარებდა, თავისს დროზე რა ადამიანი დადგებოდა, რომ უცნაურს ბედსა და ავსტრიელთა ხმლებს ბიძია მაქსიმი თავისს დის სახლში არ დაესახლებინა სოფლად.

ჭრილობათაგან მთლად დასახიჩრებულ მეომრის მომქმედსა და მოუსვენარს აზრს უსინათლო ბავშვის სახლში ყოფნამ თანდათან და შეუმჩნეველად სულ სხვა გზა და მიმართულება მისცა. მაქსიმი ისევ წინანდებურად სჯდა ხოლმე მთელის საათობით და თან ჩიბუხს აბოლებდა, მაგრამ თვალეში ახლა უწინდებურად ღრმა და ყრუ ტკივილისა ნაცვლად სულ სხვა ფიქრი და გრძნობა ეხატებოდა, გრძნობა გატაცებით და გაფაციცებით თვალ-ყურის მადევნებელისა; და რამდენადაც უფრო მეტად აკვირდებოდა ხოლმე ბიძია მაქსიმი უსინათლოს, იმდენად უფრო ხშირად ეღუშებოდა ხშირი წარბები და უმატებდა ხოლმე ჩიბუხის წვესა. ბოლოს, როგორც იყო, გადასწყვიტა საქმეში ჩარეულიყო:

— ე პაწია ხომ ჩემზე უბედური იქმნება, — გამოელაპარაკა მაქსიმი დასა და თან ჩიბუხიდან ბოლი გამოაგორგოლა. უმჯობესი იქმნებოდა არ დაბადებულიყო.

ახალგაზდა დედამ თავი ძირს დაჰხარა, ხელში ნაქერ სამუშაოზე ცრემლი გადმოაგორა.

— ეგ ხომ მეტის-მეტი სასტიკობაა, რათ მაგონებ მაგას! — უპასუხა დაბალის ხმით დედამ, — მასთან უაზროც!..

— მე მხოლოდ მართალს გეუბნები, — მიუგო მაქსიმმა. — მე, მაგალითად, ხელ-ფეხი არა მაქვს, მაგრამ თვალეები კი მაქვს. პაწიას ახლა თვალთ არ უქრის, მაგრამ თავისს დროზე აღარც ხელ-ფეხი და აღარც ნება აღარ ექმნება...

— რატომ?

— ყური დამიგდე, ანნა,—მიუგო წყნარად მაქსიმმა.— ხომ იცი, უბრალოდ სასტიკსა და საწყენს არასფერს გეტყვი. ბავშვს მეტად მგრძნობიარე, ნაზი ნერვები აქვს. შესაძლებელია ისე განუფითარდეს დანარჩენი ნიჭიერებანი, რომ ცოტათი მაინც არის უსინათლობა დაჰჩრდილოს. მაგრამ ამისათვის ვარჯიშობაა საჭირო, ვარჯიშობას-კი საჭიროება და მოთხოვნილება დაჰბადებს ხოლმე. ეს რაღაც სულელური მზრუნველობა-კი, რომ არავითარს გაჭირვებასა და რისსამე გაკეთების სურვილს ბავშვს არ აგრძნობინებთ, სრულიად დაუხშობს იმასაც კი, რის ნიჭიც ბუნებით მისცემია.

დედას გონიერება შესწევდა და სძლია, როგორც იყო, ის წინანდელი გრძნობები, რომლებიც ბავშვის მცირედს შეყვირებაზედაც-კი თავს ავიწყებდნენ ხოლმე და გონებას უკარგავდნენ. არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ სულ რამდენიმე თვე და ბავშვი უკვე თავისუფლად დაცოცავდა ოთახებში და მახვილად ეჭირა მუდამ ყური, აცა, საიდგან რა ხმა მოდისო; თან სხვა ბავშვისათვის როგორღაც სრულიად შეუფერებლად დაუწყებდა ხოლმე ყოველსავე საგანს გაფაციცებით ხელით სინჯვასა.



მალე დედას ფეხის ხმაზე, კაბის ფრიალზე და კიდევ რაღაცა სხვა ნიშნებით დაუწყო ცნობა, რომლებიც სხვებისათვის სრულიად შეუმჩნეველნი და გაუგებარნი დარჩებოდნენ რამდენი ხალხიც უნდა ყოფილიყო სახლში და როგორც უნდა ემოძრავათ, ბავშვი მაინც შეუმცდარად პირდაპირ გასწევდა ხოლმე იქით, საითაც დედა იჯდა. როგორც უნდა მოულოდნელად აეყვანა დედას ხელში, მაინც მაშინვე გაიგებდა ხოლმე, რომ დედასთან იყო. მაგრამ როგორც-კი სხვები აიყვანდნენ, მაშინვე ხელის ცაკუნს უწყებდა სახეზე და თავისს ძიძასა, ბიძია მაქსიმსა და მამას საჩქაროდაც იცნობდა ხოლმე.

უცნობებს-კი სულ სხვა რიგად, მძიმედ უცაცუნებდა ხოლმე თავისს პაწია თათებსა; ფრთხილად და ყურადღებით დაუწყებდა ხოლმე პირისახეზე სმასა და თან რალაცა დაკვირვებითი გამომეტყველება აებეჭდებოდა სახეზე: თითქოს თითის წვერებით „იხსომებს და აკვირდებო“.

ბუნებით უთუოდ მეტად ცოცხალი და მმოძრავი ბავშვი იქმნებოდა; მაგრამ რამდენიც თვე გადიოდა, იმდენი უფრო ღრმად ამჩნევდა კვალს უსინათლობა ბავშვის ხასიათსა. სიცოცხლე და მოძრაობა ნელ-ნელა როგორღაც უქრებოდა; მიიკუნჭებოდა ხოლმე სადმე მიყრუებულს ადგილასა და იჯდა აქ მთელის საათობით ჩუმად, სახის უმოძრაოდ, თითქოს ყურს რასმე უგდებსო. როდესაც კი ოთახში სიმშვიდე ჩამოვარდებოდა და მისს ყურადღებას სხვა-და-სხვა გვარი ხმაურობა არ იზიდავდა ხოლმე, მნახველს ეგონებოდა, გაკვირვებული ფიქრობს რაზედმე და აზრი ვერ გაუგიაო, ისეთის გამომეტყველებისა იყო ხოლმე მაშინ მისი ლამაზი და არა ბავშვურად დაფიქრებული სახე.

მიჰხვდა ბიძია მაქსიმი: დიდად მგრძნობიარე, ნაზმა ნერვებმა თავისი გაიტანეს და უსინათლობის ნაკლი შეხებისა და სმენის შეგრძნებათა აღვილად და სისწორით შეთვისებით თითქმის შეავსეს. ყველა გაკვირვებული ჩჩებოდა, რა ზომამდე ჰქონდა ბავშვს შეხების შეგრძნებანი განვითარებული. ხან-და-ხან თითქოს ფერადების შეგრძნებაც-კი შეეძლო; ხელში რომ ღია ფერის რამ ნაკუწებს აიღებდა, თითებს დიდ-ხანს აღარ მოაცილებდა ხოლმე და მისი სახე როგორღაც განცვიფრებულ ყურადღების გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე. გამოირკვა ბოლოს თან-და-თან, რომ საგნებს უმთავრესად სმენით ითვისებდა.

მალე, მაგალითად, ოთახებს გამოხმობითა სცნობდა; სცნობდა ფეხის ხმაზე შინაურებიდამ ვინ როგორ დადიოდა, ინვალიდი ბიძია ჯდომის ღროს სკამს როგორ აქრატუნებდა, დედა ძაფს როგორ თანაზრად აშრიალებდა ხოლმე, კედლის საათს როგორ გაჰქონდა წიკ-წიკი. ზოგჯერ, კედელთან ხოხვის ღროს,

უცხად რალაც სუბუქსა და სხვისათვის გაუგებარს ხმაურობას დაუწყებდა ხოლმე ყურის გდებასა და ხელ-აწვდილი კედლის შპალერებზე აცოცებულს ბუზს გამოეკიდებოდა. მაგრამ გაფრინდებოდა თუ არა შეშინებული მწერი მაშინვე, სახეზე მიუხვედრელობისა და შეწუხების გრძობა აღებეჭდებოდა ხოლმე. ვერ გაეგო, სად უნდა გამქრალიყო ისე საიდუმლოდ ბუზი. შემდგომში კი ასეთს შემთხვევებშიაც გონიერული და აზროვანი დაკვირვება აღებეჭდებოდა ხოლმე სახეზე: თავს მიიღებდა ხოლმე სწორედ იქით, საითაც ბუზი გაფრინდებოდა, გავარჯიშებული სმენა ჰაერში ბუზის სუბუქს ფრენასაც ადვილად იგებდა ხოლმე.

ელვარე, მშობრავსა და იგრგვლივ ახმაურებულს ქვეყნიერებას უსინათლო ამ რიგად ხმების წყალობით. ითვისებდა, მთლად მისნი წარმოდგენანი ხმების სახით არსებობდნენ, ხმებისაგან შესდგებოდნენ. სახეზედვე შეეყინებოდა ხოლმე ის განსაკუთრებული გამომეტყველება, რომელიც ხმებისადმი საცნობად მიმართულს ყურადღებას ახსნიათებს: ქვედა ყბა ოდნავ დაუგრძელდებოდა, წარბები ჩამოეშვებოდა, თავი წვრილსა და გრძელს კისერზე წამოეწეოდა. უსინათლოს სახეს ამ დროს უძრავად მსხდომი ლამაზი თვალები რალაცა სასტიკსა და აღტაცებულს გამომეტყველებას აღუბეჭდავდა ხოლმე.

VI

უკვე მეორე ზამთარი გადიოდა, რაც ბავშვი დაიბადა. თოვლმა დნობა დაიწყო, გაზაფხულის ნაკადულები ახმაურდნენ; ბავშვსაც, ზამთარში რომ სულ ერთთავად უქეიფობდა და ოთახებში იყო გამომწყვდეული, უკეთობა დაეტყო.

ჩამოიღეს მეორე ჩარჩოები კარ-ფანჯრებისა და გაზაფხულის სიომ გაორკეცებულის ძალით შეინაგარდა ოთახში. მომცინარე გაზაფხულის მზე გაკაშკაშებულს ფანჯრებში მხიარულად იყურებოდა, ჯერ ისევ შიშველი წიფლის ტოტები ნახად ირხეოდნენ, შორს, მინდვრად, მოჩანდნენ შავი ხნულები, რო-

მლის შუაგულადა აქა-იქ ჯერ ისევ ჩარჩენილიყო თოვლის ზოლები, ალაგ-ალაგ-კი ახალი მწვანეც მოსჩანდა. ყველა თავისუფლად და უკეთ სუნთქავდა, განმახლებელი და განმახლისებელი სიცოცხლის ძალა გაზაფხულისა ყველას ემჩნეოდა.

უსინათლოს-კი მხოლოდ აჩქარებულის ხმაურობით აცნობდა იგი თავსა: ესმოდა, მაგალითად, როგორ მოჩუხჩუხებდნენ გაზაფხულის ნაკადულები, თითქოს ერთმანერთს უნდა დაეწივნენო, როგორ მოსჩქეფდნენ ქვებზედა და მერე მორბილებულს მიწაში ჩაჰქონდათ ჩხრიალი; ფანჯრებ გარედამწიფლის ტოტებს როგორ გაჰქონდათ შუშებზე წკრიალი და ერთმანერთს როგორ ეხახუნებოდნენ. ესმოდა, დილის სიცივისაგან ჩარდახზე შეეყინულსა და მერე მზისაგან დამდნარს ნამს როგორ გაჰქონდა ათას ადგილას წკაპა-წკუპი. და ყველა ეს ხმები კენჭების ჩხრიალივით მოესმოდა. დროგამოშვებით ამ ხმაურობასა და წკრიალში შორს მოისმოდა ხოლმე მალლიდამწეროების ძახილი და მერე ისევ ნელ-ნელა მისწყდებოდა, თითქოს ჰაერშივე ჩაღწეოდა.

ბავშვს ეს გამოცოცხლება ბუნებისა რაღაცა ტკივილსა და მიუხვედრელობას აღუბეჭდავდა ხოლმე სახეზე: მოიკმუხნიდა წარბებს, წაიგრძელებდა კისერს, უგდებდა ყურსა და ამ გაუგებარის ხმებით შემკრთალი და შემფოთებული უცბად ხელებს გააწვდიდა, დედას დაუწყებდა ხოლმე ძებნასა. ეცემოდა მერმე და გულში მაგრა ჩაეკვრებოდა ხოლმე.

— რა მოსდის, ნეტა? — ეკითხებოდა ხოლმე დედა თვისს თავსა და სხვებს.

ბიძია მაქსიმიც ყურადღებით აკვირდებოდა მუდამ პატარა ბიჭის სახესა, მაგრამ მიზეზს ამ გაუგებარის შემფოთებისას მაინც ვერ არკვევდა.

— უთუოდ აზრი ვერ გაუგიაო... — მიჰხვდებოდა ხოლმე ისევ დედა, მიუხვედრელობისა და კითხვის ტანჯვითს გამომეტყველებას რომ შეჰნიშნავდა შვილს სახეზე.

მართლაც ბავშვი შემფოთებული იყო ხოლმე, ვერ მოესვენა; ხან სულ ადვილად შეიმცნებდა ხოლმე ახალს ხმებსა,

ხან-კი განცვიფრებული რჩებოდა, ნაჩვევი ხმები რად შესწყდნენ, უცბად სად მიიმაღნენო.

VII

მისწყდა ხმა გაზაფხულის გაურკვეველობისა და არეულობისა. მზის სითბოზე გაზაფხულის სამუშაო უფრო და უფრო ცხოველდებოდა, ძლიერდებოდა; სიცოცხლეს თითქოს ძალა ემატებოდა, რკინის გზის გაქანებულ მატარებელივით წინ და წინ მიისწრაფვოდა. ქალებში ქორთა ბალახი ამწვანდა, ჰაერში არყის ხის ახლად გამოღებულ კოკრების სუნი ტრიალებდა.

გადასწყვიტეს ბავშვი გარეთ, მახლობელ მდინარის პირად, გამოეყვანათ.

დედას ხელი ეჭირა, ისე მოჰყვანდა. ბიძია მაქსიმოც გვერდით მისდევდა თავისის ყავარჯნებით; ყველანი მდინარის პირად მდებარე ქედობისაკენ მიდიოდნენ, რომელიც გაზაფხულის მზესა და ქარს უკვე საკმაოდ გამოეშრო. ხშირი მოლით დაფარული ქედობი შორის მანძილს გადაჰყურებდა.

გაკაშკაშებულმა დღემ დედასა და მაქსიმს თვალები გაუნათლა. მზის სხივები სახეს უთბუნებდნენ, გაზაფხულის ნიაკი კიდევ უხილავ ფრთებით სითბოს სიგრილეზედ უცვლიდა. ჰაერში რალაც დამატარობელი და მიმბნიდველი სათუთი რამ ძალა იყო გაბნეული.

იგრძნო დედამ, რომ ბავშვის პაწია თათი როგორღაც შავრა მოიკუმშა მისს ხელში, მაგრამ გაზაფხულის მათრობელა იერმა როგორღაც სუსტად აკრძნობინა ბავშვის ეს შეშფოთება. ხარბად სუნთქავდა და მიდიოდა, უკან აღარ იცქირებოდა; თორემ რომიეხედა, შეჰნიშნავდა უთუოდ, რომ მისს პირმშოს სახეზე უცნაური გამოჰეტყველება აღბეჭდვოდა. ღია თვალები მზისაკენ შეებრუნებინა და უტყვად ჰკვირობდა მისს სითბოსა; ტუჩები ოდნავ გაჰხსნოდა და წყლიდგან ამოყვანილ თევზივით სისწრაფით ჰსუნთქავდა ჰაერსა. უმწეოდ დაბნეულს

ბავშვის სახეზე დრო და დრო რაღაცა ავადმყოფებრივი ალტაცება გამოჰკრთებოდა ხოლმე, ნერვებს აუთომაშებდა, ერთს წამს გაუნათლებდა და მაშინვე ისევ რაღაცა შიშისა და გამოურკვეველ კითხვის განცვიფრებათ შეცვლებოდა ხოლმე. მართო თვალები-და შეჰრჩებოდა ხოლმე უძრავი, სწორი, უხილველობით გაშტერებული.

ავიდნენ ქედობზე და დასხდნენ სამივენი. დედამ რო ბავშვს ასწია მერე და უნდოდა უფრო მოხერხებულად როგორმე დაესვა, კვლავ ათრთოლებული დაეჭიდა კაბასა, — თითქოს შეშინდა, არსად გადავევარდეთ. მაგრამ დედამ ამ ჟამადაც ვერ შეჰნიშნა ეს შეშფოთება. — გაზაფხულის უცხო სანახაობისათვის თვალი ვერ მოეშორებინა.

მოშუადღევდა. ლაჟვარდს ცაზე მზე წყნარად მისცურავდა. ქედობიდან, რომელზედაც იგინი ისხდნენ, მოდიდებული მდინარე მთლად მოსჩანდა. ყინული უკვე ჩამდნარიყო და მხოლოდ ათასში ერთგან-ლა მოსჩანდა აქა-იქ უკანასკნელი თეთრი ლაქები. ქალებში წყალი ღრმად დაგუბებულიყო. მორევებში გამომკრთალი ლურჯი კამარა ცისა და თეთრი ღრუბლები ამ ყინულებივითვე წყნარად მისცურავდნენ და მერე სულ მთლად აჰქრებოდნენ, თითქოს ჩადნენო. დრო-გამოშვებით მხოლოდ ოდნავი ნიავი გადაჰკრავდა ხოლმე და აციმციმდებოდა, მზე ააეღვარებდა. შორს, წყალ გაღმა, მოსჩანდნენ შავად ჩაბუჭბუჭებული ყანები, რომლიდან ანავალი სუბუქი ბურუსიც შორეულს, ჩალით დახურულს ქოხმახებსა და ლურჯ ზოლად გაქიმულს ტყეს თხლად გადაეფარებოდა ხოლმე. და დედამიწაც ამ დროს, თითქოს ოხრავსო, სამსხვერპლო გუნდრუქივით ცად ალაველი და რაღასაც.

სადღესასწაულოდ გამზადებულ დიდებულ ტაძარივით ფართედ იყო იგრგვლივ გაშლილი ბუნება. მაგრამ უსინათლო სათვის იგი მხოლოდ უსაზღვრო წყვილიად წარმოადგენდა, რომელიც არაჩვეულებრივ დელავდა იგრგვლივ, იძვროდა, გრგვინავდა, მოწკრიანობდა და თან მისკენ იწევდა; ახალის, ჯერედ უცადის არაჩვეულებრივის შთაბეჭდილებებით ყოველ

მხრივ მისს სულს ეხებოდა, ნორჩს გულს თვისის სიმრავლით ტკენამდე უტოვებდა.

პირველად რომ გაზაფხულის მზემ სახე და ნაზი კანი დაუთბუნა, იმ დღიდანვე ინსტინქტიურად შეუშვერდა ხოლმე უსინათლო თვალებს მზესა, თითქოსა ჰგრძნობს, რომ ყოველივე სულდგმული და არსი იმისკენ მიისწრაფვისო. თვალთ განუზომელი სივრცე, ლაჟვარდი ცისა კამარა და მოკამკამებული არე-მარე უსინათლოსათვის გაუგებარნი იყვნენ, არ არსებობდნენ. ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ რაღაც რამ ნივთიერი, მოალერსე, სათუთი სითბო ეხებოდა მისს სახეს ნაზად; მერმედ გრილი, მზის სხივებზე უფრო სუბუქი რამ რაღაც გადუფლიდა და ამ სითბოს მოაცლიდა, განმაახლებელი სიგრილე დაურბენდა ტანში. ოთახებში უსინათლო თავისუფლად დადიოდა, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ იგრგვლივ ცალიერობა იყო. აქვე იგრძნო მან რაღაც უცნაური ტალღები, ზოგჯერ ნაზად მოალერსე და ზოგჯერაც ძოლიტინე, მათრობელი. მათბუნებელს სხივებს მზისას უცბად ვილაცა გადაჰბერდა ხოლმე და წამოუსისინებდა ნიავი, რომელიც ყურებს, სახეს, სატეტქლებსა, თავსა და კისერს, მთლად იგრგვლივ მოედებოდა, თითქოს ჰსურს სადღაც შორს სივრცეში გაიტაცოსო, რომელსაც იგი არ იცნობდა, არა ჰხედავდა; და თან ფიქრსაც წასტაცებდა, სიამოვნებით თავს ავიწყებდა ხოლმე. და აი, მაშინ ხელს კვალად მაგრა მოუქერდა ხოლმე დედასა, გული მიეღეოდა, თითქოს ეგ არის ცემა უნდა შესწყვიტოსო.

რო დასვეს, ცოტათი თითქოს დამშვიდდა. მიუხედავად იმისა, რომ მთლად მისი არსება უცნაურის შეგრძნებებით იყო გარემოცული, ცალკ-ცალკე ხმებს მაინც დაუწყო გარჩევაბინდით მოცული მოალერსე ტალღები წინანდებურადვე ძლიერად მოჰქროდნენ და აგრძნობინებდნენ, თითქოს მთელი ტანი გაუმსქვალესო, რადგან მისი აღელვებული სისხლიც ამ ტალღებთან ერთადა სჩქედდა. მაგრამ ჰგრძნობდა ახლა, რომ ეს ტალღები ხან ტაროლას გულიან და მალალ ძახილათ, ხან ახლად აყვავებულ არყის ხის ჩუმ შრიალათ და ხანაც მდინა-

რის ოდნავ ჩქევთ მოესმოდა ხოლმე. მერცხალიც მალხაზად ავლებდა წრეს მახლობლად და თან გასჷყოდა, მწერები და ბზუოდნენ და ამ ხმაურობაში დრო-გამოშვებით მოისმოდა ხოლმე მხოლოდ მძიმე და სევდიანი ძახილი გუთნის დედისა, რომელიც იქვე მახლობლად ახალისებდა ცხენებს ხნულშია.

მაგრამ არ შეეძლო უსინათლოს ეს ხმები შეეკავშირებინა, მათდა უკეთ შესამჩნევად რიგზე დაეწყო, ისე ერთი მეორეს მოსდევდნენ ხოლმე, ხან წყნარად, გაურკვეველად, ხან-კი მალლა, მკაფიოდ, ყურთგამქედად. დროგამოშვებით-კი რაღაც არასაღიამოვნო და გაუგებარ დისგარმონიად აირეოდნენ ხოლმე ერთმანერთში. ქარს-კი ისევ ზუზუნის ვაჰქონდა ხოლმე ყურებში და ეგონა ბავშვს, ვითომ ტალღები ახლა უფრო სწრაფად მოჰქროდნენ და მათს გუგუნში იჩრდილებოდა ყველასხვა ხმები, რომლებიც გუშინდელი დღის მოგონებასავით საიდგანლაც სხვა ქვეყნიდგან მოისმოდნენ. და როგორც-კი ეს ხმები მიმკრთალდებოდნენ, მისწყდებოდნენ, მაშინვე ბავშვის გულს რაღაცა მოლიტინე დაღლილობა დაეტყობოდა ხოლმე-სახე ხანდახმით აუთამაშდებოდა; თვალები ხან მოეხუჭებოდა, ხან გაედებოდა და სახის ყოველს მოხაზულობას კითხვითი გამომეტყველება, დაძაბულ ფიქრისა და ოცნებობის ნიშანი აღებეჭდებოდა ხოლმე. ახალის შეგრძნებებით სავსესა და ჯერედ ნორჩს მისს ცნობიერებას დაღლილობა დააჩნდებოდა ხოლმე; ყოველის მხრიდგან მოსეულ შთაბეჭდილებათ ებრძოდა და სცდილობდა ხოლმე მათს გაერთიანებას, დაჯობნას, შეთვისებას, მათ წინააღმდეგ გამაგრებასა. მაგრამ ბავშვის წყვილი-დით მოცული ტვინი ამას ვერ ახერხებდა, ხილვითი წარმოდგენა, თვალის მუშაობა აკლდა ხოლმე.

და მიჰქროდნენ ასე, მისდევდნენ ერთი მეორეს ხმები, ისევე ისე ქრელი, წკრიალეები... ბავშვის გარშემო წყვილიადში ატეხილ ხმაურობა-გუგუნის ტალღები უფრო იზრდებოდნენ, იძაბებოდნენ და ისევე იმავე წყვილიადში ინთქმოდნენ, მათ-და სანაცვლოდ სხვა ახალი ტალღები და ხმები ჩნდებოდნენ... უფრო მტანჯველად სწრაფადა და უფრო მალლა აჰყვანდათ იგი, არწებ-

დნენ, ნანას ეუბნებოდნენ... ერთხელ კიდევ გაისმა ამ მიმკრთალებულს ხაოსში ხანგრძლივი, სევდიანი ძახილი ადამიანისა და შემდეგ ყოველივე უცბად ჩაჩუმდა, ყოველივე შესწყდა.

ბავშვმა ნელად ამოიკვნესა და უკან გადაწვა ბალახზე. დედამაც უცბად შეიხედა შვილისაკენ და შეჰკივლა: უსინათლო ბალახზედ იდვა მთლად გადაფითრებული, გულ-შელონებული.

VIII

ამ შემთხვევამ ბიძია მაქსიმი საშინლად შეაფიქრიანა. დღიწყო გამოწერა წიგნებისა—ფიზიოლოგიისა, ფსიხოლოგიისა და პედაგოგიის შესახებ და მხნედ შეუდგა ყოველისავე იმის შესწავლას, რა ცოდნასაც-კი საიდუმლოებით მოცულ ბავშვის სულიერ აღზრდისა და განვითარების შესახებ მეცნიერება იძლევა.

მუშაობამ თან-და-თან გაიტაცა და შავი ფიქრები იმის შესახებ, რომ ცხოვრების მოედანზე საბრძოლად აღარ გამოდგებოდა, რომ „მტვერში მლოდავ მატლსა“ და „მეტ ბარგს“ წარმოადგენდა, თან-და-თან შეუმჩნეველად სადღაც გაუქრა ოთხ-კუთხ თავიდგან ჩვენს ძველს მეომარსა. სამაგიეროდ განუმტკიცდა დაფიქრებული ყურადღება და დრო გამოშვებით მისს მოხუცს გულს საამური ოცნებებიც-კი ეწვეოდნენ ხოლმე. თან-და-თან რწმუნდებოდა ბიძია მაქსიმი, რომ ბუნებას, რომელმაც თვალთა სინათლე გამოსწირა ბავშვსა, სამაგიეროდ სხვაფრივ უხვად დაუჯილდოვებია იგი; ყოველს, მისთვის მისაწვდომ გარეშე შთაბეჭდილებას შესანიშნავის სისწრაფითა და სისრულით ითვისებდა. და ბიძია მაქსიმიც ფიქრობდა, რომ მისი მოვალეობა იყო ბავშვის ნიჭიერებანი განევითარებინა, რომ თავისის აზრითა და გავლენით შეევესო ბრმა ბედის უსამართლობა, რომ თავისს მაგივრად სიმართლისათვის მებრძოლთა შორის ცხოვრებაში ჩაეყენებინა ახალი ადამიანი, რომლის იმედიც არავის ექნებოდა უთუოდ, თუ საქმეში მაქსიმი არ ჩაარეულიყო.

„ვინ იცის, ბრძოლა, განა, მარტო შუბითა და ხმლით შეიძლება? იქმნება ამ ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულმა ც თავისი შესაფერი იარაღი აიღოს ხელში თავისს დროზე და ცხოვრებისაგან გაუბედურებულთ გამოესარჩლოს, მაშინ ხომ ჩემი ამ ქვეყნად სიცოცხლეც, როგორც დასახიჩრებულ ძველის ჯარის-კაცისა, უაზრო აღარ იქმნებაო, ფიქრობდა ხოლმე ძველი გარიბალდიელი!..“

თვით თავისუფალ მოაზრეთა ც-კი 40-იან და 50-იან წლებისათ სჯეროდათ ცრუმორწმუნოებრივი წარმოდგენა, რომ ბუნებას თავისი „საიდუმლო წინასაზრობანი“ აქვს. ამიტომაც საკვირველი აღარ უნდა ყოფილიყო, თუ ბავშვის დანარჩენ ნიჭიერებათა განვითარებასთან ერთად რწმუნდებოდა მაქსიმი, რომ უსინათლობაც ასეთ „საიდუმლო წინასაზრობათა“ თვალსაჩინო ნიშანი იყო. ამიტომაც თავისს მოწაფის ბრძოლის დროშაზე დევიზათ „დაჩაგრულთათვის გაუბედურებული“ დააწერა.

15

გაზაფხულის პირველ სეირნობის შემდეგ ბავშვი რამდენსამე დღეს ლოგინათ იწვა და ბოდავდა. ხან უძრავადა და ჩუმიად იწვა ლოგინში, ხანაც ჰბოდავდა და რალსაც უგდებდა ყურს. და მთელს ამ დროს მისს სახეს გაურკვეველობისა და გაუგებარ განცვიფრების გამომეტყველება არ სცილდებოდა.

— მართლა-და, ისე იყურება, თითქოს რალსიც გაგება უნდა, მაგრამ ვერ მოუხერხებიაო,— იძახდა ახალგაზდა დედა.

მაქსიმიც ჩაფიქრებული თავს იქნევდა. მიჰხვდა მაქსიმი, რომ ბავშვის შეშფოთებისა და მოულოდნელ გულშედონების მიზეზი შთაბეჭდილებათა სიმრავლე, იყო, რომლებიც ბავშვის გონებას სავსებით ვერა სძლია და გარდასწყვიტა გამოჯანსაღებულ ბავშვისათვის ამიერიდგან რიცხვი მათი შეემცირებინა, თანდათანობით მიეჩვია, უფრო დაკვეულ და დანაწევრებულ უბრალო შთაბეჭდილებათაგან რთულზე შემდგომ გადაყვანა. ოთახის ფანჯრები, სადაც ბავშვი იწვა, მაგრა, იყო ჩა-

კეტილი. შემდეგ, რამდენიც-კი უკეთობა ეტყობოდა, ნელ-ნელა უღებდნენ მცირე ხნობით; მერე ოთახებში დაუწყეს ტარება, ბოლოს-კი აივანზე, ეზოში და ბალშიაც. და როგორც-კი ბავშვის სახეს შეშფოთება და შეჩოჩქოლება დაეტყობოდა, დედა მაშინვე უხსნიდა ხოლმე, უცნობი ხმა რასა ჰნიშნავდა.

— ეს მეცხვარის სალამური ისმის ტყიდამაო, — ეუბნებოდა ხოლმე იგი. — ეს კიდევ ჩიტების ჟივილს აუხმაურებია კი-ოტა... ან კიდევ ურმის თვალზე *) ყარყატი იძახის, რომელიც ეს არის ამ დღეებში დაბრუნდა თბილი ქვეყნებიდანა და ძველს ადგილას იკეთებს ბუღესაო.

და ბავშვიც მადლობის გამომეტყველს სახეს დედასაკენ მიიბრუნებდა ხოლმე, დაუჭერდა ხელსა და თავს იქნევდა, თან ხმაურობას უფრო მეტის ჩაფიქრებითა და ყურადღებით მიუგდებდა ხოლმე ყურსა.



გამოიკითხავდა ხოლმე ყოველისფერს, რაც კი ბავშვის ყურადღებას იზიდავდა, და დედაც, უფრო ხშირად კი ბიძია მაქსიმი, უამბობდნენ სხვა-და-სხვა საგნებსა, ცხოველებსა და ფრინველებზე, რომელთა ხმაურობაც ბავშვის ყურადღებას მიიბყრობდა ხოლმე. დედის ნაამბობი, უფრო ცოცხლად და თვალსაჩინოდ გადაცემული, ბავშვზე მეტადა მოქმედებდა, მაგრამ დროგამოშვებით ეს შთაბეჭდილება თითქმის რომ ტკივილს აგრძნობინებდა ხოლმე. იტანჯებოდა ხოლმე თვითონ ახალგაზდა დედაც და შეწუხებულის სახითა და უნუგეშო, მომჩივარის, ნატკენ თვალებით დაჰყურებდა შვილსა და უხსნიდა, თუ რა არის ფერადები და გარეგანი სახე საგნებისა. ბავშვიც ყურადღებას მოიმარჯვებდა, მოიკმუნხიდა წარბებსა და შუბლს სუბუქად დაინაოკებდა. ეტყობოდა ხოლმე, რომ ბავშვის თავი მძივე საგანს ექიდებოდა და ბნელით მოსილი ოცნება ძალზედ ებრძოდა, რომ ამ არა პირდაპირ, შორეულ ნიშნებიდან ახალი

*) მალოროსიაში და პოლონეთში ყარყატისათვის მალა საზე ან ბოძზე მიამაგრებენ ხოლმე ძველს ურმის თვალსა და ფრინველიც იქ იკეთებს ბუღესა.

წარმოდგენა შეედგინა, მაგრამ ამაოდ სცდილობდა ხოლმე ძლევასა. ამგვარს შემთხვევაში ბიძია მაქსიმიც მუდამ უკმაყოფილოდ იღრიჯებოდა ხოლმე და როგორც-კი დედას თვალზე ცრემლს შეჭნიშნავდა და ბავშვსაც სახე გადაუფითრდებოდა, ძალდატანებას ფიქრისას ვეღარ გაუძლებდა, მაშინვე თვითონ ჩაერეოდა ხოლმე საქმეში და დაუწყებდა მბობასა და ახსნას ისე, რომ გაუგებარ წარმოდგენათა გაგება ბავშვს მხოლოდ სივრცისა და ხმების საშუალებით შესძლებოდა. უსინათლოსაც სახე მაშინვე დაუმშვიდდებოდა, დაუწყნარდებოდა ხოლმე.

— მერე, რამოდენაა? დიღია? — ჰკითხავდა, მაგალითად, ბავშვი ყარყატის შესახებ, რომელიც თავისს ბოძზე ზარმაცად კურკურებდა.

და თან ხელებს გაჰშლიდა ხოლმე. ასე შვრებოდა ბავშვი მუდამ ამგვარ შემთხვევების დროს და ბიძია მაქსიმიც უჩვენებდა ხოლმე, როდის უნდა შეეყენებინა გაშლილი ხელი. ბავშვმა ამ ჟამად მთლად გაშალა თავისი პაწია ხელები, მაგრამ ბიძია მაქსიმმა შეჭნიშნა:

— არა, უფრო დიღია. ოთახში რომ შემოვიყვანოთ და იატაკზე დავაყენოთ, თავი სკამის საზურგულზე მალლა ექმნება.

— დიღი ყოფილა... — წარმოსთქვა ჩაფიქრებულმა ბავშვმა. — კიოტა, კიოტა-კი ამოდენაა! — და შეტყუპული ხელები ოდნავ განზე გასწია.

— მართალია, კიოტა მაგოდენაა... სამაგიეროდ დიდი ფრინველები არასოდეს ისე საამურად არა გალობენ, როგორც პაწიები. კიოტა მუდამ იმის ცდაშია, რომ გალობით ყველას თავი მოაწონოს. ყარყატი-კი დარბაისელი ფრინველია, სდგას თავისთვის ცალ ფეხზე ბუდეში, მუშებზე გაჯავრებულ ბატონივით გარშემო იყურება და ხმამაღლა ბურტყუნებს, არას დაგიდევს, თუ ხმა ხრინწიანი აქვს და გამგონთ არად ესიამოვნებათ.

მხიარულად უგდებდა ხოლმე ყურს ბავშვი ამგვარს აღწერილობასა და დროებით ასრულიად ივიწყებდა, რომ დედის ნაამბობის გაგებას ტყუილად ზედ ელოდა ხოლმე. მაინც დედას ნაამბობი უფრო მეტად იზიდავდა ხოლმე და ჰრჩეობდა მუდამ, თუ საკითხველი რამა ჰქონდა, უფრო დედასაუვის ეკითხა, ვიდრე ბიძია მაქსიმისაუვის.

ან-ან

(შემდეგი იქნება)

გ ლ ე ხ ი კ ა ც ი

(რომანი *)

გილქელმ ფონ-პოლენცასა

XI

გუსტავი სამსახურს ეთხოვებოდა. თავისი საყვარელი ცხენი საჯინიბოში რომ წაიყვანა, გული როგორღაც დაეხურა და სევდით აევსო. „წაბლა“ თითონ გახედნა პირველად, შეეჩვია და ეხლა სამსახურის დატოვება ისრე არ ეძნელებოდა, როგორც „წაბლას“ მოშორება. დღეს უნცროს ჯარის კაცს არ მიანდო ცხენი. უწინ ყოველთვის ისინი ჩამოართმევდნენ ხოლმე ბ. უნტერ-აფიცერს ცხენსა და თითონ უვლიდნენ, დღეს კი გუსტავმა თითონ მოხსნა უნაგირი, პირიდან ლაგამი გამოაცალა და დიდის სიყვარულითა და სიფაქიზით საძაგრავე გადაახურა. გუსტავი რომ ასე უვლიდა ცხენსა, „წაბლა“ პატრონის ჯიბეებს ჰსუნავდა, რადგან უნდოდა გაეგო ჩვეულებისამებრ დღესაც მომიტანა პატრონმა შაქარი თუ არაო. მაგრამ შეიტყო თუ არა, რომ სუნვით ვერაფერს გახდებოდა, გუსტავს თავი მიადო მხარხედ და ხახუნი დაუწყო, რითაც გააზიზებულნი ცხენი თითქოს საყვედურს ეუბნებოდა პატრონს: თუ მოგიტანია ჩემი წილი სამი ნატეხი შაქარი, დროზე მომე, რაღას მაწვალე. მაგრამ დღეს გუსტავს სამი ნატეხი კი არა მთელი მუქა მოგიტანა. ის აუჩქარებლივ თითო ნატეხს აძლევდა და ისე შეს-

*) იხ. «მოამბე» № 12, 1903 წლისა.

ცქეროდა ცხენსა, თითქოს თითონაც სტკბება ამ შაქრითაო. წაბლა სიხარულით ფრუტუნებდა, ნესტოებს იბერავდა და სასიამოვნო და საყვარელი საკმლით დამტკბარი ფეხიდან ფეხზედ გადადიოდა და ბორგავდა; გუსტავი გვერდში ამოსდგომოდა, გავაზედ ხელს უსვამდა და სცდილობდა, ცრემლები დაეკავებინა.

გუსტავს ზოგიერთა ამხანაგების განშორებაც ეძნელებოდა, მაგრამ გამოთხოვების დროს დაინახა, რომ საზოგადოდ სამხედრო სამსახურთან და იქაურ პირობებთან ისე ძლიერ არყოფილიყო დაკავშირებული, როგორც პირველად ეგონა, და ამ კავშირის დარღვევა ძნელი არ იყო მისთვის.

წამოსვლის დროს ბ. როტმისტრი შინ იყო დათხოვნილი და გუსტავს ეს ძალიანა სწყინდა. ის კაცი, რომელიც გუსტავს სამაგალითო უფროსად ეგულებოდა და რომელსაც დიდის სიამოვნებით და სიხარულით შესწირავდა სიცოცხლეს, უნდოდა ერთხელ კიდევ დაენახა და ერთხელ კიდევ გამოსკიმოდა მხედრულად. როტმისტრი, რასაკვირველია, სულ სხვანაირად გამოეთხოვებოდა და რამდენიმე მეგობრულ ტკბილ სიტყვასაც ეტყოდა. ახლად გადმოყვანილი აფიცერი კი ჯერ სულ არავის იცნობდა და, რასაკვირველია, არც მეგობრული განწყობილება ექნებოდა გუსტავთან, ის მეგობრული განწყობილება, რომელიც ერთ სამსახურში ხანგრძლივი ყოფნით არის ხოლმე გამოწვეული და რომელიც ხშირად უფროსს და უნცროსს მეგობრებსავეთ დააკავშირებს ხოლმე.

თავისი სადღესასწაულო ტანთსაცმელი გუსტავმა ახალ უნტერ-აფიცერს მიჰყიდა და სახსოვრად ქუდისა, სამი თუოთხი დილისა და ქაშის მეტი არაფერი დაიტოვა.

„დამსახურებული ჯარის კაცის ჯობით“, როგორც ერთ სიმღერაშია ნათქვამი, გუსტავი სამშობლოს გზას გაუდგა. ამ პროვინციის უმთავრეს ქალაქიდან თავის მიყრუებულ სოფელში რომ მისულიყო, საჭირო იყო მთელი დამის განმავლობაში რამდენჯერმე გამოეცვალა შატარებელი, მერე გზის უკანასკნელი ნაწილი ფეხით უნდა გაეარა და დილით გალბენაუშიც ამოჰყოფდა თავსა.

რაც უფრო უახლოვდებოდა სამშობლო სოფელს, გაღბენაუ შემოდგომის ბურუსიდან უფრო და უფრო აშკარად იყურებოდა: ერთ სახლს მეორე მისდევდა და ერთი ნერგის იქით მეორე მოსჩანდა; ყველაფერი ეცნობოდა გუსტავს; ყველაფერი აგონდებოდა. გუსტავი რაღაც გამოურკვეველმა, მაგრამ ტკბილმა და სასიამოვნო, სევდამ მოიცვა. ხუთი წელიწადი გაატარა ქალაქში, ხუთი! რასაკვირველია, ცოდოც იყო ადამიანს ქალაქისათვის შეედარებინა ეს სოფელი. მაგრამ ამ ხალით წახურულ სახლებში და თიხით გაღესილ კედლებში რაღაც ისეთი რამ იფარებოდა, რასაც არასოდეს არ მისცემდნენ მას ქალაქის საუცხოვოდ შელამაზებული და შეკეთებული კედლები. და არც საკვირველი იყო—ეს სოფელი ხომ გუსტავის სამშობლო კუთხე იყო!

აგერ იმ გზასაც გაღუხვია გუსტავმა, რომელიც ბიუტნერების სახლისკენ მიდიოდა. შორიდანვე ნაღვლიან თვალებსავეთ უყურებდნენ გუსტავს მამაპაპეული სახლის ფანჯრები.

შემოდგომის ნისლიან ცაზედ აშკარად მოსჩანდა სამზარეულოს ბუხრიდან ამოსული ბოლი. ალბათ, დედა სადილის ხარშვას შესდგომია კედეც, ან იქნება ჩემი მოსვლის გამო ჩემ საყვარელ საჭმელს ამზადებს? აქ კი ყოველ კენჭს, ყოველ ყლორტს და ყოველ საგანს მშვენივრად იცნობდა გუსტავი. შეხედა თუ არა თავიანთ მამაპაპეულ სახლსა, იმ წუთსვე შენიშნა, რომ სახურავი ცოტათ შეესწორებინა მამას. რაც უფრო უახლოვდებოდა თავიანთ სახლს, ფეხსაც უფრო უჩქარებდა და სულ რომ მიუახლოვდა, მაშინ ხომ სირბილით შევარდა ეზოში.

შინ მარტო ქალები დახვდნენ. მამასა და ძმას დაუძახეს. ნათესაეებს დიდი სიხარული არ ეტყობოდათ შეგებების დროს. მარტო დედას თუ შეეტყო ბედნიერება და შვილის დაბრუნებით გამოწვეული უსაზღვრო სიხარული.

გუსტავმა ისაუბმა, მერე ტანისამოსი გამოიცვალა, რადგან ზედ ახლები ეცვა, და მიუხედავად იმისა რომ, მგზავრობით დაღლილი იყო, მამასთან და ძმასთან ერთად მუშაობას შეუდგა. გუსტავს ძალიან უნდოდა დაჰკითხებოდა—მამულების სა-

ქმე როგორ მიდის ან ფულისა რა ჰქენითო— რადგან უკანასკნელად, სააღდგომოთ რომ ჩამოვიდა მას შემდეგ აღარაფერი გაუგონია ოჯახის საქმეების შესახებ, მაგრამ თავი დაიჭირა და ცნობისმოყვარეობას ფრთები შეაკვეცა. გუსტავი მამის ხასიათს მშვენივრად იცნობდა და იცოდა, რომ ბევრი გამოკითხვა და ლაპარაკი მოხუცს ჭირივით ეჯავრებოდა. თუ რამე მოხდა ღირსშესანიშნავი, სულ ერთია, არ დამემალება და აღრე თუ გვიან, გავიგებო, — ჰფიქრობდა გუსტავი.

სადილზე რომ დასხდნენ, გუსტავმა ოჯახს რაღაც დარდი და ვარამი შეამჩნია, რადგან ჭამის დროს ხმას არაფერ იღებდა და დარცხვენილებსავით ყველანი ძირს იყურებოდნენ.

მოხუცი ბიუტნერი მოღუშული იჯდა თავის კუნჭულში და ჯიუტად ხმას არ იღებდა. ოჯახის სხვა წევრები კი ჩუმის ჩურჩულით იყორავდნენ მუცლებს და თან მოკრძალებით მამას შეჰყურებდნენ. დედას რაღაც წყენა ეტყობოდა. კარლი, მუხედავათ იმისა, რომ სულელისავით გამოიყურებოდა, ჩვეულებრივ გემოთი შეექცეოდა სადილს. ტერეზა უფრო გაყვითლებულიყო და უფრო მეტი ნაღველი ეტყობოდა. მაგრამ ამ გარემოების ასხნა ძნელი არ იყო გუსტავისთვის. რძლის ცვლილება თავის ჩამოსვლას დააბრალა. გუსტავმა მშვენივრად იცოდა როგორც ექცეოდა რძალი, მაგრამ ტონიც არ მოეწონა ძმასა. მარტო ერნესტინას არ დასტყობოდა ოჯახის ჯაგრი. ეს გოგო წაწკვეტებული ცხვირით და ეშმაკი თვალებით უწინდებურად ცოცხლად გამოიყურებოდა.

აღბათ, რაღაც მომხდარა, — გაიფიქრა გუსტავმა. სადილს შემდეგ გუსტავმა გამოუცხადა მამას, რომ საჯინიბე და ბელელი მინდა დავათვალიეროო. გუსტავს ეგონა, მამა სიამოვნებით გამიძღვება და უწინდებურად თითონ მიჩვენებს საქონელს და ზაფხულის მოცემულ სიმდიდრესაო, მაგრამ მოხუცმა რაღაც წაიბუტბუტა და ადგილიდან არცკი დაიძრა. გუსტავს მარტო წასვლა დასჭირდა.

ცოტა ხნის შემდეგ კარლიც მივიდა, გუსტავი დაეკითხა ძმას, მამა ჩვენს რა დამართენიაო, მაგრამ მიუხედავათ იმისა,

რომ კარლი პირს განივრად აღებდა, მაინც ვერაფერი აუსხნა. ძმის უაზრო და არეულ-დარეულ ლაპარაკიდან გუსტავმა მხოლოდ ის გაიგო, რომ ამას წინათ ქალაქადამ ვილაც ბატონები ეწვივნენ მამას და ბევრი ფული მისცესო და კაშელერნსტზედ ამბობს მამა, ეცადოს, ნურსად შემხვდება, თორემ შეუბრალებლათ გაგბრეგვაო.

გუსტავმა პირველი მხედველობაში მიიღო და დედასთან მარტოთ რომ დარჩა, დაეკითხა, ვინ იყვნენ ქალაქიდან რომ ჩამოსულან და რა ფული მოუტანეს მამასაო? ეხლა კი გაიგო გუსტავმა, რომ დიდა უბედურება სწვეოდათ.

პირველ გაგონებაზედ, თითქო კეტი დასცხეს თავშიო, რეტიანსავით ველარაფერი მოისაზრა. გუსტავმა უწინაც იცოდა, რომ მამას საქმეები კარგათ ვერ მისდიოდა, მაგრამ თუ იმათ მამულებს ასეთი უბედურება ეწვეოდა, ამას როგორ წარმოიდგენდა? ეს ამბავი მესხავით მოულოდნელად დაატყდა თავზედ.

თუ ერთი ეწვია ადამიანს უბედურება, განგება ამას არ აკმარებს და მეორესა და მესამესაც არ გამოუღვეს ხოლმე. დედა გამოუტყდა და ტონის ორსულობაც აუწყა: გუსტავი მოთმინებიდან გამოვიდა. მაგრამ ყველაფერზედ ძრიელ ის-აჯავრებდა გუსტავს, რომ მშობლებს დროზედ არ მიემართნათ სასამართლოსთვის და ამ უკანასკნელი უბედურების მიზეზი ვერგაებათ კანონიერ ქსელებში. ეხლა კი ის უსინდისო კაცი სოფელში აღარ ცხოვრობდა და არც არავინ იცოდა, სად იყო, იმის პოვნა თითქმის ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყო.

ამ პირობებში უნდა შემოეყვანა ახალგაზდა ცოლი ოჯახში? ამ ბოლოს დროს ხომ საყვარელ პაულინას მშობლიურ ქერ ქვეშ დაბინავება გუსტავს ტკბილ ოცნებათ ჰქონდა გადაქცეული. გუსტავს გადაწყვეტილ ჰქონდა, პირველ ხანებში, სანამ სადმე ადგილს იშოვნინდა, ცოლით მამის ქერს შეჰფარებოდა და ეხლა კი ყველაფერი, რის იმედიც ჰქონდა, ეფუშებოდა და ეშლებოდა.

პაულინა გუსტავს მოუთმენლად ელოდა. ქალმა გუსტავის წერილებიდან იცოდა, რომ ლენინობისთვის პირველ რიცხვებში ის გულბენაუში უნდა ყოფილიყო კიდევ.

ელოდა, მაგრამ არავის ატყობინებდა, რომ დარდი და მოუთმენლობა გულ-ღვიძლს უღრღნიდა. ის ჩვეულებრივ შრომას არაფერს აკლებდა, მაგრამ ნემსს აიღებდა, ქურჭელს გარეცხავდა თუ რისამე ქსოვას შეუდგებოდა, გულით და სულით კი მაინც მომავალში იყურებოდა. თავისი აზრით პაულინა ამზადებდა კიდევ გუსტავისთვის, თავისთვის და ბიჭუნასთვისაც თბილ კუთხეს... ვინ იცის, იქნება ოჯახს კიდევ მოემატოს წევრი.

ის ეხლა უქკუოთ შეყვარებული გოგო აღარ იყო, რომელიც დაუფიქრებლივ ჩაუვარდა საყვარელ კაცს ხელში; ეხლა პირველი ადგილი პაულინას გულში დედობრივ გრძნობას ეჭირა. იმას, რასაკვირველია, თავისი ბიჭუნას მამა ეხლაც უყვარდა, მაგრამ ეს სიყვარული უფრო ღრმა, თბილი და მშვიდი იყო, ვიდრე უწინდელი.

გუსტავი ეხლა იმის საკუთრებას შეადგენს! ღმერთო, ამაზედ დიდი ბედნიერება კიდევ იქნება? ამ უკანასკნელ წლებში რამდენი უძილო ღამე გაუტარებია, რამდენჯერ შეუტანია გუსტავის ერთგულობაში ეჭვი და რამდენჯერ უფიქრნია გულგახეთქილს: ვაი თუ მიმატოვოს გუსტავმა და ველარა ვნახო?

მაგრამ აგერ ბრუნდება გუსტავი და ეხლა ყველაფერი კარგათ წავა! მართალია ორთავენი ღარიბ-ღატაკნი არიან და გუსტავს არც რამე ადგილი აქვს, და, რასაკვირველია, არც ადვილი ცხოვრება ექნებათ პირველად, მაგრამ პაულინა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მომავალი ვარდითა და იით მოფენილი ელანდებოდა. ოღონც თავისი ბიჭუნას მამა ყოფილიყო იმასთან, თორემ სხვა რაღა ეკითხებოდა. გუსტავი იყო იმის ბედნიერება და სიხარული.

ეხლა რომ ველარავინ მოაშორებდა გუსტავს, ამაში თითქმის დარწმუნებული იყო პაულინა. მიუხედავად თავის გაუნათლებლობისა, ის აშკარად ჰგრძნობდა, რომ მიმზიდველობა

და თბილი სიფაქიზე არ აკლდა და ამ, ბუნებისაგან მონიჭებულ, თვისებათა წყალობით ადვილად დაისაკუთრებდა გუსტავს. პაულინა მთლად გააბაჟს იმას ქალის დიადი სიყვარულის ქსელებში და შემთხვევას არ მისცემს, რომ არამც თუ უღალატოს, გაიფიქროს მაინც სხვა ქალზედ.

დედას მარტო ამ ბოლოს დროს უთხრა, რომ გუსტავს ელოდა, პაულინას საზოგადოდ არ უყვარდა დედის წინ გულის გადაშლა. იმ დროს, როდესაც გუსტავისა აღარა ისმოდა—რა და არც იმედი ჰქონდათ გუსტავთან შერიგებისა, მოხუცი დედა რამდენს ურჩევდა თავისს ქალს ეს სიყვარული დაევიწყნა და თუ შეიძლებდა, სხვა საქმრო მოეძებნა. ეს რჩევა ეხლაც ვერ ეპატიებინა დედისთვის პაულინას. ამგვარი წინადადებით დედამ ქალის წმინდათა-წმინდა შეურაცხველი და ღრმა და ძვირფასი გრძნობები შეუგინა და შეუღალა. სხვას კიდევ აპატიებდა, მაგრამ დედას კი—ვერას გზით. დედას კარგათ უნდა სცოდნოდა, რომ პაულინასთვის სხვა სიყვარული აღარ არსებობდა და სიკვდილამდის იმას შეაბერდებოდა.

ამ დღიდან დედასა და ქალს შორის რაღაც უთანხმოება ჩამოვარდა, თუმცა ორთავენი გარეგნულად ტკბილად სცხოვრობდნენ და არც ჩხუბი, არც უსიამოვნება არ მოსდიოდათ. პაულინასთან წაჩხუბება არც ადვილი იყო, ღეთის წინაშე, რადგან ყოველ უსიამოვნებას გულში იმარხავდა და თუ წინააღმდეგობას გამოაცხადებდა ხოლმე, მხოლოდ თვალებით. ქალმა თავისი გრძნობები და სულის იდუმალი მოძრაობა გულში ჩაიკეტა და დედას მოშორდა.

ერთხელ, როგორღაც, სადილის წინ რომ დაბრუნდა მოხუცი კაჩნერი, (დალალს ტილო წაუღო და ახალი ნართი მოიტანა საქსოვად) გუსტავ ბიუტნერის დაბრუნების ამბავი მოუტანა ქალსა. პაულინას მუხლები აუცახცახდა, მაგრამ დედას ისე აჩვენა თავი, თითქოს ეს ამბავი არაფრათ ჩააგდო.

—ჰო და!—ჩაურთო პაულინამ, —ამ დღეებში შემოივლის ჩვენ სანახავათ.

მაგრამ მის ვითომ და გულგრილობას ფაცი-ფუცი და სტუმრის მისაღებათ სახლის წმენდა-დალაგება ვერ შეჭფეროდა. პაულინამ სხვა და სხვანაირი საკმელები დახარშა და შესწვა. ქალის ოხოვნით მოხუცი იძულებული შეიქნა რაღაც ტკბილი და ფაქიზი სანუკვარი გაეკეთებინა, საჭირო მასალა თითონ პაულინამ იყიდა იქვე იმათ გვერდით გასხნილ პატარა დუქნიდამ. პაულინას დედას ბატონის ოჯახში ყოფნის დროს ბევრი კარგი საკმელების კეთება ესწავლა და ამხრივ ძნელად თუ ვინმე გაეჯიბრებოდა. მერე ჯერი ბავშვზედაც მიდგა: პირი დაჰბანეს და გრაფის ასულის იდას გამოგზავნილი შალის კაბა ჩააცვეს. ყველა ამას რომ მორჩა პაულინა, მერე თავის თავსაც მიხედა. თმა დაივარცხნა და გუსტავის ნაჩუქარი ქინძისთავი გაიჩქო.

სადილს შემდეგ პაულინა სულ თავის საქმროს ელოდა. უსათუოდ ყავისთვის მოვა, — ჰფიქრობდა ქალი; სადილს კი რასაკვირველია, დღეს დედასთანა სჯამს. მაგრამ აგერ მობინდდა კიდევ და გუსტავი კი აღარსად სჩანდა. ყავა რომ არ გადაექციათ, მოხუცმა თითონ დალია და სანუკვარები განჯინაში შეაწყო. პატარა ოთახში ერთიანად ჩამობნელდა.

პაულინა, რომელიც დღევანდელი დღე ლაპარაკათ იყო გადაქცეული, ეხლა კი ჩაჩუმდა. ბავშს ახალი ტანთსაცმელი გახადა და მეორე ოთახში გაიყვანა დასაძინებლად. უკან რომ შემობრუნდა, დედას სანათი აენტო კიდევ.

— ჰხედავ, პაულინა, შენი გუსტავი არ გვეწვია! — უთხრა სიბრალულით თუ ცნობისმოყვარეობით დედამ, მაგრამ მის ხმაში ნიშნის მოგება კი მეტი ისმოდა.

პაულინამ არა უპასუხა. რა, მაგრამ იმის მაგიერ მისი დაქიმული და ნაღვლიანი სახე გამოეპასუხა მოხუცს. ეხლა თავის დაქერას საჭიროთ აღარ სთვლიდა პაულინა, რადგან გულგრილად ველარ ეჩვენებოდა.

მიუხედავათ მღელვარებისა, პაულინამ ყველაფერი რიგზე მოიყვანა. რაც გასაკეთებელი იყო, ყველაფერი გააკეთა და მარტო რომ დარჩა თავის ქოხში, დაძინებულ ბავშვს მოუჯდა და მთლად დარდა და ვარამს მიეცა.

ჩამოჯდა თუ არა ლოგინზედ, ცხელი ცრემლები დაპა-
ლუპით გადმოსცვივდა თვალებიდან. ვინ, გუსტავი მომექცა
ასე, გუსტავი? ის ეხლა სოფელშია! დღეს დილა ადრიან ჩა-
მოვიდა გალბენაუში და აქამდინ ვერ მოახერხა ჩემთან შემოვ-
ლა? მაშ მე არაფერი ვყოფილვარ იმისთვის? ასეთი გულგრი-
ლობა და გულქვაობა განა მქონდა დამსახურებული?

ასეთ მწარე ფიქრებში რამდენიმე საათი გაატარა. ბავშვი
კი მშვიდათ იწვა თავის აკვანში, საღის ძილით ეძინა და მხო-
ლოდ ნაზი და სწორი სუნთქვით თუ არღვევდა სიჩუმეს. გაჰ-
ქრა თუ არა ბუნარში ცეცხლი, ოთახში საშინლად აცივდა,
მაგრამ ვარპით გატაცებული პაულინა სიცივეს ვერ ამჩნევდა
და, გაშტერებული, მთავრის შუქით განათებულ ბაღში გაიცი-
ქირებოდა.

მთვარის მკრთალ შუქით განათებულ და გაჩირალდნებულ
ბაღში ძველის ძველი ხეხილნი თავის დაკლაკნულ შტოებით,
საოცარ ჩრდილებს იძლეოდნენ. რამდენი ღამე გაუტარებია პა-
ულინას ამ ფანჯარის წინ და რამდენჯერ უფიქრნია ღამ-ღამ-
ობით,—მოვა ჩემი გუსტავი თუ არაო. ეხლა ის პირველი ნე-
ტარი ღამეც მოიგონა, როცა პირველად მოვიდა გუსტავი და
ამ ფანჯრის წინ იდგა. ეს მოხდა თიბათვის თბილ ღამეს; უწინ
მარტო ჰკოცნიდა ხოლმე, ღმერთო, როგორ ეყვდრებოდა, რომ
ოთახში შეეშვა! რა სიტყვებს ეუბნებოდა! რა ფიცს აძლევდა
და რაებს ჰპირდებოდა.

და ეხლა, როდესაც ყველაფრის ნება დართო, ყველაფე-
რი მისცა, რაც კი ებადა, აჩუქა შვილი და ვაჭირვების დროს
არც უღალატა, ეხლა გუსტავი თავს ანებებს, მთელი დღეა,
რაც ჩამოვიდა და ერთი წუთითაც კი არ შემოიბრინა!

სამრეკლოზედ ათჯერ ჩამოჰკრეს ხარი. პაულინა მაინც
ბაღში გაიყურებოდა. ეხლა ცრემლიც გაუშრა თვალზედ, გულ-
ში რაღაც სიცივე იგრძნო, ნუ თუ ის მოხდა რისაც ეშინო-
და? ამის ექვი თითქმის მეტი იყო ამ ჟამად! ქალს არც კი
უნდოდა ამ მწარე გრძნობების წინააღმდეგობა და გუსტავის

უსამართლობაში თითქმის სიამოვნებას ჰპოულობდა შეყვარებული პაულინა.

აგერ თურმე რა მნიშვნელობა ჰქონია იმის ფიცსა? ალბათ, დღეიდან სულ ასე მომექცევა. ეხლა შვილი რომ ეყოლა და ქალის ერთგულებაშიც დარწმუნდა, ზრდილობიანათაც კი აღარ მოექცევა

ან იქნება თავისი გადაწყვეტილება გამოსცვალა? იქნება სხვა ქალს ირთავს ცოლად? ალბათ მდიდარს, დიდი მზითვეის პატრონს ეძებს! აქ ჩვენ სოფელშიაც არის ეგრეთი. მიკიტნის ქალი ოტილია კაშელი დიდის სიამოვნებით მისთხოვდება გუსტავს. ოო, რა საძაგელი დაობებული და დაძველებული გოგოა! მაგრამ თითონ პაულინასაც არა სჯეროდა, რასაც ჰფიქრობდა. როგორ იფიქროს, რომ გუსტავი ასეთი უსინდისო და საძაგელი კაცი იყოს! ესეც რომ არა ყოფილიყო, თავის საკუთარ ღირსებებსაც იმოდენათ ჰგრძნობდა პაულინა, რომ მიკიტნის საძაგელი გომბიოს გამარჯვებას ვერ დაიჯერებდა. იქნება შინაურებმა დაუშალეს ჩემთან შეუღლება? მართალია მოხუც ბიუტნერებთან ეხლა უფრო კარგ განწყობილებაში იყო პაულინა, მაგრამ იქ რომ ის საძაგელი კუდიანი ტერეზაა? იქნება იმან მომიგონა რამე და გუსტავმაც დაუჯერა?

გუსტავი მუდამ ასეთი ურწმუნო იყო! აკი უწინაც დაიჯერა ჩემზედ გავრცელებული ჭორები? მერე ისიც კარგათიციოდა პაულინამ, რომ გუსტავი ბუტია ხასიათისა იყო და ხშირად სულ უბრალო მიზეზზედ მთელი დღეები დაიარებოდა ხოლმე გაბუსხული. მერე რა ეჭვიანია? საკმარისი იყო ვისმეს გადმოეხედნა გზაში, რომ გუსტავი მოთმინებიდამ გამოესულიყო. აქ ერთი, ობას მომხდარი, შემთხვევა მოაგონდა პაულინას და ნება უნებურად გაიღიმა. გამძვინვარებულმა გუსტავმა ხელიდამ გამოჰგლიჯა პაულინა ერთ ახალგაზდა ყმაწვილს და საცეკვაო საღამოდამ გაჭტაცა. ცეკვის დროს ის საძაგელი ძალიან გიკრავდა გულშიო, გამოუცხადა გზაში გააფთრებულმა გუსტავმა.

რა სულელი იყო ხოლმე ზოგიერთ შემთხვევაში! მაგრამ მაინც კეთილ და კარგ კაცად ეგულებოდა. გულში რამდენ-

ნიც უნდა ემტყუნებინა გუსტავი და რაც უნდა დაეწამებინა, მაინც თითონვე არა სჯეროდა; გუსტავი მაინც ერთად-ერთ ძვირფას არსებად და გულით და სულით საყვარელ მეგობრათ ეგულებოდა. ხვალ წავა, საცა იქნება იპოვნის და ანგარიშს მოსთხოვს თავის საქციელისას. მიუხედავად თავის მორცხვობისა, ქალს მაინც არ ეშინოდა ამისი. ეს პირველი დაბრუნება არ იქნება გუსტავისა, კიდევაც ბევრჯერ მოუყვანია თავისთან ამ გვარად.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ თითქმის სულ დამშვიდდა პაულინა და ბედნიერათაა კი დაისახა თავი. ის წამოდგა, ბავშვს მოუარა, ტანთ გაიხადა. ჩქარა ლოგინში, ჩქარა! სიცივეში ჯდომით სულ ერთიანად გათოშილიყო საცოდავი.

მაგრამ წაიხურა თუ არა კისრამდის საბანი და ის იყო დასაძინებლად თვალები დახუჭა, რომ კედლის კაკუნი მოესმა. ქალი ნაცნობი კაკუნის გაგონებაზედ ფიცხლავ წამოხტა ლოგინიდან და, გაშვებულსავე, ერთ ადგილას გაჩერდა. გულზედ სისხლი მოაწვა. კედლის კაკუნი კვლავ განმეორდა.

ერთ წუთში ქალი ფანჯარას ეცა და დარაბი გააღო. გულმა არ მოატყუილა! ფანჯრის ძირში მართლა ვილაც იდგა.

— გუსტავ, შენა ხარ?

— შე ვარ!

— ამ წუთას.

პაულინამ რაღაც ხელსახოცი მოისხა ტიტველა მკლავებზედ, ფეხებზედ კი ვერაფრის ჩაცმა ვერ მოასწრო. დერეფნის კარი გააღო, კარში გასავალ კარებს ფრთხილად უხმაუროთ ურდული გამოუყარა და კარი გააღო.

გუსტავი კარებში მიეგება. პაულინამ მკლავში მოჰკიდა ხელი და, ბნელ დერეფანში რომ რამეს არ წასწყდომოდა, თითონ გაატარა. მხოლოდ მაშინ, როცა მშვიდობით გაიარეს დერეფანი და ოთახში შევიდნენ, მხოლოდ მაშინ ჩაეხვია გუსტავს. მიუხედავად იმისა, რომ გუსტავმა გარედან სიცივე და ხესტი შემოიტანა და მიუხედავად იმისა, რომ თითონ თითქმის სულ მთლად ტიტვლიკანა იყო პაულინა მაინც აღარ შორდებოდა...

XII

ედმუნდ შმეისის დანაპირები სასუქი და საქონლის სასაზრდოებელი ჩენჩო დიდი ურმით მიუტანეს ბიუტნერს ეზოში. მეურმემ რაღაც ქალღიმილი გადააწოდა ბიუტნერს, რომელსაც „სამუილ გარრასსოვიცის“ ბეჭედი აჯდა.

მოხუც ბიუტნერს ვერ გაეგო სამუილის ბეჭედი რას ნიშნავდა. რა ვქნა, მე ხომ ედმუნდ შმეისთან მქონდა საქმე და გარრასსოვიცს ჩემთან რა ხელი აქვსო, ჰფიქრობდა ჯიუტად მოხუცი. მეურმემაც ვერაფერი აუსხნა. სამუილ გარრასსოვიცის სავაჭრო სახლმა დამავალა თქვენსა დავცალო ურემიო, მგონი მეთეჯერ გაუმეორა იმან. ურემზედ ერთ მხარეს გვარჯილითა და ძვლები ფქვილით გატენილი ტომრები და მეორე მხარეს ჩენჩო ეწყო. მეურმემ სთხოვა ბიუტნერს. ხელი მომიწერე, რომ გარრასსოვიცის გამოგზავნილი საქონელი მიიღეო. ამის შემდეგ გარრასსოვიცის წერილიც გადასცა, რომელშიაც, უცხადებდა რა გარრასსოვიცი ბიუტნერს თავის მეგობრულ და თითქმის ძმურ განწყობილებას, აუწყებდა ჩენჩოსა და სასუქის ფასად ედმუნდ შმეისის სახელზედ მიცემული თამასუქი შმეისმა ჩემ სახელზედ გადმოიტანაო.

ბიუტნერი კითხულობდა წერილს და არ იცოდა, რა ეფიქრნა. ეს რაღას ნიშნავდა? ეხლა რა ემართა და რაში უნდა მიეცა ფული თუ ვინიციობაა ეს შემთხვევა მიეცემოდა? გარდა ამისა ვისი ემართა?

სასუქი ჩამოიღეს ურმიდან და იქვე კუნჭულში მიჰყარეს. ძველი გლეხი შეჭყურებდა გაჭუკვნილ ტომრებს და ზიზღისმეტს არაფერს ჰგრძნობდა მათდამი. განა ეს უვარგისი სასუქი იმის მინდვრებს რაინე სარგებლობას მოუტანს! ეს სასუქი ამ ბოლო დროს შემოსული სისულელეა და მეტი არაფერი. განა შესაძლებელია რამდენიმე მუქა ფქვილით თუ რაღაც სისულელით მთელი ურემი პატივი შესცვალო, განა ეს გვარჯილაა თუ რაღაც, პატივის მაგიერობას გასწევს? ბიუტნერი

ბრაზით შეჰყურებდა ამ ძვირფასს ტომრებს, მაგრამ რას იზამდა? გუსტავი კი სულ სხვა აზრისა იყო. ამ სასუქის შესახებ. ჰამსახურში ყოფნის დროს ბევრი თავიანთ მამულზედ უკეთესად შემუშავებული და დაწინაურებული მამულები ენახა, სადაც ამ გვარ სასუქებს ხმარობდნენ და არც ჭკუას აგებდნენ. იმან ისიც კარგათ იცოდა, რა დროს და რომელ ნიადაგს რომელი სასუქი უფრო მოუხდებოდა. მამამ ნება დართო რაც უნდოდა, ის ექნა და ისე გამოეყენებია ეს „სიმხეცე“. ოცდაათი წელიწადი მეტია მიწას ვადგივარ და როგორც ჩემი მამაპაპა სწირავდა, მეც ისე მინდა ვწირო, ეხლა კი ძნელია ჩემისთანა გამოყრუებულ ბებრისთვის საქმის ახლად შესწავლაო— გაიძახოდა მოხუცი.

გუსტავის გავლენა ბევრნაირად დაეტყო მამულს. ამასობაში კართოფილის მოკრეფის დროც მოვიდა. მოხუც ბიუტნერს უნდოდა კართოფილი მარტო შინაურებს ეკრიფათ და, როგორც წინა წლებშიაც სჩადიოდა, მუშები აღარ დაეჭირა. გუსტავი თუმცა ჩააცივდა, სხვა მეურნეებსავით ჩვენც დავიჭირავით. დღიური მუშებიო, მოხუცი არ ეთანხმებოდა, რადგან ჯერ ერთი, ხარჯისა ეშინოდა და მეორე, დარწმუნებული იყო, კართოფილს მოჰპარავდნენ და დასტაცებდნენ. ამის წყალობით საქმე ძალიან გაგრძელდა. მოხუცის გარდა, რომელიც კვალს მისდევდა, რვა წყვილი ხელი მუშაობდა, ამას ისიც დაუმატოთ, რომ ტონი სრულ მუშად ვეღარ ჩაითვლებოდა, რადგან დღე-დღეზედ დასაწოლი იყო და იმას რა მუშაობა მოეთხოვებოდა. მოხუცი იგინებოდა და ილანძლებოდა, რადგან საქმე უფერხდებოდა. საცაა ყინვებიც დაიწყება და ჯერ ნახევარიც არ მოეკრიფათ კართოფილი. მაგრამ სავალალო და სავარმო ის იყო, რომ საქმის დაბანდების მიზეზი იმისივე სიძუნწე და ჯიუტობა იყო.

მამინ გუსტავმა ურჩია, ღარიბი უმიწაწყლო გლეხების შვილები და უსაქმური ხელოსნები შევეყაროთ და იმათ მოვაკრეფინოთ კართოფილი, მაგრამ სამუშაოთფული კი არა, რამდენიმე ჩანახი კართოფილი მივცეთო.

ეს რჩევა კი მოხუცს ძლიერ მოეწონა. ასე ნაღდ ფულს არავის მისცემს, წელი ხომ ამისთვის სწყდებოდა, რამდენიმე ჩანახი კართოფილი რას დააკლებს ამოდენა მოსავალს? ვერც ვერაფერს მოიპარავენ, რადგან რასაც მისცემენ, იმასაც ვერ მოერევიან..

გუსტავის გეგმა სისრულეში მოიყვანეს. ლარიბი გლეხების ზიკ-ბუქების რაზმი შეადგინეს და რამდენსამე დღეში სულ ერთიანად მორჩნენ სამუშაოს.

მოხუცი ბიუტნერი დიდი მადლიერი უნდა ყოფილიყო ღვთისა, რომ კართოფილის მოსავალი ჩინებული მოუვიდა. ზაფხულის პირში ავდრიანმა დღეებმა მკლავების ზრდას შეუწყეს ხელი და დანარჩენმა მშრალმა დღეებმა კართოფილის ზრდასა კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ კართოფილი მსხვილი და საღი გამოვიდა. ეს დიდ ბედნიერებათ უნდა ჩათვლილიყო ლარიბებისთვის, რადგან ზამთრის საზღო ეძლეოდათ. ბიუტნერიანთ სარდაფი წელს სად მოითავსებდა შემოსულ სანოვაგეს! ამიტომ გუსტავმა ურჩია მამას სარდაფში კომბოსტო, ქარხალი და იმდენი კართოფილი შევიანახოთ, რაც ოჯახში დაგვჭირდება და დანარჩენი მინდორში დავაგროვოთო. გლეხმა ეს რჩევაც მიიღო. ჯერ კართოფილი დაბინავებული არც კი იყო, რომ ბაზარზედ ძალიან იკლო კართოფილის ფასმა. ეს გარემოება, რასაკვირველია, საერთო კარგი მოსავალით აისხნებოდა. მოხუცი მიხვდა, რომ ამ შემთხვევაშიც ძალიან ჭკვიანურად და კარგათ მოიქცა, ექვი არ იყო, რომ გაზაფხულზედ კართოფილი ისევ გაძვირდებოდა.

შემოდგომის ხვნისა და თესვისთვის ჩინებული დარი იდგა. მინდვრები თავის დროზედ დამწვანდნენ. თბილმა შემოდგომამ გიორგობისთვემდინ ხვნის ნება მისცა გლეხობას. პირველ თოვლს გლეხი თავისუფლათ და დამწვიდებულის გულით შეეგება ღვთის წინაშე, დროც კი იყო ჩამოთოვისა, რადგან შარშანდელი შემოსავალი სულ ერთიანათ აკრეფილი იყო მინდვრებიდან; მინდვრები გაზაფხულის სათესურობისთვის დამზადებული ჰქონდა კიდევ გლეხობას და შემოდგომისამ კარგათ წამოჰყო თავი.

ბოლოს დროს მოხუცი ბიუტნერი შესამჩნევად შეიცვალა. ის, ცოტა არ იყოს, მოღბა და შინაურებს უფრო კარგათეჟცვოდა. ეხლა ისე მოუთმენლათ აღარ რეკავდა ყველას სასამუშაოთ, როგორც უწინ. ცოლსა და შვილებს უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა, ისე რომ ქალებმა ოჯახსაც, შინაურ საქმეებსაც მიხედეს. იმისმა კარგმა გუნებამ საქონლისთვისაც კარგი შედეგი მოიტანა. ცხენებს უწინდელზედ მეტს შვრიას აძლევდნენ, მაგრამ არც ცხენებმა გამოიჩინეს უმადურობა, რადგან შნო და ლაზათი მალე დაედოთ და ეს ხომ ოჯახისათვის სასიქადულოც იყო და სასარგებლოც. არც თავისი თავი დაივიწყა მოხუცმა. მეტი ეძინა და უწინდელ ცხოვრებასთან შედარებით უკეთესადაც საზრდოობდა, ეს კეთილი ცვლილება ყველაზედ უწინ დედაკაცმა შენიშნა, რადგან იმისი კაცი ამ ღამობით აღარ ყვიროდა მძინარა, არ იღვიძებდა და ბიუუშვიით ღამ-ღამობით აღარ დადიოდა ოთახებში. ეკლესიაში ბიუტნერი ისევ გულმოდგინეთ და გულის ყურით ისმენდა წირვასა და ქადაგებას. მღვდელმაც შენიშნა, რომ ბიუტნერის სახეს ზაფხულის სასტიკი გამომეტყველება თითქმის სულ დაეკარგა და უკეთესზედ შეეცვალა.

აი რა ჩინებული შედეგი მოჰყვა გუსტავის დაბრუნებას. მოხუცი ბიუტნერი თითქოს მეორეთ გაყმაწვილდა და გუსტავის ახლო ყოფნით მეორეთ დაიბადა. მაგრამ მაინც არაფრით შეატყობინა შეილს რა დიდი აზრისა იყო იმაზედ და მის შინ დაბრუნებას ოჯახისთვის რა დიდი შედეგი მოჰყვა. ბიუტნერს არ უნდოდა ახალგაზდა კაცს თავი გამოედო. ამ შემთხვევაში გასაგებიც კი იყო ბიუტნერის გულის იღუმალი წუხილი და შური, რომ ახალგაზდობა წინ წასულა და იმისთანა ბერი კაცი შესამჩნევად ჩამორჩენიათ უკანაო.

გარდა ამისა გუსტავი არც უფროსი ვაჟი იყო. მოხუცის ფიქრით, კარლი, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც პირდაპირ მემკვიდრეთ ეგულებოდა. ის ვერას გზით ვერც გაჰბედავდა და არც მოინდომებდა ძველის-ძველს, მამა პაპათა ჩვეულებას არ დაარღვევდა და მამულს უსათუოდ მარტო უფროს ვაჟს გადასცემდა.

და. კარლი თავის დროზედ უეჭველად ბიუტნერების მამულის ერთათ-ერთი მესაკუთრე უნდა გამხდარიყო, თუმცა გუსტავი ხან და ხან როგორც მოსამსახურეს კარლს ისე უყურებდა და ოჯახში თითქმის არაფრათ არა სთვლიდა.

გუსტავმა ფულის საქმეებიც თითონ აიღო, რომ, რიგში მოეყვანა. ამ საქმეში იმდენი გამჭრიახობა და უნარი ჰქონდა, რაც სალი და კაი გონების კაცს მოეთხოვებოდა და გამოცდილებას კი, რასაკვირველია, ვერსად შეიძენდა, რადგან სამსახურში ყოფნის დროს ფულის საქმეები სრულიად არ ეკითხებოდა.

მაგრამ მიუხედავად თავის გამოუცდელობისა, ძალიან გონივრად კი მოიქცა. რაც კი ვალები ჰქონდა მამას, ყველას ჯამი გამოიყვანა და იქვე საფარაუდო, მაგრამ კარგათ გამოანგარიშებული, შემოსავალი მიუწერა. მერე ვალის გადასაწყვეტი გეგმაც დაიწერა. იმ სარგებელს, რომელიც საშობაოთ იყო გასასწორებელი, შვრიით თუ გადიხდიდა, რადგან შვრია ჯერ გაყიდული არა ჰქონდათ; სააღდგომოთ გადასახდელ სარგებლისთვის კართოფილი ეგულებოდა. თუ ღმერთი უშველიდა და კართოფილი და შვრია ფასში აიწევდნენ, იქნება ცოტაოდენი რამეც დარჩენოდა. მაგრამ სამუილ გარრასსოვიცის ვალის გასასტუმრებლათ არას გზით არ ეყოფოდა ფული. სხვა რამე წყაროები უნდა გამოეძებნა, რასაკვირველია. იქნება ამ ზამთარს ტყიდან მეტი ესარგებლნა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ სულ გადასაჩეხი გაუხდებოდა ტყე. გუსტავმა ისიც გაიფიქრა, რომ ის ორი ღორი, რომელსაც ყოველ წელიწადს საშობაოთ ჰკლავენ ხოლმე, აღარ დაეკლათ და გაეყიდნათ, თუმცა ეს ორი ღორი მთელი წლის საკმარისს ქონსა და ღორებს აძლევდა ხოლმე ოჯახს. თუ ღორებს მოიშორებდა ბოსელიდან, მაშინ რძეც მეტი ექნებოდათ და, მაშასადამე, ერბოსაც მეტს გააკეთებდნენ. ბზეც ბევრი დარჩათ წელსა და ამითაც შეიძლებოდა ესარგებლნათ. დაკვირვების შემდეგ ცოტა რამე არ გამოჩნდა ოჯახში იმისთანა, რაც, ფულად ქცეული, სარგებლობას მოიტანდა.

რასაკვირველია, ამ გეგმაში კაშელერნსტის გირაოს ქალაქ-
დო არ იყო მხედველობაში მიღებული, რომელსაც ვადა მალე
გასდიოდა და, მაშასადამე, საცა სამართალი იყო, იმის გასტუმ-
რებაზედაც უნდა ეფიქრა.

ამ ვალის გასასტუმრებლად სად ეშონათ ფული, ამას ვერც
გუსტავი იტყოდა და ვერც თითონ ტრაუგოტტ ბიუტნერი.
შერის გასასყიდათ რომ წავიდა გუსტავი ქალაქში, სხვათა შო-
რის, ისიც იკითხა, ხომ არ მოხერხდება ამ გირაოს ქალაქის
სხვა პირზედ გადაცემაო და თუ მოხერხდება—რა და რა პირო-
ბებითაო. აქ ცხადად დარწმუნდა, რომ დარბაისელი პირნი
ლაპარაკსაც კი არა კადრულობდნენ ასე დავალიანებულ მა-
მულის შესახებ, არამც თუ დაგირაევებს. ერთ ადგილას მარ-
თალია შეძლიეს ფული, მაგრამ ისეთი დიდი სარგებელი მოს-
თხოვეს, რომ უსინდისო ძარცვა-გლეჯათ ჩასთვალა და, რასა-
კვირველია, არ დაეთანხმა.

მაგრამ ღვთის წინაშე, ეს ვალი არც ისე ძლიერ აწუხებ-
და გუსტავს. იმას ვერას გზით ვერ წარმოედგინა, რომ ერნსტ-
კაშელი ერთ დღეს სასამართლოს მიჰმართავდა და ვერ წარ-
მოედგინა იმიტომ კი არა, რომ კაშელი გულკეთილად და პა-
ტიოსან კაცად ეგულეობდა, არა, იმიტომ რომ მეტად კარგად
იცნობდა მიკიტანს. გუსტავი ჰფიქრობდა, მიკიტანი არასგზით
არ მიიყვანს ჩვენ მამულს უკიდურეს მდგომარეობამდეო. იმა-
ზედ კარგათ ვის უნდა სცოდნოდა, რომ ცოლის ძმას ვერა-
ფერს გადაახდევინებდა. თუ ვინცობაა სასამართლოს მიმარ-
თავდა, ბიუტნერს უეჭველად გააკოტრებდა და, რაღა ლაპარა-
კი უნდა, თავის გირაოს ქალაქსაც და მასთან ერთად გირაოს
ფულსაც სამუდამოთ გამოეთხოვებოდა. ეხლა კი ყოველ წელი-
წადს სარგებელს იღებდა. გუსტავს რა მოაფიქრებდა, თუ კა-
შელს ამათ მამულის შექენის სურვილი ედებოდა გულში.

არც თითონ ერნსტსა და არც იმის შვილს მეურნეობისა
არა ესმოდათ-რა და გაიძვრა მიკიტანი, რასაკვირველია, რად
შონდომებდა იმოდენა საქმეებისთვის ამოდენი მამულები კი-
დევე მიემატებინა. აი, ამ მოსაზრებით სწორედ გუსტავს ისე

არ აწუხებდა ეს გირაოს ქალაქი, როგორც მოხუცსა. ვალის მოთხოვნა კაშელის ხუმრობა და დაცინვა იყო, რასაკვირველია. იმას ყოველთვის უყვარდა გაჭირებაში მყოფ კაცის მასხარათ აგდება, უსათუოდ ეხლაც ასე იქნებოდა.

დრო გამოშვებით გუსტავი სამიკიტნოში შედიოდა ხოლმე, რომ გაეგო საქმე რაში იყო და ქარი საიღამ ჰბერავდა. კაშელი ყოველთვის ტკბილად და ზრდილობიანათ ექცეოდა გუსტავს. მოჰკრავდა თუ არა ახალგაზდა ბიუტნერს თვალსა, იმ საათში ღიმილს და თვალების ხამხამს მოჰყვებოდა ხოლმე.

შაგრამ კაშელს ვერაფერს გამოსტყუებდნენ. გუსტავი დაიწყებდა თუ არა საქმეზედ ლაპარაკს და ხუმრობას თავს დაანებებდა, კაშელერნსტი ისეთ სიცილ-ხარხარს იწყებდა, რომ თვალებიდან ლაპა-ღუპით ცრემლები სცვიოდა. ყველაფერს ხუმრობათ აქცევდა და მამულების და საზოგადოთ ფულის შესახებ ლაპარაკს უცბათ შეაწყვეტინებდა ხოლმე.

ოჯახის დაბნეული საქმეები და დარდი რომ არა ყოფილიყო, გუსტავი მშვიდათ და ბედნიერათ იცხოვრებდა.

ზამთრის დასაწყისი მეურნესათვის ერთად-ერთი მშვიდი და კარგი დროა. გადაეფარება თუ არა ბუნებას თეთრი ზეწარი, გლეხი მოსავლის საქმეს ღმერთს მიანდობს და თითონ შეისვენებს ხოლმე. ამ დროს თითქოს თითონ ბუნებაც ისვენებს, რადგან აღარაფერს აჩენს ქვეყნათ, როცა აღმომცენელი და აღმზრდელი ძალა თითქოს იყინება და გლეხიც ზამთრის ძილს ეძლევა. ის ხომ თითქმის შესისხლბორცებულია მიწასთან, რომელსაც მუდამ ამუშავენს და ოფლით ასველებს. მიწასა და გლეხს შორის ისეთივე კავშირია, როგორიც დედასა და ჯერეთ მუცელში მყოფ ბავშვს შორის არის ხოლმე. მიწა აძლევს ცხოვრების იდუმალ ძალას და თუ იმას სთბილა, მაშინ გლეხსაც სთბილა და მაძღრისია.

მაგრამ გადაქრით ვერ ითქმის, რომ ზამთარში საქმე სრულიად არა ჰქონდეს გლეხსა: გზები გასაწმენდია თოვლისაგან და ტყე გასაჩეხი. მოხუცმა ბიუტნერმა ორი შვილის დახმარებით აქა-იქ ატუზული ნაძვი და ფიქვი გადასჩეხა. რომე-

ლიც მომსხო იყო, ბოძებათ დასკრეს და წვრილი ტოტები ფიჩხათ დააგროვეს. დაღრეცილი ხეები, რომლებიც ასაშენებელ მასალათ არ გამოდგებოდა, სარდაფში შეიტანეს, დახერხეს და შეშათ შეინახეს.

ზამთარი სასტიკი გამოდგა. იმ ბუხარში, რომელშიც სალილს ხარშავდნენ, ცეცხლი გამოუღვეველი უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ბუხარი ოთახსაც ათბობდა. ნახშირის დახარჯვას ფლანგვას ეძახდა მოხუცი: შეშა რილასთვის არის მაშ ტყეში? ამიტომ შეშა ძალიან ბევრი დაიხარჯა. ოთახში ჰაერის გამოცვლისა ეშინოდათ, რადგან ძვირფასი სითბოს დაკარგვა არ უნდოდათ. ფანჯრებიც ძალიან დაჩულოლი ჰქონდათ, რომ რომელიმე გაბედულ ხელს არ გაებედნა და როგორმე არ გაეღო. შემოდგომიდანვე მოყოლებული ფანჯრები და კარები ხავსითა და გამხმარი ფოთოლით ჰქონდათ შემოწყობილი. ასე რომ მთელი სახლი ჩაჩულოლი ჰქონდათ და სიცივე ისე ადვილად ველარ შეაღწევდა სახლში, მაგრამ სანაცვლოთ ვერც სუფთა ჰაერი შედიოდა.

დღე გვიან იწყებოდა, მაგრამ შვიდ საათზედ გვიან ხომ მაინც ვერ გათენდებოდა? მოხუცი ბიუტნერი გვიან ადგომას ყურადღებას ალარ აქცევდა. იმისიც მაღლიერი იყო ხოლმე, თუ საქონელს ექვს საათზედ მისცემდნენ საკვებს. შუადღის შემდეგ ოთხ საათზედ დღეს ბინდი ეყრებოდა კიდევ. ყაირათის გამო სანათებს ალარ ანთებდნენ სახლში, იმათ მაგიერობას ქონის სანთლები ეწეოდნენ. ან რა საჭირო იყო სახლის გაჩირადნება? სადილის მოხარშვას, ჭურჭლის გარეცხას და კარაქის შედღვებას დღისითაც კარგათ მოასწრობენ ორი-სამი საათის განმავლობაში. ჭამისთვის ხომ სინათლე საჭიროც არ იყო. არავინა სწერავდა და არავინ კითხულობდა. არც სხვა მოთხოვნილება ჰქონდათ სახლში და ქათმებთან ერთ დროს წვებოდნენ დასაძინებლად. ასე ნახევრათ ბნელში რაღაც ბურანში და სიჩუმეში გარინდებულნი თვალ-ახვეულები სცხოვრობდნენ.

ერთი ტერეზა თუ გამოიყვანდა ხოლმე ოჯახს მუდმივ ბურანდამ, რომელსაც ენა სამართებელსავეთ მახვილი ჰქონდა და, როგორც სჩანდა, ზამთრობით არ ეყნებოდა. ყველაზედ ძლიერ ქმარზედ იყო ტერეზა გადაკიდებული, რომელსაც თითქმის ყოველ წუთს ბუხრის გვერდზედ, პირში ჩიბუხ ჩაჩრილს ნახავდა ადამიანი. ზამთარში კარგი ცხოვრება ვერა ჰქონდა კარლსა, რადგან სიცივისა გამო სახლიდამ წასვლა და სათივეზედ კარგი ძილის გამოცხოება აღარ შეეძლო და ბუხრის გვერდზედ კუნჭული კი კარგი თავშესაფარი ვერ იყო მისთვის.

გუსტავი თუმცა შინა სცხოვრობდა, კაჩნერიანთსა მაინც ძალიან ხშირად დაიარებოდა და რაკი კაჩნერიანთ ვაჟკაცი არა ჰყავდათ სახლში, მძიმე სამუშაო თითონ იღვა კისერზედ: წყალს ეზიდებოდა, შეშას უპობდა და სხ. ზამთარში პაულინა კვლავ მიუჯდა საფეიქრო დაზგას. ეხლა კი დიდი სიამოვნებით და სიხარულით იწყობდა მუშაობას, რადგან ეხლა იცოდა ვისთვისაც ჰქსოვდა.

ასე ამ გვარად გუსტავი თავის შრომასა და ძალას ორად ჰყოფდა და ორ ოჯახს უზიარებდა. მშობლები შეეჩვივნენ კიდევ იმ აზრსა, რომ პაულინა გუსტავის საცოლოაო. მაგრამ მიუხედავად ამისა ბიუტნერიანთ ოჯახსა და პაულინას შორის მაინც არავითარი კავშირა არ არსებობდა. არავინ კითხულობდა ჯვრის წერა როდის იქნებაო. ეს საქმე მარტო გუსტავსა და პაულინას შეეხებოდა და გუსტავმა ერთხელაც კი არ ჩამოავდო მშობლებთან თავის. ქორწინების შესახებ-ლაპარაკი.

* * *

მოხუცი ბიუტნერი არასოდეს არ ყოფილა ოცნებობის მოყვარული. იმას თუ გაიტაცებდა რამე, გაიტაცებდა მხოლოდ ნამდვილი და ფხიზელი ცხოვრება და ყოველდღიური ქანც-გამწყვეტი მუშაობა ხომ მსჯელობისთვის და ფუქსავატ ფანტაზიისთვის დროს არ უტოვებდა. მხოლოდ ერთი შეეჩვია, ერთმა ჩვეულებამ გაიდგა მის გულში ფესვები. ხშირად ძა-

ლიან ხშირათ წარსულის მორევში გადასცურდებოდა მოხუცი და იმით ცხოვრობდა, იმით სუნთქავდა და საზრდოობდა; ეს წარსული მუდამ თან სდევდა აწმყოში და აშკარა ენით ელაპარაკებოდა.

წარსულისკენ გადახედვა და მუდამ მისკენ მისწრაფების სურვილი გულჩახურულ ცხოვრების შედეგი იყო, ამნაირ ცხოვრებას უფრო იმიტომ მისდევდა ბიუტნერი, რომ თუმცა ოჯახი დიდი ჰქონდა, მაინც მარტოობას ჰგრძნობდა და, ღვთის წინაშე, ამ მარტოობას თითონვე-კი დაეძებდა. გულისნადების გაზიარება არც იცოდა და არც თუ სურდა. იღუმალ და საჭირბოროტო კითხვებს ვერავის, თავის ღვიძლ შვილებსაც კი, ვერ გაუზიარებდა ხოლმე. მაგრამ გარდაცვალებულ ნათესავებთან კი მუდმივ კავშირსა და სიახლოვეში იყო ხოლმე.

ამგვარ ხასიათს მისი საკვირველი და იშვიათი მეხსიერებაც ხელს უწყობდა. ის ნათლად და აშკარათ წარმოიდგენდა ხოლმე წარსულის ნაცნობ პირებს თუ შემთხვევებს, ისე აშკარათ, რომ კაცს ეგონებოდა—ეს ყველაფერი გუშინ მომხდარაო. მოხუცი საკვირველის სინამდვილით და დაწვრილებით მოიგონებდა არაქც თუ მშობლების ნათქვამს, ხშირად პაპის ნათქვამსაც კი, რომელიც ორმოცდა ათი წლის გარდაცვალებული იყო უკვე. ის დაუფიქრებლივ გეტყვოდათ და არც თუ შესცდებოდა, ამა და ამ წელიწადს რა დღეს დაიწყეს მკა, ან ძროხაში რა მისცეს, ან ამა და ამ თვეში რა ფასად იყიდებოდა ქვეიო.

წარსული ის იღუმალი კუნჭული კი არ იყო მარტო, რომელშიაც სიამოვნებით ჩაიხედავდა ხოლმე მოცილილ დროს მოხუცი, ეს წარსული ხშირად პასუხსაც აძლევდა სხვა და სხვა კითხვებზედ. ბიუტნერს თითქმის არც კი ჰქონდა თავისი საკუთარი ნება, ეს ნება მამა-პაპათა საქმეებთან და იმათ აზრებთან ჰქონდა დაკავშირებული. თითონაც კი ვერ ამჩნევდა ამას, მაგრამ ბიუტნერი დღესაც მოწაწებითა და სასოებით ასრულებდა მშობლების სურვილს, რომელნიც დღესაც ცოცხლებათ ეგულებოდა.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, წარსულზედ ლაპარაკი მაინც არ უყვარდა. თუ სჯასა და საზოგადოდ ლაპარაკს ნათლად არ ექნებოდა განსაზღვრული პრაქტიკული მიზანი, ამ გვარ ლაპარაკს ბიუტნერი სისულელეთ და ფუჭ საქმეთ სთვლიდა. იმისთანა ლაპარაკი, რომელიც გულსა და სულს უმშვიდებს ადამიანს, მაგრამ უმშვიდებს მხოლოდ იმითი, რომ თავის წაღველს სხვასაც უზიარებს ამგვარი ლაპარაკი ბიუტნერს არა სწამდა და ეზიზღებოდა კიდევ და ეგონა, ამგვარი ლაპარაკი ქალებს შეჰფერით და არა ვაჟკაცებსაო.

თუ ვისმე გადუსხნიდა გულსა და აზრებს გაუზიარებდა, ისევ საყვარელ გუსტავს, რომელიც ერთათ-ერთი კაცი იყო, რომელიც ბიუტნერს ახლო და ძვირფას ადამიანად მიაჩნდა. ამას თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა. მოხუცს ეგონა, გუსტავში მამიჩემის სული აღორძინდა და მეორედ მომეველინაო. და მართლაც სახით გუსტავი პაპას ასლი იყო. მაგრამ ამის გარდა გუსტავსა და პაპას ბევრი სხვა თვისებებიც ჰქონდათ საერთო. მინდორში მუშაობის დროს გუსტავს შესცქეროდა მოხუცი და ჰხედავდა რა ენერგიულ ბრძანებას აძლევდა ძმასა თუ დებს და მუშაობით გატაცებული თითონაც არც ერთი საქმეს არ ერიდებოდა. ამ დროს მოხუცი ნება უნებურად თავის მამას მოიგონებდა ხოლმე, რომელიც დღემდის სამაგალითო მეპატრონეთ და მემამულეთ მიაჩნდა. ასე ამ გვარად მოხუცი ბიუტნერი, გულში ჩამარხულ მამობრივ ამპარტავნობას იღუმალ იმედსაც უერთებდა იმ იმედს, რომ ამ შვილის წყალობით ოჯახის საქმეს კვლავ გამოაცოცხლებდა და თუ მოუხავლიანი წინა წლების წყალობით და სხვა მიზეზით ოჯახს წიათი გამოეღია, ეხლა კვლავ წამოაყენებს ფეხზედ და კვლავ ზურგს გაუმავრებს.

ეხლა ზამთარში, როცა სამუშაო იმოდენი აღარა ჰქონდათ, და უმეტესი ნაწილი მოცლოილნი იყვნენ, მოხუცს თავის სუფლად შეეძლო თავის ფიქრებს მისცემოდა.

რა არ აგონდებოდა მაშინ მოხუცს! რაებს არ წარმოიდგენდა და წარსულიდან რას არ გაიხსენებდა?

აგერ, მის წინ მამაა — შუატანის, განიერ მხარ-ბეჭიანი, როგორც ყველა ბიუტნერი წვერ მოპარსული და ქერა თმიანი ვაჟკაცი. მამა ისე აგონდებოდა მოხუცს, როგორც სიყმაწვილეში, ჯანითა და ღონით საესე ახსოვდა. ღმერთო, რა მუშა კაცი იყო! გუთანს ერთი თითით ასწევდა ხოლმე და მოატრიალებდა. მერე რა ჭკუის პატრონი იყო? იმის მოტყუილებას ვერავინ შესძლებდა. აი, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მამაპაპეული საკუთრება, არა თუ შეიღრჩინა, პირიქით, გააფართოვა კიდევ.

ეხლანდელი მესაკუთრის პაპამ მამული სიცოცხლითვე გადასცა შვილსა და თავისთვის „ბებრის“ ნაწილი დაინარჩუნა. მოხუცმა ვეღარ გასძლო ახალ პირობებში ცხოვრება, იმ პირობებში, რომლებიც გლეხობის განთავისუფლებამ და მამულების დაყოფამ გამოიწვია. ბატონყმობის დროს ის მუდამ ბატონებისთვის მუშაობდა და მარტო იმისთვის ჭეიქრობდა, სანაცვლოდ ბატონიც ზრუნავდა ყმისთვის. ჯერ სიყმაწვილითვე ტრაუკოტის პაპა სამი წელიწადი კარის კაცად იყო ბატონთან და მერე ხომ ბატონის ბრძანებითა და სურვილით თანამდებობა ცოტა არ გამოიცვალა. მან მთელი სიცოცხლე მონური გრძნობებით და ფიქრებით გაატარა. იმის აზრით, პირველი ადგილი ყველაფერში ბატონის სამსახურს ეჭირა. ბატონს რომ მოესურვა, ერთ მშვენიერ დღეს ცალიერზედ დასვამდა და იმის მამულში სხვას ჩააყენებდა. ბატონსვე ეკუთვნოდა უმაღლესი ადმინისტრაციული უფლებანი: როცა მოინდომებდა, დასჯიდა და თუ კარგ გუნებაზედ იყო, დააჯილდოვებდა, ის სრული უფალი იყო იმის სხეულისაც და მამულისაც.

ყველა ეს ეხლა უცბათ გამოიცვალა. გლეხი დღეს განთავისუფლდა და თავისს საკუთარ მიწაზედ თავისთვინვე მუშაობდა, მაგრამ თუ გლეხის მოვალეობანი გააქარწყლეს და გაანადგურეს, სანაცვლოდ აღარც მებატონე იყო ეხლა გლეხის მფარველი. ბევრი გლეხი, მით უმეტეს ხნიერნი, ამ ცვლილებას ვერას გზით ვერ შესჩვეოდნენ. ან რაში ეკნაჭებოდათ ეს რაღაც

თავისუფლება იყო? იმათ ოჯახებს დასაბამითვე ბატონების მბრძანებლობის და ფრთის ქვეშ ეცხოვრათ და ყმურად ცხოვრებას თუ ფაქრს დაჩვეულნი იყვნენ კიდევ.

ანდაზისა არ იყოს: „დაჩვეულს ნუ გადააჩვევო და დაუჩვეველს ნუ დააჩვევო“ — თავისუფლება და თვითმოქმედება მათთვის უაზრო და ყოვლად უმნიშვნელო სიტყვები იყვნენ. იმათ ისე უნდოდათ ეცხოვრათ, როგორც იმათ მამა-პაპას ეცხოვრა. მართალია, ბატონი იმათი შრომითა და ოფლით სარგებლობდა და იქნება ხანდახან მეტსაც თხოულობდა, მაგრამ სანაცვლოდ იმათ მაგიერ რომ ჰფიქრობდა და გაჭირების დროს დახმარებას უწევდა? ის თუ შველოდა, ამას საკუთარი სარგებლობითაც სჩადიოდა: გლეხები იმის საკუთრებას შეადგენდნენ და უამთოდ თავის საქმეებიც ხომ უკუღმა წაუვიდოდა. ეხლა-კი გლეხებმა თითონ უნდა იფიქრონ თავის თავისთვის და თითონ იხეთქონ თავები. მართალია, თითონა სდგანან ეხლა ფეხზედ, მაგრამ ყოველ ნაბიჯის პასუხსაც რომ თითონ აგებდნენ. ბევრნი, ძალიან ბევრნი უჩიოდნენ ამ ახლად მოძღვნილ თავისუფლებას და დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით წამოიდგამდნენ ისევ ყმურ კურტანს ზურგზედ.

სწორედ ეს დღე ადგა მოხუც ბიუტნერსაც. ამას ცოტა მწარე და მძიმე დღე არ ენახა. გაღბენაუხედ ორჯელ გაიარეს ფრანგებმა და ქვა-ქვაზედ აღარ დააყენეს, საწყალი გლეხები სულ მთლად გასძარცვეს და გაყვლიფეს. რაც იმათ გადაარჩათ, ის ყაზახებმა იმსხვერპლეს, იმ ყაზახებმა, რომელნიც შეგობრებათ იყვნენ მოსულნი, მაგრამ მტერზედ უარეს დღეს აყენებდნენ გლეხებს. ყაზახებზედ, როგორც ღვთისგან მოვლენილ უბედურობაზედ და საშინელ სტუმრებზედ, იმის შემდეგაც კი ხანი ლაპარაკობდნენ ამ ადგილებში. მტრის შემოსევას ზედ მოუსაველობა და საშინელი სიმშოლობა მოჰყვა. ბევრმა გლეხმა მიანება მაშინ თავის მიწა-წყალს თავი და ზოგი ისევ ბატონს შეეხიზნა, ზოგი ქალაქს გავიდა, რომ რამე ეშოვნა და მშვიერი კუქი რამეთი ამოეყარა. ისინი აშკარათა ჰხედავდნენ, რომ თუ შინ დარჩებოდნენ, სიმშლით სიკვდილი არ ასცდებოდათ.

იმ დროს გლეხის უპატრონო დატოვებული მიწა-წყალი ბევრი მიისაკუთრეს მებატონეებმა. აი, ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ ბიუტნერების მამულის პატრონს გაეხარდა კიდევ, როცა გამიჯვნის დროს მამულის მესამედი მებატონეს ერგო. შვილი რომ გვერდში არა ჰყოლოდა, ტრაუგოტტის პაპა ძლიერ მეზობელს, რომელიც მფარველიდან მოქიშპეთ ქცეულიყო დღესა, სრულიად გააძევებინებდა კიდევ თავის თავსა.

ლებერესტ ბიუტნერი კი მამას არა ჰგავდა, ის ახალი დროის შვილი იყო. იმას გასანთავისუფლებელ ომში მიეღო მონაწილეობა და გრენადერთა რაზმშიც ემსახურნა. საფრანგეთში ორჯერ იყო, საიდანაც გამოცდილი და თავისი ღირსების და თავისუფლების პატივის მცემელი დაბრუნდა.

დაბრუნების შემდეგ მალე გადიქცა სრულ მეპატრონეთ და მამულის მესაკუთრეთ. მამა სულელი არა ჰყავდა და მალე მიხვდა, რომ ასპარეზი ახალი ძალისთვის უნდა დაეთმო და თითონ გვერდზედ მიმდგარიყო, იმან მთელი მამული სიცოცხლითვე გადასცა შვილსა. მაგრამ პირობა ჩამოართვა, წელიწადში ამდენი და ამდენი ფული მაძლიეო. ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ უცხოვრნია მოხუცს.

ჩვეულების ძალით მოხუცი მაინც დადიოდა მინდორში სამუშაოთ და ღვიძლ შვილთან თითქმის პუშის ადგილი ეჭირა. ბიუტნერების მამულის ეხლანდელ პატრონს მშვენივრათ ახსოვდა თავისი პაპა. პატარა, წელში მოღუნული, წითელ ცხვირა და წითელ წამწამიანი ბებერი თითქოს ეხლაც თვალწინ უდგა. ქალარა, დროთა ვითარებისაგან გაყვითლებული თმა გრძელ ნაწნავებათ ეკიდა კისერზედ, კვირაობით თითქმის ყოველთვის კოჭებადნინ გრძელ ლაქვარდ სერთუკს და ქროლა ჟილეტკას იცვამდა ხოლმე. ხშირათ, ძალიან ხშირათ მოხუცებულის, აცახცახებულის ხმით შვილის-შვილებს ფრანგების შემოსევისა და ყაზახების სტუმრობის შესახებ გულის შენზარავ ამბებს უამბობდა ხოლმე.

ლებერესტ ბიუტნერმა ჩინებულად მოიხმარა ახლად ნაჩუქები თავისუფლება, რომლის მოხმარება მამას ვერასგზით ვერ

მოეხერხებინა. საუკუნის დასაწყისის მეურნეობის წინსვლა, ის აზრი, რომ საჭიროა უკეთესად დამუშავებული იყოს მიწა, ახალი მცენარეების გაცნობა, — ყველა ეს ნელ ნელა გზას იკვლევდა გლეხობაში და მამაპაპურ ჩვეულებებს ძირს უთხრიდა. საერთო საძოვარი, მინდვრების დაყოფა-დინაწილება, საქონლის საძოვრათ გამოყვანის უფლების შეზღუდვა, ყველა ეს გლეხობას ძალას ატანდა უკეთესი დამუშავებისთვის მიეყო ხელი და ბუნების ძალნი უფრო გონივრად მოეხმარა.

რაკი საძოვარი მინდვრების ადგილი დღეს ბაგამ დაიჭირა, უწინ ფუქსავატათ ჩავლილი პატივი დღეს შეიძლებოდა ნიადაგის გასანოყიერებლად ეხმარათ. გლეხობა იძულებული შეიქნა საკვები ბალახები ეთესნა და უწინდებურათ მიწის სამ ნაწილათ დაყოფვისთვის და მიწის შესვენებისათვის თავი დაენებებინა. ამას კვალ და კვალ სათიბი მინდვრების გაუმჯობესებაც და მიწის უფრო ღრმათ მოხვნა თან მოსდევდა.

გალბენაუში ყველაზედ უწინ ლებერებტ ბიუტნერმა დაანება მიწის ძველებურ დამუშავებას თავი, ეხოში ვეცებრთელა ორმო ამოსახარა პატივის შესაწახთ და საქონელს მუდამ ბაგაში ჰკვებავდა; მაგრამ მაინც ვერ ითქმოდა ლებერებტზედ ახალი წესების დიდი მიმდევარიყო. გლეხურ კონსერვატიულ ხასიათიდან მხოლოდ ერთი რამ შეიჩინა ლებერებტმა — ზომიერება და სიფრთხილე ყველაფერში. გლეხური ხერხიანობა მუდამ ურჩევდა, ჯერ მიეხედ მოეხედნა, მოეცადნა, სანამ სხვა ვინმე გამოიღებდა ცეცხლიდამ წაბლებსა და ისეთი არა შემოელო-რა თავის სახლ-კარობაში, რაც სხვას გამოცდილი ჯერ არ ჰქონდა, და მერე კი მოთავით ფრთხილად გაჰყოლოდა უკან. დიდის სიფრთხილით და დაკვირვებით შემოიღო ლებერებტმა ახალი ჩვეულებები. ის დღევანდელ კვერცხს ჰკმარობდა, მაშინ როდესაც სხვანი ქათმის დაქერას სცდილობდნენ.

და არც ბედი ჰქალაქობდა, ღვთის წინაშე. პურის ფასმა უცბათ იმატა, თუმცა შთელი ათი წელიწადი ფასი ძალიან დაკლებული იყო. გაყიდვა-გასაღებაც უფრო ადვილი შეიქმნა გზების გაუმჯობესების და გაყვანის გამო. ცხოვრების აღფრ-

თოვანებამ და ხალხში თვით-ცნობიერების გამოღვიძებამ პატარა კაცი-ბიუტნერიც გაიტაცა და თავისს მორევში ჩაიყოლა. ლებერებტი ბიუტნერი ჩინებულ დროს იყო დაბადებული, რაც იმის ბედნიერებას შეადგენდა და ის კი, რომ ამ დროთი ისარგებლა, ეს იმის ალღოს აღების ნიჭისა და უნარის შედეგს შეადგენდა. ის იმისთანა დროს ცხოვრობდა და მოქმედებდა, როდესაც მეურნე თუ მოახერხებდა მუშაობას, ბაჯალლო ოქროს ამოიღებდა მიწიდან.

ასე, ამ გვარად, სიღარიბიდან გამოსული ბიუტნერი შეძლებულ კაცად შეიქნა. ლებერებტმა სხვის მამულის შესყიდვაც კი მოახერხა, თუმცა მეზობელი მებატონე როცა კი მოახერხებდა, პატარ-პატარა მამულებს თითონ იძენდა. ამ შედეგით თავიანთი მამული იმ საზღვრემამდის მიიყვანა, რომლებშიც გლეხების განთავისუფლებამდის იყო. ის მამული, რომელიც ბატონყმობის დროს ცოტა რამეთი თუ სჯობდა გავერანებულ მიწას, ეხლა შრომისა, ბეჯითობისა და ცოდნის წყალობით საუკეთესოთაგანს წარმოადგენდა ამ ადგილებში.

ლებერებტი ბიუტნერი ჯერ ისევ ყმაწვილი მოკვდა. საზოგადოთ ყველანი, ვინც შრომის და მოქმედების სურვილით არიან გატაცებულნი, სიკვდილზედ ძალიან ცოტასა ჰფიქრობენ ხოლმე. ისე ამ შორს გამქვრეტელ ადამიანსაც არავითარი ანდერძი არ დაეტოვებინა. მისი უფროსი შვილი ტრაუგოტტი მამას დაემსგავსა. მამისა ტრაუგოტტს შრომის მოყვარულობა, ზასიათის სიმტკიცე და ბეჯითობა დაჰყვა. მაგრამ ტრაუგოტტსაც ის ბედი ეწია, რომელიც თავისებური მამების შვილებს ეწევათ ხოლმე: მამამ საკუთარი არაჩვეულებრივი პიროვნების წყალობით შვილის პიროვნება დასჩაგრა და დაჩრდილა. ლებერებტი სავსეთ სცხოვრობდა და ძლიერი ბუნების ეგოიზმის წყალობით არასოდეს არ გაუფიქრია, რომ იმისთანა კაცის ჩრდილში, როგორიც თითონ იყო, პატარა ბუჩქი ვერ იხერებდა და საღათ ვერ დარჩებოდა. თავის განსაზღვრულ ნაწილში, ლებერებტი სრული უფალი და ბატონი იყო. მთელი ოჯახი დაჩვეული იყო იმას, რომ გაჭირვების დროს მამას ეფიქრნა

მათთვის და იმას ეხეთქნა თავი. ლებერესტმა ყველანი ხელში დაიჭირა, თავის საკუთარ მამიდამ მოყოლებული, რომელიც შვილის სიახლოვით თითქოს გახუნდა და თავისი პიროვნება დაჰკარგა და გათავებული შვილებით, რომლებიც მერეც კი არ გაუშვა ხელიდან, როცა სრული წლოვანნი შეიქმნენ. ამნაირად აღზრდილ ტრაუგოტის ხასიათი, რასაკვირველია, თავისუფლად ვერ განვითარდებოდა და მამის ღირსებანი შვილს ნაკლულევანებად შეეცვლებოდა. ლებერესტი თუ ფრთხილი იყო, ტრაუგოტტი ურწმუნო შეიქმნა. მაშინ როდესაც მამა შორს გამჰკრეტელი, ანგარიშის მოყვარე კაცი იყო, შვილი ძუნწი და წვრილალი კაცი გამოვიდა. მამის კონსერვატიული შიმართულება გონებისა და აზროვნების სივიწროეთ შეეცვალა შვილსა და მამის ენერგია შვილს ჯიუტობად და თვითნებობად გადაექცა.

მაგრამ ერთი რამ სრულიად არ გადასულა შვილზედ — ეს იყო ბედი, რომელიც მუდამ ჰლალოტობდა ჯკანასკნელს.

სწორედ ლებერესტზედ შეიძლებოდა კაცს ეთქვა, ქუდბედი თან დაჰყოლიაო. ის სწორედ იმ დროს გამოვიდა ასპარეზზედ, როცა მამის მამული უნდა შეერჩინა, დაეფარა და სხვისა ხელისგან დაეხსნა; ლებერესტი რომ მომწიფდა, ეს ის დრო იყო, როცა მოქმედება და შრომის მოყვარეობა ფუჭად არავის ეკარგებოდა. შვილი კი სულ სხვა დროს დაიბადა, როცა ცხოვრების პირობები სულ ერთიანად შეცვლილნი იყვნენ. მართალია, მამისაგან დიდი და მშვენივრად დამუშავებული მამული გადავიდა შვილზედ მაგრამ მეტის-მეტად ძნელ პირობებით ჩაიგდო ხელში! გაყოფის დროს ნათესავებმა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს ტრაუგოტტი, რომელშიც მომავალი უბედურების თესლი თავდაპირველადვე დაბუდებული იყო. ეხლა ყველაფერი ახალ პატრონზედ და იმის ბედ-იღბალზედ იყო დამყარებული. გასაჭირიც მალე დაატყდა ტრაუგოტტს და გამოაშკარავდა, რომ მის დასაჯანად იმას საჭირად ძალია არ მოსდევდა — ეს ის დრო იყო, როცა პურის ფასმაც და წლიურ შემოსავლებმაც იკლეს, მუშა ხელი გამძვირდა და შეწერილი

ხარჯი და გადასახადები დღითა-დღე მატულობდნენ. ყოველი საქმე, რაც შეიძლებოდა, მალე უნდა დაბოლოვებულიყო, ფული მალე უნდა დატრიალებულიყო და სესხის პირობები კი თან და თან ძნელდებოდა. ისე გადიხლართა და ისე გადირია ყველაფერი, რომ მარტოოდენ გონივრება საკმარისი აღარ იყო საქმის საწარმოებლად. მოთხოვნილებანი ყველაფერში იზრდებოდნენ. ძველებური წესი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებს მთელი თავისი შემოსავალი ბაზარზედ გაჰქონდათ გასასყიდათ და ამით აღებული ფულით სარგებელსა და გადასახადებს ისტუმრებდნენ და რაც რჩებოდათ, იმითი მთელი წელიწადი საზრდოობდნენ, ეს წესი დაძველდა და უვარჯისი შეიქნა. ახალი ყაიდის გლეხი გაზეთს იწერდა, მეურნეობის წიგნებს ჰკითხულობდა, ბირჟისა და ტაროსის შესახებ ცნობებს თვალს ადევნებდა. მაგრამ, რასაკვირველია, ამგვარი ხალხი თავის-თავს გლეხებს კი აღარ, „ეკონომისტებს“ უწოდებდა და იმათი შეილები სალდათობას აღარ სჯერდებოდნენ და აფიცრობას ეპოტინებოდნენ.

ტრაუგოტტი ბიუტნერი ძველებურ წესსა და ჩვეულებებს მამასავით ეკიდებოდა მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ლებერებტი არასოდეს არ შეუბრუნებდა ზურგს თუ ახალ საქმეში ან დაწყობაში რამე კარკს ან სასარგებლოს დაინახავდა. ტრაუგოტტი-კი ამას არ სჩადიოდა, რადგან არც ესმოდა თავისი დრო და არც თუ უნდოდა მისი გაგება. იმას სულითა და გულით ეზიზღებოდა ყოველი ახალი საქმე და ამიტომ არცა ჰფიქრობდა ახალი წესების შემოღებას. ის ზიზღს და სიძულვილს უცხადებდა ახალ ცხოვრებას და იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ ეს ცხოვრება ასწრობდა, წინ მიდიოდა და ტრაუგოტტი ბიუტნერს ზურგს უჩვენებდა. ტრაუგოტტი თავისვე ბუნებაში ჩაიკეტა და შემწეობას, დახმარებას საკუთარ ჯიუტობაში ჰპოვებდა და სულს „ჩინებულ ძველებური დროის“ მოგონებით ითქვამდა, თუმცა და ეს „ჩინებული ძველებური დროც“ თავის დროზედ ახალი და მოწინავე იყო.

ცხადია, ხანდახან იძულებული შეიქნებოდა ხოლმე იმ სინათლისათვისაც შეეხედნა, რომელსაც ასე ჯიუტად ზურგს

აქცევდა და რაც უფრო იშვიათად მოუხდებოდა ამ სინათლის ყურება, მით უფრო ძლიერ სჭრიდა ხოლმე ეს სინათლე თვალსა. ამისთანა შემთხვევებში ბიუტნერი უცბათ გამოვიდოდა ხოლმე თავის განმარტოებისაგან, აჩქარებით და გაფაციცებით მივარდებოდა საქმეს და, რასაკვირველია, შეცდომებსაც ცოტას არ მოიყვანდა ხოლმე. თუ ნამუშავერის შიდადგი დაუმტკიცებდა, რომ ისე არ მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, კვლავ ჩაიხურავდა გულსა და გაუმჯობესების ახალი წესების წინააღმდეგი გახდებოდა ხოლმე. მაგრამ მიუხედავად ამისა გულის სიმწვიდეს მაინც ვერა ჰპოულობდა, ჰკარგავდა საკუთარის თავის რწმენას და, სევდიანი, ისევ თავის შავ ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე. გარეგნობით კაცს ეგონებოდა, ეს კაცი არას გზით და არასოდეს არ გადუხვევს თავის რწმენას, აზრს და შეხედულებას და უფრო დიდის სიამონებით და კმაყოფილებით ხელს, თავს მოიკვეთს, ვიდრე რაიმე შეცდომაში გამოტყდებოა, მაგრამ ნამდვილად კი ასე არ იყო.—გულში ხშირათ, ძალიან ხშირად ამტყუნებდა ბიუტნერი თავის-თავს, თუმცა სხვას არავის გამოუტყდებოდა ამაში. მაგრამ ეს გრძნობა არც მონანიება და არც შეცდომის გასწორების სურვილი არ იყო. მისი გლახური კისერი მეტის მეტად გაქვავებული იყო, რომ ვისმე ან რისიმე წინ მოხრილიყო; იმას არ უყვარდა თავისი თავის ცოდვილად ან შეცდომილად აღიარება. ბიუტნერმა სარწმუნოებაც ახალი, თავისებური შეთხზა, რომელიც რომელსაღმ მართმადიდებელ ღვთისმეტყველს იქნება კერპთათაყვანისმცემლობათაც კი ჩაეთვალა. იმასა და ღვთის დამოკიდებულებას საფუძვლად უბრალო ხელშეკრულობა ჰქონდა, რომელსაც მიზნათ და სარჩულად მხოლოდ სირგებლობა ედო. გლახის აზრით, ზეციერი მამა მოვალე იყო ქვეყნიურ ცხოვრებისთვის და რიგისთვის თვალ-ყური ედევნებინა, რომ ზამთარ ზაფხულს თუ შემოდგომასა და გაზაფხულს თავისი საზღვრები ჰქონოდა, კარგი დარი მდგარიყო და მოსავალი ცუდი არ მოსულიყო. ეკლესიაში სიხარული, ზიარება, ეკლესიის სასარგებლოთ ფულის, შეკრება თუ ლოცვა-ლაღადება ყველა ეს მსხვერპლი იყო

რომელიც ადამიანს ღვთის გულის მოსაგებათ და მოსაღბი-
ლებლად მოჰქონდა. თუ დიდი ხანი გასტანდა ავდარი, ან
ცუდი მოსავალი მოვიდოდა, გლეხი შემოქმედს უწყობდა,
სანამ ის შეცდომას არ გაასწორებდა. მონანიებას არავითარი
მნიშვნელობა არა ჰქონდა მისთვის. საიქიოს ცხოვრებაზედ
ძალიან ცოტას ან და სულ არაფერს არა ჰფიქრობდა, რადგან
მთელი თავისი გულით და სულით მიწას და მიწერ ცხოვრე-
ბას ეკუთვნოდა. მღვდლის სამებაზედ, მაცხოვრის ჯვარცმაზედ
და სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვაზედ ლაპარაკს—თუმ-
ცა გულის ყურით ისმენდა, მაინც ამისთანა სიტყვები გლეხის
სინილისსა და გულს სრულიად არ ეხებოდნენ და, რასაკვირ-
ველია, არც მოქმედობდნენ მასზედ. ამგვარი კითხვები არც
ესმოდა იმას და ვერც შეეგნო ვერასგზით. ყველა ეს ან პრო-
ფესორების ან ნასწავლი სტუდენტების მოგონილი იქნებაო,
ჰფიქრობდა გლეხი. იმას თავისი საკუთარი და თავისებური
შეხედულობა ჰქონდა ღმერთზედ. იმას ნათლად ჰქონდა წარ-
მოდგენილი თავისა და უზენაესის შორის რა დაპოკიდებულე-
ბაც უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, არც შუა კაცები
უნდოდა. ხანდახან, როცა დღის სისხამზედ მინდორში შეხე-
დებოდა განთიადს და უზარმაზარი, თვალგადაუწვდენელი მინ-
დორი უცბათ თითქოს რაღაც არაჩვეულებრივის სხივებით
განათდებოდა, გლეხი შემოქმედის სიახლოვეს იგრძნობდა, ქუდს
მოიხდიდა და პირჯვარს გადისახავდა ხოლმე. თუ ვინიცობაა,
იმის მინდორსა და სახლზედ ჭექა-ქუხილი და ელვა ასტყდე-
ბოდა, მაშინ უზენაესის ყოვლად შემძლებლობას და ძლიერე-
ბას წარმოიდგენდა ხოლმე. თუ ხანგრძლივ გვალვას მოსავ-
ლისთვის ნეტარი და ჟესაქიროესი ნამი მოჰყვებოდა, გლეხი
ჰფიქრობდა, თვით ღმერთი ჩამოეშვა ზეციდან და თან კურთ-
ხევა და მადლი მოიტანაო. ამ გვარ წუთებში გლეხი კრძალუ-
ლი გრძნობებით ივსებოდა ხოლმე. მაგრამ ამ შემთხვევებს
გარდა გლეხი არასოდეს არ აძლევდა თავის თავს ნებას გრძნო-
ბებს აპყლოდა და არც თუ ლოცულობდა ხოლმე. საღამო-
ობით პირველ ხარის ჩამოკვრაზედვე ძველი ჩვეულების ძალით

ქედს მოიხდიდა და „მამაო ჩვენოს“ წაიკითხავდა ხოლმე. ეს იყო და ეს. მთელი კვირის პასუხის მგებელი კვირის წირვა უნდა ყოფილიყო.

რაც უფრო ხანში შედიოდა გლეხი, უფრო ღრმად და მაგრა იკეტავდა გულის კარს და ქვეყნის თუ ხალხის სიძულვილით მოცული გულს ითხრობდა. და რაც უფრო მეტსა სცხოვრობდა განდევილათ, უფრო ძლიერ უნდებოდა სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლის განგრძობა, რომ როგორმე მისი პირადობა შენახულიყო, და მისი ხსოვნა ისევე მალე არ აღგვილიყო დედამიწის ზურგიდან, როგორც ფეხთა ნატერფალი აღიგვება ხოლმე მიწაზედ. ეს გრძობა და ეს სურვილი ყველა კაცს უღვივის გულში და გლეხი ამით არავისაგან არ განსხვავდებოდა. ჩვილი ბუნებისა და ღმობიერი გულის პატრონი რომ ყოფილიყო, ხსნას კიდევ სარწმუნოებაში იპოვნოდა. მაგრამ ბიუტნერი სასტიკი და ფხიზელი ხასიათის კაცი იყო, როგორც ყველა გლეხი; ყოველი მისი აზრი და გულის თქმა აწმყო, მიწიერ ცხოვრებისაკენ იყვნენ მომართულნი. ამიტომ არა სთვლიდა დიდ ბედნიერებათ ქრისტიანულ ეკლესიის დანაპირებ სამოთხეს და საიქიოს მარტოოდენ სულიერი სიხარული და ბედნიერება გლეხის გულსა და სულს ვერ იზიდავდა. იმას სულის ცხონება კი არ უნდოდა, იმას უნდოდა ეს საქაო ცხოვრება განგრძობდა. გლეხი ნამღვილი შვილი იყო მიწისა. კარგი იქნებოდა რაც გააკეთა და რასაც ესწრაფებოდა ამ წუთი სოფელში, ის განგრძობილიყო.

ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, იმაზედ ძლიერ არა ეწყინებოდა-რა გლეხს, თუ თავის საქმეს ან იმას, რასაც ჯანი და გონება შეაღია, დაქვეითებულს და გაფუჭებულს ნახავდა. ის ცხადათა ჰხედავდა, რომ ყველა მხრიდან ვიღაც მტრები ეხვეოდნენ და უძვირფასეს განძს, მამისაგან მიღებულ მამულს ხელიდან ჰკლევჯავდნენ. ამოდენა დარდსა და ვარამში ერთი რამ იყო კიდევ, რაც გულსა და ღვიძლს უღრღნიდა და უფლითავდა: ერთმა წვეთმა ნაღველმა ისედაც ძიმწარით სავისე ფაღალა უფრო გაუმწარა და სიცოცხლე უფრო მოუშხამა. ეს

წვეთი იყო თავისი თავის მუდმივი საყვედური თუმცა არ უნდოდა გამოტეხილიყო, გულის სიღრმეში კი მაინც ის ფიქრი, რომ ყველაფერში დანაშაული იმას მიუძღვას, ეს ფიქრი გულს უდაგავდა და უმწარებდა. მაგრამ ამგვარი ფიქრები ხანდისხან მხოლოდ წუთობით ეწვეოდნენ ხოლმე. იმან იცოდა თავის გამამტყუნებელი და მამხილებელი გრძნობის ჩაქრობა და ჩაჩუმება. ოჯახის დაქვეითებაში იმას რად უნდა მოუძღოდეს დანაშაული, ყველა ეს ცუდი დროის, პირობების და გარემოების ბრალია! მთელი ქვეყნიერების სიძულვილში ჰპოვებდა კიდევ შვებასა და ნუგეშს; ამ ჯიუტ ადამიანს, რომელსაც გამოტეხისა და მონანებისა როგორც სიკვდილისა ისე ეშინოდა, ბრაზი და გესლი კარგ სამსახურს უწევდნენ, იმათის შემწეობით თავის თავს უფრო ნაკლებად ამტყუნებდა.

მაგრამ მოხუცს მართალი, ნამდვილი ნუგეშიცა ჰქონდა, რომელსაც საშინელის ძალითა და ღონით ებლაუქებოდა და უნდოდა მაგრა მოსკიდებოდა. ეს ნუგეში იყო მისი შვილი გუსტავი. თუ ვინმე ისწინდა კიდევ, ამას მხოლოდ გუსტავი თუ შეძლებდა. ახალგაზდა კაცს ამისთვის ძალაც მოსდევდა და უნარიც. გუსტავმა მოხუცს მამა ლებერეხტი გაუცოცხლა და მეორედ მოევილინა.

ივ. ზალუქმანდვინოვი.

(შემდეგი იქნება)



ცრემლი სინანულისა

ემილია ზანდო ბაზანისა*)

როდესაც ჯვარცმულმა და მაშვრალმა ქრისტემ ამოიკვნესა — „ღმერთო, ღმერთო, რისათვის მიმატოვე მე?“ — თვალცრემლიანი მარიამ მაგდალინენი ჯვარს ეამბორა და სიბრალულით და სიყვარულით გამხნევებული წყლის მოსატანად გაიქცა.

მარიამ მაგდალინელმა იცოდა, რომ გოლგოთის ახლოს კლდეში წყარო გამოდიოდა, ყინულივით ცივი, წმინდა, ანკარა. ჯვართან მდგომ ხალხში ერთს იერუსალიმელს სურა სთხოვა და წყაროსკენ გაეშურა. სევდით მოცულს გულს ერთს წამს სიხარული მოეფინა — ცივს წყალს მივართმევ და წამებულს გულს გავუგრილებო. სურა გაავსო, მსწრაფლ დაბრუნდა და ბევრის ხვეწნის შემდეგ ნება მიიღო დარაჯთავან, წყალი დაეღვეინებინა იესოსთვის. ქვაზედ შედგა და უკვე ფერმიხდილს ბაგეს მიაღო სურა... თავი გაიქნია ჯვარცმულმა, სურა მოიშორა და ჩუმი, თითქმის გაუგებარი, ხმით ბრძანა: მწყურის!

სიყვარულის შთაგონებით, — რადგან, მერწმუნეთ, არააა გაუგებარი ქალისთვის, რომელსაც ჭეშმარიტად უყვარს — მაგდალინელმა იგრძნო, რომ იესოს სხვა სასმელი სურდა, უკეთესი, ვიდრე უბრალო წყაროს წყალი, და გარდასწყვიტა

*) Emilia Pardo Bazan. la soif de Christ.

იმისი შოვნა. იერუსალიმისკენ გაიქცა. გზაში მოაგონდა, რომ იროდის სახლთ უხუცესი, შარშან რომ ეარშიყებოდა, ფალერნის ღვინოს ასმევდა, ძველს, ცეცხლივით მაგარს, თაფლივით ტკბილს ღვინოს, რომლის ერთი წვეთი წამოაყენებდა მკვდარს. ხვეწნით-მუდარით მიმართა უწინდელს თავის მოტრფიალეს მაგდალინელმა და გამოართვა ძვირფასი სასმელი. ჯვართან მივარდა გახარებული, ღვინო მიართვა, მაგრამ იესომ ზიზლით გაიქნია თავი, სუსტად, უღონოდ ამოიკვნესა და ჩუმად ბრძანა: მწყურის!

საშინელობა ფიქრმა გაუარა მაგდალინელს: ცოდვილი ვარ და იმიტომ ვერ მოვუკალ წყურვილიო. მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, სამარცხვინო და დასაგმობი ყოფა-ცხოვრება; მოაგონდა ერთი დიდებული რომაელი, ეპიკურის მიმდევარი, ჰორაციოს ლექსებით გატაცებული, თვითაც პოეტი, ტურფა მაგდალინელის სიყვარულით გაგიჟებული; მოაგონდა იმისი ნაამბობი ოლიმპი, ღმერთთა ქეიფი, უკვდავების წყალი-ნექტარი, რომელიც ციურს ნეტარებას შესძენს მაშვრალს და მკვდარს გააცოცხლებს. თითქო რაღაც საიდუმლო ძალმა აიტაცაო,— იქნება იმავ სატანისამ, რომელიც ამ ცოდვილს დაკავშირებოდა, რომ ერთხელ კიდევ ეცადნა და ქრისტე მომაკვდავი შაინც დაემორჩილებინა,— წარმოუდგენელი სისწრაფით გადაფრინდა მაგდალინელნი სადღაც შორეულ ქვეყანაში და ერთს მთაზედ დაეშვა; ღმერთთა სადგომი უნდა ყოფილიყო აქ გაშენებული წალკოტი, ზეთის ხილით, დაფნით და აყვავებული ფორთოხლით შემკული; ჰაერი სავსე იყო ყვავილთა სუნნელებით და ნაკადულთა ტკბილი ღუღუნით. კობტად აგებულ პატარა ტაძრიდგან ყმაწვილი კაცი გამოვიდა, მშვენიერი, წარმოსადეგი; წინ მიეგება ტკბილი ღიმილით და ოქროს ფიალა მიართვა სასმელით სავსე. გახარებულმა მარიამმა გულში ჩაიკრა ფიალა. დარწმუნებული იყო, რომ ამის დაღვევა და

ყოველი ტანჯვის განქარვება ერთი უნდა ყოფილიყო. არა თუ ნექტარი, მის სუნნელებაც კი საკმარისი იყო მაშვრალის მოსასულიერებლად და გასახნევეებლად. მოდიოდა მაგდალინელი და უცნაურს სიამოვნებას გრძნობდა: ბუნებას მაისის ელფერი დასდებოდა, მზის სხივს სინათლე მიმატებოდა, ჰაერი სიტკბოებად გარდაქმნილიყო. მაგრამ გაუცრუვდა იმედი: ჯერ არც კი შეხებოდა ფიალას იესო, რომ უკვე მომაკვდავს და ტანჯვისაგან დაშლილს სახეზედ ზიზღი დაეტყო, ფიალა ძირს დავცა და მაწაზედ დაიქცა ღმერთთა სასმელი.

ახლა უფრო მწარედ იგრძნო მაგდალინელმა სირცხვილი თავის წარსულისა: უცბად წარმოუდგა თავისი დასათრგუნო ცხოვრება, უკეთურობა, მრუშობა, რადგან დაუფიწყარნი არიან ცოდვა და ბიწიერება და ყოველთვის თან სდევენ ადამიანს მის დასასჯელად. ქრისტეს მოძღვრებას უკვე გაეტაცნა საწყალი ქალი, მაგრამ თითონვე ხედავდა, რომ ეს არ კმაროდა, და საჭირო იყო მონანიებით განსპეტაკებულიყო და წარსულისაგან განწმენდილიყო. იმედმიხდილი, სასოწარკვეთილი იდგა მაგდალინელი და არ იცოდა, რითილა შეიძლებოდა იესოს წყურვილის მოკვლა. ფალერნის ღვინო არ ინება წამებულმა, ღმერთთა სასმელი დაიწუნა, რომლის წვეთი ცათაშინა აიტაცებს ადამიანს... იქნება სხვა სასმელი სურდეს, სასმელი გაშმაგების და შურისძიებისა? იქნება დამშვიდდეს ჯვართცმული, სისხლი რომ დალიოს იმ ჯალათისა, რომელმაც ჯვართაცვა და სისხლი აღინა? ამ ფიქრით გატაცებული მარიაში ერთს დარაჯთაგანს მიუახლოვდა, იმ დარაჯს, რომელმაც იესო მასხარად ააგდო და ჯვარზედ „ინმი“ დააწერა; თავისებურად ძველებურად გაუცინა, თვალი უყო, გოლგოთიდან მიყრუებულს ალავს ჩაიყვანა და ალერსში თავდავიწყებულს იმისივე ხანჯალი ჩასცა გულში. თბილს სისხლს ღრუბელი შეუშვირა და იესოს მიართვა. სწორედ ამ დროს მოხდა რომ თავით ფეხამდე შეინძრა ჯვარზედ იესო და მალალი ხმით დაიძახა: მწყურის!

მუხლი მოეკვეთა მარიამს, იქვე ჯვართან ჩაიჩოქა, ხელებს იმტვრევდა გამწარებული, გაშლილ თმას, ხორცს იგლეჯდა. განა ამოდ ჩაუვლიდა ამოდენი ცდა, უსამძღვროდ ცოდვილი რომ არ ყოფილიყო, განა ამოდენ ზიზლით უარჰყოფდა იესო მის წადილს, ასეთი უწმინდური რომ არ ყოფილიყო? შერცხვენილი, თავლაფდასხმული, ქვეყნის სათრევი? ის არ იყო, რომ მთელს ღამეებს ღიზინში და დაუსრულებელს მრუშობაში ატარებდა, ხორციელს ნეტარებაში? ის არ იყო, რომ ამ ქვეყნად თავისი ჟინის მეტი არა სწამდარა და სიბრალული და კაცთმოყვარეობა სისულელედ მიაჩნდა? ის არ იყო, რომ სუფრა საგანგებო საქმელ-სასმელით უხვად ჰქონდა მოფენილი, ფულით სავსე ჰქონდა სახლი, ძვირფას ღირებულთა და იარაღთა, სირიულს ხალეზზედ განისვენებდა და ადამიანის განკითხვა კი ფიქრადაც არ მოსდიოდა? რამდენჯერ უნახავს კართან მოგროვილი გლახაკნი, რომელნიც ძაღლებივით იდგნენ და ელოდნენ, იქნება ნასუფრალი მაინც გვერგოსო! რამდენჯერ უნახავს, რომ მის სახლთან გამვლელს ქალებს პირბადე მოუხურავთ და აჩქარებულან—უნამუსო კისკისი და სიმღერა არ გავიგონოთ და გასასყიდ სიყვარულის ქურუმი არ დავინახოთო! განა ინებებდა იესო მის მიწოდებულს სასმელს? განა აღიარებდა იესო ტანით და სულით წაწყმედილს ღიაცს ნუგეშს შენდობის და მიტევებისას?

გული ამოუჯდა მარიამს, სინანულის და სიმდაბლის ცრემლი წასკდა და ღამეებზედ დენა დაუწყო ბევრი იტირა, სინიდისი განიბანა ცრემლით. და რა ახედა იესოს და დინახა მის სახეზედ აღბეჭდილი მუდარა და მწარი წუხილი, რაღაც ძალის შთაგონებით, მუქაში მოიგროვა ნუგეშისმცემელი თავისი ცრემლი, იმავე ქვაზედ შედგა და მიაწოდა. ახლაკი აღარ იუარა წამებულმა, აღარა ბრძანა—მწყურისო! არამედ დაეწაფა, ხარბად შეწუწუნა ცოდვილის ცრემლი, სახე გაუბრწყინდა და გამოუთქმელი ნეტარება დაეტყო.

ეს ამბავი, მკითხველიც ხედავს, არაფრით ეწინააღმდეგება
სახარების სიტყვას. ეს პოეტური თქმულება ერთის რაბინის
ქალაქებში ვიპოვნე, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო.

იგ. მაჭავარიანი.

ტეოდორ მომსენი

ამ სამის თვის წინად ბერლინი არაჩვეულებრივ სანახაობის მოწმე შეიქმნა. ბერგმანშტრასსზე მდებარე სამების სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ გვამნი გერმანელთა აზრის ასეთ დიდებულ წარმომადგენელთა, როგორნიც არიან ფილოსოფოსი და მქადაგებელი შლეიერმახერი, ლინგვისტები ლახმანი, ბოპპი და მორიც გაუპტი, სამარეში ჩაუშვეს მათზე არა მცირედ დიდებულის მეცნიერის გვამი. ვინ იყო კაცი ეგე, რომლის სიკვდილმაც ძაძით შემოსა არა მხოლოდ გერმანელთა ყველა წრისა და წოდების ხალხი, არამედ მთლად განათლებული ქვეყნებაც? ვინ იყო განსვენებული ეგე, რომლის სამკლოვიარო პროცესიაშიც გერმანიის ყველა უნივერსიტეტისა და უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებათა მრავალი დეპუტატი და ავსტრიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა და ევროპის სხვა ქვეყნების სამეცნიერო კორპორაციათა წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობასა? ეს იყო ტეოდორ მომსენი, „უკანასკნელი ცენზორი ძველის რუმისა“, დიდებული მოხუცი, რომელმაც, მიუხედავად თავისს ღრმა მოხუცებისა (56 წლისა იყო), უკანასკნელ დღემდე სიახლე აზრისაარ დაჰკარგა და თავისს მეგობრის Harnack-ის ახალს წიგნზე დალია სული, ვისაც-კი ჰქონია ბედნიერება და უნახავს ბერლინის ნაციონალურს გალლერეაში პორტრეტი მსცოვან მეცნიერასა, ლენბახის მიერ ნიჭიერად დახატული, სულ ადვილად წარმოიდგენს თავისებურს, მკაფიოდ შემოსახლერულს თავს მეცნიერისას გრძელის, თოვლივით თეთრის, მხრებამდე ხუჭუქებად დაყრილის თმით, სახეს

სასტიკს, სარკასტიულს, მუდამ თამამად წინ მიმართულის თვალებით.

როგორც მტკიცე და არაჩვეულებრივ დამოუკიდებელ ხასიათის პატრონი, არასოდეს მომსენს ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე ქედი არ მოუხრია და არასოდეს უმრავლესობის საექვო ინსტინქტებისათვის არ უმსახურნია. მისმა სამარადისო ქალაქში მისვლამ შეაშფოთა მრავალი საერო და სასულიერო წოდების მეცნიერი, რადგან არ ერიდებოდა არასოდეს მკაცრი მსჯავრი დაედო და პირდაპირ გამოეთქვა თავისი შენიშვნები კარდინალების შესახებ, და საზოგადოდ ამაყადა და სრულის ღირსებით სჭეროდა თავი, რომ, როგორც ნემეცთა მეცნიერსა და პროტესტანტს, თავისი გავლენა ჰქონოდა. ნაპოლეონ III-კი, რომელმაც მიჰმართა მომსენს და დახმარებასა სთხოვდა, ვით ავტორი ცეზარიოსის ისტორიისა, სრულიად თავისუფლად და უბრალოდ ებყრობოდა, როგორც ამხანაგს მწერლობაში. სამაგიეროდ, არ შეუშინდა და მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ბურების სასარგებლოდ ამ რამდენისამე წლის წინად, თუმცა აღრევე უნდა სცოდნოდა, რასაკერელია, რომ ინგლისის საზოგადოებაში ეს დიდს უკმაყოფილებასა და რისხვას გამოიწვევდა.

ძირითადი თვისება მომსენის სულისა იყო უდიდესი სამართლიანობა, რომელსაც მის მტკიცე ხასიათთანა და მძლავრ ნებასთან ერთად ბევრჯელ გამოუყვანია იგი საზოგადოებრივ აზროვნება-შეხედულების წინააღმდეგ; ამავე ხასიათითა და ნებით აიხსნება მისი განსაკუთრებული გამარჯვებაც მეცნიერებაში. დაბადებიდან 80 წლის თავის შესრულების დღეს ბერლინის უნივერსიტეტის მიერ მიერთმეულს ადრესში შემდეგს ვკითხულობთ: „ტეოდორ მომსენის მიუბაძემა მაგალითმა გვიჩვენა ჩვენ ყველას, თუ როგორ შეიძლება წვრიმალნი და განკერძოებულიც-კი გასაზოგადიერდეს, როგორ გავუწიოთ ანგარიში უდიდესს კითხვებს და იმავე დროს არ შევარყიოთ მტკიცე საფუძველი კერძო კაცთა ფართე და ღრმა ცნობიერებისა. პატარა საქმეში თუ დიდში, ყველგან ამხნევებს მას ის ცხოველსმყოფელი სული და მძლავრი მისწრაფება ნებისა, ურომ-

ლისოდაც პრაქტიკულს ცხოვრებაში თუ მეცნიერებაში დიდების მიღწევა შეუძლებელია“. „მაგრამ ყველაზე მეტად სიყვარულისა და მეგობრობის მოთხოვნილება ჰქონდა განვითარებულიო“,—ამბობდა თავისს სამგლოვიარო სიტყვაში მომსენის მეგობარი პროფ. Harnack-ი, —რომელიც არასოდეს ესოდენ ღრმად, ძლიერად და რბილად თავ-ნაჩენი არ მინახავსო. ერთგულება მეგობრობაში მომსენის უუძვირფასესს თვისებას შეადგენდაო“. „ერთს მისს თვისებას კიდევ სხვას შევვხებიო“—განაგრძობს იგივე Harnack, —რომელიც ყველაზე მეტად იყო დათარული: არასოდეს თავისის თავის შესახებ მაღალის აზრისა არა ყოფილა. თავისს ძალაზე გაცილებით მაღლა წინადადგენილ საგანსა სთვლიდა. ეჭვობდა მუდამ იმას, რომ ნაყოფიერი სადმე რამ დაეტოვებინოს. საზოგადოდ“.—ასეთი იყო კაცი, რომლის სახითაც მთელმა გერმანიამ უდიდესი თვისი მოქალაქე დაჰკარგა, ხოლო განათლებულმა კაცობრიობამ—დიდი კაცთმოყვარე მეცნიერი, მკოდნე და მკვლეველი რომის ისტორიისა და უმაგალითო ორგანიზატორი სამეცნიერო დაწყებულებათა.

დაიბადა მომსენი 1817 წ., განმათავისუფლებელ ომების მიწურულში და იყო თანამედროვე, მოწმე და თითქმის მონაწილეც გერმანიის მძლავრ იმპერიის დაარსებისა. 1848 წ., უკვე გარკვეულის სამეცნიერო რეპუტაციის მქონე ოც-და-ათის წლის ახალგაზრდა მომსენი ზენსხუდგში ჰრედაქტრობდა „შლეზვიგ-ჰოლშტენის გაზეთსა“. სიცილით იგონებდა ხოლმე შემდგომში მუდამ ამ თავისს მოღვაწეობას მომსენი: „ღიან, 48 წელს,“—იტყოდა ხოლმე იგი, —„ზოგიერთი ისეთს რამეს სჩადიოდა, რის უნარიც სრულიად არ შესწვდა“. მაგრამ ერთგულად შეუდგა მომსენი მუშაობასა და მხურვალე მეთაურს წერილებში სულ თავისს პაწია სამშობლო, შლეზვიგ-ჰოლშტენის, განთავისუფლებაზე სწერდა, რომელიც მაშინ დანიისაგან იყო დამოკიდებული. სულით და გულით პატრიოტი, იგი მაშინვე იყო მონატური გერმანიის გაერთიანებისა, რომლის განხორციელებასაც მძლავრ კონსტიტუციონურ მონარქიის

მქონე პრუსიისაგან მოელოდა. იმავე 1848 წელს რომაულ უფლებების ექსტრაორდინარ პროფესორად მიიწვიეს ლეიპციგში; აქ იგი თავისს ორ მეგობარ პროფესორთან ერთად ზომიერ ნემეცთა კავშირის წევრათ შეიქმნა, რომლის რადიკალურმა ელემენტებმაც მაისის აჯანყება მოახდინეს დრეზდენში. მომსენს სახელმწიფო ღალატის ბრალი დასდეს და მხოლოდ სასამართლოს მეორე დისტანციამ-ლა გაამართლა იგი; სამაგიეროდ მასაც და მასთან ერთად ორს მისს მეგობარსაც, სამივეს კათედრა ჩამოართვეს (1851 წ.) იმისათვის, რომ, როგორც საბრალმდებლო ოქმი ამბობს: „გამოიწვიეს საზოგადოებაში ამბოხება და ამით აკადემიის ახალგაზრდობას ცუდი მაგალითი უჩვენეს.“ ერთ ხანად მომსენს არსებობისათვის მძიმე ბრძოლა დასჭირდა ახლა, მაგრამ მალე ცურინის უნივერსიტეტის პროფესორად მიიწვიეს. 1870 წ. რომ ფრანგ-პრუსიელთა ომი დაიწყო, მომსენმა თავისი საუნივერსიტეტო კურსი ცოტა ჩვეულებრივზე ადრე დაათავა და გამოსთქვა იმედი თავისს ყურისმგდებლების წინაშე, რომ ხელ-ახლა „გაერთიანებულსა და თავისუფალს გერმანიაში“ ჰნახავდა მათ. ამ ძლიერის ნაციონალურ გატაცების წელს მომსენის პატრიოტიზმი ცოტა არ იყოს საზღვარსაც გადასცილდა, რაიცა ადვილი მისახვედრია, თუ რომ იმ ეპოქის კრიტიკულს მომენტს მივიღებთ მხედველობაში. იტალიანელებისადმი 1870 წ. მიმართულს „ღია წერილში“ არწმუნებდა მომსენი ამ უკანასკნელთ, რომ ნეიტრალიტეტი დაეცვათ და თან უწინასწარმეტყველებდა, რომ თანამედროვე ბაბილონი (ე. ი. პარიზი) მალე დაიღუპებოდა და ლიტერატურაც საფრანგეთისა, „ჭუჭყიანი, ვით წყალი მდინ. სენისა“, დაეცემოდა; ხოლო როდესაც გერმანიის ძლიერა მოსილი მხედრობა ალყად შემოერტყა პარიზს, მომსენი ბეკდვითი სიტყვით თხოულობდა პირდაპირ, ქალაქისათვის ყუმბარები დაეშინათ. როგორც ნამდვილმა გერმანელმა, მომსენმა შემდგომშიც არ დაჰკარგა თავისს ფრანგ მეზობლებისადმი მტრული გრძნობა. ამ ორის წლის წინად პარიზში მომხდარ საერთაშორისო კონგრესის დროს თურმე ჰკითხეს ერთს ბანკე-

ტზე მომსენსა, საფრანგეთის თანამედროვე მწერლობის შესახებ რა აზრისა ხართო. „საფრანგეთის თანამედროვე მწერლობის შესახებ!“ შეუძახნია მომსენს. „ღიახ, ვიცნობ საფრანგეთის მწერლობას, მაგრამ მხოლოდ ავზონამდე“. უნდა ვიცოდეთ, რომ ავზონი რომაელ-გალღელი პოეტი იყო ქრ. შემდგომ მე-IV საუკუნეში. ასეთის მიდგომისათვის გაჰკიცხეს მოხუცი თვით ნემეცებმავე, რომელთაც დაანახვეს მას მის საკუთარ ნაწარმოებებიდამევე, რომ მახლობელს საფრანგეთის მწერლობასაც კარგად იცნობს და აფასებს კიდევ.

როგორც ნემეცთა პატრიოტი, მტრულად ებყრობოდა მომსენი აგრეთვე გერმანიის სლავიან მეზობლებსაც, განსაკუთრებით-კი ავსტრიელებსა. ეხსომება ყველას უთუოდ ავსტრიის პარლამენტში ჩებთა ობსტრუქციის დროს მომსენის მიერ წარმოთქმული მკვახე სიტყვები, რომლებითაც გაბრაზებულმა ჩებებს მიჰმართა, —ამ მოუხეშავისა და გაუნათლებელ ხალხის ხელში დაჭერა მხოლოდ მუშტით შეიძლებაო. შინაურობაში-კი მომსენი მუდამ „მძლავრი მარჯვენის“ პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. მეტადა სწუხდა ხოლმე, მაგალითად, რომ ნემცებს ჯერ კიდევ მცირედა აქვთ პოლიტიკური გონიერება შეთვისებულია და უფრო ადვილად სხვისა გამგეობასა ჰრჩეობენ, ვიდრე თვითონა ჰგამგებლობდნენ. ბისმარკობისაც ისევე უარჰყოფდა, როგორც 70-ს წლებში, როდესაც ბისმარკმა ლიბერლობას ზურგი შეაქცია და მთლად მფარველობით სისტემას ჩაუვარდა ხელში. 1881 წ. კი, როგორც მოგეხსენებათ, ბისმარკისა და მის პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებისათვის, „რომელიც მთლად ხალხის ნდობაზე იყო დამყარებული“, ბრალდებულთა სკამზე მოჰხვედა; თვითონ იცავდა 70 წლის მეცნიერი თავის თავს სასამართლოს წინაშე და სასამართლომაც ვაბედულობა გამოიჩინა, გაამართლა იგი. სიკვდილამდე არ უღალატნია მომსენს ნამდვილის ლიბერალიზმისა, პირად უფლებებისა, სამეცნიერო, სარწმუნოებრივ და მხატვრობრივ თავისუფლები! პრინციპებისათვის. როდესაც ბოლოს დროს ხელოვნების თავისუფლებას უპირებდა *Lex Heinze*.

შეზღუდვასა, ხოლო სასკოლო პროექტი კიდევ უპირებდა სკოლა ეკლესიისათვის დაემორჩილებინა, მომსენი შეიქმნა პირველი მებრძოლი, როგორც მფარველი სამოქალაქო და სასულიერო თავისუფლებისა. სრულიად წინააღმდეგი იყო იგი აგრეთვე ანტიემიტიზმისა. საზოგადოდ გერმანიის დღევანდელი ვითარება რომის ბრწყინვალე ისტორიკოსს ვერ აკმაყოფილებდა. სწყინდა ძალიან, რომ დარბაისლობა და დისციპლინა წინანდელ პოლიტიკურ დასებისა ახლა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას-და ჰქონდა დაცული, მაშინ როდესაც თავისის ხასიათითა და მცხოვრებლებით გერმანია მონარქიულ, მიწათ-მომქმედ სახელმწიფოდ უნდა იქმნეს ჩათვლილი. ამ უამად-კი მოუსვენარად ელოდა აბსოლუტიზმის გერმანიაში მოახლო-ვებას. „როგორც მგონია, ეს ერთად-ერთი საშუალებაა დღე-ვანდელ პირობათაგან თავის დაღწევისაო“, — იტყოდა ხოლმე იგი. საერთაშორისო დამოკიდებულების საქმეშიაც რამდენჯერმე გუმანიზმისა, თავისუფლებისა და საერთაშორისო მშვიდობიანო-ბის შეიქმნა მომხრე. ბურებისადმი ინგლისელების ძალმომრეო-ბაც დაუვიწყარის სიტყვებით შეაჩვენა და მოსთხარა. ბურებისადმი თანაგრძნობით გატაცებული მომსენი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისელებმა ბურების წინააღმდეგ ომის დაწყებით საერთა-შორისო უფლება დაარღვიეს. თუ რა მიზეზით არ ეპყრობიან ინგლისელებს ნემეცები გულით, რამაც ბურების ომის დროს სავსებით იჩინა თავი, მომსენს ეს ერთის თავის მეგობარ ინგლი-სელისათვის უამბნია, რომელმაც ნაამბობი ამ წინაზედ „Contam-
porary Review“-ში გამოაქვეყნა. ინგლისისადმი ნემეცების სიძულ-ვილს ჰხსნის იმ რეაქციით (წინააღმდეგობით), რომ წინად ნემ-
ცები ყოველივეს ინგლისურს უზომოდ დიდს თაყვანსა სცემდნენ. „იყო დრო, როცა თითქმის ყველა ინგლისელს მკერვალს ლორ-დის პატივით აღებდნენ ჩვენს საზოგადოებაშიო, — უთქვამს მომ-სენს“. უფრო მეტად-კი ეს სიძულვილი აიხსნება გერმანიის გამარჯვებით, როცა 1870 წლის ომის შემდეგ საფაბრიკო შრომისა და მრეწველობის საქმეში ასე წინ წადგა ფეხი და

გაუღვიძდა გრძნობა გამარჯვებისა და შეგნებისა, რომ ინგლისს მეტის-მეტად მოაქვს თავი თვისის უპირატესობით.

ასრევე გულწრფელადა და თავისუფლადა მსჯელობდა მომსენი ავსტრიის შესახებაც. სამწუხაროდ მიაჩნდა მას მომავალი ამ ქვეყანისა. სადოვოს*) ბრძოლას თვისის შედეგით *finis Austriae* (ავსტრიის ბოლოს მოღებათ) სთავლიდა იგი. „რო ვხედავ, ავსტრიასაც ოსმალეთის დღე მოელის, რომელიც წვრილ სახელმწიფოებათაა დაყოფილი და რომელშიაც თვითოეული ცალკე სახელმწიფო სხვების წინააღმდეგ იბრძვისო“.

მომსენის უკანასკნელს ნაშრომს შეადგენდა წერილი, რომელიც აფრთხილებდა, ინგლის-გერმანელთა დამოკიდებულებას შედეგათ ზემოაღნიშნული ეპიზოდი არ მოჰყოლოდა და ორი ესოდენ მონათესავე ერი ერთმანერთს არ დაჰშორებოდა. უკანასკნელო სიტყვა შესანიშნავის ისტორიკოსისა იწვევდა ამ ორს მონათესავე ერს, რომ ერთურთთ შორის თანხმობა და შემწყნარებლობა დაემყარებინათ, ერთმანერთისათვის დაეთმოთ.

მაგრამ, რაც უნდა ცოცხლად ედევნებინა თვალი თანამედროვე კითხვებისათვის, რაც უნდა მეტად ეგრძნო ქირი და ვარამი დღევანდელ საზოგადოობრივ და პოლიტიკურ ვითარებისათვის, მაინც მომსენის უმთავრესი მოწოდება და საგანი მეცნიერება იყო, რომელშიაც თავისს მძლავრს გენიას გააშლევინა ფართედ ფრთა და გამოიჩინა უმაგალითო ღვაწლმოსილობა. ისტორია მომსენის პირად ცხოვრებისა არის ამ რიგად ისტორია მისის საპენდაგოგო-სამეცნიერო მოღვაწეობისა. დაიბადა მომსენი, შვილი უბრალო პასტორისა, შლეზვიგის ქალაქ ჰარდინგს. კილის უნივერსიტეტში სასჯულო მეცნიერებასა სწა-

*) 1866 წელს სადოვოსთან (კენიგრაუდთან) პრუსიელებმა ავსტრიელები დაამარცხეს სრულიად, რასაც უკანასკნელებისათვის ცუდი შედეგი მოჰყვა. ძველი გერმანელთა კავშირი დაირღვა და შესწყდა კავშირი ავსტრიისა გერმანიასთან, ამ დროიდან მიიღო ავსტრიამ დუალიზმზე დახარბულ მონარქიის დღევანდელი ხასიათი.

ვლობდა, მაგრამ ფილოლოგიაში და ისტორიამ მაშინვე დაატყვევეს იგი. პოეტურის გემოვნებით ბუნებითვე დაჯილდოვებულმა მომსენმა თავის ძმა ტიხოსთანა და მეგობარ შტორმთან შერთად სტუდენტობისასვე შემოიარა თავისი სამშობლო და სახალხო თქმულობანი, ზღაპრები და სიმღერები შეჰკრიბა. შედეგათ ამ მოგზაურობას მოჰყვა შემდეგ „სამთ მეგობართა კრებული სიმღერებისა“ (*Liederboush dreier Freunde*), რომელშიაც უმთავრესი მონაწილეობა მომსენსა აქცს მიღებული. 60 წლის წინათ მომსენმა უფლებათა დოკტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო კილის უნივერსიტეტში. სადოკტორო დისერტაციას მოჰყვა ახლა სხვა მისი ნაწარმოებები, სხვათა შორის, გაბედულ ჰიპოტეზებით მდიდარი და მთელის ეპოქის შემქმნელი შრომა მისი რომის ტრიბებ შესახებ (ხალხის განსაკუთრებული დანაწილება), რომელშიაც მაშინვე ბრწყინვალედ იჩინა თავი მომსენის სულის თვისებამ — ხალხურ გარდმოცემათა დაუნდობელმა და ღრმა კრიტიკამა და სხვა-და სხვა კომბინაციათა შემოქმედებითმა ნიჭმა. ჯერ ისევ 1844 წელს მეცნიერებათა აკადემიის რჩევით მომსენი იწყებს სამის წლით საფრანგეთსა და იტალიაში სამეცნიერო მოგზაურობასა. ამავე დროს გამოაქვეყნა მომსენმა 90-დე სხვა და-სხვა სამეცნიერო შრომა, მომეტებული მათგანი იტალიანურს ენაზედ, რომელიც სულ რამდენსამე თვეში შეისწავლა სავსებით. იტალიაში ჰპოვა მომსენმა თავისი სამეცნიერო სამშობლო. აქვე დაუახლოვდა იგი ლათინურ წარწერთა ცნობილს მკოდნეს ბართოლომეო ბორგეზის, რომელმაც პირველად გამოიყენა იგინი საისტორიო გამოკვლევათათვის. ამან შეაყვარა მომსენს წარწერთა კითხვა-შეკრება. ნამდვილად-კი ბორგეზი იყო ერთად-ერთი მეცნიერი, რომელმაც მომსენის შემდგომს განვითარებაზე ესე დიდი გავლენა იქონია. ბორგეზისაგან გამწვევებულმა მომსენმა თავის ხანგრძლივ, ხშირად საშიშ, მოგზაურობათა დროს დიდ-ძალი წარწერები შეჰკრიბა სამხრეთს იტალიაში. წარწერებთან ერთად ახალგაზდა მეცნიერის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ძველ იტალიის — ოსკისა, საპელისა, უმბრიისა

და მესსაპსოს—ნაშთებმა; აქედგან წარმოსდგა ამ რიგად თხზულება „ქვედა ატალიური დიალექტები“. სამხრეთ იტალიის ლათინურ წარწერათა პირველი კრებული, რომელიც მომსენმა რამდენისამე წლის შემდეგ გამოსცა და თავის „მასწავლებელს, მფარველსა და მეგობარს“ ბორგეზის უძღვნა, იყო ამავე დროს პირველი ნაბიჯი ეგრედ წოდებულ ყველა ლათინურ წარწერათა კრებულისა *Corpus inscriptionum latinarum* (ლათინურ წარწერათა კრებულისა). ასე დაიწყო ის დიდი სამეცნიერო საქმე, რომელსაც Henzen-თანა და საქრისტეანო წარწერათა მცოდნე de Rossi-თან ერთად მოჰკიდა ხელი მომსენმა და 40 წლის განმავლობაში, თავის უფრო ახალგაზრდა ამხანაგების დახმარებით თითქმის რომ დაამთავრა კიდევ. დიდი-ხნის წანწალის შემდეგ ახლა სერიოზულს საპედაგოგო მოღვაწეობას შეუდგა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1849 წ. მომსენი ლეიპციგის უნივერსიტეტში მიიწვიეს რომის უფლების პროფესორათ, მაგრამ მაშინდელ გერმანიის პოლიტიკურმა ტალღამ გაიტაცა იგი და კათედრა დაჰკარგა. ვიცით აგრეთვე, რომ 1852 წ. რომის უფლების კათედრა მიიღო კურხის უნივერსიტეტში, მაგრამ დიდ-ხანს არ დარჩენილა. პოლიტიკურის გამოცდილებით მდიდარმა 2 წლის შემდეგ თავისუფალი შვეიცარია ც მიატოვა, რომ ახლა ბრესლაველში დაექირა პროფესორის კათედრა. როგორც გამოსათხოვარი საჩუქარი, მიართვა მომსენმა შვეიცარელებს კრებული მათის რომაულ წარწერებისა და მოკლე, მაგრამ შინაარსიანი ისტორია შვეიცარიისა, რომის ეპოქის დროისა. ამ შრომაშივე მოათავსა მომსენმა უკანასიტიყვაობათ თავისი შესანიშნავი შეხედულება ისტორიის შესახებ. „არ არსებობს ისტორია უოცნებოდ“, — ვკითხულობთ აქა, — „არც ის არის ისტორია, რაზედაც აღექსანდრიელსა და დღევ-ნდელს ფილოლოგებს უყვარდათ და უყვართ ოცნებობაო. ნამდვილი ისტორია არ სცდილობს არც სავსებით ქვეყნიერების დღიურის აღდგენასა, არც ზნ-ჩვეულებათა სარკეობასა; ეძებს მხოლოდ მწვერვალებსა და პერსპექტივას, რომ ბედნიერს წამებში ამ ბედნიერ ადგილებიდან ძირს, სამარადისო და აღზის

მთებივით მკვიდრსა და შეურყეველს აუცილებლობის უცვლელს კანონებსა და ხალხის სხვა-და-სხვა გვარ ვნებათ, რომლებიც ღრუბლებივით თავს ესხმებიან, მაგრამ შეცვლით-კი ვერა სცვლიან, თვალი გადაავლოს. ის, ვინც მთაზე არ ასულა და თავისებურ ქვეყნიერებისათვის იქიდგან თვალი არ დაუკრავს, ძნელათ თუ შესძლებს ამ სურათის გაგებასა, უკეთესს შემთხვევაში ისაც ბუნდადა და გაურკვეველად თუ. ჰესპერიდების ხესავით მეცნიერების ხეც ოქროს ვაშლებს ისხამს მხოლოდ იმისთვის, ვინც თვითონ მოსწყვეტავს მათ; სხვებს შეიძლება მხოლოდ დაანახვონ და არა მისცენ“. მომსენი რო ამ სიტყვებს სწერდა, ჯერ ისევ ლეიპციგში ყოფნის დროს დაწყებული პირველი ტომი „რომის ისტორიისა“ უკვე დამთავრებული ჰქონდა. შესანიშნავის სისწრაფით დაასრულა ეს თავისი უკვდავი თხზულება მომსენმა. სასჯულო მეცნიერებიდგან ასე მოულოდნელად ისტორიაზე გადასვლა, თვითონ მომსენისავე სიტყვით, ორის მისის მეგობრის გარეშე გავლენის ქვეშ თურმე მოხდა. აი, როგორის იუმორით მოგვეთხრობს მომსენი თავისს გარდაწყვირილებას რომის ისტორიის დაწერვის შესახებ: „იცით, როგორ გარდაწყვიტე რომის ისტორიის დაწერვა?“—სწერს იგი კერძო წერილში ერთს თავისს მეგობარს, — „ახალგაზრდაობისას ყოველგვარი აზრები მიტრიალებდა თავში: რომის სასისხლო უფლებების შემუშავებაცა და რომის საკანონმდებლო ნაშთთა გამოცემაც, მაგრამ ისტორიკოსობაზე-კი სულ არ მიფიქრია. სწორედ ამ დროს ახალგაზრდა პროფესორების ცნობილი საბავშვო სენი შემეყარა და მომესურვა, განათლებულ ლეიპციგისათვის რეფერტი რამ წამეკითხა, და აი, რაკი იმ ჟამად სწორედ აგრარულ კანონის შესწავლაზე ვმუშაობდი... ამიტომ, გრაცხების შესახებ წავიკითხევი პოლიტიკური რეფერატი. საზოგადოება რეფერტს ისე მოეპყრა, როგორც ჩვეულებრივ ეპყრობა ხოლმე ამ გვარს საგნებსა და სახლებისკენ წავიდ-წამოვიდა იმ გარდაწყვეტილებით, რომ ცნობილის ძმების შესახებ წინანდებურად ისევ გაურკვეველი, ბინდით მოცული წარმოდგენა ჰქონოდა. მაგრამ ყურის მგდებელთა შორის ყოფილიყვნენ აგრე-

თვე რაიმერი და Hirzel, რომლებიც მოვიდნენ ჩემთან ორის დღის შემდგომა და მკითხეს, ჩვენის კრებულისათვის რომის ისტორიას ხომ არ დაგვიწერთო. მართალია, პირველად ძლიერ გამაკვირვა ამ წინადადებას, რადგან არასოდეს ეს ფიქრად არ მომსვლია, მაგრამ, ხომ იცით, როგორი რყევისა და უგზო-უკვლობის დრო იყო, თვითოეული იმას ფიქრობდა, რომ ყოველ-მხრივი ნიჭი შესწევდა და თუ რომელსამე პროფესორს ეკითხებოდნენ ხუმრობით: „კულტის მინისტრობას ხომ არ ისურვებთო“? პასუხათ უთუოდ ჰოს მიიღებდნენ. მეც სწორედ ასრევე დავთანხმდი. მაგრამ დავთანხმდი კიდევ იმიტომ, რომ ორსავე მათგანს საკმაო გავლენა ჰქონდა და ვენდობოდი; ამიტომაც ვიფიქრევი: „თუ რომ ესენი გენდობიან-მეთქი, შეიძლება, მაშ, შენც ენდო შენს თავსა“. ასე იყო თუ ისე, მომსენი ძველის რომისა და რომის იმპერიის პროვინციების ისტორიკოსი შეიქმნა და ამით ნემეცთა ნაციას უძღვნა ისეთი შრომა, რომელსაც მან თავისს კლასიკთა შორის დაუთმო სიამაყით ადგილი. „არ შემიძლიან დავივიწყო ის ღრმა შთაბეჭდილებაო“, იგონებს ერთი მისი მოწაფეთაგანი და მოადგილე რომის ისტორიის კათედრისა ბერლინის უნივერსიტეტში Hirschfeld, — „რომელიც მისმა მოწაფეებმა გამოცვადეთ, როცა ჩვენმა ისტორიკოსმა ის იყო ახლად გამოცემულ შტომიდან ცეზარიოსის მომხიბლველი დახასიათება წაგვიკითხა. ჯანყით მოცულს შორეულ წარსულის ისტორიას რომისას ნათელი მოეფინა: თითქმის რომ უდიდეს მნიშვნელობის შემთხვევათ გარდაგვექმნა“. — „აქამდის ისე იწერებოდა რომის ისტორია, თითქოს არც-კი ოდესმე მომხდარი-ყოსო“, სთქვა ერთმა ჭკუა-მახვილმა კაცმა ნიბურის შრომის გამოცემისა გამო და მართლაც, პირველი იყო ნიბური, რომელმაც შეიგნო და აღწერა ისტორია რომისა. ისე, როგორც ისტორიკოსსა და პოლიტიკოსს შეეფერებოდა და არა როგორც მხოლოდ ფილოლოგმა და ჰიძველეთა მკოდნემ, მაგრამ თავისის ჭკუით სრულიად განსხვავდებოდა მომსენისაგან, რომელსაც მტკიცე ნიადაგი ფაქტებისა არასოდეს არ დაუტოვებია.

გაბედულობა, რომლითაც ნიბური სარგებლობდა თანამედროვე თუ ძველის დროის უცხო ერების ისტორიიდან აღებულ მაგალითებით, არა ისე, როგორც შედარებით, არამედ დამამტკიცებელ საბუთებით რომის დაწესებულებათათვის, აგრეთვე ის გენიოსური ჰიპოტეზები, რომლებსაც დამტკიცებულ ფაქტებივითა ხმარობდა ხოლმე იგი, ვერ შესძლებდნენ რომის იუ რისპრუდენციის სასტიკს ლოდიკაზე ნაწრთობი გონება მომსენისა დიდის ხნით მიეხყროთ. შეუძლებელია ამიტომ მომსენის დიდებულს წინამოადგილეს რომის ისტორიის დამწერზე დიდი გავლენა ჰქონოდა. თუ როგორი იყო შთაბეჭდილება, რომელიც მომსენის რომის ისტორიამ იქონია პირველად, ამას ყველაზე უკეთ ცნობილის ფილოლოგის Puri-ეს სიტყვები გვიმტკიცებენ, რომელიც 1856 წ. გაზაფხულზედ სწერდა თავისს მეგობარსა: „წავიკითხე ერთ-ხელობად რომის ისტორია მომსენისა. მითხარით, ნუ-თუ ამ კაცსაც ჩვენსავით სისხლი და ხორცი აქვს? იმისი სიტყვის უნარი უნდა მქონდეს, რომ გამოვსთქვა ის განცვიფრება და გაკვირვება, რომელსაც კაცი რომის ისტორიის კითხვის დროსა ჰგრძნობს“. მაგრამ მომხიბლველობა მისს ჩაწარმოებს მკითხველისთვის დღემდის არ დაუკარგავს. ამ წინაზედ რომ ნობელის პრემიას არიგებდნენ, რომელთაგანაც ერთი მომსენს მიუსაჯეს, შვეციის აკადემიის მუდმივმა მდივანმა ხელაფნების ბუძებნას ნაწარმოებათა სცნო „რომის ისტორია“ მომსენისა, ხოლო ლორდმა აკტონმა თავისს შესავალს ლექციაში კემბრიჯის უნივერსიტეტში „ჩვენის დროის უდიდეს მწერლათა“ სცნო მომსენი. გარდუვალს მნიშვნელობას აღნიშნულ თხზულებისას შეადგენს ის, რომ პლასტიურ მხატვრობისა და პოეტურ ზეშთაგონების ბრწყინვალე საბურველს ქვეშ დაფარულია ღრმა ცოდნა და მძლავრი სამეცნიერო შრომა. პირველად დაეთმო აქ სრული ადგილი ძველის ნაშთების გამოკვლევასა; მკაცრი, დამხვეწი კრიტიკა შემოქმედებითს კომბინაციას შეედღულა; მთლად რომაელი ერი თავისის ნამოქმედართა და ნაწარმოებით, თავისის კონსტრუქციის შემოღებითა და პოლიტიკურის ბრძოლით, ცოცხლად თვალ წინ დაგვიყენა.

ისტორიკოსებთან ერთად ენათა და სჯულიერების ცოდნაც არა ნაკლებ წაეხმარა მომსენს ამ შრომაში და თავისი ბეჭედი დაასვეს. „ასე გახდა რომის ისტორია მომსენისა ჩვენის ერის კლასსიკურ წიგნად, ასე დიდებით შემოიარა მთელი დედამიწა, გადითარგმნა მთლად განათებულ ქვეყნიერების ყველა ენებზე და სხვა იშვიათ წიგნებივით კულტურის საერთაშორისო მტვირთველად შეიქმნაო,“—ამბობს Hirschfeld-ი. განვლო მთელმა 30 წელმა მას შემდეგ, რაც პირველი 3 ტომი გამოვიდა და მხოლოდ მაშინ-ღა გამოვიდა 1885 წ. მე-5 ტომი რომის ისტორიისა, რომელშიაც აწერილი იყო პროვინციები რომის იმპერიისა, ცეზარიოსიღამ ვიდრე დიოკლეტიანემდე,—გაგრძელება, რომელიც თავისის შინაარსის სისრულითა და სიღრმით, აგრეთვე ნაყოფიერებით ახალგაზრდობის შრომას აღემატება და პლასტიკითა და ბრწყინვალე აღწერილობითაც სრულიად არ ჩამოუვარდება. მე-3 ტომის დამთავრებიდგან მე-5 ტომის გამოცემამდე 30 წლის განმავლობაში და აგრეთვე შემდგომაც თავისს ხანგრძლივ სიცოცხლის განმავლობაში ბევრი რამ დიდი გააკეთა მომსენმა. ნუ ვიტყვით ნურას იმის ხრონოლოგიურ და ნუმისმატიურ თხზულებათა და საწარწერო სამუშაოთა შესახებ; ნურც იმის დიდს კრიტიკულს გამოცემაზე პანდეკტიისა, სოლინასი და იორდანისა, კასიოდორისა, საშუალო საუკუნეთა ქრონიკებისა და მრავალ სხვა დიდმნიშვნელოვან სამუშაოთა შესახებ, რომელთაგანაც თვითოეული საკმარისი იქნებოდა, რომ მათს ავტორს სამეცნიერო ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა. მათსავე რიცხვს ეკუთვნის Römische staatsrecht (რომის სახელმწიფო უფლება),—ყველაზედ დასაბუთებული და თავისის გავლენით, იქნება, ყველაზე მტკიცე და საფუძვლიანი ნაწარმოებიც; იგი შეეძლო დაეწერა მხოლოდ მომსენს, რომელიც ერთსა და იმავე დროს სჯულიერების მკოდნეც იყო, ფილოლოგიც და ისტორიკოსიც, მასთან უფალი და ხელთ-მქონე აუარებელის მასალისა, რომელზედაც რომის სახელმწიფო უფლების შენობა ააგო.

ამ რიგად, თუ დავაფასებთ სამეცნიერო შრომასა და ღვაწლს მომსენისას ზოგადად, საერთოდ, შეიძლება ვსთქვათ, რომ ყველა ერებისა და ყველა დროის სამეცნიერო ისტორიაში თითქმის რომ უმაგალითოდ ღვაწლმოსილობა გამოიჩინა. დაბადებიდან 70 წლის თავისათვის შედგენილს სიაში ერთის მის მეგობრისაგან დასახელებულია 920 სხვა-და-სხვა მისი შრომა; იმ დროიდგან-კი მათმა რიცხვმა 1000 გადააჭარბა. შემკრთალნი და განცვიფრებულნი შევყურებთ ასეთს ბუმბერაზს შრომასა და არ გვჯერა თითქმის, თუ ყოველივე ეს ერთად-ერთის კაცის ნამუშაურია. სერიოზულს შრომასა და ჭეშმარიტებისა და ცოდნისადმი მისწრაფებაში ჩვენცა და მომავალ თაობათაც მუდამ გზის მაჩვენებელ ბრწყინვალე ვარსკვლავათ გვეყოლება ტეოდერ მომსენი და ვიდრე მეცნიერება და კულტურა არსებობს, არასოდეს სახელი მისი შთამომავლობის ხსოვნიდგან არ ამოირეცხება“, დავათავებთ ჩვენს შენიშვნას პროფესორის Hirschfeld-ის სიტყვებით.

ლ. ბ.



ინგლისის ახალშენი

ახალი ზელანდია

(თარგმანი)

1

„ახალ ზელანდიის“ ახალშენის მნიშვნელობა სხვა თანამედროვე განათლებულ საზოგადოებათა შორის *).

ელიზე რეკლიუს თავის ინგლისის აღწერაში არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ინგლისის შესწავლა განსაკუთრებით იმით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ამ გვარი შესწავლა ზედ მიწევნით გვაცნობებს კონტინენტალ ევროპის მომავალს, რადგან ინგლისმა, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ განვითარებაში ბევრად წინ გაუსწრო დანარჩენ ევროპასო. გარდა ამისა ცნობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე და მწერალი—ჩარლზ დილკე (Dilke) თავის კლასი-

*) გადაწყვიტეთ რა ამ შრომის თარგმნა, ჩვენ მხედველობაში ვიქონიეთ ის განსაკუთრებული პირობები ჩვენის მკითხველისა, რომლითაც განიჩქევა იგი, თუნდა იმ მკითხველის პირობებისაგან, რომლისათვისაც დანიშნულია თვით დედანი, რამაც ნება მოგვცა ზოგიერთი ადგილები სრულებით გამოვგეტოვებინა, ზოგიერთი კი შეგვემოკლებინა: ასეთია, მაგალითად, დაწერილებითი გეოგრაფიული ცნობები ახალ ზელანდიის შესახებ და ამ ქვეყნის კოლონიზაციის ისტორიის ამბები, რის გამოტოვებით, ჩვენს ფაქრით, ამ შრომის არც აზრისთვის და არც მიზნისთვის არ გვიღალატნია, ამისდა მიუხედავად ჩვენს თავს მაინც მოვალედ ვსთვლით ბოდიში მოვითხოვოთ პატივცემულ ავტორის წინაშე და, იმედია, ამისთანა „თავხედობას“ გვაპატიებს.

მთარგმ.

კურ შრომაში—*Problems of greater Britain*, რომელსაც იგი ინგლისის ახალშენების აღწერას ანდომებს, არა ერთხელ აგონებს ინგლისელ მკითხველებს, რომ როდესაც ეცნობებით ინგლისის თანამედროვე უფრო დაწინაურებულ ახალშენებს, მაგალითად, კანადას და განსაკუთრებით ავსტრალიის ახალშენებს, იმავე დროს თქვენ ეცნობებით იმ გზას, რომელიც მეტროპოლიის (ინგლისი) სოციალურ განვითარებამ უნდა განვლოსო. თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს საბუთები, მაგალითად, მრავალი კანონები რომლებიც დიდხინიდან კანადაში ან ავსტრალიის ახალშენებში უკვე მიღებული ჰქონიათ და მხოლოდ შემდეგ ნელ-ნელა სათითაოდ მეტროპოლიის კანონმდებლობაში შეუტანიათ.

მართლაც ინგლისის ახალშენები ავსტრალიაში წარმოადგენენ ყველაზე უფრო პროგრესიულ საზოგადოებებს თანამედროვე ქვეყნიერებაში და იმის ა მიუხედავად, რომ კონსტიტუციონურ მონარქიის მპყრობელობის ქვეშ იმყოფებიან, თუმცა ეს მპყრობელობა უფრო სახელითაა, ვიდრე ნამდვილად, მაინცა და მაინც თავის დემოკრატიულ-სოციალურ წეს-წყობილებით იგინი გაცილებით დაწინაურებულნი არიან არამც თუ საფრანგეთის რესპუბლიკაზე, არამედ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზედაც, როგორ ამას თვით ამერიკელებიც კარგათ გრძნობენ. ავსტრალიის ახალშენთა შორის იმ საგნის შესახებ, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, მოწინაობა ეკუთვნის ახალ ზელანდიას, რადგან იგი უფრო ყველაზე გაბედულად იქცევა თავის სოციალურ კანონმდებლობაში და გაბედულადვე სცდის ამ ახალ-ახალ კანონმდებლობას ცხოვრებაში.

ამიტომ გვგონია, რომ დიდად საინტერესო იქნებოდა გაგვეცნო ყოველ მხრივ წესწყობილება ინგლისის ამ შორეულ ახალშენისა, მისი პარლამენტისაგან დადგენილი კანონმდებლობანი და ის შედეგნი, რომელნიც ამ კანონმდებლობებს მოჰყვნენ. როდესაც ახალ ზელანდიის პოლიტიკურ წესწყობილებას და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას ვეცნობებით, ჩვენ ამავე დროს ვეცნობებით, თუ სრულიად არა, ნაწილად მაინც, საზო-

გადო პოლიტიკურ ცხოვრების პირობებს ინგლისის თვით მართველობიან ახალ შენებისას, ამიტომ ზოგიერთი ქვევით ნათქვამ-ნაამბობი აგრეთვე შეეხება ინგლისის სხვა თვით-მმართველობიან ახალშენებსაც.

რომ უფრო ცხადი ვყოთ ჩვენი ნაამბობი ახალ ზელანდიის აწინდელ მდგომარეობის შესახებ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ოფიციალური და სარწმუნო ცნობებით, კანონის ტექსტით და ოფიციალური ციფრებით. იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ რომელიმე საზოგადოებრივ ცხოვრების სფერის დახასიათებისას, მაშინ ჩვენ ვლაპარაკობთ იმ პირების სიტყვებით, რომელნიც დაახლოვებით იცნობენ ჩვენგან აღწერილს მოვლენებს ან და ზოგჯერაც მხურვალე მონაწილეობასაც იღებდნენ ახალშენის სოციალურ ამა თუ იმ კანონმდებლობის შექმნაში. უმთავრეს წყაროდ კი გვქონდა ორი უკანასკნელი ოფიციალური გამოცემა „ახალ ზელანდიის წლიურისა“ (ЕЖЕГОДНИКЪ), შედგენილი სხვა და სხვა პირთაგან ახალშენის პირველ მინისტრის სედონის ხელმძღვანელობით და დადელზენის საზოგადო რედაქციით. თითოეული ამ გამოცემისა წარმოადგენს მშვენივრად გამოცემული 700 გვერდიან წიგნს და შეიცავს ახალშენის მრავალგვარ სტატისტიკურ ცნობებს და სხვა და სხვა სპეციალურ კითხვების აღწერილობას („საადგილ-მამულო კანონმდებლობა“, „სახელმწიფოსაგან სიცოცხლის დაზღვევა“ და სხ...) სხვა ოფიციალური გამოცემანი, რომლებიდანაც ზოგიერთი პირდაპირ ახალ ზელანდიის მთავრობისაგან გვაქვს მიღებული, ქვევით თავთავიანთ ადგილას იქნებიან ნაჩვენები.

ოფიციალურ წყაროებიდან ამოკრფილი ცნობები ჩვენ შევავსეთ იმ ცნობებით, რომლებიც ვიწოვეთ სხვა და სხვა მოგზაურების ნაწერებში, რომლებსაც ამ უკანასკნელ დროს ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში უმოგზაურნიათ.

ახალ ზელანდიის განსაკუთრებულ ეკონომიურ განვითარების გასაგებათ საჭიროთ დავინახეთ შეგვევსო ეს აღწერა როგორც მის ბუნების აღწერით, ისე იქაურ ცხოვრების ბუნებრივი პირობების განხილვით.

ბუნება და ჭაგა ახალ ზელანდიისა.

„ახალ ზელანდიას შეიძლება ეწოდოს მშვიდ ოკეანეს სამოთხე“—Epps. Land-systems of Australasia.“

როგორც გეოგრაფიიდან ვიცით, „ახალ ზელანდია“ ეწოდება კუნძულთა ჯგუფს, რომელთა შორის სამი მათგანი თავიანთ სივრცით დანარჩენებს აღემატებიან. ერთი ამ კუნძულთაგანი—სამხრეთისა—თუმცა გაცილებით დიდია ჯგუფის დანარჩენ კუნძულებზე, იმავე დროს რამდენიმე ასჯერ უმცირესია ჩრდილოეთ და შუალა კუნძულზე, რის გამოც პატარა საგეოგრაფიო რუქებზედ ახალ ზელანდიას ჩვეულებრივ ორ კუნძულად ხატავენ.

მკითხველმა რომ ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს ახალ ზელანდიის სივრცისა, საკმაოა ვსთქვათ, რომ იგი ინგლისზედაც და შოტლანდიაზედაც თითქმის ერთი მეათედით დიდია*) და ერთი მეშვიდედით უმცირესია შეერთებულ სამეფოებზე, ესე იგი, ინგლისზე, შოტლანდიაზე და ირლანდიაზე. ერთის სიტყვით, ამ კუნძულებზე, რომლებიც ისე პატარად არიან დახატული გეოგრაფიულ რუქებზედ და რომლებზედაც ამ ჟამათ მილიონზე ნაკლები მცხოვრები ითვლება, შეიძლება შემდეგში იცხოვროს 30—40 მილიონმა სულმა, თუ ოდესმე ახალ ზელანდიაც ისე მჭიდროთ დასახლდება, როგორც მისი მეტროპოლიაა. (ინგლისი).

*) ქართველ მკითხველებისთვის კი საკმაოა ვსთქვათ, რომ ახალი ზელანდია კავკასიაზე, თუ არ დიდი, ნაკლები მაინცა და მაინც არ არის. მთარგ.

ახალი ზელანდია მდებარეობს ინგლისზე 12000 მილის (18000 ვერსის) სიშორეზე, ავსტრალიაზე კი თითქმის 1200 მილზე (1800 ვერსის), თუმცა რუქაში ჩვენ იგი გაცილებით უფრო ახლო გვგონია ამ ხმელეთზე, ამიტომ ცხადია, რომ ახალი ზელანდია ბევრად განირჩევა ავსტრალიისაგან ჰავით, ფაუნით (ცხოველებით), ფლორით (მცენარეულობით) და წარმოადგენს ერთის მხრივ განსაკუთრებულ ქვეყანას.

აი რა გვარად აღწერს ახალ ზელანდიას შრომის და საერო განათლების ახალშენის მინისტრად ნამყოფი ვილრივისი თავის მშვენიერ წიგნში, რომელიც მან ამ გასაოცარ კუნძულების ყოველმხრივ აღწერას უძღვნა. ეს წიგნი გამოვიდა 1898 წ. ლონდონში და ეწოდება „გრძელი თეთრი ღრუბელი:“ ასე უწოდებენ მკვიდრნი ახალ ზელანდიას.

„ეს ქვეყანა სრულებით არ წააგავს არც ინგლისს და არც ხმელეთ ავსტრალიას. მოგრძო, ვიწრო და მთიანი კუნძულები, რომლებსაც 1642 წ. აბელ ტასმანი (ასე ერქვა გოლანდიელ განთქმულ ზღვაოსან-მოგზაურს) შეეფეთა, ეკვატორზე 12⁰ უფრო ახლო არიან, ვიდრე თვით ინგლისი.“

„მართალია ახალ ზელანდიას არ ხვდება თბილი მიმდინარეობა (ოკეანის წყლისა) გოლფსტრემი, მაგრამ სამაგიეროდ აქ არ ჰბერავს, როგორც ინგლისში ხმელეთ ვეროპიდან სიცივის მრმტანი ცივი აღმოსავლეთის ქარი“.

„ახალი ზელანდია ცხადად განირჩევა ხმელეთ ავსტრალიისაგანაც, როგორც ნიადაგით, ისე ჰავით. ბრტყელი, რველად მოფარგლული უზარმაზარი ხმელეთი ავსტრალია და მალალი, ვიწრო და უსწორ-მასწორო ფორმის კუნძულები, რომლებიც შეადგენენ ახალ ზელანდიას ერთი ერთმანეთზე ათას ორას მილზე არიან დაშორებულნი. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ ოკეანე, რომელიც აშორებს ამ კუნძულებს ავსტრალიას, ღრმა და მოუსვენარია, რისგამოც მე-19 საუკუნემდე არავითარი მისვლა-მოსვლა არ არსებულა ახალ ზელანდიის კუნძულებს და მატერიკას (ავსტრალიის) შორის. ფრინველებს შორის მხოლოდ ერთი გადადის კუნძულებიდან მატერიკზედ (აუ“

სტრალიაზედ). ახალ ზელანდიაში არ არსებობენ ის გასაოცარი ერთგვარი ცხოველები, რომლებსაც „ჯიბიანებს“*) ეძახიან, არც გველები, არც დიდი მორბენალი ფრინველები (სირაქლემა), არც გარეული ძაღლები, ავსტრალიაში კი ყველა ეს ცხოველები მოიპოვებიან.

„ახალ ზელანდიის დასავლეთი კიდეები ინგლისის კუთვნილ ქვეყნებ შორის ყველაზე უფრო წვიმიან ადგილებად ითვლებიან. აღმოსავლეთის მშრალ კიდეებზედაც კი იშვიათად არას გვაღვა. ახალი ზელანდია კლდიანი და მთიანია; მათი მწვერვალოები შაქრის თავებს წააგვანან. რამდენიმე უფრო მაღალი ცეცხლ მფრქვეველი მთები ამ ჟამათაც მოქმედობენ და მათი ბოლი მძიმეთ ეღება მარად ჟამს თოვლით დაფენილს მინდვრებს.“

„სამხრეთ კუნძულს სიგრძეზე მისდევს მაღალი ალპებისებური მთები, რომლებიც თავიანთ სიდიდით ჩამორჩებიან შვეიცარიისას. საზოგადოდ, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კუნძული მთიან და მთის მდინარეებიან ქვეყანად უნდა ჩაითვალოს. კლდიანი ფრიალო კიდეები ხშირად აღიმართებიან 285 საჟენის სიმაღლეზე წყლის პირიდგან. წყალი, რომელიც მათ ჰბანს, ღრმა და ცისფერია, ქათიანი და მომეტებული ნაწილი მზის სხივებით გაბრწყინვალებული.

ჰავა ახალ ზელანდიისა ერთნაირი არაა, რადგან ის კუნძულები, რომელნიც შეადგენენ ახალ ზელანდიას, გაძაბულან დიდ მანძილზე ჩრდილოეთ-სამხრეთისკენ.

ახალი ზელანდია რაკი მთიანი ადგილია და მასთან შუა ოკეანეში იმყოფება, მისი ჰავა რბილია და ქარიც ხშირი სტუმარია.

საზოგადოდ ჰავა ამ ახალშენისა სალი და გამამხნევებელია. რაც უნდა ცხელი ზაფხულის დღეები იდგეს, ახალ ზე-

*) ავსტრალიაში არიან ერთგვარი ცხოველები, რომლებსაც მუცელთან ბუნებრივი ჯიბე აქვთ, რაშიაც დედები ახალ დაბადებულებს, რომლებიც უბწვო იბადებიან, ბეწვის შესხმაძღე ინახავენ.

ლანდიაში კაცს არც სული ეხუთება და არც სხეული ექანცება, როგორც სხვა ცხელ ქვეყნებში. ზამთრობით სამხრეთ კუნძულის შუა რაი უნდა დიდი ყინვებიანი ღამეები იყოს, დღეები მაინც მზიანი და ნათელია; ისე რომ ზამთარშიაც კი კაცი მზის ბრწყინვალე სინათლით 7—8 საათის განმავლობაში სტკებება. დიდი წვიმები დიდხანს არ გასტანენ ხოლმე: ასხამს კოკისპირულად, შემდეგ ღრუბლები ჰქრებიან და ზემოდან დაგცქერით ნათელი, მოკრიალებული ცა. ნისლი იშვიათია და თუ მოხდა, დიდხანს არ ჩერდება. მაღალი, ოკეანით გარს შემორტყმული, ახალ ზელანდიის კუნძულები წარმოადგენენ სინათლით უხეს და ზღვის ქვეყანას“.

„სინათლის და ჰავის შემდეგ ამ ქვეყნის უფრო დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს მისი მრავალგვარობა. ახალ ზელანდიის ჩრდილოეთი ნაწილი ბევრად განირჩევა სამხრეთ-ნაწილისაგან. სამხრეთისაკენ ისევე ცივა, როგორც ჩრდილოეთ-საფრანგეთში; ჩრდილოეთის ბაღებში კი მე მომხდენია აყვავებულ ზეთის ხილის, ფორთოხალის, ლიმონის და ლეღვის ხეებს შორის დგომა. აქ ადვილად ხეირობს პალმა და ბამბუკი; აგრეთვე თბილი ქვეყნის სხვა-და-სხვა ყვავილები მთელის წლის განმავლობაში ჰყვავიან ცის ქვეშ.“

„ვაზის მშვენიერი ზრდა იმედს იძლევა, რომ ორივე კუნძულზედ მეღვინეობა იხიერებს და განვითარდება, თუ სასმელების წინააღმდეგ პირთა გამრავლებამ ამას ხელი არ შეუშალა. ერთს მშვენიერს დღეს ამ ფხიზელ პირთა რიცხვი, ისე დაც ფხიზელ ხალხისა, იქნობამდე ავა, რომ შესაძლოა მოითხოვონ მაგარ სასმელების წარმოების აკრძალვაც.*)

დიდათ საინტერესო იქნებოდა განგვეგრძო რივისს თხუზულების პირველ უშველებელ თავიდან ადგილების ამოწერა, რომელსაც იგი ანდომებს ახალ ზელანდიის ბუნების სიმშვენიერის აღწერას და იმ ბუნებრივ პირობებისას, რომლებშიაც ინგლისელ გადმოსახლებულებს უხდებოდათ მოქმედება, მაგრამ

*) იხილე უკანასკნელი თავი ჩვენის შრომისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინეთ მოხსენებული ცნობებიც საკმარია, რომ მკითხველი დაგვეთანხმოს რივისის მოკლე დასასკვნელ შემდეგ სტრიქონების სიმართლეში:

„ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ახალი ზელანდია თავისს ბუნებრივ პირობებით წარმოადგენს ქვეყანაზედ უუმშვენიერეს და დალოცვილ კუთხეს. მართალია დასახლების დაგვარად ბევრი რამ, რაც ახალ ზელანდიას ამშვენიერებს და მის სურათს თვალწარმტაცად ხდის, თან და თან ჰქრება, მაგრამ ბევრი რამ ხელუხლებელიც რჩება.“

უკვე სდგებიან საზოგადოებანი, რომელთა მიზანია დაიფარონ ახალშენის უმშვენიერესი კუთხეები დამახინჯებისაგან. ზოგიერთ უუმშვენიერეს ადგილების მფარველობა თვით მთავრობამ იკისრა. ამ უკანასკნელ წლებში ფრინველების თავშესაფარად მიჩემებულია სამი პატარა კუნძული ახალშენის სხვადასხვა ნაწილებში, სადაც არავის არ შეუძლიან მათი ხელის ხლება.“

III

ახალ ზელანდიის მკვიდრნი მათრები.

„გონია, ქვეყნიერობაზედ მათრებისთანა მეომარი ხალხი არ მოიპოვებოდეს.“ — დარვინი „მოგზაურობა გემ ბიგლზე“ (1835 წელ.).

ვიდრე ახალ ზელანდიას განვიხილავდეთ, როგორც ერთგვარ „სოციალურ მეცნიერების ლაბორატორიას“*) და როგორც ანგლო-საკსონიურ ახალშენს (კალონიას), სადაც ამ ეამათ

*) „ეს ახალი საზოგადოებანი“, ამბობს პიერ ლერუა ბოლიე ავსტრალიის ახალშენების შესახებ, „ნამდვილ სოციალურ მეცნიერების ლაბორატორიებს წააგვანან და ფრად სასარგებლო იქნებოდა, რომ ძველ ქვეყნებს თვალყური ედევნათ ყველაფრისთვის, რასაც ახალშენელები (ინგლისის) სცდიან.“

სკდიან ახალ ეკონომიურ და სოციალურ სწავლას შესახებ საზოგადოებრივ ურთიერთობისას, საჭიროთ ვსთვლით ინგლისელების მოღვაწეობის უფრო ყოველ მხრივ დაფასებისათვის გავაცნოთ მკითხველებს ის ხალხიც, რომელიც სცხოვრობდა ახალ ზელანდიაში. ბევრად წინეთ, ვიდრე ევროპიელები პირველად ამ მშვენიერ კუნძულების კიდევებს დაინახავდნენ.

ახალ ზელანდიის პირველი მოსახლეები, ექვი არ არის, აღმოსავლეთ პოლინეზიის კუნძულებიდან უნდა მოსულიყვნენ. ყველა ადგილობრივი მცხოვრები პოლინეზიისა ერთ და იმავე მუზიკალურ ენის სხვა და სხვა დიალექტზე ლაპარაკობს. თუმცა კი ცნობილია, რომ ენა საექვო საბუთია რასიულ ნათესაობის დაფასებაში. მაგრამ პოლინეზიელთ რასიული ერთობა დამტკიცებულია ანტროპოლოგიურ ცნობებით, ჩვეულებებით, სარწმუნოებით და სხ. ყოველი პოლინეზიელი წამოსადეგია, შეუძლიან დროებით დიდი ფიზიკური ენერგია გამოიჩინოს, გატაცებით უყვარს ომი და გართობა (CHOPTB). მაგალითად მაორი ჩინებული მხედარი*) და კარგი მოთამაშეა „ფუტბოლისა“ (ინგლისური ბურთაობა**).

რამდენიმე საუკუნის წინეთ ახალ მაორების წინაპრებს ზოგი თემობრივ უთანხმოების და ქიშპობის, ზოგიც საზრდოს ნაკლულეგანების გამო დაუტოვნიათ თავისი სამშობლო კუნძულები და უპოვიათ ახალი სამშობლო „აო-ტი-რო“-ში, როგორც ისინი ეძახიან ახალ ზელანდიას. გეოგრაფიულ რუქის გადათვალიერების დროს კაცს ახალი ზელანდია ნამეტანი და შორებული ეჩვენება ოკეანეს სხვა კუნძულების ჯგუფებზე (2000 მილი) და ექვში შევა, ნუ თუ ნადირ ზღვაოსანსაც შეეძლო განზრახულ მიზნითაც კი ამ სიშორეზე ზღვაზე მოგზაურობაო?

*) ახალ ზელანდიაში ცხენები ევროპიელებმა გადარეკეს და ამ გვარად მაორები ჩინებულ მხედრებათ ინგლისელების თვალწინ შეიქმნენ.

***) ეს და ბევრი სხვა თამაშობა მაორებმა ინგლისელებისაგან იწავლეს; ამ ემად ეს თამაშობანი თავიანთ მასწავლებლებზე არა ნაკლებ იტაცებენ მათაც.

მაგრამ, როცა პოლინეზიელების ცურვის უნარს გავეცნობით, ამ გვარ ექვს ადგილი აღარ ექნება. პოლინეზიელები თავზედ ხელ ადებული ზღვაოსნები ყოფილან, შეუსწავლიათ და დაურქმევიათ სახელები ცის მნათობებისთვის, ქარებისთვის და ზღვის მიმდინარეობისთვის. მათი ორი ერთიერთმანეთზე ბანით გადაბმული დიდი ნაფი, რომელზედაც ედგათ დახურული შენობა, არ იყო ურიგო და უთუოდ არაფრით არ ჩამოურჩებოდა იმ გემებს, რომლებითაც ფინიკიელებმა აფრიკას გარს შემოუარეს.

პოლინეზიელების ნაგები ხან და ხან სიგრძით 14—21 საუნიაანი იყო. ხანგრძლივ ცურვის დროს სასმელ წყალს გამხმარ გოგრებში ინახავდნენ, საკვებად კი ძირეულობა და ხმელი თევზი ჰქონდათ; გარდა ამისა, კოკოსის კაკალი წარმოადგენდა ბუნებრივად შენახულს წნილს, რომელიც მათ საქმელ-სასმელობას უწევდა ზოგჯერ. შეეძლოთ წყლის განახლებაც ხანგრძლივის და დიდის წვიმების დროს; რაკი დახელოვნებული მეთევზეები იყვნენ, არ ჰკარგავდნენ შემთხვევას გზა. გზა თევზიც ეჭირათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ხან და ხან ესენი რომელიმე პატარა დაუსახლებელ კუნძულს მიადგებოდნენ ხოლმე, რომელთა რიცხვი დიდ ოკეანეს სივრცეში მრავალია. ამ უდაბურს კუნძულებზედ ხშირად პოულობენ ქვის ცულებს და სხვა პირვანდელ იარაღებს და ეს გარემოება ნებას გვაძლევს აღვადგინოთ პოლინეზიელთ მოძრაობის კვალი.

შემდეგ გადმოსახლებულ მაორების ჯგუფები გამოდიოდნენ ახალ ზელანდიის სხვა და სხვა ადგილებში, ხან და ხან დიდი დრო და ჟამი გადიოდა ერთი ჯგუფის გადმოსახლებიდან მეორე ჯგუფის გადმოსახლებამდე, მასთან წინად გადმოსახლებულებს შემდეგ გადმოსახლებულები კუნძულის შუა გულისკენ ან სამხრეთისაკენ ერეკებოდნენ; ან და რაც უფრო ხშირად ხდებოდა, ცალკე პატარა ჯგუფები თავთავიანთთვის თავი სუფალ, იქნობამდის არავისაგან დაჭერილ, ადგილებს დაეძებდნენ.

ამ გვარად მოხდა ახალ ზელანდიაში სხვა და სხვა დამოუკიდებელ ტომთა დასახლება. ეს ტომები ერთი-ერთმანეთზე შორი-შორს სცხოვრობდნენ. თვითეული ოლქი შეიქმნა განსაკუთრებული ტომის კუთვნილებათ, რომელსაც თავგანწირვით იცავდნენ „ტომოგაკით“ (იარალია) და შუბით. არარას, არც დროებით ძლევას და არც მონობას არ შეეძლო მაორების შეხედულებით ტომთა ამა თუ იმ მიწის მფლობელობის უფლების წართმევა. ამ უფლების დაკარგვა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ტომი სამუდამოთ განიდევნებოდა და მის მიწას თვით ძლევა-მოსილი მტერი დაიჭერდა. სხვა გვარ გარემოებებში კი დამარცხებულთა უფლებანი დაურღვეველი რჩებოდა და მრავალ წლის განდევნის შემდეგაც შეიძლებოდა დაკარგულ უფლებების აღდგენა. მაინცა და მაინც მიწა არ ითვლებოდა არც წინამძღვართა და არც რომელიმე პრივილეგიურ (უპირატესობანი) პირთა კუთვნილებათ*). თითოეულ თავისუფალ მამაკაცს, დედაკაცს ან ბავშვს უფლება ჰქონდა მიწაზე, რომელიც ეკუთვნოდა მთელ ტომს და ამ უფლებას ყველანი სცნობდნენ და პატივსაც სცემდნენ. მაშინაც კი, როცა ქალი სხვა ტომის კაცზე თხოვდებოდა ან კიდევ, როგორც პირველ ახალშენელთა დასახლებისას ხდებოდა, მაორი-ქალი თეთრკანიანზე თხოვდებოდა, იგი მაშინაც კი არ ჰკარგავდა უფლებას მიწაზე, თუმცა ყოველ გვარ უთანხმოების ასაცილებლად შეეძლო მას დადგენილ წესით თავისს კუთვნილ მიწის მფლობელობის უფლებაზე უარი განეცხადებინა.

მაორები არასოდეს არ მისდევდნენ ვაჭრობას; მათ არ იცოდნენ, რა არის ყიდვა-გაყიდვა. სცხოვრობდნენ მიწით და

*) ეს ყველაფერი საჭიროა აღვნიშნოთ, რადგან რაკი ინგლისელებისათვის გაუგებარი იყო მკვიდრთა მამულის მფლობელობის წესწყობილება, ეს გაუგებლობა ხდებოდა მიზეზად მკვიდრთა და მოახალშენეთა შორის ომის ჩამოგდებისა. მაორები მიწას არ სთვლიდნენ გაყიდულად ამა თუ იმ ინგლისელ ჯგუფზე, თუ ეს მიყიდვა წინამძღოლებისაგან ხდებოდა და ხშირად არ ესმოდათ მათ აზრი თვით პირობის წერილისა. (Ed. Jenhes. „ისტორია ავსტრალიეზიელ ახალშენებისა“).

ისევე მაგრა იყვნენ მიწებებულნი მასთან, როგორც ირლანდიელი გლეხნი. „საუკეთესო სიკვდილი კაცისათვის არის სიკვდილი მამულისათვის“, ამბობს მაორების ერთი ანდაზა. „დავიხოცნეთ მიწა-წყლისთვის!“ მისძახა ერთმა წინამძღოლმა თავის მხლებლებს, როცა პირველად გავიდნენ ინგლისელების წინააღმდეგ, რადგან მას სხვა არაფრით არ შეეძლო მათი წაქეზება.

ტომის ტერიტორია (არე-მარე) მაორებში საერთო-საზოგადო კუთვნილება იყო, ყველას შეეძლო თავისუფალ ადგილით ესარგებლნა: გამოეკათა საჭირო ხე-ტყე ან კიდევ სხვაფორივ ესარგებლნა მით და სხვ., მაგრამ შრომისაგან გამონაღები ნაყოფი კი—გამოკაფილი ხე-ტყე ან ამისაგან აშენებული ქოხი—პირად საკუთრებად ითვლებოდა. მინდორი, სახლი, იარაღი, ყოველგვარი ტანსაცმელი და სურსათი, რომელიც ამა თუ იმ ოჯახს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით ამავე ოჯახის საკუთრებად ითვლებოდა და არავის არ შეეძლო დაუსჯელად მათი ხელის ხლება.

განვლო დრო და ჟამმა. მაორებს ძველ სამშობლოს გზა გადავიწყდათ, ახსოვდათ მხოლოდ მისი სახელი—„ხავაიკი“. გადაივიწყეს გადაბმულ ნავების კეთებაც, თუმცა ზღვაოსნობისთვის არ უღალატნიათ; დარჩნენ ისევე ჩინებულ ზღვაოსნებათ და მისდევდნენ თევზაობას ახალ ზელანდიის გიჟმაყ ნაპირებთან, ხშირად 12 მილის სიშორეზედაც მიდიოდნენ.

ახალ ზელანდიის ტყეებში მაორებს მრავალი ფრინველი დახვდათ და რადგან შვილდ-ისარი არ ჰქონდათ, ცდილობდნენ ან ხაფანგით ეჭირათ ან კიდევ თავიანთ გრძელ შუბებით ეხოცათ იგინი. იკვებებოდნენ ან იმ მწვანეულობით, რომელიც მათ პოლინეზიიდან გადმოიტანეს, ან კიდევ ძირეულობით და ზოგიერთ გარეულ ხილით. საზოგადოდ ამ საზრდოს რომ თევზეულობა, ფრინველი და ხანდახან გარეულ ძაღლების და ვირთაფეების ხორციც დაეუმატათ, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაორები სრულიადაც ცუდად არ იკვებებოდნენ. არ ჰქონიათ მათ არც ჩაი, არც ყავა, არც შაქარი, არც თამბაქო და არც

მაგარი სასმელები. საქონლის ხორცსაც ძალიან იშვიათად შეე-
ქცეოდნენ. მათი კაცის მჭამლობაც დიდ ზეიმიან დღესასწაუ-
ლებით განისაზღვრებოდა, როცა შეტაკების დროს დამარცხე-
ბულ მტრებს შვედლებოდნენ ხოლმე ჭამას. არ ჰქონდათ არც
ლითონნი, არც იცოდნენ მეჭურჭლეობა, არ ჰქონდათ არც
შალი, არც ბამბა, არც აბრეშუმი, არც ტილო, არც ჰყავდათ
საქონელი და ამის გამო არაერთარი ტყავეულობა. ამის-და
მიუხედავად მაორები მაინც ახერხებდნენ ჩაცმა-დახურვას,
იკეთებდნენ საცხოვრებელ სახლებს და გამოიჩინეს კიდევ
შენობების კეთების, რთვის და მღებრობის ნიჭი.

რასაკვირველია, საჭირო იყო ბევრი შრომა, უნარი და
მოთმინება, რომ ამ გვარ პირობებში და ზემოდ ჩამოთვლილ
საშუალებებით რომელიმე განუვითარებელ და ხეპრულ წყო-
ბილებამდე მაინც მიეხწიათ და საზოგადოებისათვისაც რაიმე
ორგანიზაცია მიეცათ. ის შეხედულობა ნადირ ხალხზე, რომ
ვითომ იგინი მთელის დღეობით მზეზე ეყარნენ ან ცეცხლის პირას
ყბელობაში ატარებდნენ დროს და ყოველი საქმე კი ქალებზე
ჰქონდეთ მიგდებული, ამ გვარი წარმოდგენა მაორების შესა-
ხებ ძალიან შემცდარი იქნებოდა. პირველ მოგზაურების და-
კვირვებით მაორები მრავალ გვარ, მაგრამ არა ნამეტან შრო-
მაში ატარებენ ცხოვრებას. ყოველი ტომი, თითქმის მომეტე-
ბული ნაწილი ცალკე მოსახლეებიც კი თვითონ იკმაყოფილებ-
დნენ ყველა საქიროებათ. ეს ფაქტი მით უფრო დასაფასებე-
ლია, რომ ჩვენ ვლახარაკობთ იმ ტომთა შესახებ, რომელნიც,
თუმცა ნიჭიერნი არიან, სამაგიეროთ მოკლებულ იყვნენ ყო-
ველნაირ კულტურულ იარაღს და რომელნიც ისე გამარტოე-
ბით და განკერძოებით სცხოვრებდნენ, რომ ვითომც სხვა პლა-
ნეტაზედ ეცხოვროთ.

ძალაუნებურად სოფლის ყოველი მცხოვრები თავისთვის
მებაღეც, მეთევზეც დურგალიც და ფრინველის მჭერელიც უნდა
ყოფილიყო. თვითონვე იშენებდა სახლს, იკეთებდა ნაგებს, იმზა-
დებდა იარაღებს, ყოველისფერი, რაც თან დაჰქონდათ და
რასაც იარაღებათ ხმარობდნენ, იქვე და ადგილობრივ მასა-

ლისაგან იყო გაკეთებული. არ იცოდნენ მათ ვაჭრობა, მაგრამ საჩუქრების სამაგიეროთ მიღებ-მიცემა, ცხადია, ერთ გვარ ვაჭრობას წარმოადგენდა, რომლის მეოხებითაც ქვეყნის შიდა მცხოვრები თემები შოულობდნენ ზღვის ხმელ თევზს ზღვის პირად მცხოვრებ თემებისაგან.

რაკი არ ჰყავდათ არც საქონელი და არც შინაური ფრინველი, იძულებული იყვნენ მთელი თავიანთი შრომა მიწისათვის მოენდომნათ. მინდვრებს, სადაც სთესავდნენ მშვიდ-ოკეანიურ ძირ-ნაყოფიან მცენარეულობას, ჰბარავდნენ და სთხრიდნენ ხის ნიჩბ-ბარებით. თუმცა დედაკაცებს მიწას არ აბარვინებდნენ, მაგრამ მათი შრომა ბარვაზე არა ნაკლებ მძიმე იყო. მათი საქმე იყო კალათებით მძიმე ქვიშის ზიდვა მიწის ზედა პირზე მოსაყრელად.

განათლებულ კაცისათვის, განსაკუთრებით ქალაქ ადგილას მცხოვრებლისათვის ძნელი წარმოსადგენია ის დიდი მოთმინება და ხერხი, რომელიც მაორს უნდა ეხმარა, რომ ფრინველს შუბით მიჰპაროდა და მოეკლა იგი. ამ გვარ ნადირობისათვის ჯერ უნდა გაეკეთებინა მას ერთგვარ მსუბუქ ხისაგან (fawa) საგანგებოდ ამისთვის წვრილი და სიგრძით 30 ფუტიანი, (4^{1/2} საფენია) შუბი. ერთ ხისაგან შეიძლებოდა მხოლოდ ორი შუბის გაკეთება და რადგან იარაღად მას მხოლოდ პირიანი ქვა ჰქონდა, ამიტომ მათი კეთება რამდენიმე თვეობით გრძელდებოდა. ეხლა წარმოიდგინეთ, რამდენი მოქნილება, ხერხი და აუჩქარებლობა იყო საჭირო მაორისათვის, რომ ამ გვარი იარაღით იმისთანა ხშირ და დაბურულ ტყეში ემოძრავნა, სადაც თეთრკანიანი თოფითაც კი ძლივს ახერხებს მოქმედებას. რამდენი დრო და ჯამი იყო საჭირო, რომ კაცს იმ სულის განაბვამდის და ხელოვნებამდის მიეხწია, რომ ისე მოეკლა გარეული თუთიყუში ან მტრედი, რომ შუბით არც ერთ ტოტს არ შეხებოდა.

თუმცა მაორები საქმელს არც ამზადებდნენ და არც სჯამდნენ სახლში, მაინც მათი საცხოვრებლების ჰაერი აუტანელი რამ იყო თეთრკანიანების ცხვირისათვის და ფილტვებისათ-

ვის. *) თვით დიდ შენობებსაც კი, სადაც მთელი ტომი მოსა-
ლაპარაკებლად იკრიბებოდა, თითო კარი და ფანჯარა ჰქონ-
დათ. მაორები ვერც-კი მიხვედრილიყვნენ იმას თუ ერთ სახუ-
რავის ქვეშ მყოფი სადგომი შეიძლებოდა რამდენიმე თვალ-
ოთახად დაყოფილიყო.

ახალ ზელანდიის ტომები თითქმის განუწყვეტლივ ბრძო-
ლაში იყვნენ ერთმანეთთან და საოცარ სიგულადეს და ეშმა-
კობას იჩენდნენ ხოლმე იმ დროს. სანდო და მკოდნე პირნი
ამტკიცებენ, რომ ორის თაობის წინეთ მაორები ქვეყნიერო-
ბაზედ ყველაზე მეომარ და მკაცრ ხალხს წარმოადგენდნენ.
მოხდებოდა, რომ მაორები კეთილშობილ და რაინდულ
თვისებებსაც იჩენდნენ ხოლმე, მაგალითად, დაცემის დღეს
მტერს წინდა-წინვე ატყობინებდნენ და არც უმტყუნებდნენ.
მოხდებოდა ისიც, რომ თავიანთ შუა მომწყვდეულს მტრის
რაზმს საზრდოს აწვდიდნენ, რათა თანაბარ პირობებში შებრ-
ძოლილიყვნენ. მათთვის ომს უფრო უკეთესი აზრი ჰქონდა,
ვიდრე სიკვდილ-სასიცოცხლოდ ბრძოლას. ომი იყო მათთვის
ერთგვარი საჯიბრ-საქიშპო საქმე, სდებდნენ პირობებს, რო-
მლებსაც ორთავე მხარე პირნათლათ ასრულებდა, ისე რო-
გორც ამ ჟამად იქცევიან ბურთაობის დროს კოლონიისტები
და მეტროპოლიის მცხოვრებნი ერთი-ერთმანეთში*).

ვინც მაორების ცხოვრებას დაჰკვირვებია, გვითითებენ აგ-
რეთვე მათ სხვა კეთილთვისებებზედაც: სტუმართმოყვარობა-
ზე, სტუმრების ნაზად მოკიდებაზე, მშვენიერების დაფასებაზე,

*) თვითონაც და მათი სახლებიც ბინძური და აყროლებულია. მათ,
გვგონია, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ საცვალის გარეცხვა შეიძლებოდეს.
ერთ უფროსთაგანს პერანგი მთლად გაშავებოდა და ყოველნაირ სის-
ძაგლით გაჰკლესოდა. როცა ვკითხე რამ მოგისვარა ეგრე მეთქი, იმან
გაკვირვებით მიპასუხა: „განა ვერ ხედავთ, რომ უკვე ძველია“. ჩ. დარ-
ვინი. „გემ ბიგლით მოგზაუროლა“.

*) ან როგორც დესავლეთ საქართველოში იციან ხოლმე, სადაც
მეგრელები და გურულები ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგეს წარმოა-
დგენენ.

(რომელიც გამოიხატებოდა მოქარგულ ენაში და იმ ლამაზ ადგილების ამორჩევაში, სადაც ისინი დასახლებულან), და ბოლოს სამქვერმეტყველო ნიჭზე, რომელსაც ისინი სახალხო ყრილობებში იჩენენ.

საზოგადოდ იმ ევროპიელისათვის, რომელიც თავის დაკვირვებებს მაორების გარეგან ცხვრების შესახებ სწერდა, ძნელი იყო შეეჩერებინა თავისი ყურადღება იმ ხალხის ღირსებებზე, პოეზიაზე და მამაცობაზე, რომელსაც ასე სძაღდა რეცხვა და სცხოვრობდა ბინძურ ქონხახებში. ის წინამძღოლი, რომელსაც მქვერ-მტყველურად შეედგო ლაპარაკი და დახელოვნებულ მხედართ-მთავრად ყოფილიყო, თეთრკანიან მოგზაურში ჰბადავდა მხოლოდ სიძულვილს, როგორც ჭუჭყიანი და ბინძური არსება, როცა ეს ქონით გაპოხილი, წითელ ფერადებით გასვრილი, „ტატუიროვკით“*) აჭრელებული მიწაზედ გათხლეშილი ეგდო. შეიძლებოდა მოგზაური ძალიან სტუმართ მოყვარულადაც მიეღოთ და გამაგრებულ სოფლის შესავალი კარის ბჭეც მტრის გამხმარ თავებით დამშვენებული ჰქონოდათ, რომლებიც სტუმართ-მოყვარე და სალამიან მასპინძელს დაეხოცნა; შეიძლებოდა ამავე დროს ამავე მასპინძელს იმ კაცების კბილების ძეწკვიც ჰქონოდა ჩამოკიდებული ყელზე, რომლებსაც ერთ დროს ესევე მხიარულად გაუმასპინძლდა, მაგრამ ყველა ესენი ერთი ერთმანეთს სრულებით არ უშლიდნენ. თუმცა კანიბალური (კაცის ჭამა) ზემი მაორებში იშვიათი მოვლენა იყო, სამაგიეროთ დამპალი საკვები საუკეთესო თავად (სალო) ითვლებოდა მათში. მართალია, მაორები აღმოსავლეთ ხალხისებურ მონობას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ სიყალბე და გაიძვერობა ხშირი იყო მათში. ახალ ზელანდიის ომების ისტორია ძალიან მდიდარია გაიძვერულ ლალატობის მაგალითებით. თუ ცოლქმრული ლალატი მაორებში იშვიათი იყო, იშვიათადვე შეხვდებოდით ქალწულს გასათხოვარ ქალებს შორის...

*) ტანის კანზედ სხვა და სხვა ფერად სურათების გამოყვანა, რომელიც ძალიან გავრცელებულია ნადირ ხალხში.

საზოგადოდ მაორი მამაკაცი მაღალი და ჩასხმულია, ქალი კი დაბალი ტანისა და ხებრული მოყვანილობისაა, ვიდრე მამა-კაცი, რის გამო ევროპელების თვალში კაცი უფრო ლამაზი სჩანს, ვიდრე ქალი, თუმცა ქალი კარგის ფერით და შავის თმებითაა შემკული. რაკი ასეთი ახოვანი და ღონიერი ხალხი ყოფილა და ამასთანავე სრული თავისუფლება ჰქონია დასახლებულიყო ნაყოფიერ და საღ ქვეყანაში, ამიტომ საფიქრებელია, რომ ძალიან უნდა გამრავლებულიყო და გავესო ორთავე კუნძულები ამ ხალხს. მაგრამ ამგვარი არა მომხდარა-რა. შეგვიძლიან ვიფიქროდ, რომ ევროპელების გადმოსახლებამდის ახალ ზელანდიის მკვიდრთა რიცხვი არასოდეს 150,000 სულს არ გადასცილებია. მაორები მკიდროდ სცხოვრობდნენ მხოლოდ კუკის სრუტის ნაპირებთან (ჩრდილო და სამხრეთ კუნძულებ შუა); კუნძულების დანარჩენ ნაწილებში კი გაფანტულ მოსახლეებად.

საქმე იმაშია, რომ მაორები წარმოადგენდნენ ცხელ ქვეყნის ხალხს, რომელიც გადმოსახლებულა თბილ ქვეყანაში. მათი ტანსაცმელი, საქმელი და ჩვეულებანი გვიმტკიცებენ, რომ იგინი ისეთ ქვეყნიდან წამოსულან, სადაც არც თოვლი და არც ყინვა სცოდნია. მართალია მაორები წამოსადეგი ხალხია და შეხედულობითაც ძალიან საღად გამოიყურება, მაგრამ თითქმის ყოველთვის სუსტისგულის და ყანყრატოს პატრონია. პირველ მოსულ ევროპელებმა უკვე შენიშნეს, რომ მაორები ხშირად სწრაფის სიკლერქით იხოცებიან: ავად ხდებიან აგრეთვე კანის ავადმყოფობით, ნეკრესის ქარებით და მძიმე ინფლუენციით.

ამ გვარი იყო ის ხალხი, რომელიც დახვდათ ევროპელებს ახალ ზელანდიაში. გადავიდეთ ახლა ინგლისელებისაგან ახალ ზელანდიაში კოლონიების გაშენების საქმეზე. მართალია, შემდეგში არა ერთხელ მოგვიხდება ლაპარაკი ამ ორ რასის ერთი-ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, მაგრამ მაინც ერთ-ერთ უკანასკნელ თავში ისევ დაეუბრუნდებით ახალ ზელანდიის მკვიდრთ და ვეცდებით დავახასიათოთ მათი აწინდელი მდგო-

მარეობა ნახევარ საუკუნის შემდეგ ინგლისელების ქვეშევრდომობის ქვეშ.

IV

ახალ ზელანდიის აღმოჩენა ევროპელებისაგან და მათი პირველი დასახლება მკვიდრთა შორის

პირველი ევროპიელი, რომელმაც დაინახა ახალი ზელანდია, იყო გოლანდიელი მოგზაურ-ზღვაოსანი აბელ ტასმანი. ავსტრალიის ნაპირების გამოკვლევის დროს, რომელიც მაშინ ახლად აღმოჩენილი იყო, ბევრი ცურვის შემდეგ 1642 წელ. ტასმანი წააწყდა ერთს იქნობამდის უნახავ ქვეყანას, რომელსაც უწოდა „ახალი ზელანდია“. ტასმანმა ახალ ზელანდიის ნაპირები მხოლოდ დაინახა, რადგან, როგორც ის ამბობდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს მისგან გაგზავნილი კაცები არ შეეშვათ ხმელეთზე და რამდენიმე კიდეც მოეკლათ.

გოლანდიელები ძალიან ნაკლებ აფასებდნენ თავიანთ აღმოჩენილ ხმელეთ ავსტრალიას, რადგან იცოდნენ მხოლოდ ამ ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაპირების ცხელი, ხმელი და უნაყოფო ადგილები. იქნება ტასმანის ნაამბობის გამოც ვერ ჰხედავდნენ ახალ ზელანდიის ნახვასაც. მართალია, გოლანდიელები ცდილობდნენ ტასმანისაგან ახალ ზელანდიის აღმოჩენა კაცობრიობისათვის დემალათ, მაგრამ ეს კუნძულები ხელმეორედ მაინც აღმოჩენილ იქმნენ მეორე გამოჩენილ მოგზაურ-ზღვაოსანისაგან—კაპიტან კუკისაგან (1769 წელს).

მაგრამ კუკმა არამც თუ აღმოაჩინა ახალი ზელანდია, არამედ გამოიკვლია კიდეც მისი ნაპირები (ხუთჯერ იმოგზაურა), ახალი ზელანდია შეუერთა მან ინგლისის მფლობელობას და მხოლოდ ორის თვით დაასწრო ფრანგებს, რადგან ამავე წელს დეკემბერში ახალ ზელანდიის ნაპირებს მიაღვა ფრანგი მოგზაური სიურვილი. როგორც კუკს, ისე სიურვილს მრავალი შეტაკება მოუხდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან. თვით ევ-

როპიელების თქმით, ამ შეტაკებათა მიზეზი თვით ევროპიელებივე ყოფილიყვნენ, რომლებსაც არ უნდოდათ შეეგნათ, რომ ნაღირ ხალხსაც შეუძლიან იქონიოს კაცობრიული უფლებანი.

რაკი მეთვრამეტე საუკუნის დამლევის ინგლისელებმა დაპყარგეს უმეტესი წილი ამერიკის მფლობელობიდან, მაშინ თავიანთი ყურადღება ავსტრალიას და მის გარშემო მყოფ კუნძულებს მიაქციეს. ეს ადგილები ნამდვილად ჯერ არავის დაეჭირა და შეუსწავლელი იყვნენ. ჩრდილო-ამერიკის კოლონიების ნაცვლად, რომელთაც დამოუკიდებლობა მოიხვეჭეს (1783 წ.) შეერთებულ შტატების სახელით, ინგლისელებმა დაუჩქარეს სხვა ახალ ქვეყნებში ადგილების შეძენას.

გოლანდიელების წინააღმდეგ, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ცდილობდნენ ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დასახლებას, ინგლისელებმა გადასწყვიტეს მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირების გამოკვლევა და როცა ნახეს, რომ ძალიან სასარგებლო იქნებოდა, დააფუძნეს იქ ახალი ინგლისი. ავსტრალიის მეტის-მეტე სიშორე ნებას აძლევდა კაცს ეფიქრა, რომ პირველ ხანში იქ დამსახლებელ მსურველთა რიცხვი ცოტა იქნებოდა, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა ამ ადგილებში დამნაშავენი ეგზავნა (როგორც რუსეთში ციმბირი) უკვე 1788 წელს, ე. ი. შეერთებულ-შტატებისაგან დამოუკიდებლობის მიღების ხუთის წლის შემდეგ, გაიგზავნა დამნაშავეთა პირველი ჯგუფი, რომელიც აწინდელ კეთილმოწყობილ და მშვენიერ სატახტო ქალაქ სიდნეის მახლობლად დაბაჰანდა. ამ ღირს-სახსოვარ დღიდან 1788 წლის 18 იანვრიდან იწყება ავსტრალიის ისტორია, როგორც ინგლისის კოლონიისა, იწყება ისტორია იმ კაცთა საზოგადოებათა, რომელთაც ბედათ ხვდათ, არა უმეტეს ასის წლის შემდგომ, დაეჭირათ მოწინავე ადგილი განათლებულ კაცობრიობის შორის, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ და განეხორციელებინათ ზოგიერთი უმთავრესი ეკონომიური და სოციალური საკითხები.

პირველ ხანებში კოლონიების საქმე ფრიად მძიმედ მიდიოდა, ისე რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ახალსამხრეთ ვალლისში*) დაახლოვებით 6000 ევროპიელი სცხოვრობდა, ისიც ყველა სიდნეის მიდამოებში შეჯგუფულიყვნენ. ეს რიცხვი ოცის წლის შემდეგ 30,000-მდე ავიდა.

თუ ესე მძიმედ მიდიოდა საკოლონო საქმე ინგლისელების უმთავრეს კოლონიებისა, იგივე საქმე უფრო ცუდს მდგომარეობაში იყო ახალ ზელანდიაში. დამნაშავეთ იქ არ გზავნიდნენ, თავისუფალი კოლონიელები, რომელთა რიცხვი ისედაც მცირე იყო ავსტრალიაშიც, ვერა ჰბედავდნენ ამ შორეულ კუნძულზედ წასვლას, რომელიც ცნობილი იყო მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა უდიერობით. უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელ დროში ახალ ზელანდიის ნაპირებთან ძალიან ხშირი იყო ვეშაპი (КИТЬ); ეს პირუტყვი გაუხდათ მის მჭერავეებს საკენკათ, რომელიც იზიდავდა მათ იქითკენ. თუმცა ეს პირნი სამუდამოდ არ სახლდებოდნენ იქ, მაგრამ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ მაინც ჩერდებოდნენ და ხანჯახან ავსტრალიიდან გამოქცეული დამნაშავენიც გადადიოდნენ.

მაგრამ ვეშაპის მუშტრების რიცხვიც ძალიან მცირე იყო, ჩერდებოდნენ მომეტებულ ნაწილად სამხრეთ კუნძულზედ და ეს წარმოება არც ისეთი საგანი იყო, რომ ამ კუნძულების დასახლებას საფუძვლად დასდებოდა.

თუ მაორების სისხლის მსმელობის ხმები ბევრს აშინებდა, სამაგიეროდ ესევე ხმები მისიონერებს ქრისტეს სწავლის გავრცელების სურვილს უღვიძებდა და იმედოვნებდნენ, რომ ამ სწავლით აიძულებდნენ მაორებს საძაველ ჩვეულებებზე და განსაკუთრებით კაცის მკამლობაზე ხელი აეღოთ. 1820 წლიდგან იწყება მაორებში სისტემატიური ქადაგება ქრისტიანობისა, ამასთანავე ინგლისელ მისიონერებმა თავი იჩინეს არამც თუ იმ აუცილებელ თვისებებით, რომელნიც საჭიროა ამისთანა საქმეში — გულადობით და გამბედაობით, არამედ იმითაც, რომ ჰსურდათ მცხოვრებელთა ნამდვი-

*) იმ დროში ინგლისელების ერთად-ერთი კოლონია ავსტრალიაში.

ლი მეგობრებიც ყოფილიყვნენ. თუმცა მასსიონერთა ქადაგებას გარეგნულად დიდი ნაყოფი არ გამოუღია, რადგან მოქრი სტიანებულთა რიცხვი ფრიად მცირე იყო, მაგრამ ნამდვილად კი ძლიერ ნაყოფიერი შეიქნა, რადგან მისსიონერებმა ბევრ წინამძღოლის ზნე-ხასიათის მოქნა-მოარბილება მოახერხეს და იმათ მეოხებით იმათი ტომებისაც.

მისსიონერები ავრცელებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებში სიტყვით და საქმით არამც თუ ქრისტეს სწავლას, არამედ თავიანთ სამაგალითოდ მოწყობილ ფერმებით ავრცელებდნენ მათში სამეურნეო ცოდნას, სასარგებლო კულტურულ მცენარეებს და პირუტყვებს; ასწავლიდნენ მათ ინგლისურ ენას და თავიანთ მხრივ სწავლობდნენ მათგან გულდასმით ადგილობრივ ენას მათთან უფრო დაახლოვებისათვის და მტკიცე გავლენისათვის. ღირს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაორები მისსიონერების მაგალითით რწმუნდებოდნენ, რომ ევროპიელთა შორისაც მოიპოვებოდა ისეთი ხალხი, რომელიც მათ თანაუგრძობს და შეუძლიან მათი ჭირ-ვარამის და ინტერესების გაგება. იმის დასამტკიცებლად, რომ მაორების თვალში მისსიონერები დიდ ზნეობრივ ძალას წარმოადგენდნენ, საკმარისია აღვნიშნოთ ის შესანიშნავი ფაქტი, რომ მიუხედავად მრავალ შეტაკებისა და ომისა ევროპიელ და მაორთა შორის ამ უკანასკნელთ არასოდეს არავითარი ძალმომრეობა არ უხმარიათ თავიანთ შორის მყოფ მისსიონერებზე.

მისსიონერების უპირველესი მიზანი იყო შეესწავლათ მაორების ენა, შეედგინათ ანბანი, გრამატიკა და ლექსიკონი. ეს შრომა მისსიონერებმა ისე გულდასმით და პირნათლად შეასრულეს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათ წლებში შეიძლებს კიდევ მაორების ენაზე ახალ-აღთქმის გადათარგმნა. და ოცის წლის შემდეგ ამ ენაზევე უკვე გადათარგმნილი ჰქონდათ მთელი ბიბლია. რომ უფრო ღირსეულად დავაფასოთ ინგლისელ მისსიონერების მოღვაწეობა, საკმარია გავიხსენოთ, რომ ევროპის რუსეთში დასახლებულ უცხო ტომთა ის პატარა ხალხები (зыряне, мордва, черемисы და სხვა-და-სხვა), რომ-

მღებისათვის რუსეთს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ გვარი არა გაუკეთებია, რომ მათ სარწმუნოებრივ განათლებაში მეტი სინათლე შეეტანა*).

საუბედუროდ, ის ევროპიელნი, რომელთა რიცხვი ახალ-ზელანდიის ნაპირებზე თან და თან მატულობდა, არ გვანდნენ მისიონერებს. პირველ ხანში გამარჯვება თოფით შეიარაღებულ თეთრ-კანიან ბოგანოს რჩებოდა და ეს იარაღი უპირატესობას აძლევდა მას მაორზე. ამ უპირატესობით ისინი უზომოდ ბოროტ-მოქმედობდნენ. გავიდა დრო, მაორებმაც ისწავლეს თოფის ხმარება და არასფერს ზოგავდნენ მის შეძენისათვის. პირველად, რასაკვირველია, განაპირას მცხოვრებ ტომებმა შეიძინეს იარაღი და იწყეს ავაზაკობა ქვეყნის შიდა მცხოვრებ ტომებში. შემდეგ ამათაც შეიძინეს იარაღი და აქედან იწყება სასტიკ და უღმობელ ომების ხანა ახალ ზელანდიის სხვა-დასხვა ტომთა შორის. ჰფიქრობენ, რომ იმ დროს ახალ ზელანდიის მკვიდრთა არა ნაკლებ ერთის მეოთხედისა დაიღუპა...

„1830 და 1840 წლებ შუა“, — ამბობს რივისი, — „ახალი ზელანდია დაადგა განვითარების ახალ გზას. იგი აღარ წარმოადგენდა უცნობს, საშინელ კაცის მჭამელ ხალხით დასახლებულ ქვეყანას, რომელსაც გემების კაპიტნებიც კი ერიდებოდნენ და გზას უქცევდნენ. ეხლა აქ მოიპოვებოდა ცოტაოდენი თეთრ-კანიანი და ვაჭრობაც თან და თან იკიდებდა ფეხს. მისიონერები მუშაობდნენ არამც თუ ზღვის პირა სოფლებში, არა მედ კუნძულების შიდა-ოლქებშიაც და ამ ათის წლის განმავლობაში მაორთა მცირე ნაწილს ქრისტიანობა უკვე მიეღო. ჩხუბი ტომთა შორის თანდათან შემცირდა. ამის მიზეზი ერთის მხრივ საერთო დაქანცვა და ხალხის დაკარგვა იყო და მეორეს მხრივ — შიში იმ საშინელ იარაღის წინაშე, როგორც არის თოფი. ეხლა თითქმის ყველა ტომი შეიარაღებული იყო და

*) მაგრამ თვით რუსის ხალხი, რომელმაც აგერ 900 წელიწადია, რაც მართმადიდებლობა მიიღო, ახალ ზელანდიის მაორებზე უფრო გვიან ეღირსა სრულ ბიბლიის რუსულ ხალხურ ენაზე (არა სლავიანურ) კითხვას. — ჩისტოვიჩი „ბიბლიის რუსულ ენაზე თარგმნის ისტორია.“

ამ თანაბარად შეიარაღებამ მოპირდაპირენი შეარიაგა. ამ გარემოებებს დაერთვა მისსიონერების ქადაგებაც.“

„იმ დროს ახალ ზელანდიაში 2000 თეთრ კანიანამდე იქნებოდა. ესენი შესდგებოდნენ მისსიონერებისაგან, ესრედ წოდებულ „პაკეხა მაორებისაგან *) ე. ი. იმ თეთრ კანიანებისაგან, რომელთაც შეირთეს მაორის ქალები და მათთან სცხოვრობდნენ, ვეშაპის მჭერავებისაგან, ვაჭრებისაგან და სხვა-და-სხვა ბოგანო ხალხისაგან **), რომლებიც სცხოვრობდნენ სამხრეთ-კუნძულზედ „კუნძულის ყურეში“. ეს მშვენიერი ყურე იყო ის ადგილი, სადაც თეთრკანიანები უფრო მეტად იყრიდნენ თავსა და იმავე დროს ადგილი ყოველგვარ უმგზავსოებისა: ლოთობისა, მხეცურ ქეიფისა და გარყვნილობისა, რომლებშიაც, რასაკვირველია, მკვიდრთაც ურევდნენ. ექვი არ არის, როგორც თეთრების, ისე მაორების მხრივ, თუმცა ამ უკანასკნელებისაგან ნაკლებ, ათასნაირი ბოროტ-მოქმედება ხდებოდა და ერთად-ერთი კანონი, რომელიც ძალაში იყო აქ—იყო ესრედ წოდებული „ღანჩის კანონი“. მართალია, ახალი ზელანდია აღმოჩენის დღიდანვე კუკმა ინგლისს შეუერთა, მაგრამ ეს შეერთება ფაქტიურად არაფრით არ გამოიხატებოდა: კუნძულზედ არც-ერთ უფლებს წარმომადგენელი არ მოიპოვებოდა: არც სამხედრო და არც სამოქალაქო.

1825 წ. ინგლისში შესდგა ამხანაგობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა, ჩრდილოეთ კუნძულზედ ადგილები შეესყიდნა და კოლონიები გაემართა. ამ ამხანაგობის წარმომადგენელმა იყიდა კუნძულზედ მიწის ნაქვრი და გააშენა. პირველი სანახაობა, რომელიც ამ გადმოსახლებულებმა კანძულზედ ნახეს,

*) მაორების ენაზე „პაკეხა“ ნიშნავს თეთრს. ეს „თეთრი მაორები“ ახალ ზელანდიაში ხშირად სხვა-და-სხვა არეულობის მიზეზად ხდებოდნენ, ესენი ასწავლიდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს ევროპელების მოტყუებას, აჩვენებდნენ ევროპელებსა ზოგიერთ ავ-ზნჯს, მაგალითად, ლოთობას და ავრცელებდნენ იმისთანა ავადმყოფობასაც, როგორცაა სიფილისი. თუმცა იგი იყვნენ შუა-მავლებად სავაჭრო და სხვა საქმეებშიაც.

***) მაკალ., აესტრალიიდან გამოპარული დამნაშავენი.

იყო სამხედრო ცეკვა, რომელიც მაორებს მათის პატივისცემისთვის გაემართათ. ამით ამ სანახაობისა ისე შეეშინდათ, რომ უმეტესობამ მაშინვე აკრიფა გუდა-ნაბადი, გადიტანა გემზედ და გადასწყვიტა ავსტრალიაში წასვლა. ასე უბრალოდ დაიკარგა 200,000 მან., რომელიც ამხანაგობის შედგენას და გადასახლების მსურველთა პირველ ჯგუფის ორგანიზაციას დასჭირდა.

„საქმე იმაშია, — ამბობს ამის შესახებ რიესი — რომ ამ დროს ინგლისის სახელმწიფოს კაცნი წინააღმდეგნი იყვნენ კოლონიების გამრავლებისა. როცა მაშინდელ პირველ მინისტრ გერცოგ ვალინგტონელთან დებუტაცია გამოცხადდა და ახალ ზელანდიის კოლონიზაციაში დახმარება სთხოვა, ამაზედ მან გადაჭრით უარი უთხრა და გამოუცხადა, რომ ახალი ზელანდია გინდაც რომ ისეთი ძვირფასი რამ იყვეს, როგორც ამას დებუტაცია ამტკიცებს, ინგლისს მაინც მაგისთვის არ სცალიან, რადგან ისედაც საკმარი კოლონიები აქვსო“.

ცხადია, მართო გერცოგი ველინგტონელი როდი ჰფიქრობდა ასე. 1831 წელს მართლა სხვა სხვა ტომთა ცამეტმა წინამძღვარმა მისსიონერების რჩევით სთხოვეს ინგლისის მმართველებს სიდნეიში (ავსტრალიაში) მიეღოთ იგინი თავიანთ მფარველობის ქვეშ; ამ გვარი თხოვნა იმიტო აიხსნება, რომ მისსიონერებმა ჩააგონეს მაორებს, რომ ამ გვარად უფრო ჩქარა მოეღებოდა ბოლო სხვა და სხვა ვიგინდარას თვითნებობას და უწესოებას. თუმცა სიდნეიელ მმართველებმა უარი განაცხადეს წინამძღოლთა თხოვნაზე, მაგრამ იმ საჭიროებამ კი, რომ იმ უწესოებას, რომელიც ახალ ზელანდიაში ხდებოდა ასე თუ ისე უნდა ბოლო მოჰღებოდა, აიძულა ინგლისის მთავრობა შემდეგ წელს თავისი წარმომადგენელი ჯემსი ბესბი გაეგზავნა, რომელიც 1833 წელს „კუნძულის ყურეში“ მივიდა.

რასაკვირველია, ამ გვარ გაგზავნას ძალიან მცირე პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, რადგან ბესბს არც ჯარისკაცნი და არც სხვა ხელ-ქვეითები არა ჰყავდა, რომელთაც შესძლებოდათ აღსრულებაში მოეყვანათ მისი განკარგულებანი. ამ გვარ

მდგომარეობაში იყო საქმე ექვსის წლის განმავლობაში. ამ დროს ერთმა (შემთხვევათა მაძიებელმა) ფრანგმა ბარონ ტიერმა 30 ცალ ცულად 15000 დესეტინა მიწა იყიდა, თავისი თავი ახალ ზელანდიის „მეფედ“ გამოაცხადა და საფრანგეთის მთავრობას დახმარება სთხოვა. მაგრამ არც ფრანგების და მით უმეტეს არც მაორების მიერ იგი არ იყო ცნობილი და მალე ყველასათვის სამასხაროდ გახდა. ასევე მოიქცა მეორე ფრანგი, ერთ ვეშაპის მჭკრელ გემის კაპიტანი, სახელად ლანგლუა, რომელმაც ვითომდა იყიდა 100,000 დესეტინა მიწა, ცდილობდა წაექეზებინა ფრანგები ახალ ზელანდიაში წასასვლელად. მალე ახალ ზელანდიაში გაჩნდა ფრანგი მისსიონერიც, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოების გავრცელებას შეუდგა.

იმ აზრმა, რომ ახალი ზელანდია მომავალში უსათუოთ ევროპიელებით დასახლდებოდა, ბევრი ვიგანდარა მიიზიდა ამ ქვეყანაში; ესენი ყიდულობდნენ სადაც მოხვდებოდათ უშველებელ ადგილებს, რაზედაც უწოდეს მათ მიწის „ნათელთვეზა“ (AKYJA). ეს სყიდვა ხდებოდა უბრალო მოლაპარაკებით და აძლევდნენ მცირე რაშეს. ყორღანს და მიჯნებს ჰყრიდნენ მხოლოდ ყიდვის შემდეგ. ერთმა ვაჭბატონმა განაცხადა, რომ მთელი სამხრეთი კუნძული ერთბაშად ნაყიდი მაქვს სიდნეიში ექვსიოდ მაორისაგანაო. მაორებაც ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ თეთრებს ტყუილში და ერთი და იგივე ადგილი რამდენჯერმე გაუყიდიათ ან ჰყიდნენ სხვის საკუთრებას. ერთის სიტყვით, 1840 წლებში ამ გვარად „გაყიდულა“ 26000000 აკრი (დაახლოვებით 7000000 დესეტინა), ე. ი. მთელ ზელანდიის ერთ მესამედზე მეტი.

ადგილი წარმოსადგენია, თუ ამ გვარპირობებით რა ნიჲდაგი მზადდებოდა ყოველ გვარ ჩხუბის, უწესოების, უსიამოვნების და მრავალ სისხლის ღვრისა და რა დიდად საქირო იყო ამისთანა მმართველობა, რომელიც ძალასიხმარდა და შეასრულებინებდა ზოგიერთ საზოგადოებრივ ძირითად კანონებს შინც როგორც მაორებს, ისე თეთრ კანიანებს, რომლებიც სვავებივით მოესივნენ ყოველის მხრიდან.



დასაწყისი ახალ ზელანდიის საისტრუქტურად დასახლებებისა: „ახალ ზელანდიის კამპანიის“ დაფუძნება.

„ახლა სცენაზედ გამოდის—ამბობს რიესი, — ნამდვილი დამფუძნებელი (ახალზენისა) კოლონიისა და არც შეიძლებაოდა მეტის დაგვიანება. ახალი ზელანდია ან ფრანგ ვიგინდარებს უნდა ჩავარდნოდათ ხელში, ან ისევ უწინდებურად უწესობის ასპარეზად დარჩენილიყო. ამასობაში დიდებულ კოლონიზატორ გიბზონ ვეკფილდს ხვდა წილად ახალ ზელანდიის ხსნა. ვეკფილდს ამ საქმეში იმდენი დაბრკოლება შეხვდა, რომ ბევრს ააღებინებდა ხელს ამ განზრახვაზე... მით უმეტეს, რომ ინგლისის მთავრობას გიორგი IV-ს ტახტზე ასვლისას სრულებით არ ჰქონდა სურვილი საკოლონიო მფლობელობის გაფართოვებისა.

ინგლისელებს ჯერ არც კი დავიწყებოდათ ის დამცირება, რომელიც მათ ჩრდილოეთ ამერიკასთან ბრძოლის დროს გამოიარეს, რომ ამ გვარმავე არეულობამ კანადაშიაც იჩინათავი. მაშინ ავსტრალია მხოლოდ დამნაშავეთა დასასახლებელადგილს წარმოადგენდა. სამხრეთ აფრიკაც მომავალში იმუქრებოდა: იქაც რასიული შეტაკება უნდა მომხდარიყო, როგორც ბოლოს კიდევაც გამართლდა. ამისთანა გარემოებანი ინგლისელებს თვით არსებულ კოლონიებზედაც გულს უცრუებდნენ. მხოლოდ გენიალურ კაცს შეეძლო ხელმეორედ აღედრა ინტერესი კოლონიებისადმი. საბედნიეროდ, ამ გვარი გენიოსიც აღმოჩნდა.“

ჩვენ არ გამოვეყიდებით რიესთან ერთად იმ აგიტაციის აღწერას, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში პრესის საშუალებით კოლონიების მიმართ ინტერესის გასაღვიძებლად ელუარდ გიბზონ ვეკფილდი სწევდა; საკმარისია მხოლოდ ამ აგიტაციის შედეგების მოხსენება. „ვეკფილდი დარწმუნებული

იყო და, მოახერხა კიდევ ეს თავისი რწმენა მრავლისათვის ჩაეგონებინა, რომ შორეულ ქვეყნების კოლონიზაცია ნაციონალური საქმე იყო და რომ ეს საქმე მთელი ინგლისის სისტემატიურ შრომის, ყურადღების და ანტერესის ღირსიაო. „იმპერიის დაუსახლებელ ადგილებს, — ამბობდა ვეკფილდი — როდი უნდა ვუყურებდეთ, როგორც მხოლოდ დამნაშავე დასის დასახლებისათვის გამოსადევ ადგილებს, ან და როგორც მეტროპოლიის ყოველ გვარ უვარგის პირებისათვის თავ-შესაფარს, სადაც შეიძლება ზანგთა მონობაცაო“. *) ვეკფილდის აზრით, კოლონია სახელმწიფოს სანაგვე ეზოს როდი უნდა წარმოადგენდეს, სადაც დიდი ბრიტანია თავის ყოველგვარ მონარჩენს ჰყრიდეს და აღარც კი ზრუნავდეს იმაზე, თუ რა მოვლით იქ გაგზავნილებს, ოღონდ თვალიდან მოიშოროსო.

ვეკფილდის აგიტაციამ ხელმეორედ აღადგინა ინგლისის დევიზი: „რაც შეიძლება მეტი გემი, კოლონია და ვაჭრული კავშირი!“ მაგრამ, — ამბობდა ვეკფილდი, — კოლონია რომ ნამდვილად კარგი კოლონია იყვეს, აუცილებლად საჭიროა, რომ მისი მოსახლენი ინგლისის კეთილპატიოსან მოქალაქეთაგან შესდგებოდნენ, რომლებიც მიემგზავრებიან იქ იმიტომ, რომ უდაბნო ადგილები განათლებულ ქვეყნებად გადააქციონ და რომელთაც ესმით აზრი და მნიშვნელობა თავიანთ დიდ საქმისაო. პირველადვე საქმის დაწყებისას კოლონია უნდა წარმოადგენდეს კეთილ-განწყობილ საზოგადოებას, სადაც კულტურული ხალხი არ უნდა გრძნობდეს თავს გარდახვეწილად და მოკლებულს ყოველ გვარ კავშირს თავისს გვარ პირებთან. კაპიტალს, შრო-

*) 1834 წ. ინგლისის პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომლის ძალით მთლად ბრიტანიის (ინგლისის) სამეფოში მონობა ისპობოდა და მაშასადამე კაპის კოლონიაშიაც. რუსებისათვის დიდად ძვირფასი ბურჯი ინგლისის მთავრობის ამ მოქმედებით ფრიად უკმაყოფილონი დარჩნენ. ამ უკმაყოფილებას მოჰყვა ის, რომ 1836 წ. ბევრმა დასტოვა კაპის კოლონია, ჩდრილოეთით გადასახლდა და გააშენეს დამოუკიდებელი სოფლები (აწინდელი ორანჯეს და ტრანსვალის რესპუბლიკები), სადაც ძველებურად შეეძლოთ ცხოვრება და ადგილობრივ ხალხის კაცურ უფლების უარყოფა.

მას, მეცნიერებას და სარწმუნოებას უნდა ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი, იმავე საერთო მუშაობისათვის, როგორც მეტროპოლიაშია“.

„მაგრამ როგორ მივადწიოთ ყველა ამას? საიდან ავიღოთ ფული? სად ვიპოვოთ ამ საქმის ორგანიზატორები (მოძწყობი)? ყველა ამ კითხვების გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ვეკფილდის აზრს—თავისუფალი მიწების ესრედ წოდებულ „საკმარ ფასში გაყიდვას“*). ვეკფილდი ცხადლივ ხელაფა და ბრიტანიის იმპერიის თავისუფალ ნაყოფიერ მიწების დაფარულ და უჩინარ ღირებულობას. მას სწამდა, რომ მშრომელის და სახსარიან მცხოვრებლების დასახლებით მათ გარშემო მდებარე ვარგის მიწებსაც უეცრად ფასი დაედებოდათ. მას ესმოდა, თუ რა უსაფუძლოება და ფუქსაფატობაა კოლონიების დიდ მიწების ვიგინდარა მყიდველებზე გაყიდვა; და დიდად შემცდარად მიაჩნდა ის აზრიც, რომ ვითომ ახალ ქვეყნებში საჭირო არ იყოს ხელფასით მცხოვრები მუშები და რომ იქ ყველას შეუძლიან დამოუკიდებელი მესაკუთრე გახდესო. მაშასადამე, მისი ტეორიით საკოლონიო საზოგადოებებს საფუძვლად გამდიდრება კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ გაყიდულ ადგილებისაგან აღებულ ფულით გასტუმრება სხვა-და-სხვა ხარჯისა, მაგალო, ემიგრანტების და მათი ქონების გადაყვან-გადატანისა, ახალ ადგილებში პირველად მოწყობისა და თავისუფალ მუშათა გადაყვანისა. ვეკფილდის აგიტაცია დასრულდა იმით, რომ კოლონიების სამინისტრომ ბევრი ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა ახალი ზელანდია ინგლისის მფლობელობისათვის ფორმალურად შეეერთებინა. 1837 წელს ვეკფილდის გავლენის ქვეშ შესდგა საზოგადოება სახელად „ახალ ზელანდიის ასსოციაცია“, რომლის

*) ესე იგი, იმ ფასში, რომელიც ნავარაუდვეი იქნება იმ გამორჩენა-სარგებლობის მიხედვით, რომელიც დაბეჯითებით მოსალოდნელი იყო ახლო მომავალში თუ კოლონიზაციის საქმე სისტემატიურად და თანაბრად წავიღოდა და ეს ფასი საკმარი იქნებოდა იმათთვის, ვინც იკისრებდა შრომას და ხარჯს თავისუფალ მიწების დაჩაადებისას მომავალში გადასახლებულების კოლონიზაციისათვის.

წევრებად ბევრი წარჩინებული და ყოველ გვარ ეგოისტურ მიზანს მოკლებული პირი ითვლებოდა. სხვათა შორის, სერ მოლესუორსი (მეგობარი მილისს-მამისა), რომელიც ამტკიცებდა და სასურველად მიაჩნდა, რომ კოლონიებს თვითმმართველობა მინიჭებოდათ“. მაგრამ არც წევრების სახელმა არა უშველეს. რა. მთავრობას მაინც არ სურდა დახმარება გაეწია. დადგა ხანა ყოყმანობისა და მხოლოდ ივნისში 1839 წელს კოლონიების სამინისტრომ გადასწყვიტა ოფიციალურად შემოეერთებინა ახალი ზელანდია. მაშინ „კუნძულის ყურეში“ გაიგზავნა კაპიტანი ხობსონი ინსტრუქციით (ბრძანება-დარიგება), რომლის ძალითაც ოფიციალურად უნდა შემოეერთებინა ახალი ზელანდია ინგლისის მფლობელობისათვის და ემართნა ინგლისის დედოფლის სახელით. კაპიტანი ხობსონი მხოლოდ 29 იანვარს 1840 წელ. მოვიდა „კუნძულის ყურეში“. მეორე დღესვე ინგლისის ბაიარალი აღმართა და შეუდგა ახალ ზელანდიის ანუ, როგორც მის ინსტრუქციაში იყონათქვამი, იმ ადგილების გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას, რომელიც ინგლისის სუვერინიტეტს (ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა) მოისურვებდნენ.

VI

ახალი ზელანდია ინგლისის მფლობელობას უერთდება.
ახალშენის ბარგელი გუბერნატორი.

მართალია კაპიტანი ხობსონი ახალ ზელანდიაში იანვარში (1840 წ.), მივიდა მაგრამ კოლონიის ფორმალურად შეერთება მხოლოდ მაისში მოხდა. როგორც ვიცით, ახალ ზელანდიის შემოერთება ინგლისს მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა თანხმობით უნდოდა. ამიტომ ხობსონის მისვლის შემდეგ მოწვეულ იქმნენ ჩრდილოეთ ტომთა წინამძღვარი და, დიდის ხნის მოლაპარაკების შემდეგ, შესდგა შეთანხმება, რომელსაც

ახალ ზელანდიის ისტორიაში „ვაიტანგის ხელშეკრულობა“ (ჰეიკიანი*). აი სამი უმთავრესი მუხლი იმ ხელშეკრულობისა.

1) ახალ ზელანდიის ყველა წინამძღვარი უთმობს თავის უმაღლეს უფლებებს მათ უდიდებულესობას ინგლისის დედოფალს.

2) მათი უდიდებულესობა უტოვებს წინამძღვრებს ახალ-ზელანდიის მიწა-წყალს და სხვა საკუთრებას, რომელიც მათ კუნძულზედ მოეპოვებათ და მათ ფლობის უფლებას. ჰპირდება ამ უფლებების ხელშეუხებლობას. წინამძღვრები უთმობენ მათ უდიდებულესობას იმ მიწების ყიდვის უფლებას, რომლების პატრონებიც მოისურვებენ მათ გაყიდვას იმ ფასად, რა ფასადაც მორიგდებიან.

3) მათი უდიდებულესობა ანიჭებს ახალ ზელანდიის მკვიდრთ ინგლისის ქვეშევრდომთა ყველა უფლებებს და უპირატესობებს*.

ამ ხელშეკრულებას ორმოცდა ათამდე იქ თავმოყრილმა წინამძღვარმა მოაწერა ხელი, მერე ექვსის თვის განმავლობაში კიდევ ხუთასი წინამძღვარი მიჰყვა მათ მაგალითს და თითქმის ყველა მათი თანახმა იყო ვაიტანგის ხელშეკრულებისა. „ან როგორ არ უნდა ყოფილიყვნენ თანახმანი“, ამბობს რივისი, ჯრადგან მათრები დღემდე ისე უცქერიან „ვაიტანგის ხელშეკრულობას“, როგორც ინგლისელები თავიანთ „დიდ თავისუფლების პარტიას“. ხელშეკრულობის შემდეგ გუბერნატორმა ხობსონმა ახალ ზელანდიის თეთრ კანიან მცხოვრებლებს გამოუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არ სცნობს მათზე კანონიერად არავითარ უფლებას იმ მიწებზე, რომლებიც მათ უკვე დაეჭირათ და რომ მოახალშენეს (კოლონისტს) არ შეუძლიან შეიძინოს ახალი ადგილი მთავრობის ნებადაურთველად. ძნელი იყო თუ არ ამ გვარ სასტიკ ზომებით მოესპოკაცს სხვა და სხვა ხრიკები იმ ვაჟბატონებისა, რომლებიც ნაღირ ფრინველებსავით სიღნეიდგან აქაურობას დაესივნენ, რაკი

*) ვაიტანგს ეძახიან იმ ადგილს, სადაც ხელშეკრულობა მოხდა.

ელოდნენ ახალ ზელანდიის ინგლისთან შეერთებას. მაგრამ რაკი გაიგეს, რომ მთავრობა თავისს გამოცხადებულ ზომების განხორციელებას აპირებსო, მალე აიკიდეს გულა ნაბადი და იქაურობას გამოესალმნენ! ვაიტანგის ხელშეკრულებამ და ხობსონის ფანკარგულებამ ცოტა არ იყო კოლონიზაციის საქმე შეაფერხა და ახალ ზელანდიის თეთრ კანინიან მცხოვრებლებში უკმაყოფილება დაბადა. არც საკვირველია, თითქმის ყველანი უკვე სამუდამოდ და მკვიდრად მოწყობილიყვნენ, კიდევ ახალ მიწა-წყლის შეძენას აპირებდნენ და აი უეცრად ესენი არამცთუ ახალ მიწების შეძენა აღარ შეეძლოთ თუ არ მთავრობის შუამავლობით, არამედ რაც ჰქონდათ, იმის მფლობელობის უფლებასაც ჰკარგავდნენ. გუბერნატორსაც ჯერ არ ჰქონდა ფულები, რომ მკვიდრთაგან მიწების შეძენას შესდგომოდა, ამიტომ კოლონისტებისათვის არა სასურველი მდგომარეობა დადგა.

ხობსონი საზოგადოდ საქიროდ არ სთვლიდა აჩქარებულიყო მიწების ყიდვით, ამასთან ფულიც იმდენად ცოტა ჰქონდა, რომ უსაქიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც ძლივს ჰყოფნიდა. საქმე იმაშია, რომ რაკი ინგლისის მთავრობას აზრათ არ ჰქონია ახალ ზელანდიის ძალდატანებით შეძენა, ამიტომ გუბერნატორ ხობსონისათვის ჯარიც თითქმის არ მიუცია. იმავე დროს გუბერნატორი კოლონისტებს მილიციის შედგენასაც უკრძალავდა, რომ მკვიდრთ ეჭვი არ შეჰპაროდათ. მკვიდრნი და გადმოსახლებულნი ჯერ კარგად იყვნენ ერთმანეთში: უკანასკნელებს ბლომა ფული ჰქონდათ, ბევრს ყიდულობდნენ და ფულსაც გულ-უხვად იძლეოდნენ. მაგრამ თან მოყოლილი ფული მალე მიიფლანგა და ყოველისფერი ჩამოძვირდა, რადგან მაორები კოლონისტებს აღარ უთმობდნენ იმ ადგილებს, რომლებშიაც ამათ ფული წინდაწინვე მიცემული ჰქონდათ.

1842 წელს ხობსონი გარდაიცვალა აუკლანდში (ახალ ზელანდიის სატახტო ქალაქია). აი როგორ ახასიეთებს მაორთა ერთი წინამძღვარი ერთს თავისს წერილში, რომელიც მან ხო-

ბსონის სიკვდილის შემდეგ ინგლისის დედოფალს მისწერა: „ნუ გამოგვიგზავნი, დედოფალო, გუბერნატორად ნურც ახალგაზდას და ნურც ამაყს კაცსან ან შფოთიან ვისმეს. გამოგვიგზავნე ისეთივე კეთილი კაცი, როგორც იყო ახლად გარდაცვალებული გუბერნატორი“. ახალ ზელანდიაში ხობსონი უფრო იმიტომ იყო გაგზავნილი, რომ მკვიდრ მცხოვრებლებისათვის მფარველობა გაეწია, როგორც კანონიერ წარმომადგენელს ინგლისის მმართველობისას, და არა იმიტომ, რომ ინგლისელების საკოლონიო საქმისათვის ხელი შეეწყო, ეს იმას კარგად ახსოვდა და პირნათლადაც შეასრულა კიდევ.

V II

კოლონიზაცია ახალ ზელანდიას თვითმმართველობის მინიჭებამდე.

ხობსონის მოადგილედ დაინიშნა ცნობილი ზღვაოსან-მოგზაური — ფრიცროი, რომელიც 1843 წელს ახალ ზელანდიაში მივიდა. მართალია ფრიცროი კარგი ზღვაოსანი იყო, მაგრამ კარგ ადმინისტრატორად კი ვერ გამოდგა. მამულების შესახებ უთანხმოება თეთრებს და მაორთა შორის ჯერ კიდევ გამწვავებული იყო. გუბერნატორს უწინდებურად ფული და სამხედრო ძალაც აკლდა. ეს გარემოება მაორებს კარგად ესმოდათ და ამიტომაც დიდ-გულად იყვნენ. ამ გარემოებამდე და ფრიცროეს ადმინისტრატიულმა უნიჭობამ გამოიწვიეს ომი, რომლის განვლება მხოლოდ მისმა მოადგილემ-და მოახერხა. ორის წლის შემდეგ ფრიცროეს ნაცვლად გუბერნატორად დაინიშნა კაპიტანი გრეი — 33 წლის ახალგაზდა კაცი, რომელმაც თავისს მრავალ გვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობით დიდი ყურადღება და სახელი დაიმსახურა. თავდაპირველადვე მთავრობა გრეის ფულით და ჯარის კაცებით დაეხმარა, რის მეო-

ხებით ფრიცროესაგან მაორებთან ატეხილ ჩხუბის კეთილად გათავებაც მალე მოახერხა. მას შემდეგ აღარავინ ცდილა ინგლისის მმართველობას წინააღმდეგობა. 1898 წელს ერთს უკანასკნელ მცირე უკმაყოფილობასაც მალე ბოლო მოუღო სასტიკ და მრისხანე წინამძღოლის ნათესავმა და სენზიამ ზონე ხოვემ, რომელიც ამ ჟამად ახალ ზელანდიის პალატის წევრია და ინგლისურადაც მშვენივრად ლაპარაკობს.

საზოგადოდ ახალი ზელანდია გრეის ათის წლის მმართველობის განმავლობაში და მის შემდეგაც სრულის მშვიდობიანობით სტკბებოდა. კუნძულის დამშვიდებას ხელს უწყობდა გრეისაგან განსაკუთრებულ ადგილობრივი მსაჯულების დანიშვნა ყველა გვარსაქმეების გასარჩევად, თუ ერთი მომხივანთაგანი მაორი იქნებოდა, ეს მსაჯულები მაორების ჩვეულებების თანახმად უნდა მოქცეულიყვნენ. თუ მსაჯული ისეთ საქმეს არჩევდა, რომელშიაც ორბევმხრივ მაორი იყო, მაშინ ორივენი თავთავის წარმომადგენელს—მაორს ირჩევდა მსაჯულის თანაშემწედ. ამ გვარ პირობებში უუქველია მსჯავრი ერთხმად სწყდებოდა. გრეი ცდილობდა, მაორებს საკმარი სამუშაო და ქირა ეშოვათ საზოგადოებრივ-საქვეყნო სამუშაოზე, როგორც, მაგ., გზის გაყვანა და სხვა და სხვა. წმინდად და ხელუხლებლად ასრულებდა გრეი „ვაიტანგის ხელ შეკრულებას“, უკრძალავდა მაორებზე არყის და თოფ-იარაღის მიყიდვას, ყოველ ნაირად ცდილობდა მაორები მეურნეობისათვის მიეჩვიო, აარსებდა მათთვის სკოლებს, ერთის სიტყვით, აკეთებდა ყველასფერს, რაც კი ნებას აძლევდა მაორებში ევროპიული ცივილიზაციის საუკეთესო მხარეების გავრცელებას. ამდენ საქმის მიუხედავად გრეიმ მაინც იშოვა დრო მაორების ენაც შეესწავლა, ასე გაშინჯეთ, რომ გულმოდგინედ შეისწავლა მათი ზნე-ჩვეულებანი, რწმუნებანი, ლეგენდები, რომელთა შესახებ მრავალ ტომიანი თხუზულება დასწერა, რომელსაც ჯერაც არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა, იმისდა მიუხედავად, რომ ორმოცდა-ათმა წელიწადმაც განვლო მის დაწერის შემდგომ.

გრის ამისთანა სახელის მეოხებით კოლონიის მმართველობამ თხუთმეტის წლის განმავლობაში შეიძინა თითქმის უმეტესი წილი სამხრეთ და მოზდილი ნაქრები ჩრდილოეთ კუნძულებისა.

ამისთანა უდაბურ ადგილების დასახლება ადვილი საქმე როდი იყო. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალ ზელანდიაში გადმოსახლებული ინგლისელები სრულებით არ ჰგვანდნენ, მაგალითად, იმ უვიც რუსის გლებებს, რომლებიც შიმშილით იძულებულნი ჰყიდნან თავიანთ საცოდავ ავლა-დიდებას და მიდიან უცნობ შორეულს ციმბირს, რომ იქ მაინც როგორმე თავი „აჩინან“. არა, ის ხალხი ქონებრივად და გონებრივადც შეიარაღებული იყო. იმათთვის ისევე ძნელი იყო უზომოდ ფიზიკური შრომა, რომელიც მათ ამ შორეულ კოლონიაში მოელოდათ, როგორც ის გრძობა, რომ დანარჩენ ქვეყნიერებას მოწყვეტილი იქნებოდნენ, რადგან სწრაფი საფოსტო-სატელეგრაფო მიმოსვლა კოლონიას და მეტროპოლიას შორის არ არსებობდა, რომ არ ექნებოდათ ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც კოლონისტები სამშობლოში მიჩვეულნი იყვნენ; და არა ნაკლებ აწუხებდა მათ გამამხნეველ პოლიტიკურ ცხოვრების არ ქონვა, რომელშიაც ზოგიერთ გადმოსახლებულს მაინც, როგორც ამომრჩეველს, შეეძლო აქტიურ მონაწილეობის შილება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელის გარემოებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ სამხრეთ კუნძულის კოლონისტებმა თითქმის მისვლის უმაღვე დაიწყეს მხურვალე აგიტაცია თვითმმართველობის მიღების შესახებ.

რადგან აღმოსავლეთი ნაწილ სამხრეთ კუნძულისა უფრო საქონლის მოსაშენებლადაა გამოსადეგი, ამიტომ გადმოსახლებულებმაც მაშინვე ამ მეურნეობის დარგს მოჰკიდეს ხელი და ევროპიული საუკეთესო ჯიშის ცხვარი-მერინოსი გააშენეს. ისე რომ არ გასულა სულ ათი წელიწადი, მათ უკვე იმდენი მატყლი ჰქონდათ, რომ ინგლისში გზავნა შეე-

ძლოთ. საქონელის მოშენების სარგებლიანობამ მიწათ-მოქმედების განვითარება ყველას გადაავიწყა, ამასთან მიწათ-მოქმედებისათვის საჭირო იყო უფრო მეტი მუშა ხელი, ვიდრე კოლონიაში მოიპოვებოდა. იმ ცოტაოდენ თავისუფალ მუშეებსაც, რომლებიც მაშინ კოლონიაში მოიპოვებოდნენ, მუდამ კარგი სამუშაო ჰქონდათ და დღიური ქირაც ცხვრის კრეკის და მკის დროს შეიდიდგან ათ მანათამდე აღიოდა. ამ გვარი ქირა ნებისადმი აღევდა მათაც უძრავი საკუთრება შეეძინათ და საკუთარ მეურნეობისათვის ხელი მოეკიდნათ.

კოლონიის კარგ ეკონომიურ მდგომარეობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ იქ დანაშაულობის ჩადენა თითქმის იშვიათი შეიქნა. როცა გუბერნატორმა გრეიმ, ამოხსნა რიესი, ოტეგოს პროვინციაში მსაჯულად სტეფენი დანიშნა, ამ მსაჯულს წელიწად ნახევრის განმავლობაში სრულებით საქმე არ ჰქონია, გარდა იმისა (თუ კი ეს საქმედ ჩაითვლება), რომ ჯარიმებს ადებდა იმ ნაფიც თანამსაჯულებს, რომლებიც სხდომაზე დანიშნულ დროზე არ ცხადდებოდნენ, გინდაც რომ ეს სხდომები არ შემდგარიყვნენ საქმეების უქონლობისა გამო. ამიტომ კოლონისტები სამართლიანად ამბობდნენ, რომ სტეფენი 8000 მან. ჯამაგირს მუქთად იღებს*). მართლაც მალე მისი ადგილი გაუქმდა და შემდეგ ათის წლის განმავლობაში სამხრეთ კუნძულის კოლონისტები უმსაჯულოდაც იოლად მიდიოდნენ.


1852 წელიწადი დიდმნიშვნელოვანია ახალ ზელანდიის ისტორიაში, რადგან მაშინ იქმნა ცნობილი „ახალ ზელანდიის კომპანიის“ გაკოტრება და გაუქმება. ეს ერთად-ერთი კომპანია იყო, რომელმაც, ვიდრე ინგლისის მთავრობა ახალ ზელანდიას შემოიერთებდა, სამხრეთ კუნძულზედ მიწა-წყალი შეიძინა და

*) ცნობილია, რომ ინგლისში მსაჯულები ძალიან კარგს გასამრჯულს იღებენ, რითაც აიხსნება ყველასათვის ცნობილი ინგლისელ მსაჯულის ზნეობრივი უმწიკვრობა.

წვრილ-წვრილად ჰყიდდა კოლონისტებზე. ამ კომპანიის გაუ-
ქმების შემდეგ ამ კუნძულზედაც, ვისაც მიწის შეძენა უნდო-
და, საქმე პირდაპირ მთავრობასთან უნდა დაეჭირა.

ნიკო ალნაშვილი.

(შემდეგი იქნება)



ზიზლიოგრაფია

И. И. Калфоглу. Родословная грузинской
царицы Тамары.

თურმე ბერძნის მწერლებს და მათ შორის კალფოღლუსაც თამარ მეფე მიაჩნიათ ბერძნად, ანდრონიკე I-ის კომონიანოსის (+ 1185 წ.) ასულად. ამისთანა ზღაპრის ჭეშმარიტებად ჩათვლა თანასწორია იმისი, რომ ჩვენ, მაგალ., ვამტკიცოთ, მზე მზე-კი არა, მთვარეაო. ქართველთა მემკვიდრე — თანამედროვე, თამარ მეფის ისტორიის შემადგენელი, მას უწოდებს მხოლოდ-შობილ ასულად გიორგი მესამის დიმიტრისძისა. სიგელ-გუჯრებში ეს დედოფალი თავის თავს სოფლის ბაგრატიონად, ასულად გიორგი მესამის დიმიტრისძისა. ამასვე გვაუწყებენ სიგელნი მისის დიდებულებისა და ეპისკოპოსებისა, აგრეთვე წარწერანი ტაძრებისა, რომელნიც აუშენებია საქართველოს დიდებულს მეფეს. ეს კიდევ არა კმარა. მისმიერ მოჭრილს ფულებზე წარწერილია ასრე: „დედოფალი მალახაჩისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მესიისა. აღიღოს ღმერთმან ძლიევანი მისნი“.

ასრეთია საბუთები დაურღვეველი, მტკიცე, ჭეშმარიტი. და ამის შემდეგ ჩვენი თანამედროვე ბერძნის ისტორიკოსები, ვიგორებთ, მაინც ამტკიცებენ და არწმუნებენ თავიანთ მკითხველებს, რომ თამარ მეფე ბერძენიაო! მაგრამ ეს ჩვენ არ გვაკვირვებს: ყველა კარგს ძველი ბერძენები? მიუთლიდნენ ხოლმე ელლინებს და ცუდს — ბარბაროსებს, რადგან ეგონათ,

„ბარბაროსებს“ (არა ელლინებს) კარგის შექმნა არ შეუძლიან-
 თო, შეენიერების შემოქმედობა ძველათგანვე ბერძნის გენი-
 იოსობის საქმეაო. აღმოჩნდა კი, რომ საკმაო წილი იმ
 ძველ კულტურისა, რომელსაც ბერძნის მწერლები სთვლიდ-
 ნენ „ელლინებისად“, შექმნილი ყოფილა არა-ელლინებისაგან,
 არამედ ელლინების ნიადაგზე გადარგულა აღმოსავლეთიდან.
 და ჩვენი დროის ბერძნის ისტორიკოსებიც, სჩანს, ჯერ ვერ
 გამოსთხოვებთან ცრურწმენას შესახებ ელლინთა უპირატესო-
 ბისა და სხვა ხალხთა ბარბაროსობისა, თუ არა-და იგინი ვერ
 გაბედავდნენ, წინააღმდეგ ზემო აღნიშნულ უტყუარ საბუთე-
 ბისა, აღეძრათ კითხვა, რომ, ვითომ ბერძენი ყოფილიყოს
 თამარ მეფე, დედოფალი, რომელიც ყოველს თავის ნამოქმე-
 დარში, ყოველს სახელმწიფო მიწერ-მოწერაში თავისთავს
 უწოდებს ბაგრატიონად, გიორგი მეფის და ბურდუხანის
 ასულად, და რომელიც, ამასგარდა, ეკლესიების კედლებზე
 გამოხატულია თავის მამისა გიორგის და დედის ბურდუხან-
 თან ერთად. ცხადია, ბერძნის ისტორიკოსები არ ენდობიან
 ქართულს წყაროებს, ვითარცა, ალბად, „ბარბაროსულებს“,
 და თავის „ისტორიას“ კი აფუძნებენ ბიზანტიურ წყაროებზე,
 რომელნიც, როგორც დავინახავთ ქვემო, მათ ვერ გაუგიათ
 ანუ არ სდომებიათ, რომ გაეგოთ ჯეროვნად.

1. კალფოდლეუ ამბობს, ანდრონიკე კომონიანოსი მოვი-
 და საქართველოში 1183 წელს თავის სიძე მეფის დავით მე-
 სამისას, რომელმაც შეირთო თამარი, ამ ანდრონიკეს ასული,
 1165 წ. წინადა. გარნა ჩვენ ვიცით, რომ დავით სოსლან-
 მა შეირთო თამარ მეფე, გიორგის ასული, არა 1165 წელს,
 როდესაც ჯერ იგი იყო სულ 9 წლისა, და არც ამ წლის
 წინად, არამედ შემდეგ პირველის ქმრის განდევნისა, 1192
 წელს. ამასგარდა, თამარ მეფის ქმარი იყო არა მესამე და-
 ვითი, არამედ მეხუთე. შეიძლება ვიფიქროთ, თუ საქარ-
 თველოს რომელიმე მეფე, წოდებული დავითად, იყო სიძე
 ანდრონიკე კომონიანოსისა, ეს იქნებოდა მხოლოდ დავით მე-
 ოთხე დიმიტრისძე, რომელმაც იმეფა მხოლოდ ექვსი თვე.

(1155 წელს). ქართული წყაროები არ ამბობენ, ვინ იყო ცოლი ამ დავითისა, თამარ მეფის მამის გიორგის ძმისა, გარ-
ნა გვაუწყებენ, რომ ამ დავითს დარჩა შვილი დიმიტრიო,
რომელიც, როგორც ვიცით, დაიღუპა (1177 წ.) მისს ბიძა
გიორგისთან ბრძოლაში და ტახტი მიერგო თამარ მეფეს.

ბერძნის წყაროები ამბობენ, ანდრონიკეს ჰყვანდა ასული,
რომელსაც ერქვა თამარა. ეს თამარი შეიძლება ყოფილიყო
მეუღლე დავით მეოთხეს დიმიტრისძისა და დედა მემკვიდრის
დიმიტრი დავითისძისა და ეს დაქვრივებული დედოფალი თა-
მარი ბერძნის მწერლებს მოსჩვენებოდეთ თამარ მეფედ.

2. ქართლის ცხოვრება იუწყება (გვ. 272). „დავითი-
ნობა და სოლომონიანობა ამასთანა (თამარ მეფის მამა გიორ-
გისთან) ცხადად იხილვებოდა: ამასცა სოლომონისებრ ჰმონე-
ბდენ ყოველნი მეფენი ქვეყნისანი და ძღვენის მრთმელობდენ
წინაშე მისსა. რამეთუ მოვიდა ოდესმე წინაშე ამისსა ანდრო-
ნიკე კომონიანოსი ცოლითა, სახე შვენერიითა და ბრწყინვა-
ლითა*), თანა შვილებითა და დისწულითა,—მამის ძმისწული
დიდისა მანოელ კეისრისა (1143—1180), და ვითარ ჰმართებ-
და, ეგრეთ შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის
შვილობასა მისისა, და მისცნა ქალაქნი და ციხენი კმასყო-
ფელნი მრსნი, და დაუდგინა საჯდომი სიახლესა საყდრისა თვი-
სისასა, პირისპირ მამის დისწულისა თვისისა აღსართანისა, რო-
მელი მეფე იყო მოვაკანისა და შირვანისა და ზღვის პირისა,
დარუბანდით ხილხალამდის*)“.

ეს ანდრონიკე, ერეკლე მეფის მიერ შედგენილ თავად
აზნაურთა სიით, იფვლება წინაპარად ანდრონიკაშვილებისა,
მოსრულისა საქართველოში 1144 წელს.

*) მეუღლე ანდრონიკესი იყო თეოდორა, ქვრივი ზალდუინ III-ისა
იერუსალიმის მეფისა.

**) ეს აღსართანი იყო შვილი გიორგი მეფის მამიდის თამარისა,
დავით აღმაშენებლის ასულისა, და იგი „მეფესა. (გიორგის) უჩნდა ვი-
თამცა შვილი“.

ეს 1144 წელი უნდა მივიჩნიოთ წელიწადად თამარ ანდრონიკეს ასულის მოსვლისა საქართველოში, თუ იგი, ვითარცა გვაუწყებენ ბერძნის მწერლები, იყო მეუღლე დავითისა (მეოთხისა), აგრეთვე ანდრონიკაშვილების წინაპარის მოსვლისა, რომელსაც, როგორც მეფის ნათესავს, გამოადევნილს სამშობლოდგან, მიეცა მამული კახეთში, იქ, საცა მისნი შთამომავალნი ცხოვრობენ დღესაც. თვით ანდრონიკეს მოსვლას კი საქართველოში ბროსე დასდებს 1167 წელს.

მ. 24 სექდ. 1180 წელს გარდაიცვალა იმპერატორი მანუელ. მისმა სიკვდილმა გამოიწვია არეულობა, ლელვა, შიშიანიობა. ანდრონიკე მცირე აზიიდან კოსტანტინეპოლს მივიდა. იმპერატორად გამოაცხადეს. გახელმწიფდა-რა, სიცოცხლე მოუხპო დაქვრივებულს დედოფალს მარიამს, მისი მცირე წლოვანი შვილი ალექსი შურდულის საბლით დაახჩო. ლელვა, შფოთმა იმატა, ბრბომ დაიჭირა ანდრონიკე, კბილები და თმა დააგლიჯა, ერთი თვალი გამოსთხარა, ერთი ხელი მოჰკვეთა, შესვა აქლემზე და გაატარ-გამოატარა კოსტანტინეპოლის ქუჩებში, მერმე ჩამოჰკიდა შორის ორის ხისა, რომელთაგან ერთზე ეკიდა გამოსახულობა მგლისა და მეორეზედ — ღორისა.*)

გახელმწიფდა ისააკ ანგელოსი (1185 — 1195), კაცი უნიჭო, მშიშარა, გარყვნილი, უსაზღვროდ ფულის მფლანგავი ზნედაცემულ მეგობრებთან, გარყვნილ ქალებთან, თვალთმაქცებთან. ერი წყალდებოდა მძიმე ხარკებისაგან. ბუღგარნი და ვლახელნი განდგენ იმპერიისაგან და დეიარსეს თავისი ბუღგარ-ვლახეთის სამეფო. 1195 წ. ისააკ ანგელოსი შეიპყრა მისმა ძმამ ალექსიმ, თვალი დასთხარა, საპყრობილეში ჩაადგო და თვითონ გახელმწიფდა. ჯვაროსანი ლაშქარი იკრიბებოდა

*) ანდრონიკე ფრად გარყვნილი კაცი იყო, მოღალატე სამეფო სახლისა, სარწმუნოებისა, სვინილისისა. იყო კაცი დაუდგრომელი. კიევის, კვიპროსის, იერუსალიმის, ნერედდინ სულთანის, სპარსეთის და საქართველოს გზა-კვალი გათელა, რომ როგორმე გაიმპერატორებულიყო.

და ვენეციიდან კოსტანტინეპოლზე გავლას აპირობდა. აღმოსავლეთიც ღელავდა. მკირე აზიის ოსმალნი ესეოდნენ ბერძნებს. თამარ მეფეც გულნაკლული იყო ძმის მკვლელ ალექსისაგან, რომელმაც გაცარცვა ქართველი ბერები. ქართველი ლაშქარი შეესია პონტოს, დაიჭირა ტრაპეზუნტი, ლიმნია, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ირაკლია, ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი და მისცა (1204 წ.) ალექსი კომონიანოსს, რომელიც კოსტანტინეპოლში დამყარებულ შიშინანობის დროს სხვა კომონიანებთან ერთად გამოქცეულიყო საქართველოს. ასრე დაარსდა აგრედ-წოდებული ტრაპეზუნტის იმპერია. და ამ ქართულ მათიანის ცნობას არ ეწინააღმდეგება თანამედროვე მიხეილ ხონიატიც. იგი სწერს: „თამარმა თავის ძმისწულს (ნათესავს!) მისცა სახსარი დაეპყრა (1204 წ.) ივერთა ლაშქრით ტრაპეზუნტი, ლიმნია და გემებით—კერასუნდი, ინოფ, სინოპი, კედროსი, ამსუსტრისი და მთელი პონტო, გარდა სამსუნისა.“

მიხეილ ხონიატი ამ ალექსის იხსენიებს ძმისწულად თამარისა და მიხეილ პანარეტი კი თამარს სთვლის მის მამად.

ამ „მამიდად“ შეიძლება ყოფილიყო თამარ მეფე, თუ მართლა ბიძა მისი დავით IV შეუღლებულიყო თამარ ანდრონიკეს ასულთან, და კიდევ მის გამოც, რომ ბაგრატიონნი საზოგადოდ მონათესაობდნენ ბიზანტიის ხელმწიფეებს (ბაგრატ IV (+1072 წ.) ცოლად ჰყვანდა ბერძენთ ბატონიშვილი; მისი ასული მარიამი ცოლი იყო იმპერატორის მიხეილისა (+1078 წ.), რომელმაც კავშირის გასამტკიცებლად კომონიანოსებთან, ისააკ კომონიანოსს მიათხოვა ირინე, ბიძაშვილი თავის მეუღლის მარიამისა, რომელსაც ეშვილობილა ალექსი I კომონიანოსი (1080—1118); ეკატერინე, ასული დავით აღმაშენებლისა, ცოლად ჰყვანდა ანნა კომონიანოსის შვილს). გარნა, თუგინდ ხონიატსა და პანარეტს „მამიდად“ მიაჩნდეთ თამარ ანდრონიკეს ასული, ეს მაინც ვერ იქნებოდა იმის დასამტკიცებელი საბუთი, რომ სწორედ თამარ ანდრონიკეს ასული იყო თამარ მეფე: 1204 წელს თამარ ანდრონიკეს ასული შეიძლე-

ბა ყოფილიყო თამარმეფის კარს იმ შემთხვევაშიაც, თუ იგი მართლაც იყო დაქვრივებული მეუღლე დავითისა (IV-ისა) და იმ შემთხვევაშიაც, თუ სხვა კომონიანოსებთან ერთად გამოიქცა საქართველოში შემდეგ მის მამის ჩამოხრობისა. ორივე შემთხვევაში იგი, საქართველოში მყოფობისას, უნდა ცდილიყო მოემზადებინა ნიადაგი, რათა დაებრუნებინა ტახტი კანონიერ მემკვიდრის ალექსი კომონიანოსისთვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მ. ჭანაშვილი.

ნ ა რ ე ვ ი

მეცნიერულ მწერლობის კატალოგი. სამეფო საზოგადოებას ლონდონში განუძრახავს მეცნიერულ მწერლობის საერთაშორისო კატალოგის შედგენა. ამ კატალოგში მოხსენებული იქნება სულ უმცირესი სტატიაც, თუნდა გაზეთში დაბეჭდილი, რომელიც კი მეცნიერებას შეეხება. კატალოგი მოიხსენიებს ყველა ენაზედ დაწერილს სტატიებს. პირველი ტომი უკვე იბეჭდება და შეიცავს ქიმიას, მინერალურ და ორგანიზულს. კატალოგი იბეჭდება ლათინურად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად.

**

ახალი დრამა გ. ანუნციათსი. გამოჩენილ იტალიელ რომანისტს და დრამატურგს გაბრიელ ანუნციოს ერთი დრამა კიდევ დაუწერია „კუდიანი“ (la figlia de jordo). ქალის მამას სოფელში ჯადოქარს უწოდებენ და ამიტომ ქალიც წყევულად მიაჩნიათ. მკაა; სამკალში დამთვრალან ბიჭები, მივარდნიან ჯადოქარს—შენი ქალი მოგვეცი, კუდიანია, უნდა დავწვათო. ქალი გამოჰქცევიათ და დასამალავად მისულა მწყემსთან, რომელიც საქორწინოდ ემზადება. სამეფოს დედა და დები კარს უკეტენ კუდიანს, მაგრამ უნცროსი და წაექომაგება, სახლში შეიყვანს და დამალავს, ხალხი შემოეხვევა მწყემსის სახლს და დანგრევას უპირებს. მაშინ მწყემსი ჯვარცმას დასვენებს შიგ კარებში და ისე გადაარჩენს დევილ ქალს. მაგრამ ჯვარს დაიწერს თუ არა, თავს დაანებებს ცოლს, მთაში გაჰყვება კუდიანს და იქ ცხოვრობენ უცოდველად. მწყემსი იმოდენ გავლენას იქონიებს ამ ქალზედ, რომ შეაგებინებს ადამიანის უწმინ-

დეს დანიშნულებას—თავგანწირვას: კუდიანი სადღაც გადაიკარგება და მწყემსი თავის ოჯახს დაუბრუნდება.

**

ტოლსტოის მონოგრაფია შექსპირის შესახებ. ლევ ტოლსტოიმ დაამთავრა მონოგრაფია შექსპირის შესახებ. შექსპირის ნაწერებს ახალ სხივსა ჰფენს დიდებული ფილოსოფოსი და ბევრს იმისთანას უწუნებს, რაც ღღევანდლამდე სათაყვანოდ მიაჩნდა კაცობრიობას.

**

ზუდერმანის დრამა „სოკრატე“. ზუდერმანის ახალი დრამა „სოკრატე“ ერთსა და იმავე დროს ითამაშეს ვენაში და ბერლინში და ორგანვე დიდი სტვენით დააჯილდოვა საზოგადოებამ. ცარიელი ბაასია და მოქმედება არაფერია პიესაშიო, უსაყვედურებენ ავტორს. სოკრატე ერთი კბილის ექიმი, და დონკიხოტს უფრო წააგავს, ვიდრე ელინელ სოკრატს. კბილის ექიმი გატაცებულია თავისუფლების პრინციპით, მაგრამ ამ გატაცებას საფუძვლად პირადი თავმოყვარეობა და დიდების ტრფობა უდევს. საზოგადოებას დააარსებს, რომელიც თავისუფლებას უნდა ემსახურებოდეს; წევრნი ამ საზოგადოებისა დიდებულ და გამოჩენილ სახელებით მოუნათლავს ზუდერმანს: აქ ნახავთ ჯორდანო ბრუნოს, კატილინას, სპინოზას და სხ. მაგრამ ჯერ ერთი შვილი უღალატებს, მერმე მეორე, რომელიც კონსერვატორთა წრეს მიუდგება. ბოლოს თავისუფლების მოტრფილვე პოლიციას ჩაუვარდება ხელში, ამხანაგები შემოეფანტებიან და თითონაც იმითი დაამთავრებს თავის მოღვაწეობას, რომ დიდი სიხარულით და მადლობით მიიღებს მეფისაგან რაღაცა ორდენს.

**

მწერთა გამწყვეტა მანქანა. დ-რ ჰუგო ჰელბერგერს შემთხვევით მიუგვნია კალიის და ერთობ მანვე მწერთა გამწყვეტ საშუალებისათვის. ელექტრონულ მოვლენათა გამოკვლევის დროს დოქტორმა მიწაში სპილენძი გაამაგრა, ერთი სანტიმეტრის სიმსხოდა შეაერთა თუ არა იგი ელექტრონულ ძალის გა-

დამცემთან, საკვირველება წარმოუდგა თვალწინ: თითქო გა-
ირღვაო დედამიწა, უცბად ათასობით და ათი ათასობით ამო-
ძვრა მიწიდგან, რაც კი შიგ მატლი იყო და მწერი. დოქტორ-
მა გაიმეორა ეს ცდა. ოღონდ ელექტრონული ძალი უფრო
მეტი გადასცა სპილენძს. როდესაც ცოტა ხანს უკან მიწას
თხრა დაუწყო, დარწმუნდა, რომ უკვე დახოცილიყო, რაც-კი
შიგ სულიერი ყოფილიყო.

**

ინგლისური საეკლესიო გაღობა. განცვიფრებული დარ-
ჩება უცხოელი, ინგლისში წირვა-ლოცვას რომ დაესწროს; ეკ-
ლესიაში ისეთივე ხშირია გალობა, როგორადაც ჩვენში, მაგ-
რამ ინგლისური გალობა მეტის მეტად მხიარული კილოსი-
თურმე არის: ხან პოლკის ხმაზედ ამბობენ საეკლესიო საგა-
ლობელს, ხან ვალსისას და ხან სხვა და სხვა მარშების ხმა-
ზედ.

**

ჭებერტ სპენსერი. ხმა დადიოდა, წლეულს ნობელის
სამწერლო პრემიას ფილოსოფოს სპენსერს აკუთვნებდნო. მაგ-
რამ სპენსერი მიიცვალა და ვნახოთ, ვის ერგება ეს ჯილდო.

სპენსერი ყოველთვის განცალკევებული ცხოვრობდა და
უარპყოფდა ყოველგვარ პატივისცემას და დიდებას. მისი მო-
ძღვრება ოგიუსტ კონტის ზედგავლენით იქმნა დადგენილი და
ამ გავლენას თვით სპენსერიც არ უარობდა. სპენსერის ფილო-
სოფიას საფრანგეთში და გერმანიაში უფრო მეტი მიმდევარი
ჰყავდა, ვიდრე თვით ინგლისში. ზნეობრივ კითხვებში მიცვა-
ლებული ფილოსოფოსი ოპტიმისტი იყო, პოლიტიკურ კით-
ხვებში—ანარქისტი: სწამდა და აღიარებდა, რომ შესაძლებელია
საყოველთაო ბედნიერება, მაგრამ ეს ბედნიერება თვით ხალხმა
უნდა შეიძინოს, რადგან მართებლობა ხალხს ბედნიერების
ნატამალსაც ვერ მიანიჭებსო.

**

ახალი გამაჯგუება ერთაშორის აღძრულ კათხგათა უომ-
რად გადწყვეუტის ადეისა: მექსიკის პრეზიდენტმა პორფი-

რიო დიაზმა თანხმობა გამოაცხადა და მექსიკას, პერუს, კოლუმბიას და ეკვატორს შორის აღძრული უთანხმოება მშვიდობიანად გათავდება; იტალიასა და პერუს შუა ჩამოვარდნილ უთანხმოებას განიხილავს და გადასწყვეტს დ-რი ფინკლერი, შვეიცარიის ფედერალურ სამსჯავროის თავმჯდომარედ ნამყოფი; ინგლისის და პორტუგალიის უთანხმოებას საშუალო აფრიკაში მათს სამფლობელოთა გამიჯვნის შესახებ განიხილავს იტალიის მეფე; აკრის განაწილებამ კინალამ ოძი ასტეხა ბრაზილიასა და ბოლივიას შორის, მაგრამ ეს საქმეც მშვიდობიანად გათავდა, რადგან მოქიშპენი შეთანხმდნენ და ამორჩეულ კაცთ მიანდეს მათი დაკმაყოფილება.

**

დინჩისეებუნი საქმითაჲდ. ამერიკაში ერთი ახირებული ჩვეულება არსებობს. როცა ისეთი დანაშაულობა მოხდება ხოლმე, რომელიც ხალხს აშფოთებს, თვით ბრბო თრგუნავს დამნაშავეს, მხოლოდ ამ დროს არც გამოძიებას და არც ბრალდებულის თავის გამართლებას ადგილი არ აქვს. ასეთ სამართალს ჰქვია ლინჩისებური სამართალი, რომელიც ამ ბოლოს დროს მეტად გახშირდა, უფრო ზანგების წინააღმდეგ. ამის თაობაზე მსჯელობა ჰქონია სოციალისტთა საერთა-შორისო კონგრესს, რომელიც მოხდა ამას-წინად ბრიუსელში. კონგრესმა პროტესტი განაცხადა წინააღმდეგ ასეთის გასამართლებისა, რომელიც სამარცხვინოდ აღიარა განათლებულად წოდებულ ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის, და დაადგინა, რომ ყოველ კაცს, რაც უნდა დიდი დამნაშავე იყოს, უფლება უნდა ჰქონდეს თავი იმართლოს, და ვინც ამ უფლებას უსპობს თავის მოყვასს, იგი კაცის მკვლელიაო.

**

პოესია ინგლისში. მარტო ჩვენში არ ყოფილა მივიწყებული საწყალი პოეზია! ინგლისსა და ამერიკაში ლექსს სრულიად აღარა აქვს გასაღალიო, ჩივიან მწიგნობარნი: ტენისონს აღარავინ კითხულობს, ბროენინგი აღარც კი ახსოვს ვისმე, კიპლინგი პროზადა სწერს, რადგან ლექსით ვერას

იძენს, და აღფრედ ოსტენი—გვირგვინით დაჯილდოებული პოეტი, ბალის მოშენებას სწერს, პროზად, რათქმა უნდა, და იმითი ცხოვრობს.

ტენისონი, ბროუნინგი, კიპლინგი, ოსტენი.... გუშინ არ იყო, უკვდავ პოეტებად იხსენიებდა მათ კრიტიკა!

**

უცნაური ჭიჭიტიკა. უცნაური ჰიპოტეზა გამოსთქვა ერთს ინგლისურს ეჟურნალში სერ ოლივერ ლოჯმა მასალის შესახებ. თუ მართალი გამოდგა ეს თეორია, ძირიანად გადააბრუნებს მეცნიერებაში დედა-ბურჯად აღიარებულს აზრებს. ნივთიერება მოლეკულთა კრება არ არის, არც ატომთა კრებაო, ამტკიცებს ლოჯი. ატომიზმი შეცდომააო. ქვეყნად ერთად ერთი ნივთიერება არის, დღეს ელექტრონად ცნობილი, და ნივთიერება ელექტრონთა კრება არისო. ელექტრონთა სხვა და სხვა გვარი წყობა და რაოდენობა შეჰქმნის ქიმიურ ელემენტს. ატომი განუყოფელი არ არის; წყალმბადის ერთს ატომს 700 ელექტრონი შეადგენს, რომელთაგან 350 დადებითი და 350 უკუღებითი; მჟავმბადის ატომში 16-ჯერ მეტი ელექტრონია; და ყველაზედ უძვირეს რადიუმის ატომში 160 ათასი ელექტრონია. ერთი სიტყვით ბუნება—ელექტრონია, ნივთიერებად გარდაქმნილი.

**

ბერტელოს აზრი ნაფტალინის შესახებ. პარიზის სამეცნიერო აკადემიაში ბერტელოს წაუკითხავს თავისი მოხსენება ნაფტალინის შესახებ. მედონის ქიმიურ ლაბორატორიაში სინჯეს და დაამტკიცეს, რომ ნაფტალინი არა ხოცავს მიკრობებს; ტანისამოსის ჩრჩილისა და სხვა მწერთაგან დასაცველად ისევ ძველებური საშუალება ვიხმაროთ, მცენარე სუმბული, ისა სჯობიან, ტყუილ ხარჯსაო.

**

ვინ აღმოაჩინა ამერიკა. ჩინურს ძველ მწერლობაში, რომელიც ენციკლოპედიად არის შემდგარი, მოიპოვება უტყუარი საბუთი ბუდდელ მღვდელთაგან ამერიკის ცნობისა: ერთი

მღვდელი, ჰუი-შენად წოდებული, 499 წელს დაბრუნებულია ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ჩინეთში, მაგრამ ამ დროს არეულობა ყოფილა და მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიულწე-ვია ხელმწიფემდე. იმისთანა უცნაური ამბები მიუტანია ხელმ-წიფისთვის რალაც ფუზანგის ქვეყნის შესახებ და თან, სხვა-თა შორის, იმისთანა საკვირველი მცენარე მოუტანია, რომ-ლის ფოთლებიდან სხვა და სხვა ქსოვილს ამზადებდნენ ფუზანგელები, რომ ხელმწიფეს ოთხ მეცნიერთათვის მიუწ-ვია,—მოისმინეთ და დაწვრილებით ჩასწერეთ ჰუი-შენის ნაამ-ბობიო. ჰუი-შენის სიტყვით ტუზანგელებთან 458 წელს მი-სულა ხუთი კაბულელი მღვდელი და ბუდდის სარწმუნოება უქადაგნიათ. მღვდლებს ალყუტის კუნძულით და მერმე ალას-კით უვლიათ. ჰუი შენი დაწვრილებით ასწერს ზნე-ჩვეულებას ფუზანგელებისას, მათს-სახლკარს, მუშაობას, ომისა და ბრძოლის, სიძულვილს,—და ეს აღწერა სრულიად ეთანხმება იმ ისტო-რიულ ცნობებს, რომელნიც ევროპიელებმა დატოვეს მექსი-კის და ერთობ შუაგულ ამერიკის შესახებ.

მექსიკაში ძველის ძველ ნანგრევებში კერპი იპოვნეს, რომელიც სავსებით წარმოადგენს ბუდდურ კერპს. ეს კერპი—სპილოს თავიანი ღმერთია და რადგან ამერიკაში სპილო არ ყოფილა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს კერპიც აზიიდან უნ-და იყოს მიტანილი. თვით სახელებიც კი ამტკიცებენ ამერი-კულ უძველეს ტომთაგან ბუდდის მიმდევრობას: ბუდდას გვა-რი არის გვატამა; შეადარეთ იმას ამერიკული სახელები—გვა-ტემალა, გვატამოდა გვატამოზენ—უკანასკნელი მეფე მექსიკისა, კორტეზის მიერ მოკლული.

რაც შეეხება ჰუი-შენის მიერ მოტანილს მცენარეს, რომ-ლის დაწვრილებითი აღწერა დარჩენილა ჩინურს ენციკლო-ბოდიში, იგი მექსიკური ალოე არის.

შინაური მიმოხილვა

ჩვენი ეკონომიური გაჭირვება

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წარსულ წელს არ ყოფილა მდიდარი „დიდი ამბებით“ და არა ჩვეულებრივ მოვლენებით. და მკითხველი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს უცხოეთის ცხოვრების მიმდინარეობას და შეჩვეულია იქაურს ცვალებად მოვლენათა მოსმენას, შესცდება და მოსტყუვდება, თუ ასეთის მოლოდინით შეხედავს ამ ჩვენს „შინაურს მიმოხილვას“. ჩვენ, მოწინავე ერებთან შედარებით, ჩამორჩენილი ვართ და ასევე ჩამორჩენილია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც. აქ არ არის ის ძლიერი დუღილი, მძლავრი მაჯის ცემა, საზოგადოებრივ ძალთა შეჯახება, ბრძოლა და სწრაფი წინსვლა, რომლითაც განსხვავდება ევროპა და საზოგადოდ დაწინაურებული კაცობრიობა. აქ, ჩვენში, ყველაფერი კეთდება *en petit*, პატარად, ცოტა-ცოტაობით, ნაკლები ღონით და ენერჯით, არაა გაზდილი და განვითარებული საზოგადოებრივი ძალა და შემოქმედება და ამიტომ ჩვენს ცხოვრებას აქლია უცხოეთისებური მღვლეარება და ცხოველმყოფელობა, აქლია ჩვეულებრივ მიმდინარეობის დროგამოშვებითი შეკუმშვა-შეზვირთება, რომელიც, „საყურადღებო ამბის“ სახით, ყველასთვის შესამჩნევი და სანახი ჰხდება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მაინც, რომ მთელს წელიწადს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში არ ყოფილიყოს ისეთი მხარეები, რომლებიც ღირსია აღნიშვნის და განმარტე-

ბისა. წარსული წლის განმავლობაში ჩვენი ხალხიც ცხოვრობდა, მოქმედობდა, იღვწოდა და იბრძოდა არსებობისათვის. რა პირობები ეხვია გარს მის საქმიანობას, რა დაბრკოლება ხედებოდა წინ მის მოქმედებას, რა უჭირდა და აწუხებდა ჩვენი ხალხის მშრომელ უმრავლესობას—აი კითხვები, უმთავრესად ეკონომიურ ხასიათისა, რომლებსაც გვინდა ჩვენ შევევხოთ ამ „მიმოხილვა“-ში და ზოგიერთი მათგანი გავარკვიოთ შეძლებისდაგვარად.

ეკონომიურ საკითხებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა შარშან მიქცეული ჩვენს პრესაში და საზოგადოებაშიც. სამინისტროსაგან გამოცხადებულ პროგრამისა და სურვილის თანახმად, შესდგა სამეურნეო კომიტეტები და როგორც ამ კომიტეტებში, ისე „სამეურნეო საზოგადოებაში“ იმართებოდა კრებები და ირჩევოდა ადგილობრივი ეკონომიური საკითხები. ამ კრებებს და იქაურ ბჭობა-კამათს დიდის ინტერესით ეპყრობოდა პრესა და საზოგადოება. ჩვენი ცხოვრების ბევრი საინტერესო მხარეები გამოირკვა ამ დროს, ბევრგვარი დაბრკოლება და დაქვეითება იქმნა აღნიშნული და განმატებული. სხვათა შორის, განხილულ იქმნა ჩვენებურ მიწათ-მფლობელობის ვითარება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ღირსია განსაკუთრებულ ყურადღებისა და მზრუნველობის.

სასოფლო მეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა. ამიტომ მეურნესთვის იგი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს. მიწის ნაყოფით მან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი, — უნდა ირჩინოს თავი, გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადი და აწარმოვოს თავისი მეურნეობა. ხალხის მოთხოვნილება მუდამ ერთ დონეზე არა დგას, იგი ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ერთის მხრით მიმოსვლის გაადვილებისა და მეორე მხრით ვაჭრობისა და ხელოსნობის გავრცელების გამო ხალხი ეცნობა ყველა იმ ნაწარმოებთ, რომელნიც თანამედროვე მატერიალურ კულტურას წარმოადგენენ, და ეჩვევა კიდევ თანდათან იმათ ხმარებას.

მას უჩნდება ბევრი ახალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომლებიც ძველად არ იყო და ამიტომ არც დაკმაყოფილებას საჭიროებდა. დღეს კი მეურნემ ყველა ამათ ანგარიში უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს. და ამის შესრულებას იგი მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა მიწა საკმაოდ აქვს, როცა მიწის მოსავალი ჰყოფნის ხარჯების დასაფარავად.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოთხოვნილებები გამრავლდა, თორემ მიწას არც სივრცით უმატნია და არც თავისი ნაყოფიერობით. თუ აქა-იქ გლეხობამ თავად-აზნაურობისაგან მამულეები შეიძინა, სამაგიეროდ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ ამ შენაძენს ბევრად გადააჭარბა, ასე რომ დღეს ჩვენში მიწის საშინელი სივიწროვია. სტატისტიკური ცნობები მიწათფლობელობის შესახებ გვარწმუნებს, რომ გლეხობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ძალიან შევიწროებულია მიწის სიმცირის გამო. საშუალო რიცხვით თითო კომლზე მოდის ტფილისის გუბერნიაში 8 დესეტინა ვარგებელი მიწა. სხვა და სხვა კატეგორიის გლეხობაში მიწა მეტად უთანასწოროდაა განაწილებული. თუ სტატისტიკას დავეუჯერებთ, თითო კომლ სახაზინო გლეხს უწევს 10 დესეტინა, დროებით ვალდებულს 2 დესეტ. და ხიზანს $3\frac{1}{2}$ დესეტ. ქართლის 27 სხვა და სხვა სოფელში გლეხთა $43\frac{0}{100}$ -ს აქვს ერთ დესეტინაზე ნაკლები მიწა, $21\frac{0}{100}$ -ს 1-2 დესეტ., $15\frac{0}{100}$ -ს 2-3 დესეტ., $12\frac{0}{100}$ -ს 3-5 დესეტ. და დანარჩენ $9\frac{0}{100}$ -ს 5 დესეტ. მეტი. ამ სახით გლეხთა ცხრა მეათედს კომლზე 5 დესეტინაზე ნაკლები მიწა უწევთ. „თელავის მაზრაში, მაგალითად, — იწერება კორესპონდენტი („ივ.“ № 72). — დიდად შევიწროვებულია გლეხობა მამულის სიმცირით. საშუალო რიცხვით თითოეულს გლეხს საკუთრებად $\frac{3}{4}$ დღიურისა ძლივს ჰხვდება სახნავი და სათესი ვენახითურთ“.

განსაკუთრებით მიწის დიდი სივიწროვია ქუთაისის გუბერნიაში. თითო კომლ სახაზინო გლეხს უწევს იქ 3 დესეტ. მიწა, ხიზანს 2 დესეტ., მესაკუთრეს $2\frac{1}{3}$ დესეტ. და დროებით ვალდებულს 3 დესეტ. (შეად. Сборникъ статистичес-

РІХЪ СВѢДѢНІЙ О ЗЕМЛЕВЛАДѢНІИ И. Т. Д. Труды МѢСТНЫХЪ КОМИТЕТОВЪ О НУЖДАХЪ С.-ХОЗ. ПРОМ., ტომი 52). ისეთი ოფიციალური დაწესებულება, როგორც იყო სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა განსახილველად შემდგარი ქუთაისის კომიტეტი, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მიწის სიმცირე უმთავრესი დაბრკოლებაა ადგილობრივ მეურნეთა ეკონომიურ წარმატებისათ (გვ. 230). გლებთა 60-70⁰/0-ს არა აქვს საკმაო მიწა და ამიტომ ძალიან გაჭირვებაშიაო. იქვე „ქუთაისის გუბერნიაში, —სწერია ამიერ-კავკასიის რეინის გზის წლიურ ანგარიშში, — ისე ძნელია თავის გამოკვება, რომ გარედ სამუშაოზე წაუსვლელად ხალხი ლატაკურად ცხოვრებასაც-კი ვერ შესძლებდა... ხშირად სიმინდს ისეთ ხრიოკებზე სთესენ, საცა ადგილობრივი ხარის-კი ვერ აღის და ამიტომ მიწას კი არ ხნავენ, არამედ თოხით სთოხნიან. პირველსავე წვიმას ნათესი ძირს ჩამოაქვს, მიწათ-მომქმედის შრომა იღუპება, მაგრამ რა ჰქნას, როცა მიწა აღარაა. საალაღბედოდ სთესავს იგი ხრიოკებზე, სადაც არავითარ მოსავლის მიღება არ შეიძლება“ (Краткій обзоръ коммерческой дѣятельности Закавк. ж. д. за 1901 г., Тифл. 1903 г., გვ. 52).

უდიდესი ნაწილი მამულებისა ჩვენში ქართველ თავადაზნაურობის ხელშია (1011719 დესეტ. ტფილისის გუბერნიაში და 815321 დესეტ. ქუთ. გუბ.). ეს წოდება რიცხვით მცირე ნაწილია ჩვენი ხალხისა (2,89⁰/0 ტფილ. გუბ. და 6,78⁰/0 ქუთ. გუბ.). ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ამ წოდების ყველა წევრი უზრუნველყოფილნი არიან მამულით და მათს მამულის ნაკლებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ნამდვილად კი თავადაზნაურობა არ წარმოადგენს ერთ მთელს და ერთგვარ ნაწილებსგან შემდგარ ორგანიზმს ამ წოდების წევრთ შორისაც არის დიდი განსხვავება მამულიანობისა და საზოგადოდ ქონების. სახაზინო პალატის ცნობებით, რომლებიც ჩვენ დავაწყვეთ და შევამუშავეთ, ტფილისის გუბერნიაში არის

სულ 4701 თავად აზნაურის მამული. ეს მამულები, სიდიდის მიხედვით, ასე განაწილდებიან:

მ ა ზ რ ე ბ ი :	10 დესეტინა- ნამდის	10—25 დეს.	25—50 დეს.	50—100 დეს.	100—250 დეს.	250—500 დეს.	500—1000 დ.	1000—2000 დესეტ.	2000—დესეტ- მეტი	სულ მამული.
აზალ ქალაქის	55	17	21	17	22	10	1	3	—	146
აზალციხის	55	23	7	17	27	13	7	3	4	156
ბორჩალოს	89	59	76	80	79	61	51	38	23	556
გორის	682	263	246	188	190	90	56	25	13	1753
დუშეთის	98	116	102	146	137	37	16	4	3	659
სიღნაღის	113	56	46	39	42	17	15	10	6	344
თელავის	165	63	52	63	58	22	15	17	1	456
თიანეთის	26	5	7	11	26	10	20	5	1	111
ტფილისის	157	32	56	77	102	56	20	15	5	520
სულ ტფილისის გუბერნიაში	1440	634	613	638	683	316	201	120	56	4701
პროცენტებით:										
აზალქალაქის	37,68	11,64	14,38	11,64	15,07	6,85	0,68	2,06	—	100 ⁰ / ₀
აზალციხის	35,25	14,75	4,49	10,50	17,31	8,33	4,48	1,93	2,56	100 ⁰ / ₀
ბორჩალოს	16,01	10,61	13,67	14,39	14,21	10,97	9,17	6,84	4,13	100 ⁰ / ₀
გორის	38,90	15,00	14,04	10,72	10,84	5,13	3,19	1,43	0,75	100 ⁰ / ₀
დუშეთის	14,88	17,61	15,48	22,16	20,78	5,62	2,43	0,60	0,44	100 ⁰ / ₀
სიღნაღის	32,82	16,28	13,37	11,34	12,22	4,95	4,36	2,91	1,75	100 ⁰ / ₀
თელავის	36,18	13,81	11,40	13,82	12,73	4,82	3,29	3,73	0,22	100 ⁰ / ₀
თიანეთის	23,42	4,51	6,31	9,91	23,43	9,01	18,01	4,50	0,90	100 ⁰ / ₀
ტფილისის	30,19	6,15	10,77	14,81	19,62	10,77	3,84	2,89	0,96	100 ⁰ / ₀
სულ ტფილისის გუბერნიაში	30,69	13,48	13,04	13,57	14,52	6,72	4,28	2,56	1,19	100⁰/₀

ამ ცხრილიდან მკითხველი დაინახავს, რომ ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა ისეთ მამულების რიცხვი, რომლებს სივრცე 10 დესეტინას არ აღემატება, 31⁰/₀-ს ანუ თითქმის ერთ მესამედს შეადგენს, ხოლო საერთოდ ყველა წვრილ მამულების რიცხვი, რომლების სივრცე 25 დესეტინამდის აღის, 44,12⁰/₀ ანუ თითქმის ნახევარია ყველა მამულებისა.

უფრო წვრილი მიწათ-ფლობელობაა ქუთაისის გუბერნიაში. აქ დიდ მემამულედ ითვლება, ვისაც 50 დესეტინა მიწა

აქვს. სტატისტიკურ კომიტეტის „Сборник“-ის ცნობებით, რომლებიც ამოკრეფილია სახაზინო პალატის წიგნებიდან, თავად-აზნაურთა მამულები ქუთაისის გუბერნიაში ამგვარად გაგანაწილდებიან:

მ ა ზ რ ე ბ ი:	2 დესეტინა- ლის	2—4 დესეტ.	4—8 დესეტ.	8—19 დესეტ.	19—36 დეს.	36—72 დეს.	72—190 დეს.	190—880 დეს.	380— დესეტ. მეტი	სულ მამული.
ქუთაისის	94	282	496	546	221	67	70	10	46	1833
შორაპნის	166	469	536	466	192	16	52	11	39	1997
რაჭის	126	199	496	116	37	9	7	1	18	1009
ოზურგეთის ლენჩუპის (სვანე- თის საზოქაულოს გამოკლებით) . . .	36	116	176	156	97	65	94	47	82	869
სვანეთის საბოქა- ულო	9	24	31	14	2	—	—	—	4	84
სენაკის	101	243	402	482	157	120	74	29	27	1625
ზუგდიდის	70	135	319	141	261	143	61	25	19	1174
სულ გუბერნიაში	640	1580	2657	2093	1002	496	375	136	261	9240
	0/6,9%	17,2%	25,5%	25,9%	10,9%	5,2%	4,1%	1,6%	2,7%	100%

ამ სახით თითქმის ცხრა მეათედი (89⁰/0) თავად-აზნაურთა მამულებისა სივრცით 50 დესეტინაზე ნაკლებია, ხოლო შვიდი მეათედი (69⁰/0) 19 დესეტინას არ აღემატება. ქუთაისის გუბერნიის კომიტეტის აზრით, იქაურ თავად-აზნაურთა 25⁰/0-ს ისე ცოტა მიწა აქვს, რომ მიწის მოსავლით არ შეუძლია თავის გამოკვება და მცურნეობის წარმართვა (გვ. 230).

თუ ასეთ მდგომარეობაშია იქ თავად-აზნაურობის დიდგანაწილი, რაღა უნდა ითქვას გლეხობაზე: ესენი ყველგან დიდ გაჭირვებას ითმენენ მიწის ნაკლებობისა და სამეურნეო მოსავლის სიმცირის გამო. ეს გაჭირვება ცოტათი შემცირებული იქნებოდა, რომ ჩვენებური წარმოების ტექნიკა გაუმჯობესებული იყოს. ტექნიკის გაუმჯობესება იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელი მიწას შედარებით მეტ ნაყოფს აღებინებს და პატარა მამულზე იმდენ სარჩოს იწვევს, რომ წინეთ ამისთვის, ძველებური ტექნიკით, ბევრად უფრო ფართო სივრცის მიწა მოუწ-

დებოდა. ამ სახით ტექნიკის განკარგება ზღავს და ასწორებს მიწის ნაკლებობას. იქ, საცა მიწას თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების თანახმად მუშაობენ, მწარმოებელს ბევრად ნაკლები მიწა ჰყოფნის, ვიდრე იქ, საცა ტექნიკა ძველი და განუვითარებელია. მაგალითად, საფილარის ოლქში (აღმოსავლეთ ფლანდრიაში) 12 ათასი დესეტინა მიწა არჩენს 30 ათას გლეხს, 10720 მსხვილფეხსაქონელს, 3800 ცხვარს, 1815 ცხენს და 6550 ღორს. მეორე ოლქში საშუალო რიცხვით $\frac{1}{3}$ დესეტინა იმდენ მოსავალს იძლევა, რომ ორ ადამიანს ჰყოფნის სარჩოდ და კიდევ გარედ გასასყიდადაც რჩება. ყველგან, საცა მეურნეობა წესიერად მიჰყავთ, მოსავალი ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენს ბუნებით ნოყიერ მიწაზე. ერთ დესეტინაზე მოდის იქ 368 ფ. პური, 259 ფ. ჭვავი, 464 ფ. შვრია, 282 ფ. ქერი, 270 ფ. ფეტვი და სხვ. (იხ. კოლბის წიგნი: Влияние хлѣбных цѣнъ и. т. д.).

ჩვენებურის წარმოების ტექნიკა-კი მამა-პაპის დროინდელია,—იგი თხოულობს მეტ დროს და ჯათას, თან რიგზე შეუმუშავებლად სტოვებს მიწას. ასეთ პირობებში გლეხს, რომ ჰქონდეს, არ შეუძლია თვითონ, საკუთარის ძალ-ღონით, ბევრი მიწის გამოყენება, და თუ ვამბობთ, რომ იგი უმამულობის გამო გაჭირვებას განიცდისო, ეს ისე უნდა გვესმოდეს, რომ მას დღეს იმდენიც არა აქვს, რამდენსაც, ხმარებულ ტექნიკითა და წარმოების წესით, მოახერხებდა მოჭრევოდა და შეემუშავებია. ქართლში მაგალ., ხენის დროს 8 უღელი ხარია საჭირო. გლეხები ადგენენ ამ მიზნისთვის ერთგვარ ამხანაგობას, რომელიც 40 დღის განმავლობაში ამხანაგთა მიწებს ხნავს. ამას ისინი თაობას ეძახიან. ეს თაობა ხშირად ორ თვესაც გასტანს, რადგან შუაში ხან უქმე და ხან ავდარი გამოეჩევა. წარმოიდგინეთ გლეხი, რომელსაც ერთი უღელი ხარი ჰყავს. იგი მუშაობს ორ თვეს თავის საქონლით ამ ამხანაგობაში და ამისთვის მას მხოლოდ ოთხი დღიურის ანუ ორი დესეტინა მიწის მოხვნა ხვდება წალად.

და არა მარტო ხენის დროს, არამედ ბევრ სხვა გვარ მუშაობაშიაც ჩვენებურ ტენიკის ჩამორჩენა საგონებელი და შესამჩნევია. ამის გამო ჩვენს მეურნეს მეტად ძვირად უჯდება წარმოება, იგი თითქმის მუდამ წაგებაშია და თუ, მიუხედავად ამისა, მეურნეობას თავს არ ანებებს და მიწას არ შორდება, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის შრომას არ ანგარიშობს და სხვაგვარი მუდმივი და უფრო სახეირო სამუშაო არსად უჩნდება. ერთი დღიური, ორთა-შუა რომ ვიანგარიშოთ, — იწერებოდა კორესპონდენტი ქართლიდან, — სამი თუმანი ჯდება. რაც უნდა მოსავალი იყოს, დღიურზე უნდა ვიანგარიშოთ ათი კოდი. აქედან უნდა მიეცეს ღალა მამულის პატრონს, ზოგს მოსავლის ნახევარი, ზოგს მესამედი და იშვიათად მეოთხედი, — ასე დაძვირდა ჩვენსკენ მამული. ვთქვათ, მიწა იხვნება სანახევროდ, დღიურიდან გამოვიდა ათი კოდი, ნახევარი მიეცა მამულის პატრონს და გლახს დარჩა ხუთი კოდი. ამ ხუთი კოდიდანაც კიდევ ორი ჩანახი თუ ნახევარი კოდი სამეველო უნდა მისცეს; ნუ ვიანგარიშებთ ნურც სამწყემსურს, ნურც მღვდლის დრამას, ნურც დიაკვნისას რჩება საცოდავ მუშას რაღაც ოთხი კოდი, რომელიც უჯდება მას სამი თუმანი. დიახ, ბეჩავ მუშას ერთი სამად და ოთხად იმაზე მეტად უჯდება კოდი პური, როგორც ფასობს დღეს“.

ამ სახით მიწის სიმციერეს ჩვენში ერთვის საწარმოვო ტენიკის ჩამორჩენა და განუვითარებლობა და ეს კიდევ უფრო გასაჭირად და მწვავედ ჰხდის მიწათ-მომქმედის ეკონომიურ არსებობას და მის სოციალურ მდგომარეობას. მშრომელი ვერ უბრუნებს მიწას დანაკლისს, — ზოგი შეუძლებლობისა და ზოგიც უვიცობის გამო, ნიადაგს არც პატივს აძლევს და არც ასვენებს. მიწათან და თან იფიტება და მეურნე მისგან მუდამ ნაკლებ მოსავალს იღებს.

იგი იძულებული ხდება რამე სხვა წყარო გამოიხსოს, ახალ სამუშაოს დაადგეს და ამისი შემოსავალით შეივსოს თავისი ბიუჯეტის დანაკლისი. ასეთ ბიუჯეტის „შემავსებელ“ წყაროდ თეორიულად რამდენიმე ღონისძიებისა და საშუალო-

ბის დასახლება შეიძლება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება თანამედროვე ცხოვრების პირობებში ფრიად საძნელო და ხშირად სრულიად შეუძლებელი ჰხდება. ასეთია, მაგალითად, შინა-მრეწველობის გაძლიერება და თავის მოთხოვნილებათა საკუთარ ნაწარმოებით დაკმაყოფილება. ოჯახური სამრეწველო წარმოება რომ ხალხში განვითარებული იყოს, შეიძლებოდა იმის შემწეობით ღარიბ სოფლებს თავისთვის რამოდენიმედ შეღავათი მიეცა და თავისი შემოსავალი გაედიდებია. ძველად ხალხი უმთავრესად შინაურ ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ დღეს ასე აღარაა. ცხოვრების საერთო კლიმატამ, ახალ ეკონომიურ ურთიერთობათა დამყარებამ შინარეწველობას ნიადაგი გამოაცალა და ხალხს არსებობისათვის მნიშვნელობა დაუკარგა. ძველი სამრეწველო ტექნიკა, ნაცვლად განვითარებისა, დავიწიებას მიეცა; ვაჭრობის საშუალებით სოფლადაც ყველგან შემოტანილი საფაბრიკო ნაწარმოები გავრცელდა, რომელსაც ხალხის მოთხოვნილება და გემოვნება შეეჩვია და შეეთვისა; დაუმუშავებელ მასალას ბაზარი გაუჩნდა და მისი ამ სახით გასაღება მწარმოებლისთვის ხშირად უფრო ხელსაყრელი შეაქნა. ეხლა ოჯახებში აღარ ქსოვენ არც ხამებს, არც დარაიებს; ვისაც ბამბა მოჰყავს, ჰყიდის ბამბადვე, აბრეშუმის მომყვანი ნაწარმოებს პარკად ასაღებს; შალი იშვიათ ოჯახებში იქსოვება. თანამედროვე ეკონომიურმა განვითარებამ მწარმოებელნი ერთმანეთს დააშორა და შუაში ჩარჩი-ვაჭარი ჩაუყენა. ხშირად დღეს გლეხის დედა-კაცი წინდასაც აღარ ქსოვს ოჯახში: მატყლი მაშინ არა აქვს, როცა ქმარ-შვილს წინდა სჭირდება, და საჭიროების დროს ისევ მეწვრიმალეს მიმართავს ხოლმე, რომელსაც ფაბრიკებში დამზადებული საქონელი ყოველთვის მოეპოვება.

ამნაირად უმამულო ან მცირე მიწის მქონებელ მეურნეს არ შეუძლია სამრეწველო წარმოება დაიხმაროს და ოჯახურ მრეწველობის საშუალებით შეივსოს მიწის მოსავლის ნაკლებობა. და სხვა კი სოფლად ისეთი არაფერი წარმოება არაა, რომ

მშრომელ ხალხს სამუშაო გაუჩინოს და ცხოვრების სახსარი მისცეს. ჩვენებურს სსსოფლომეურნეობაში კაპიტალიზმი ჯერ არ შესულა, — წარმოების წესი არ შეცვლილა. იშვიათად მოიპოვება დიდი მამულები, რომლებსაც პატრონი გაუმჯობესებულ მაშინებით ამუშავებდეს, კაპიტალს ანდომებდეს და ამიტომ მოქირავე მუშებს საჭიროებდეს და კიდევ ხმარობდეს. ჩვენში დაქუცმაცებული წვრილი სამეურნეო-წარმოება არსებობს და არა მსხვილი და ამის გამო თავისუფალი, საკუთარ სამუშაოს მოკლებული, მუშა ხელი იქ ვერ შოულობს საქმეს და ცხოვრების წყაროს.

მეტი გზა არა აქვს, — დროებით ან სამუდამოდ, მამა-პაპურს კერას უნდა განშორდეს და თავის ცხოვრების მოწყობას სადმე სხვაგან შეეცადოს: ან ქალაქს უნდა მიადგეს სამუშაოს საძებნელად და ან სადმე თავისუფალი მიწა-ადგილი ეძიოს დასაბინავებლად. ორივე ეს მოვლენა დღეს ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევია, — უმამულო სოფლის ხალხი მიდის სამუშაოდ ქალაქებში და აგრეთვე, როცა-კი ცოტათი გარემოება ხელს უწყობს, ესახლება მეურნეობის მოსაწყობად ახალ მამულებზედაც. სწორედ იმ დროს, როცა ამ წერილს ვსწერ, მე ვხედავ მეზობლის სახლის აივანზე 6 წლის ბავშვს, რომელიც იატაკის საწმენდ ჩოთქებზე შემდგარა და სახლს ასუფთავებს. ეს არის ვიღაც იმერელ აზნაურის შვილი, რომელიც ერთ აქაურს ღარიბ ოჯახს ემსახურება. საწყალი შიმშილს და სიღარიბეს ისე დაუგვალავს, რომ შეხედულობით 6 წლის გეგონებათ. და ასეთი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვი მშობლებს მოუშორებიათ, რომ ოჯახში ხარჯი შეემციობებიათ, და სამუშაოდ ქალაქში გამოუსტუმრებიათ. ყველა წარმოიდგენს, თუ როგორი დიდი გაჭირვება უნდა იყოს სოფელში, რომ ღეღამ პაწია შვილი გულიდან მოიგლიჯოს და შორეულ ქალაქში გაჰგზავნოს თავის სარჩენად. ასე ძალას ატანს სოფელში გაჭირვება დიდსაც და პატარასაც, — ქალაქებს ყოველ დღე ახალ ახალი ხალხი ემატება, რომელიც ეძებს აქ საქმეს და დაბინავებას. მაგრამ ჩვენებურს ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველო-

ბა ჯერ კიდევ შედარებით სუსტი და განუვითარებელია და ამიტომ საშუაოს მძებნელი მუშა ხელი ხშირად უქმად დადის, ვერ ხვდება საქმეს და ვერ პოულობს ქალაქურ ცხოვრებაში ნიადაგს.

რაც შეეხება ადგილის გამოცვლას და ახალ მიწაზე დასახლებას, — მართალია, ეს მოვლენა ჩვენში ჯერ ხშირი და გავრცელებული არაა, მაგრამ არც ისე იშვიათია, რომ შეიძლება ბოლოს მისი არ შემჩნევა ან უარისყოფა. შემცდარია ის აზრი, ვითომ ჩვენი ხალხი ბუნებით უმოძრაო იყოს და რაღაც „ხატების“ მიზეზით ძველი ადგილის გამოცვლას ერიდებოდეს. ეს, შეიძლება, მართალი იყოს ორიოდ მივარდნილი კუთხის შესახებ, მაგრამ არ არის მართალი, თუ საერთოდ მთელს ხალხს ვიგულებთ. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, ამბობს ქართული ანდაზა. ნახევარი ქართლი, მაგალითად, სულ იმერლებითაა დასახლებული. ქართველი უმამულო გლეხი, არა თუ ახლო, შორს გადასახლებასაც კი არ ერიდება, როცა ღიღარებე და გაჭირვება ძალას ატანს. მაგალითად, მასწავლებელი მკვდილიძე იწერებოდა შარშან შემდეგ ამბავს („ივ.“ № 67): „თორმეტი ვერსის მანძილზედ ხასავიურთიდან, თერგის ოლქში, სახაზინო ადგილზედ დასახლებულა ამ სამი-ოთხი წლის წინად 47 კომლი გლეხი. ოცდა სამი წელიწადი გადის მას აქედ, რაც ეს უბედურები ერთის ადგილიდან მეორე ადგილზედ გადადიან ლუკმაპურის საშოვნელად. 1880 წ. ესენი დასახლებულან „ცარსკი ლაგირში“ ქალაქ კავკავის მახლობლად, სადაც დაუყვიათ ორი წელიწადი და, რადგანაც ხაზინას ის ადგილი დასჭირებია, იქიდგან აყრილან და დაბინავებულან „სუნჯაში“, ბარათაშვილის ადგილზედ. აქ დაუყვიათ ცხრა წელიწადი. ხელახლა აუკრავთ ბარკი და მიჰყვდლებიან ისევ ხაზინას, რომელსაც მათთვის მიუცია იჯარით ადგილი „თაგვის ბარში“. მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ბევრის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, გლეხებს გამოუბრუნებიათ ადგილი, შემოსავალს მოსწრებთან, მაგრამ აქაც დასჭირებია ხაზინას „თაგვის ბარის“ მიწა. უკანასკნელად, ამ

სამი-ოთხი წლის წინად, კავკავის სახელმწიფო ქონებათა მმართველის რჩევით, დასახლებულან ხასავეურთის მაზრაში, სოფ. „იარიკ-სუში“.

„ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ დაიღლებოდნენ და დაიქანცებოდნენ სულით და ჯანით უბედურები ამ წიაღ-ლოლიალში უცხო ქვეყანას, გარშემორტყმული უცხო ტომის ხალხით, რომელთა რჯული, ზნე და ჩვეულება სრულიად არ შეესაბამება ქართველთა ერის ბუნებას... გარდა ყოველის დაბრკოლებისა, დიდს საგონებელში ჩააგდო გლეხები იმ გარემოებამ, რომ მათთვის მიზომილი 1000 დესეტინა მიწა ძლიერ ცუდი სამუშაო გამოდგა: გაუვალი ეკლიანი ძეძვის ტყე მოსაკაფად მეტად ძნელია; გარდა ამისა ამ ეკლიან მცენარეს ძირები აქვს მიწაში ძლიერ მაგრად და მისი ამოღება მეტად გასაჭირია. რაც ამ ადგილს ჯაფა და ტანჯვა სჭირდება გაუმჯობესებისათვის, იმის ფასს ჯერ-ჯერობით არ იძლევა. მაგრამ სავალალო ის იქნება, ქართველი გლეხები როცა ადგილიდან რიგიან შემოსავალს მოესწრებიან, მაშინ რომ ხელი აუქნიონ და გააძეონ. სწორედ ეს იქნება მათთვის სიკვდილის მსგავსი დასჯა“.

აი, ასეთ გაჭირვებას იტანს ჩვენში უმამულო ხალხი. მეორე კორესპონდენტი, ბ-ნი ე. კახელი, სწერს, სხვათა შორის, გადასახლებულ ქართველებზე და ასე უნუგეშოდ ჰხატავს მათს მდგომარეობას („ივ.“ № 72). „დღეს მთელ თერგისა, ყუბანისა და დაღესტნის ოლქებში, აგრეთვე აზოვისა და დონის მხარეში 1600-მდის კომლი ქართველი მცხოვრები ირიცხება. 12⁰/₀-ს გარდა, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის მაზრიდან გადმოსახლებულა, დანარჩენნი მთლად რაქისა და დუშეთის მაზრიდან არიან. ამ 1600 კომლ მცხოვრებთაგან 800 კომლი მოსახლეობს სხვა და სხვა „სტანიცებსა“ და სოფლებში. ამათ აქვთ ვაი-ვაგლახით შექმნილ საკუთრებად სამოსახლო ადგილი სახნავ-სათეს მიწებითურთ, თითოეულს საშუალო რიცხვით არა უმეტეს დღიურ ნახევრისა. მათი მამულები მცირედ ნაყოფიერია და იმდენს მოსაგალსაც არ იძლევა, რომ ნახევრად მაინც

ეყოთ სარჩოდ. დანარჩენ 800 კომლის ნახევარი ე. ი. 400 კომლი მოვაქრეა, სხვა-და-სხვა ხელობის მკოდნეა, სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მსახურობს და დღიურ მუშაობას მისდევს. ისინი ქალაქ ადგილებში ცხოვრობენ. სულ მცირეა მათ შორის რიცხვი იმისთანებისა, რომელთაც საცხოვრებელი ბინა-საკუთრებად შეუძენიათ. უმრავლესობას დაქირავებულ სახლებში აქვთ თავი შეფარებული. დარჩა 400 კომლამდე კიდევ. ესენი მუდამ აქეთ-იქით დადიან და ბედის ძებნაში არიან, და უდგომელ ცხოვრებას ატარებენ. სხვებთან შედარებით ამათი მდგომარეობა უფრო აუტანელია. საცოდავნი დღეს ერთ ალაგზე დასახლდებიან, ხვალ—მეორეზე და ასე დაუსრულებელია მათი გადასახლება-გადმოსახლება. ან კი რა ჰქნან, განა მათა ბრალია? უპატრონობისა და უხელმძღვანელობის გამო გაჭირვებულნი ხშირად იმისთანა ადგილს ამოირჩევენ საცხოვრებლად, სადაც სასტიკი ჰავაა და ადგილი უნაყოფოა და ტყე და წყალი არ არის. ამ ვაი-ვაგლახს ბევრი ვერ იტანს: ზოგი მათგანი უდროვოდ ესალმება წუთი-სოფელს, ზოგი სამშობლოსაკენ დაბრუნებას რჩეობს და ზოგიც კიმბირისაკენ მიემგზავრება. ამას წინად 14 კაცი კიმბირის მხარისაკენ, ირკუტსკის გუბერნიაში, მიემგზავრებოდა,—იქნება, იქ მაინც ბედმა გავვილიმო-სო. დაერწმუნებინათ, რომ იქ საცხოვრებელ წყაროს მოპოებაც ადვილი არის და დასახლებლად მიწებიც ბლომადააო...

„დარწმუნებული ვარ,—დასძენს თავის წერილის ბოლოში ბ-ი ე. კახელი,—ვინც დაწვრილებით სცნობს ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლებულთა არა სასურველ მდგომარეობას, ყველას გული დაეწვის, ყველას თვალთაგან სიბრალულის ცრემლი წამოუვა და გულის ტკენით იტყვის: თუ თავისუფალი ადგილებია სადმე კავკასიაში უმამულო გლეხთა დასახლებლად, სიმართლე მოითხოვს უპირველესად დაეთმოთ კავკასიაშივე მყოფ უმიწა-წყლო გლეხ-კაცობას, რადგან იგინი უფრო აიტანენ ჰავას და უკედაც შეიმუშავებენ იქაურს მამულსაო“.

რასაკვირველია, ამას მოითხოვს სიმართლე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „მოთხოვნა“ ნამდვილად არ სრულდება და ქართ-

ველ უმამულო გლეხებს სახაზინო მიწები ჩვენში არ ეძლევა დასასახლებლად. არა თუ აქ, თვით საქართველოში, დაუსახლებელ შავი ზღვის პირის (ჩერნომორიის) გუბერნიაშიაც არ აძლევენ ნებართვას თავისუფალ ადგილებზე დასახლდნენ და მეურნეობა მოაწყონ. თუმცა ეს გუბერნია თავისი ნიადაგით და ჰავით გადმოსახლებულ რუსის გლეხობისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მეგრელებს და საზოგადოდ ქართველობას მაინც იქ გზა არა აქვს და ამით მოკლებულია თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ამ გარემოების შედეგია ის, რომ ხსენებულს გუბერნიაში ქართველები მეღალეები არიან რუს გლეხებისა. „გარდა ჭონკყოსი, ქვისა და მდინარეთა გადმოსვლისა—სწერს როზოვი (Условія колонизаціи по южн. Черномор. побереж.)—მეურნეობის წარმატებას ხელს უშლის მიწის გაწმენდის სიძნელე. ჯაგნარის კაფეა ძნელიცაა და ძვირიც. ასეთ შრომაზე მიუჩვეველ მუშისთვის იგი ძალიან სამძიმო საქმეს შეადგენს. ამიტომაც ამგვარ მიწებს უფრო ხშირად აქ ადგილობრივ მცხოვრებთ, მეგრელებს, აძლევენ საღალოდ. მეგრელს, რომელიც გაჰკაფავს ჯაგნარს, უფლება ეძლევა 3—5 წლის განმავლობაში გაწმენდილ მიწაზე სიმანდი სთესოს, რისთვისაც მემამულეს ღალად მოსავლის მესამედი, მეხუთედი ან მეათედი უნდა აძლიოს“.

ჩვენ ვხედავთ, რომ უმამულო ქართველ გლეხობისთვის ძნელია ქალაქებში სამუშაოს შოვნა, რადგან ჩვენში ჯერ მოქალაქობრიობა, ვაჭრობა და სამრეწველო წარმოება განუვითარებელია. ასევე ძნელია მისთვის „გარეშე მიზეზთა გამო“, თავისუფალ მიწებზე დასახლება და მეურნეობის გაუმჯობესება. მას მეტი გზა არა აქვს,—ისევ ძველს ადგილს უნდა დარჩეს და ეცადოს ავად თუ კარგად ხვნა-თესვის საშუალებით არსებობის სახსრის მოპოვებას და ცხოვრებაში თავის გატანას. და ეს კი მიწაზე მოპოვებულების გადიდებას ნიშნავს. რამდენადაც მრავლდება ხალხი სოფლად და ვერ შოულობს საქმეს სასოფლო მეურნეობის გარედ, იმდენადვე ძლიერდება მეტ მიწის საჭიროება და იზრდება მიწის ფასი-ღირებულება. ყველამ

იცის, თუ როგორ ძვირად იყიდება მიწა იმერეთში, — ერთი ქცევა სახნავი მიწა აქ ხშირად 500—1000 მანეთად ფასდება. უმიწა-წყლო გლეხი დიდის წვალეებით ნაშონ კაპეიკებს ერთ-მანეთს აწებებს, ზოგს მევახშისაგან იღებს ვალად და, თავის მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით, აძლევს მამულში ისეთ დიდ ფასს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება მიწისგან მისაღებ სარგებლობას.

მაგრამ ესეც ხელმოსაწდომია მხოლოდ უმცირესობისათვის. მხოლოდ იშვიათი გლეხები ახერხებენ საკმაო მიწის შეძენას და მესაკუთრეებად გახდომას, დიდძალი უმრავლესობა, რომელსაც არა აქვს საყოფი არც საკუთარი და არც სანადელო მიწა, მარტო მემამულეების საიჯაროდ ანუ საღალოდ გასაცემ მიწებზეა მიჩნეებული. მაგალითად, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მოახდინეს სახაზინო გლეხების ყოფა-მდგომარეობის გამოკვლევა, ამ გატეგორიის გლეხებს აღებული ჰქონდათ იჯარით კერძო მემამულეთაგან ტფილისის გუბერნიაში 49611 დესეტინა მიწა. ეს რაოდენობა მას შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გადიდდა. „გლეხებისა და მცირე მამულიან აზნაურების უმრავლესობა — სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (Труды, გვ. 230) — ყოველ წლივ იღებს იჯარით სახაზინო ან კერძო მემამულეთა მიწებს. მაგალითად, შორაპნის მაზრაში 576მ დროებით ვალდებულ გლეხთა 64⁰/₀. იღებს საღალოდ მიწას, საშუალო რიცხვით კომლზე 1,5 დესეტინას; ასევე საღალოდ აღებულ მიწებით სარგებლობს 9117 მესაკუთრე გლეხის 60⁰/₀ და 5528 სახაზინო გლეხის 63⁰/₀, სხვა მაზრების შესახებ საიმედო ცნობები არა გვაქვს, მაგრამ თუ იმ ცნობებით ვიხელმძღვანელებთ, რომლებიც კომიტეტს ხელთ აქვს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საიჯაროდ აღებულ მიწების რაოდენობა და მიწის მოთხოვნილება ყველგან ერთნაირად დიდია“.

მიწის მოთხოვნილების გადადება იწვევს თავის მხრით საიჯარო ფასის გადიდებასაც. ეს არის არა მარტო თეორიული დასკვნა, — იგი მტკიცდება რეალურ ფაქტებითაც. მემამულე-

ლის შემოსავლის ერთად-ერთი წყარო მისი მამულია და სხვა არაფერი. რამდენადაც ცხოვრება რთული ხდება და მოთხოვნილება მრავლდება, იმდენადვე იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავის შემოსავლის გადიდებას. ხოლო რახან თვითონ არ აწარმოებს და საკუთარ მეურნეობას არ ეწევა, იძულებულია ისევ საიჯარო ფასს დააწვეს და მიწის ღალა მეტი გახადოს. როცა შემოსავალი აღარ ჰყოფნის, არ უკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მიწის პატრონი აგირავებს ბანკში მამულს, იღებს ვალს, რომლის სარგებელი ისევ მამულს, ანუ უკეთ, მიწის ნამდვილ მუშას აწვება გადასხდელად. ერთის მხრით გლახთა მიწათფლობელობის სიმცირე, ხალხის გამრავლება, გადასახლებისა ანუ შინაურ კოლონიზაციის მოუწყობლობა, მრეწველობის განუვითარებლობა და, მაშასადამე, მიწის მოთხოვნილების გადიდება, მეორე მხრით — საერთო ცხოვრების გართულება, კულტურულ მოთხოვნილებათა გამრავლება და მამულების დევალიანება ხელს უწყობს ჩვენში საიჯარო ფასის ზრდას, ღალის თან და თან გადიდებას.

ვინც დაჰკვირვებია ჩვენი სოფლის ცხოვრებას, უეჭველად, შემჩნეული ექნება, რომ საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია და ეკონომიურად დაჰაბუნებულ გლეხობისთვის ძნელი გადასახდელი შეიქმნა. მაგალითად, ს. ქვიშხეთში (ქართლში) გლეხები აძლევენ მემამულეს დღიურ მიწაში 3 კოდ პურს ან $2\frac{1}{2}$ კოდს და 1 მუშას (ერთ დღეს). დესეტინაზე ეს შეადგენს 6 კოდს ან 5 კოდს და 2 მუშას. კოდის minimum-ი არის 5 ფუთი, თუმცა ხშირად ექვს ფუთსაც გადააქარბებს: ჩანახს, რომლითაც რწყავენ ღალას მემამულენი, თან და თან აღიდებენ. ამ სახით დესეტინაზე მოდის (5 კოდის ანგარიშით) 25 ფუთი პური და 2 მუშა. ფუთი პურის საშუალო ფასად შეიძლება ჩავადგოთ 7-5 კაპ. და მუშის ქირად 50 კაპ. დესეტინაზე ყველა ეს ადგენს 19 მან. და 75 კაპ. გარდა ამისა, თუ მემამულემ მოსთხოვა, გლეხმა უნდა წაუღოს მას ღალა თვისი ხარურმით უსასყიდოდ 60 ვერსის მანძილზე. — სოფ. ქარელში მემამულე იღებს დღიურ მიწაში მოსავლის მესამედს, 2 მუშას

და I ურემ შეშას. ეს შეადგენს სულ 25 მან. 50 კაპ. დესეტინაზე.—სოფ. თიღვაში მემამულე იღებს დესეტინაზე 4 კოდ ჰურს და 2 მან. ფულს.—სოფ. ქვემო აჩაბეთში გლეხები იხდიან ღალად მოსავლის მესამედს, ხშირად ნახევარსაც.—სოფ. აბისში დესეტინა სახნავ მიწის საიჯარო ქირა აღემატება 20 მანათს და სხვა და სხვა.

„მიწის დიდ მოთხოვნილებას—სწერს კომიტეტი ქუთაისის გუბერნიის შესახებ—არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ღალის გადიდებაზე, რომელიც მთელი მოსავლის 60⁰/0-დის აღწევს ხოლმე; როცა საიჯარო ფასი განსაზღვრულია, იმ შემთხვევაში იგი, მოუსავლობის დროს, მთელ მოსავლასაც აღემატება. იჯარის ფასს აქ ფულით იშვიათად იხდიან და როცა ფულზეა გარიგება, დესეტინის საიჯარო გადასახადი 30 მანათამდის აღის“ (Труды იქვე).

ერთის სიტყვით, ცხადია, რომ ქართველი გლეხოზა მამულის სიმცირის გამო ძალიან გაჭირვებაშია. შარშან, როცა სამეურნეო კომიტეტებში ეკონომიურ საკითხებზე იყო სჯავაასი, ამ საგანსაც მიაქციეს ყურადღება. გაგზავნილია სამინისტროში შუამდგომლობა, რომ კავკასიის მკვიდრთ და, მაშასადამე, ჩვენს გლეხოზასაც ისევე დაუბრკოლებლად მისცენ ხოლმე თავისუფალი სახაზინო მიწები, როგორც რუსის გადმოსახლებულ გლეხებს აძლევენ. შუამდგომლობა აჭრთვე აღძრული იმის შესახებაც, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსდეს სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელსაც მიზნად ექნება დახმარება გაუწიოს გლეხებს კრედიტით მემამულეთაგან მიწების შეძენაში. თუ რა შედეგს მოიტანს ან ერთი და ან მეორე შუამდგომლობა, ამას ახლო მომავალი დაგვანახებებს.

ჯერ-ჯერობით კი სოფლის მეურნე ხალხი, რომელიც ცხოვრობს არა მიწის რენტით, არამედ თავისი მკლავით და ოფლით, ეკონომიურად ძალიან დაუძლურებული და დაბეჩავებულია. რაც დრო მიდის, იმდენად სოფელში ცხოვრება საძნელო და გასაჭირი ხდება. ამიტომ არაფერი გასაკვირი არაა ამ მოვლენაში, თუ შარშან აქა-იქ მემამულეთა და მიწათ-მომ-

ქმედთა შორის დამოკიდებულება: გამწვავდა და სოციალური განხეთქილება შესამჩნევი და ყველასთვის დასანახი გახდა. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი ეკონომიურის ხასიათისაა: გლეხებმა უარი სთქვეს, — ასე დიდ საიჯარო გადასახადს ვერ გადაიხდითო და მიწები საღალოდ არ აიღეს. თითქოს ეს ფაქტი მარტივი და ადვილი გასაგებია, მაგრამ ჩვენში აღმოჩნდნენ ბლომად ისეთი პირები, რომლებიც წყლის მღვრევას დაჩვეულნი და მოხარულნი არიან, რადგან ეს აძლევს მათ სარგებლობას და დაწინაურებას. დაისწავლეს ერთი რუსული სიტყვა და როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას ყურები გამოუქედეს ცარიელი სიტყვებით და გაბერილი ამბებით. ზოგიერთი ვაჟბატონები ისე წათამამდნენ, რომ თავიანთ დამპალ სახლებს თვითონ სწვავდნენ, რომ შემდეგ „პუნტისათვის“ დაებრალე-ბიათ და გლეხებისთვის ეზღვევინებიათ. მუდმივ დაბეზლებისა და მიეთ-მოეთობის მიზეზით, განუწყვეტელ საჩივრებითა და დავით სოფლის ცხოვრება საზიზლარი და შესაზარი შეიქნა. არავინ იცოდა, ვინ ვის და სად დააბეზლებდა, რა ოინს მოიმოქმედებდა და თავის დანაშაულს სხვას როგორ აზღვევინებდა. ბ-ნს შუბნელს ლამაზად აქვს აწერილი ერთ თავის წერილში სოფლის ასეთი მეგობროება.

„არამკითხე მყუდროების დამცველელებმა ამოიღეს სული, — სწერს იგი, — და თუ მათი თავგასულობა დროთი არ აილავება, სოფელს დიდს ვნებას მიაყენებენ. ვინ არიან ეს დაუპატიჟებელნი მყუდროების დამცველნიო, — იკითხავს მკითხველი. ყველა, ვისაც ზომაზე მეტი ცოდვა აუკიდნია და სინათლის მოახლოვება აფრთხობს; ყველა, ვინც წყლის მღვრევას არის დაჩვეული და რომელთაც თვით მყუდროება და მშვიდობიანობა უკარგავს ძილს. მცირეოდენი საეჭვო საბუთი თუ იგდო ხელში, და ხშირად სრულიად უსაბუთოდაც, ამისთანა სათოკე, ქვენა ანგარიშებით გატაცებული გვამი იხვევს ხელზე მოდაში შემოღებულს „პუნტობიას“ და გარბის, სადაც ჯერ არის: არიქა, ვინ ხარ მამაცი, ირყევა ქვეყნის მყუდროება, მომყევით, მე ჩავაბარებთ ხელში ქვეყნის მოლალატეთაო.

ნიავეა რომ ძირ-გამომძალი საქათმე წაუქციოს ასეთ უტიფარს, მაშინვე „პუნტობას“ დააბრალებს და იწვევს მეხსა და ვაებას მშვიდობიან, ცხვარივით უწყინარ მეზობლების თავზე.

„იმის დასასურააებლად, თუ რამდენად შინაარსიანი არის მოდაში შემოღებული ტერმინი „პუნტობა“, მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომელსაც რამდენისამე თვის წინად ძველ სენაკში ჰქონდა ადგილი და რომლის მსგავსი ყოველ ფეხის გადაღმაზე შეგხვდებათ, მაგრამ ყველა ამის გაზეთის ფურცლებზე აღნიშვნას ერიდებიან, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ „პუნტოჩიკის“ სახელი არ დაგვივარდესო. ერთს კიწიელ მებატონეს ძველ-სენაკში ერთი დროებით ვალდებული გლეხი შერჩენია. ეს ბოგანო-გლეხი ვერც ადგილის გამოსყიდვას ახერხებს მებატონესაგან და ვერც მიწის ფასს იხდის თურმე თავის დროზე. მოთმინებიდგან გამოსული მებატონე მიადგა გლეხს კარებზე, მაგრამ იმ უბადრუკს თურმე შიმშილით კუჭი ეწოდა და, აბა, მებატონეს რაღა პასუხს გასცემდა. ბატონმა ურჩი გლეხი წაათრია სოფლის სასამართლოში. მამსახლისთან და იქ ბევრი აწვალა, აგლიჯა უღვაშები, აფურთხა სახეში, აპანლურა. მაგრამ არც ამით გამოვიდა რა. სოფლის თვითმართველობის წარმომადგენელნი უყურებდნენ გლეხის ასე უღანაშაულოდ გაბიაბრუებას, მაგრამ ბატონს აბა რას გაუბედავდნენ და გლეხს ხომ ბატონმაც ბევრი ურტყა.

როცა გულზვიადმა მებატონემ იჯერა გული გლეხის შეურაცხყოფით, გამოვიდა და იქვე ღუქნის წინ მოსაუბრე ახალგაზდებს შესჩივლა თავისი დარდი: ასე და ასეა ჩემი საქმე, გლეხმა ამიგდო და მიწის ღალას არ იძლევაო. ამაზე ერთმა სტუდენტმა უთხრა, ჩვენცა გვყავს ვალდებული გლეხი, მაგრამ მამაჩემმა პირიქით მისცა რამდენიმე ფუთი სიმინდი, რადგან წელს მოუსავლობა იყო და მათი უმეტესობა დამშეული არისო. ამ სიტყვებმა ცეცხლი მოუკიდა მებატონეს და ისიც გააფთრებული მივარდა სტუდენტს: — შენ ასეთო, შენ ისეთო, შენ არამზადაო, შენ ბუნტოჩიკო! სულ შენისთანა კაცების ბრალია, გლეხები რომ გადაირიენ, თქვენ

აუღლიანებთ, მე ვაცი, შენ სადაც გაგიგზავნი ქალაქს, ციმბირს გაგაცილებ, თუ უღვაშები მასხიაო, — მიაყარა სხაპა სხუპით და სიტყვიერ შეურაცხყოფის დასამთავრებლად ქოლგაც კი სთხლიშა მკერდში თავის სიტყვების სრულიად მოულოდნელ შედეგით გაოცებულ ახალგაზდას... ეს ვერ მოთმინა იქვე მყოფმა სოფელელმა, ამ სტუდენტის სახლიკაცმა, ისევე აზნაურმა. მეტად ააღელვა სრულიად უდანაშაულო ახალგაზდა მოსწავლის ასე უმიზნოდ დამცირებამ და ზვიად მებატონეს რამდენიმე თქვევგან მოწონებული სილა გააწნა. მებატონემ გარდასწყვიტა ძველი სენაკის განადგურება და მიაშურა ახალ-სენაკს: არიქა, ძველ სენაკში დიდი შეთქმულება არის, გლეხებს აქეზებენ, რომ მებატონეს ღალა არ მისცენო, ერთი სიტყვით, ნამდვილი „ბუნტი“ არისო და სასტიკის ღონისძიების მიღება არის საჭიროო...

„უბრალო კაცის ბრალიანად გამოყვანა, — განაგრძობს ქვევით ბ-ნი შუბნელი, — კეთილ საიმედოს საექვო კაცად დასახვა, რწყილისაგან აქლევის შობა ერთობ ადვილი საქმე შეიქმნა ამ უკუღმართ დროში. ნამეტნავად თუ გლეხი ხარ, ყველას ადვილად სჯერა შენი „პუნტოჩიკობა“... როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ მისი ადამიანობა ვისმესთვის საექვო არ შეიქმნას? ამის პასუხს ისევე სოფლის ფილოსოფია იძლევა. რა სოფელშია ც შეხვიდე, ამ სოფლის ქუდი დაიხურეო, ამბობს ანდაზა. შენ თუ რამ ზნეობრივ პრინციპების პატრონი ხარ და ყველა სოფლის ქუდი შენ თავს არ უდგება, მაშინ უნდა განშორდე სოფელს, ან აიღო ხელი ამ პრინციპებზე და იცხოვრო ისე, რომ შენს ყოფნასა და არ ყოფნაში დიდი განსხვავება არ იყოს. იყავ ზოწამემზის ამოსვლისა და ჩასვლისაო, ერთის დაბადებისა და მეორის ამ სოფლიდან განსვლისა, მიიღე მხნე მონაწილეობა მხოლოდ სადილისა და ვახშუპის გაქრობაში, არც არავის აამო, არც არავის აწყენინო და, უეჭველია, შეუნიშნავი დარჩები“ (იხ. ბ-ნ შუბნელის ფელეტონი: „ხმა სოფლიდან“).

ღიახ, ძველი მარტივი ცხოვრება დიდი ხანია შეიცვალა. დღეს ყველას მეტი მოთხოვნილება და მეტი მადა აქვს და ამი-

ტომ დღევანდელ არსებობისთვის ბრძოლასაც მეტი სიღუბე-
რე ახლავს. ყველა ცდილობს სახალხო მეურნეობის ულუფი-
დან თავისკენ ბლომად მოითალოს და არას დასდევს, სხვას
თუნდაც ვნება და ზარალი მოუტანოს. როგორც სოფლებში,
ისე ქალაქებში ჩნდება მთელი ჯგუფი ხრიკიან და ხლართიან
ადამიანებისა, რომლებიც მუდამ იმის ფიქრში არიან, სად რა
ასწაპნონ და ვის როგორ აჭლიჯონ, მხოლოდ ისე კი, რომ
მართლ-მსაჯულებამ მათ ხელი ვერ ჩასჭიდოს და პასუხი ვერ
აგებიოს. ხლართსა და ხრიკებს ხშირად ისეთ პირობებსა და
გარემოებაში ახერხებენ ეს რაინდები, რომ დაუკვირვებელ და
ალალ-მართალ ადამიანს გააოცებს და გააშტერებს. მაგალითად,
მოგეხსენებათ, ტუილისში არსებობს ერთი „საზოგადოება“,
რომელსაც „პირუტყვთა მფარველი“ ეწოდება. „საზოგადოე-
ბის“ მიზანია პირუტყვთა ტანჯვა-წვალების შემცირება და
საზოგადოდ მფარველობა. მართალია, დღეს ხშირად თვი-
თონ ადამიანი აუტანელ და უსამართლო ტანჯვა-წვალებაშია,
მაგრამ ეს არ გვაძლევს მაინც საბუთს პირუტყვის უდიერად მო-
ვეპყრათ და იგი არ შევიბრალოთ. ასე რომ „საზოგადოების“
მიზანი თანაგრძნობის ღირსია. თითქოს ასეთ საქველმოქმედო
დაწესებულებაზე ხრიკებსა და თავის მოძმის გაყვლიფას ვერა-
ვინ ვერ უნდა ახერხებდეს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს ასე არ
არის: ხლართიანი ადამიანი თავისთვის სამოქმედო ნიადავს აქაც
პოულობს. იმერეთში შეხვდებით არა ერთ და ორს გახუნე-
ბულ აზნაურს, რომელიც ამ „საზოგადოების“ წევრად ჩაწე-
რილა და წევრობის ბარათიც მიუღია, რასაკვირველია, არა
იმიტომ, რომ ვითომ პირუტყვის მფარველობის დარღვი აწუ-
ხებდეს და აფიქრებდეს. მისი განზრახვა სულ სხვა რამ გახლათ.
იგი დარაჯობს შარა-გზაზე ტყეში შეშისთვის წასულ გლეხს,
რომ დაბრუნებისას, ვითომ პირუტყვის მფარველობის მიზეზით,
აყალმაყალი აუტეხოს და ოქმი შეუღდინოს. ურემზე რომ
ხუთი ღერი შეშა ედოს, იგი მაინც ხარების შეუბრალებლო-
ბაზე სჩივის, პატრონს შოლტს უქნევს და „პროტოკოლით“
აშინებს. გლეხს, რა თქმა უნდა, სასამართლოებში სათრევად

არა სცალია და რჩეობს არა მკითხვე ხარ-კამეჩის „დამცველი“ ერთი ურემი შეშის მირთმევით თავიდან მოიშოროს. და ასე ეს ახალ მოდის „ქველმოქმედი“ ხან ერთ გლეხს ადებს ხარკს და ხან მეორეს.

ან, აი, კიდევ მეორე მაგალითი. მთავრობის განკარგულებით ჩვენში დაწყებულია მიწების გამიჯვნა, რომ მიწათ-ფლობელობის უფლებრივი მხარე გარკვეული და ნათლად დადგენილ იქმნეს. მაგრამ ბევრი ამ სასარგებლო განკარგულებაზე თავის ოინებს აშენებს, პირად სარგებლობის მიზნით მეზობელს საქმეს სადავოდ უხდის და დაბალ ღირებულებას სთვლავს და სჯეკნის. ხშირად შეხვედებით ისეთ უსაქმო ვაჟბატონებს, — იწერება იმე-რეთიდან კორესპონდენტი (ს. ცნ. ფურც. № 2209), — რომელიც დასდევენ მუშაობის დროს გამმიჯვნელ მოხელეს და სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებენ დავას გლეხების საკუთრებაზე. პატრონი კარგად ჰხედავს, რომ მოდავეს არავითარი უფლება არა აქვს, მაგრამ, რადგან ისიც აშკარაა მისთვის, რომ, უკეთუ თავიდან არ მოიშორია როგორმე მოდავე, უამისოდ თავის საკუთარ ადგილს ვერ შემოიკორღნის, ამიტომ იწყებს მოლაპარაკებას მოდავესთან და იძულებულია შეაძლიოს ხუთი-ოდე მანეთი ან კიდევ მეტიც. მოდავესაც ხომ ეს უნდოდა. იგი თავს ანებებს პირველ მსხვერპლს, რადგან ფულს გარდა გამასპინძლებაც მოელის. გარდა ამისა მემამულეთა შორის ზოგი დიდი ხნის გაყრილნი არიან და ადგილ-მამულიც გაყოფილ აქვთ, მაგრამ, უკეთუ რომელიმე მათგანი გულნაკლულია, გამიჯვნის დროს დავას უცხადებს მეორეს. ვისაც შინაურის პირობით აქვს ნაყიდი ადგილი, იმასაც უცხადებენ გამყიდველები დავას, რომ რამეს ჩამორჩენ. ბევრია ჩვენში ისეთი გლეხები, რომელთაც თავი დაუხსნიათ და ადგილებიც გამოუსყიდნიათ, მაგრამ ამათაც ედავებიან გამიჯვნის დროს ისინი, ვისაც ერთხელ მიუღია ფასი და სხვ. ასეთი ხრიკები და ოინები ეხლა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული, რომ არც კი ეუცხოებათ და სინდისს არავის უშფოთებსო, — დასძენს ამ ამბის მომწერი კორესპონდენტი.

სამწუხაროდ, ასეთი თვისებები და თავისი „მეს“ ინტერესებით გატაცება ფეხს იდგამს არა მარტო ამა თუ იმ „საერო“ წოდების წარმომადგენლებში, არამედ ისეთებშიაც-კი, რომელნიც, თავისი მდგომარეობით და დანიშნულებით, უნდა იყვნენ ნამდვილი გულშემატკივარნი და შემბრალებნი ხალხისა. ფული არ არჩევს არც ერს, არც წოდებას; იგი ერთნაირად აძლევს ნივთიერ კეთილდღეობის საშუალებას ერსაც და ბერსაც და ამიტომ თავისთავად არაფერი გასაკვირი არაა შემდეგ ამბავში, რომელმაც შარშან აალაპარაკა როგორც ქართული, ისე რუსული გაზეთებიც. იგი, ვითარცა საზოგადო ამბავად გამხდარი კერძო ფაქტი, ახასიათებს ეხლანდელ ცხოვრებას და ასურათებს მასში არსებულ განწყობილებას. ქართლის ერთ საზოგადოებაში (დიცში) ამ ათიოდე წლის წინეთ გლეხებს უთხოვნიათ, რომ მათ სოფელში გახსნილიყო ეკკლეზია; კრებულის შენახვა თვითონ უკისრნიათ. მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ მღვდლისათვის უწმ. სინოდს დაუნიშნავს 400 მან. ჯამაგირი და ეკკლესიაც შტატში ჩაურციხავს. ამ ნაირად სოფელი განთავისუფლდა მღვდლის საჯამაგირო გადასახადისაგან (ფული, პური, ქათამი და სხვ.) და შეიღი წლის განმავლობაში გარდა დრამისა არაფერს აძლევდა. ს. დიცის სულიერი მამა აუჩქარებელი კაცი გამოდგა და 7 წლის „ანგარიში“ ერთად შეადგინა: იანგარიშა ბატი, ქათამი, ინდაური, პური და ფული, რომელიც სინოდის განკარგულებამდის მომხდარ დაპირებით რომ უნდა მიეღო, შეადგინა 1456 მან. ჯამი და სასამართლოს მიმართა, გლეხებს გადაახდენინეთ და ჩამაბარეთო. გლეხებს იაფად არ დაუჯდათ სასამართლოში და ადვოკატებთან თრევა, მაგრამ ბოლოს მაინც მათ გაჭირვებას ამ შემთხვევაში მალამო დაედო და მომჩივანი მღვდელი მომრიგებელმა მოსამართლემ გაამტყუნა და საჩივარზე უარი უთხრა. ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორი განწყობილება უნდა იყოს ამის შემდეგ ასეთ მღვდელსა და მის მრევლს შუა. და იცით, ვინ არიან სოფ. დიცის გლეხები, რომლებსაც სრულიად ტყავის გაძრობას უპირებდა მათივე სულიე-

რი მოძღვარი? გაზეთის კორესპოდენტი ასე აგვიწერს მათს მდგომარეობას: „სისხლი ყელში გებჯინება,—სწერს იგი,— როდესაც უყურებ უპერანგო გლეხს რუსის ფარაჯაში, რომელიც ათი-ათასგან მოკერებულ-მობრასტნილია ათას გვარი კონკებით; თეთრისა და წითელის ძაფით დაკონკილ ჩოხაში ქლიკები ნახევრობით ტიტველა უჩანს. იმის ტანისამოსის ძაფის წვერს რომ ჩამოსწიოთ, ადამის სამოსლით დაინახავთ, ისე გაიცრიცება და დაირღვევა ბეჩავის ტანისამოსი. თვით საბრალოს ხელის სისქედ აძევს მტვერი, ტალახი, მური და ვაგლახი“ (იხ. „კვალი“ № 23. „ცნობის ფურც.“ №№ 2207, 2264).

და, აი, ასეთ ყოფაში მისულმა გლეხებმა რომ ცოტათი ხმა აიმაღლონ, წელში გამართვა მოინდომონ და სიმართლე აღიარონ: ამდენი გადასახადის გაღება, ამდენი ღალისა და იჯარის მოცემა არ შეგიძლიაო, ჩვენში გამოჩნდებიან „საზოგადო მყუდროების დამცველნი“, რომლებიც სამართლიან განცხადება-ჩივილს „ბუნტად“ მონათვლენ და შემწეობისათვის დარაჯთან გაიქცევიან. გაიქცევიან, რადგან ამით მათ „ნეტარი შემთხვევა ეძლევათ ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ“ („ცნ. ფურც.“ № 2223) და გარეშე ძალის დახმარებით ვითომ თავისი შერყეული გავლენა და ავტორიტეტი გაამაგრონ და გაადიდონ. მათ ვერ გაუგიათ, რომ ასეთის ქცევით ისინი სჭირან სწორედ იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან.

ეკონომიურის საზომით თუ გავსჯით, ცხადია, რომ ღალის ანუ საიჯარო გადასახადის სიდიდე ხელის შემშლელია ჩვენში სასოფლო მეურნეობის განვითარებისა. „დიდი საიჯარო გადასახადი,—სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (Труды, გვ. 230),—რომელიც გამოწვეულია მიწის სიმცირით, ძალიან ცუდად მოქმედობს იმათ მეურნეობაზე, რომლებსაც მიწა ბლომად მოეპოვება. ამათთვის უფრო სახეიროა, რომ მიწა საღალოდ გასცენ, ვიდრე თვითონვე რაციონალური (გაუმჯობესებული) მეურნეობა წარმართონ,—პირველ შემთხვევაში იმათ „ურისკოდ“ და უდავიდარაბოდ უფრო მეტი შემოსავა-

ლი ეძლევათ, ვიდრე ექნებოდათ მაშინ, რომ თვითონ მოეკიდნათ ხელი მეურნეობისათვის. მცირე მამულიანი მეურნე პოულობს იჯარით საშუალებას დიდ მამულიან მესაკუთრეს თავისი შრომა მიჰყიდოს, თუნდაც საბაზრო ფასზე ნაკლებ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიიღოს ხორბლეულის საჭირო რაოდენობა, რომელიც საჭიროა ოჯახის მთავარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დიდ მამულიანი მესაკუთრეც, პირიქით, იჯარაში ჰხედავს საუკეთესო ხერხს შემოსავლის მისაღებად და ამ წესს იგი არ შესცვლის, სანამ საიჯარო გადასახადი ეხლანდელს დონეზე იქნება“.

ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში დროგამოშვებითს მოუსავლიანობას, როგორც ეს წელს, მაგალითად, გურია-სამეგრელოშია („ცნ. ფურც.“ № 2263. „ივ.“ № 25, 1904 წ.), მაშინ დაახლოვებით მაინც წარმოგვიდგება თვალ-წინ გლეხობის გაქირვებული მდგომარეობა და გასაგები შეიქმნება მათი დრტვინვა და უკმაყოფილება.

მაგრამ ასევე არ უყურებენ საგანს ის „წეს-რიგის დამცველნი“, რომლებიც მუდამ სხვა და სხვა კანცელარიებში და ცუნცრუკობენ და რენტად აღებულ სიმინდს თუ პურს ქალაქებში ლოლიალში აპნევენ. იმათ კარგად იციან, რომ დაბეზლებას, ზოგიერთ მოვლენათა გაბერვა-გადიდებას დღეს მაზანდა და გასავალიც აქვს. ამიტომ ძნელი გასაგები არაა ის ტანჯვა-წუხილი, რომელიც მოთხოვნილია ბ-ნ შუბნელის წერილში და რომელსაც გრძნობს დღეს გარეშე, პიროვნების შემბოქველ, გარემოებათა გამო ყოველი შეგნებული ადამიანი, ადამიანის უფლება დღეს უარყოფილია; მისი პიროვნება, ადამიანობა, ღირსება ყოველ ფეხის გადადგმაზე ითელება და ისრისება. და ამას სჩადიან უცერემონიოდ, — მოურიდებლად. ყოველ მოხელეს ისეთი წარმოდგენა აქვს შეთვისებული, რომ ხალხი, საზოგადოება მისი გულისთვისაა გაჩენილი, რომელსაც მან უნდა უბრძანოს და ფეხები უბაკუნოს. ამას მოითხოვს ვითომ „წეს-რიგის დაცვა“ და განმტკიცება, და ვაი იმას, ვინც ხმას ამოიღებს და სიტყვას შეუბრუნებს. საკმარისია ეს მოლაში შემო-

სული „ბუნტი“ ახსენოს, რომ ყველა და ყველაფერი ფეხზე დადგეს და არარაობისაგან „საქმე“, დიდი, მძიმე „საქმე“ შეიქმნეს. ასეთ დღევანდელ ვითარებას კარგად ახასიათებს შემდეგი ფაქტიც, რომელიც მოხდა არა რომელსაღმე მიყრუებულ სოფელში, არამედ ქალაქ ადგილას, სადაც მუდამ დიდი მოძრაობაა და აუარებელი ხალხი დადის. ქუთაისში ორმა მთვრალმა პოლიციელმა სრულიად უმიზეზოდ სცემა სკოლის რამდენსაღმე შეგირდს; სცემა დაუნდობლად და შეუბრალებლად, — ხელით ფეხით და ხმლის ქარქაშით. ბავშვების ყვირილზე მოგროვდა ხალხი, რომელმაც ვერ აიტანა გულგრილად ესეთი ბარბაროსობა და პოლიციელთ მსხვერპლი ხელიდან გამოჰგლიჯა. ერთმა იქაურმა კორესპონდენტმა ეს ამბავი ასწერა და გაზეთში დაბეჭდა. მერე რაო, — იტყვიო, ალბად თქვენ, — ამ ჩვენს დროში პატარებს კი არა, დიდებსაც სცემენო. მართალია. მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ ორმა რაინდმა პოლიციელმა გაზეთის კორესპონდენტით თავი „შეურაცხყოფილად“ ჩასთვალა და ამისთვის რედაქტორს სასამართლოში უჩივლა. გარდა ამისა — და აი ესაა ყველაზე უფრო საინტერესო — ქუთაისის პოლიციამ იმ ხალხს, რომელმაც გააფთრებულ პოლიციელებს ბავშვები ხელიდან გამოსტაცა, ოქმი შეუყენა და სამართალში უჩივლა, — მყუდროება და წეს-რიგო დაარღვიეს, „ბუნტი“ გამართეს და პოლიციელთა ბრძანებას არ დაემორჩილნენო. ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავი, მკითხველო, ასე იფიქრებს, რომ იმ ხალხისთვის მადლობა უნდა გამოეცხადებინათ, რომ უღონო მსხვერპლნი იხსნეს დაუმსახურებელ ტანჯვისაგან. ნამდვილად კი „ბრალდებულნი“ შეიქმნენ და სასამართლოში მოუხდათ პასუხის გება. რასაკვირველია, სასამართლომ, რომელთანაც სავსებით დამტკიცდა პოლიციელთა ბარბაროსული ქცევა, რედაქტორიც და ის ხალხიც გაამართლა „ბრალდებისაგან“. ხოლო იმათთვის კი, ვინც ნამდვილი ბრალდებული და დამნაშავენი იყვნენ, აზრად არავის მოსვლია პასუხი მოეთხოვა, თუ რად და რა უფლებით სცემდნენ და არბევდნენ ქალაქის მშვიდ და უწყინარ ხალხს. ეს, როგორც იცით, ВЪ ПОРЯДКѢ ВЕЩЕЙ და არავინაც არ იტკიებს ამისთვის თავს.

თუ ასეთი ამბები ხდება ქალაქებში, რაღა უნდა იყოს სოფლებში, სადაც არც შეგნებული ხალხი მოიპოვება და არც კორესპონდენტისა და უმაღლეს მთავრობის წარმომადგენლის ჭაჭანებაა. აქ უბრალო მამასახლისები და კანცელარიის მწერლები პატარა მეფეები არიან, რომლებიც ისე ეპყრობიან თავში ცემისაგან დაბეჩავებულ სოჯლის ხალხს, როგორც მათ მოესურვება და მოუხდება. „მამასახლის-მწერლების ამბავს ნულარ მკითხავთ, — იწერება ერთი მეთვალყურე („სწ. ფურც.“ № 2180), — იმათი საქმე ლანძღვა-გინებაა და ხან-და-ხან კარგი მაგარი სილა-პანღური და ნაობახტი. ვინც უნდა მოვიდეს მთხოვნელი, თუ იციან, რომ იმისგან ვერაფერს მიიღებენ და თუ კიდევ გაუჭირვეულდა (გაჭირვეულება იმასა ჰქვიან, თუ დაჟინებით შენის საქმის გაკეთებას, დაბოლოვებას სთხოვ), უცემრად და გაულანძღავად არ გაუშვებენ. ასეთი სენი სჩემდება უმეტესად მამასახლისს (და სხვათაც, რასაკვირველია) უფრო მაშინ, როცა მოძველდება და საზოგადოების ფულის გემოს გაიგებს ხოლმე. თორემ პირველი არჩევის დროს სულ სხვაა... ამორჩევამდე, ზოგი, თუ შეუძლიან, ქრთამებსაც კი ჰხარჯავს... ნახევარის წლის შემდეგ კი ტყუილად ნულარ მიეკარები: მიხვალ, — ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, რომ არ გააჯავრო. ხონთქარიც კი არ გაჯავრდება ასე: ჯერ ლანძღვა-გინებას დაგიწყებს, მოგიახლოვდება და თითქმის თითს გკრავს თვალში, მუშტს დაგიღერებს და გეტყვის: მე, ხომ იცი, ვინცა ვარ, კარგად გაიგე, მაშა ვარ სახლისო!.. ამ მინუტში ვუბრძანებ, ნაობახტში შეგაგდონო. უნდა ნახოთ მამასახლისი მაშინ, როცა გაჯავრებულია და ბრძანებას აძლევს თავის ხელ-ქვეით გზირებს: აბა ჰკათ მაგას პანღური და შეაგდეთ მაგ ნაობახტ-შიო. რა მკაცრი, სასტიკი სახის გამომეტყველებას მიიღებს ხოლმე, როგორ წამოიფოფრება ინდოურივით, თითქო ჩინგის-ხან მტარვალის როლს თამაშობდეს თეატრში... ხშირად ნაცემი და გალახული უმაღლეს მთავრობას მიჰმართავს ხოლმე საჩივრით, მაგრამ, მგონი, არც იმას გაუდის რამ პატარა სოფლის მოხელესთან. თითქო ვილაც უძლეველი მღვეი იყოსო,

გაიხედავ და არიან მაინც თავიანთ ადგილზე და თავიანთ ადრინდელ რაინდობას კვლავ იმეორებენ მეტის სიმამაცით. და ასე, იმათი მომათვინიერებელი და გამაადამიანებელი არავინ არ გამოჩნდა, ხოლო საზოგადოება ძლიერ დატანჯულია და გაბრაზებული.“ (შეად. Сводъ матеріаловъ по изслѣд. экономич. быта гос. кр. зак. кр., т. I, გვ. 184—185, აგრეთვე „Труды мѣстныхъ комитетовъ“, გვ. 252).

ასეთ სოციალურ პირობებსა და გარემოებაში, რასაკვირველია, შეუძლებელია ხალხის პიროვნების შეგნებამ წინ წაიწიოს, კერძო თაოსნობამ და შემოქმედებამ ფრთები შეისხას და ეკონომიური უმოძრაობა შესცვალოს და სწრაფ განვითარების გზაზე დააყენოს. სასოფლო მეურნეობა, როგორც საზოგადოდ ყოველ გვარი ეკონომიური წარმოება, ძოთხოვს თავის-გაუმჯობესებისათვის შეგნებულს და აწონ-დაწონილ მოქმედებას, ძოთხოვს გონებრივ სიფხიზლეს, ცოდნას და პრაქტიკულ დაკვირვებას, ხოლო უწინარეს ყოვლისა საჭიროებს მოქალაქობრივობისა და ადამიანის თვითმოქმედების გაძლიერებას. და ეს თვითმოქმედება შეუძლებელია გაითურჩქნოს და განვითარდეს იქ, საცა ადამიანის პიროვნება ასე ხელ-ფეხ შეკრულია და თვით ხალხი გარეშე ძალთაგან დაბეჩავებულ-დამონებულია. იგი საჭიროებს მეტ თავისუფლებას, თვით მართველობის ნიადაგზე აგებულ პრაქტიკულ მოქმედების სკოლას და გამოცდილებას, რომ შესძლოს უცხოთა ცოდნის შეთვისება, გადაღება და პრაქტიკულად განხორციელება. მუდმივ სხვის აპეკუნობის ქვეშ ყოფნა აჩლუნგებს გონებას და აზანტებს ადამიანის მოქმედებას. ამ მუხრუჭის შეშვება და თვითმოქმედებისათვის ასპარეზის გაფართოება შეადგენს უმთავრეს პირობას ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისათვის. ერობის დაწესებულება, რომელიც რამოდენიმე მაინც წარმოადგენს თვითმართველობის პრინციპის განხორციელებას, ხელს უწყობს ხალხის საზოგადოებრივ აღზრდას და მის კულტურულ წარმატებას. და სასურველია, რომ ის უშუამდგომლობანი, რომლებიც აღძრულ იქმნა შარშან ზვენში უმაღლეს

მთავრობის წინაშე, მალე დაკმაყოფილებული და სისრულეში მოყვანილ იქნეს. ჩვენ გადაჭარბებულ იმედებს არ ვამყარებთ საზოგადოდ „საბოძარსა“ და „საჩუქრებზე“, მაგრამ ამ ეჟმად მთელი რუსეთის ცხოვრება ისეთ გარემოებაშია ჩამდგარი, რომ შეიძლება იქაც და აქ—ჩვენშიაც ზოგიერთი რამ ცვლილება მოხდეს.

მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში მერმისის ამბავია. დღეს კი ჩვენს ზემოდ აღნიშნულ გაჭირვებას თან ერთვის ერთი სხვა გარემოებაც, რომელიც კიდევ უფრო დამაფიქრებლად ჰხდის ჩვენს მდგომარეობას. ეს არის ჩვენი ხალხის უფიცობა და გაუნათლებლობა. სკოლა, რომელიც უნდა იყოს იარაღი ხალხის ქემმარიტ გონივრულ აღზრდისა, ჩვენში სხვა და სხვა „გარეშე მოსაზრებათა“ განსახორციელებელ საშუალებად გადაქცა. იგი მოშორდა წმინდა პედაგოგიურ მიზანს და დაადგა „პოლიტიკის“ ნიადაგს. პედაგოგიაში უცილობელ ქემმარიტებად ითვლება, რომ „აღზრდის წესი და მეთოდი უნდა ეთანხმებოდეს გონებრივ განვითარების ბუნებრივ პროცესს. გონებრივი განვითარება მოითხოვს თანდათანობას და ამიტომაც სკოლა ეროვნულ ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული“ (იხ. პ. სურგულაძის „ენა და ერი“ საქართველოს კალენდარში, აგრეთვე ი. გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“). რადგან დედა-ენის ფარგალშია ის საგნებია, — ამბობს ამოს კომენელი, — რომელთაც ადამიანის გონება თან და თან ეცნობა, ამიტომ დედა ენის შესწავლა მოითხოვს მრავალ წელიწადს, სახელდობ ბავშვობის მთელ ხანას და სიყრმის ნაწილსაცო. უცხო ენის სწავლება, სანამ არ შეუთვისებია დედა-ენა ბავშვს, იგივეა, რომ ბავშვს ფეხის ადგმის უმალ ცხენით ჯირითობა ვაიძულოთო.

ეს აზრი ისე ცხადი და ნათელია, რომ თითქოს ყველასთვის მისახვედრი და მისაღები უნდა იყოს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ, როგორც ვთქვით, სხვა და სხვა „მოსაზრებათა“ გამო, ჩვენებური სკოლა ამ ცნებით არ ხელმძღვანელობს და ამიტომ იგი მოკლებულია ხალხისთვის საკეთილდღეო შედეგს და ნაყოფიერობას. „ივლის ბავში სასწავლებელში სამოთხ

წელიწადს, — იწერება იმერეთიდან ერთი კორესპონდენტი („ცნ-ფურც.“ № 2180): — მშობლები უკანასკნელს, სესხად აღებულ გროშს არა ჰზოგავენ, წილებზე ფებს იღამენ, — იქნება ჩვენს შვილებს ცხოვრებაში რამე გამოსადეგი ცოდნა მიესცეთ, ბოლოს ჩვენსავით არ დაიჩაგრონო. ხშირად გაიგონებ იმათგან წარმოთქმულ სიტყვას, რომლითაც ან შენ მოგმართავს, თითქო გთხოვს, რამე ნუგეში მეციო, ან თავისთვის ჩაილაპარაკებს: ჰა, ჩემი შვალი, მგონი, ტყუილად დაფრატუნობს კლასშიო! გამოდის ბავშვი სკოლიდან, ხოლო რაც კი უსწავლია იქ, ერთი-ორი წლის შემდეგ თავისდა უნებურად ივიწყებს“. და ეს სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს და არაფერს საკვირველს არ შეიცავს, რადგან ეხლანდელი სკოლა, ცნობილ მუნჯური მეთოდის წყალობით, მოსწავლეს მხოლოდ თუთიყუშივით აზებირებინებს რამდენსამე სიტყვას და წინადადებას, სრულიად შეუგნებლად და შეუთვისებლად, რომელიც მას სკოლიდან გამოსვლის შემდეგ მალე უკვალოდ უქრება მხსიერებიდან. რა თქმა უნდა, ასე „მომზადებული“ ახალთაობა ვერავითარ სინათლესა და თვითცნობიერებას ვერ შეიტანს სოფლის ბნელსა და მიყრუებულს ცხოვრებაში. და ამ დროს ზოგიერთ ოფიციალურ „პედაგოგებს“ შესწევთ გაბედულობა ჩვენს მოზარდ თაობის უნიკობაზე ილაპარაკონ და თანამედროვე სკოლის უნაყოფობა მოსწავლეთა ნიჭის ნაკლებობის მაჩვენებლად დაჰსახონ.

მიუხედავად საკმაო ხნის გამოცდილებისა, რომელმაც ცხად ჰყო, რომ თანამედროვე სკოლა, ქეშმარიტ პედაგოგიის უარყოფით და მუნჯურ მეთოდის გამეფებით, ხალხისთვის ყოვლად უსარგებლო და უნაყოფო გამოდგა, მაინც არ ეტყობა, რომ ხსენებულ ანტიპედაგოგიურ მიმართულებას ნდობა და მომხრეები გაჰკარგოდეს იმ წრეში, რომელსაც ამ საქმეში ძალა და გავლენა აქვს. პირიქით, ყოველ დღე ისეთ მოვლენათ ვხვდებით, რომლებიც სულ წინააღმდეგს გვიჩვენებენ და უკვე გამეფებულ მიმართულების მეტს გაძლიერებას გვიმტკიცებენ. მუნჯურ მეთოდთან ქართულ ენას რამოდენიმედ დელი-ნაცვა-

ლის როლი მაინც აქვს დათმობილი. სამეგრელო-სვანეთში-კი ამ ბოლო დროს ქართული ენა სრულიად იღვევება სკოლებისა და ეკლესიებიდან. სამეგრელოში, ბ. შუბნელის სიტყვით, „აშორდიზმმა ხელახლა წამოჰყო თავი, ამხედრდა წინანდელზე უფრო უშიშრად და უტიფრად. ამ სამარცხვინო მოძღვრებამ აშორდიზზე უფრო მალალის წრის კაცებ შორის იპოვა ქომაგი, მოსარჩლე და გაცამტვერებას უქადის იმას, რაც მთელის სამეგრელოსათვის, ყოველ მეგრელოსათვის უუძვირფასეს განძს, წმიდათა წმიდას შეადგენს. შემუსვრას უპირებს იმ ენას, რომელზედაც მეგრელი მთელი 17 საუკუნის მანძილზე აღიდებდა ღმერთს, ისმენდა თავიანთ მკერმეტყველ სჯულის მოძღვართაგან სახარებას, რომელზედაც სწერდა და აზროვნებდა, იძენდა ცოდნას და სწვრთნიდა თავის შვილებს, ეძებდა მართლ-მსაჯულებასა და იცავდა სამშობლოში თავის საკუთრებას, რომელიც ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს ერთად-ერთს მისს სულიერ ურთიერთობის იარაღს და დანარჩენ ქართველებთან მუზობლურ განწყობილების საშუალებას“ (შეად. ი. გოგებაშვილის *Къ вопросу о мингрельской начальной III влѣ*).

საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ ვითომ ამ უმსგავსოების ხელის შემწყობი და გზის გამკაფავი ყოფილიყოს ერთი სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქართველი კაცი, რომელსაც თავისი საისტორიო კვლევა-ძიებით და შრომით საპატიო სახელი აქვს ჩვენს მწერლობაში დამსახურებული. ეს ისეთი მძიმე ბრალდებაა, რომ ჩვენ არ გვინდა იგი დავიჯეროთ და სიმართლედ მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ის პირი, რომელსაც ეს ბრალდება შეეხება, დაამტკიცებს ამ ხმის სიყალბეს და საზოგადოების წინაშე თავს გაიმართლებს.

მაგრამ თუ ჩვენ იმ ადამიანის ფარულ მოქმედებაზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, საჩაგვიეროდ, ასევე ვერ მოვქცევით საერთოდ ქართველობის შესახებ. ჩვენ ყველას წილი და დანაშაული გვიდევს იმ მოვლენებში, რომლებიც ჩვენს ეროვნულ, ხალხოსნურ განვითარებას აფერხებს და აბრკოლებს. ამ

გვარი წყობილება და ღონისძიება ნიადაგს ვერ მოიპოვებდა და ფებს ვერ მოიკიდებდა, რომ თვითონ ჩვენ ვვარგოდეთ, რომ თვით ჩვენში იყოს ეროვნული შეგნება და თვითცნობიერება გაძლიერებული. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ამბავი, რომელსაც გადმოგვცემენ, მაგალ., ქართლიდან (რ. ცნ. ფურც. № 2161): „ერთმა აქაუ+მა მღვდელმა მოსპო ეკკლესიაში ქართულად წირვა და დაიწყო რუსულად. გლეხებმა რუსულად ვერა გაიგეს-რა და მღვდელს შეებვეწენ, ისევ ქართულად სწირეო, მაგრამ სულიერმა მამამ ყურადღება არ მიაქცია მრევლის თხოვნას“. ან ეს მეორე ამბავი (რ. ცნ. ფურც. № 2264): „ერთი გამოჩენილი ქართველი გვარის ოჯახობა სწვევია ახალქალაქის თავადებს თ-ებს და ძლიერ არ მოსწონებია, რომ თ-ბის ეკკლესიაში ქართულად გალობდნენ და სწირავდნენ: ეს რაღაც ველური წირვა და გალობაა, ჩვენს ყურებსა და ნახ ნერვებზე ცუდად მოქმედობსო. შეუდგენიათ საკუთარი ხორო, მღვდლის-თვისაც უბრძანებიათ, მომზადებულიყო საწირველად სხვა ენაზე და კიდევ შეუსრულებიათ წირვა და უგალობნიათ.

ღიახ, ჩვენში არ არის საკუთარის ღირსებისა და ადამიანობის შეგნება და პატივისცემა. ხშირად ჩვენვე უარვყოფთ ჩვენს თავს და შემდეგ გვიკვირს, რომ სხვები—უცხონი—უარ გვყოფენ და არ გადებენ არავითარ ფასს. ყოველი სულდგმული, რომელსაც უნდა ცხოვრება, უნდა იცავდეს თავის არსებობას და ამ შემთხვევაში სხვის წინ წაწუნი და ბრალიანობის ძებნა გინდ მოწყალების თხოვნა ნიშნავს მხოლოდ საკუთარს სისუსტეს და უსუსურობას.

ვიმუშაოთ და ვეცადოთ ყველამ ჩვენში მეტი სამოქმედო ენერჯის განვითარებას, სიფხიზლისა და თვით-ცნობიერების გაღვიძებასა და გაძლიერებას. ეს შეეხება საგანს, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ არის ღრმად დამაფუძკრებელი და ღირსი განსაკუთრებულის ყურადღებისა. ამ რჩევითა და სურვილით ვეგებებით ჩვენ „მოამბის“ მკითხველს ახალ წლის თავში და ვიმედოვნებთ, რომ მერმის დღევანდელზე უფრო სასიამოვნო და სასიხარულო ფაქტების აღნიშვნა მოგვიხდება ჩვენს „შინაურ მიმოხილვა“-ში.

ფ. გოგიჩაიშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

რუსეთ-იაპონიის ომი.

დასრულდა ვითომდა ბრძენ და დიდათ წინდახედულ დიპლომატიის დაუსრულებელი მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა და შორეულ-აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტა თოფ-იარაღს გადაეცა.

შარშენ ზაფხულში დაიწყეს იაპონიამა და რუსეთმა დიპლომატიური მოლაპარაკება. პირველი ნოტა იაპონიამ გაუგზავნა რუსეთს—1) კორეაში მარტო იაპონიას უნდა ჰქონდეს უპირატესობა და რუსებს იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ და 2) მანჩჯურია ჩინეთისა უნდა იყოს და რუსეთმა, დაპირებისამებრ, ჯარი უნდა გაიყვანოს იქიდანო. რუსეთის პასუხი ოქტომბერში მიიღო იაპონიამ და ამანაც პასუხი მაშინვე გასცა (ნოემბრის პირველ რიცხვებში). გავიდა ნოემბერი და დეკემბრის ნახევარი და იაპონიას მოუვიდა რუსეთის მთავრობის პასუხი. იაპონია ვერ დაკმაყოფილდა ამ პასუხით და ისევ ახალი ნოტა გაუგზავნა რუსეთს. რუსეთმა დეკემბრის დამლევს მისცა პასუხი. არც ეს შეიქნა იაპონიის დამაკმაყოფილებელ შინაარსისა და უკვე დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტას მოელოდნენ, მაგრამ იაპონიის მთავრობამ ერთხელ კიდევ სცადა მშვიდობიან გზით საქმის მორიგება—კიდევ გაუგზავნა ნოტა რუსეთის მთავრობას და საბოლოო პასუხი და გადაწყვეტილება მოსთხოვა.

მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთი, რომელსაც ომი არ სურდა, ზოგი მოუმზადებლობისა და ზოგიც იმიტომ, რომ ჰაა-

გის სამედიატორო კონფერენციის ინიციატორი რუსეთის იმპერატორი იყო, დააკმაყოფილებდა იაპონიას. მაგრამ ერთბაშად საქმემ სულ სხვა სახე მიიღო. რუსეთის პასუხის მიღებამდე იაპონიის მთავრობამ შესწყვიტა დიპლომატიური კავშირი და ზარბაზანიც გავარდა.

ჯერ არავინ იცის, თუ რა იყო მიზეზი საქმის ასეთ დეტრიალებისა, მაგრამ ერთი რამ კი ექვს გარეშეა — მთავარი ფაქტორი იაპონიის უკანასკნელ აგრესივობისა თვითონ იაპონიის ხალხი იყო.

იაპონიის არსებით ინტერესებზე კორეასა და მანჩურიაში არა ერთხელ გვექონდა ლაპარაკი; შედარებით პატარა იაპონია მჭიდროდ არის დასახლებული, იაპონიის ტერიტორია არ ყოფნის იაპონიის ხალხს, მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საახალშენო ადგილების მოპოვება და ასეთ ადგილებად მხოლოდ კორეა და მანჩურია დარჩენილა. მეორე — გაევროპიერებულ იაპონიაში დიდის სისწრაფით ვითარდება მრეწველობა, დღითი დღე იზრდება საქონლის წარმოება, საქონელს კი ბაზარი, მყიდველი უნდა. იქ კი, სიდაც რუსეთია გაბატონებული, გაბატონებულია მფარველობითი სისტემა, ე. ი. უცხოელ საქონელს დიდი ბაჟი აქვს დადებული, რომ რუსულ საქონელს დარჩეს ბაზარი, მესამე — წარმოუდგენელის სისწრაფით გაძლიერებულ და განვითარებულ იაპონიას თავის ისტორიულ დანიშნულებათ მიაჩნია მთელი აზიის აღორძინება, მისი განთავისუფლება ევროპიელების ანგაარ ბატონობისაგან. აქაც პირველად რუსეთი ეღობება გზაზე იაპონიას. იაპონიის ხალხს შესისხლხორცებული აქვს აღნიშნული სამივე საგანი და როცა ხედავს, რომ შემათერხებელი გარემოებანი ჩნდებიან, მთელის თავის ძალღონით სცდილ ობს საქმე თავის სასარგებლოდ მოაგვაროს. იაპონიაში თავისუფალი პოლიტიკური წესწყობილებაა, ხალხს სრული უფლება და შეძლება აქვს თვით-მოქმედებისა და ამიტომ ხალხის გავლენაც დიდია მთავრობაზე. სანამ რუსეთისა და იაპონიის მთავრობებს დაუსრულებელი მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული, რომ რაიმე საშუალებით ომი

თავიდან აეცილებიათ, იაპონელი ხალხი გაფაციცებით აღფრ-
ნებდა თვალყურს ამ მოლაპარაკების მსვლელობას; რაც დრო
მიდიოდა, იაპონელი უფრო და უფრო მღელვარებდა, რადგან
ხედავდა, რომ საქმე უმიზნოდ ჭიანურდებოდა და მიზანი კი
შორს იყო. მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკის გზას ადგა,
ხალხი კი თანდათან დარწმუნდა, რომ ამ გზით იაპონია ვერას
გახდებოდა და ამიტომ უფრო ენერგიულ პოლიტიკას თხოუ-
ლობდა თავის მთავრობისაგან. თუ რამდენად ძლიერი იყო
ხალხის ეს მოძრაობა, იაპონიის პარლამენტის 10 დეკემბრის
(ჩვენებურად 28 ნოემბერი) სხდომიდან სჩანს. რუსულ ჟურ-
ნალ „ვესტნიკ ევროპი“-ს იანვრის ნომერში ასეა მოთხრობი-
ლი ამ სხდომის ამბავი:

„პარლამენტი შეიკრიბა 10 დეკემბერს ზემო პალატის
სადგომში; იმპერატორმა თვითონ წაიკითხა სეფესიტყვა, რო-
მელშიაც, ჩვეულებრივ, ოპტიმისტიურად იყო წარმოდგენილი
საქმეთა მდგომარეობა. შესახებ გარეშე კრიზისს მხოლოდ ის
იყო ნათქვამი, რომ მინისტრებს მზრუნველობით მინდობილი
აქვთ მნიშვნელოვან მოლაპარაკების გამართვა მშვიდობიანო-
ბის უზრუნველყოფისა და იმპერიის უფლებისა დასაცველად
პარლამენტი არ დაკმაყოფილდა ასეთის განცხადებით და, მიკა-
დოს (იმპერატორის) წასვლისათანავე, შესდგა ქვემო პალატის
სხდომა შესაფერვ გადაწყვეტილებას მისაღებად. ერთხმად იქმნა
მიღებული სეფე-სიტყვის საპასუხო აღრესი, სადაც პირდაპირ
გაკიცხული იყო მთავრობის პოლიტიკა. „ასეთ კრიტიკულ
დროსო—იყო ნათქვამი, სხვათა შორის, აღრესში—მინისტრების
ლონისძიებანი არ შეეფერებიან გარემოებათა დიდ-მნიშვნელო-
ვანებას: კაბინეტი მხოლოდ შინაურ საქმეებს აქცევს ყურა-
ღლებას და ხელიდან უშვებს მოხერხებულ შემთხვევებს გარეშე
საქმეებში. კაბინეტის დიპლომატია უემცდარ გზაზე სდგას
და ვთხოვთ თქვენ უდიდებულესობას, შიაქციოს ამ საგანს თავისი
განათლებული ყურადღება“.

მიუხედავად ამისა მიკადოს მთავრობა კიდევ განაგრძობდა
მშვიდობიან მოლაპარაკებას რუსეთთან. და რომ პარლამენტს

ხელი არ შეეშალა, თერთმეტ დეკემბერსავე დაითხოვა იგი. მაგრამ ბოლოს მაინც ხალხმა თავისი გაიტანა და აიძულა მთავრობა დიპლომატიური კავშირი შეეწყვიტა რუსეთთან.

23 იანვარს იაპონიის ელჩმა რუსეთის კარის წინაშე კურჩინომ გადასცა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი ნოტა: „რადგან იაპონიის მთავრობა კორეის დამოუკიდებლობასა და მის ტერიტორიის ხელუხლებლობას აუცილებელ საჭიროებად სთვლის საკუთარ იმპერიის უშიშარ მდგომარეობისა და მშვიდობიანობისათვის, მას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ყოველ ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია კორეის მდგომარეობის შესარყევად. რუსეთის მთავრობამ ზედინზედ უარპყო იაპონიის წინადადებანი, რომელნიც იაპონიის მთავრობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა კორეის დამოუკიდებლობისა, მის ტერიტორიის ხელუხლებლობისა და იაპონიის ურიცხვ და დიდ ინტერესების დაცვისათვის.

გარდა ამისა რუსეთის მთავრობამ არა ჰქნა პირობა დაედო, რომ არ დაარღვევს ჩინეთის ტერიტორიის ხელუხლებლობას მანჩჯურიაში, რომლის ოკუპაცია (დაპყრობა) რუსეთის ჯარისაგან აქამდე გაგრძელდა, მიუხედავად ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებისა და რამდენჯერმე განშეორებულ დაპირებისა წინაშე იმ სახელმწიფოებისა, რომელთაც აქ თავიანთი ინტერესები აქვთ. ყველა ამან აიძულა იაპონიის მთავრობა სერიოზულად მოესაზრა, თუ თავის დაცვის რომელი ღონისძიებანი მიიღოს, როცა რუსეთი, მეტ წილად უმიზეზოდ, აგვიანებს მოლაპარაკების დასრულებას და თან ხმელეთზე და ზღვაზე დიდ მზადებაშია, რაც ძნელად ურიგდება ნამდვილ მშვიდობიან მიზანს. უკანასკნელ მოლაპარაკების დროს იაპონიის მთავრობამ გამოიჩინა დიდი შოთმინება, რომელიც, მისის აზრით, იმას ამტკიცებს, რომ მას ლოიალური სურვილი ჰქონდა მოესპო რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულებაში ყველაფერი ის, რაც შემდეგში გაამწვავებდა ამ დამოკიდებულებას. მაგრამ რაკო ამდენ ცდის შემდეგ არავითარი იმედი არ არის, რომ რუსეთის მთავრობა დასთანხმდეს იაპონიის ზომიერსა და უანგარო

წინადადებას, რაც მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობიანობას დაამყარებდა შორეულ-აღმოსავლეთში, იაპონიის მთავრობას მეტი არა დარჩენია რა, რომ ბოლო მოუღოს უსარგებლო მოლაპარაკებას. დიპლომატიურ კავშირის გაწყვეტის შემდეგ, იაპონიის მთავრობა იტოვებს უფლებას ისეთ დამოუკიდებელ მოქმედებას დაადგეს, რომელსაც საუკეთესოდ მიიჩნევს იაპონიის მდგომარეობის განმტკიცებისათვის და არსებულ უფლებათა და კანონიერ ინტერესების დაცვისათვის“ (ამოღებულია „რუსკ. ვედომ“ ის 31 ნომრიდან)“. ამ ნოტის გადაცემისათანავე კურინომ გამოუცხადა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ იგი მიდის პეტერბურგიდან მთელის თავის საელჩოთი.

რუსეთის მთავრობა, რასაკვირველია, იძულებული იყო სამაგიერო პასუხი გაეცა და თავისი ელჩი გამოეწვია ტოკიოდან.

დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტა უკიდურესი ღონისძიებაა, მაგრამ იგი კიდევ არ ნიშნავს ომის დაწყებას. ამიტომ პატარა იმედი კიდევ იყო, რომ თოფი არ გავარდებოდა და მოლაპარაკების განგრძობას ნეიტრალი სახელმწიფოები იკისრებდნენ. მაგრამ იაპონიის ხალხს თურმე საქმე გადაწყვეტილი ჰქონდა და არავის შუამავლობას არ მიიღებდა. კიდევ მეტიც. დიპლომატიურ კავშირის გაწყვეტისათანავე, ფორმალურად ომის გამოუცხადებლად, პირდაპირ. სამხედრო მოქმედებას შეუდგა: იაპონიის ფლოტი იერიშით მივიდა პორტ-არტურზე და რუსებს რამდენიმე გემი გაუფუჭა.

იაპონელების ასეთ ქცევას ბევრი ძალიან ჰკიცხავს: ეს საერთაშორისო სამართლის გადალახვა არისო, იაპონელი მხოლოდ გარეგნად არის განათლებული, თორემ ჯერ კიდევ ნამდვილი აზიელი ბარბაროსი არისო. სხვები კიდევ სხვას ამტკიცებენ—იაპონიას მოულოდნელის დაცემით სულაც არ დაურღვევია საერთაშორისო უფლებაო; თავის უკანასკნელ ნოტაში იაპონიამ შეატყობინა რუსეთს—ამას იქით ჩვენის ინტერესებისა და უფლების დასაცველად ისეთ გზას დავადგებით, რომელსაც საჭიროდ დაინახავთო; ომის ოფიციალური გამო-

ცხადება დაძველებული წესია და მე-XVIII-ე საუკუნიდან დაწყებული ბევრჯელ დაურღვევიათ იგიო.

ეს კამათი აკადემიურ ხასიათისაა, მას არაფითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ომი უკვე დაიწყო. ან რა მოსატანია იქ სამართალო, სადაც საქმე თოფ-ზარბაზნებმა უნდა გადასწყვიტონ!

იაპონიის ფლოტის ხსენებულ მოქმედების შემდეგ 27 იანვარს გამოცხადდა რუსეთის თვითმპყრობელის უმაღლესი მანიფესტი:

„შეწევნითა ღვთისათა ჩვენს, ნიკოლოზს მეორეს, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულად რუსეთისა, მას აღვისა, კიევისა, ვლადიმირისა და ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე ზოლნეთისა, მეფე ციმბირისა, მეფე ხერსონესტაფრიდისა, მეფე საქართველოსი, ხელმწიფე ვსკოვისა და დიდი მთავარი სმოლენსკისა, ლიტვისა, გოლანისი, ზოდოლისა და ფინლიანდიისა, მთავარი ესტლიანდიისა, ლიფლიანდიისა, კურლიანდიისა, სეპიგალიისა, სემოგიციისა, ბელოსტოკისა, კორელისა, ტვერისა, იუკორისა, ზურძისა, ვიატკისა, ბულგარიისა და სხვთა, ხელმწიფე და დიდი მთავარი ნოვგოროდისა, ქვემო ქვეყნებისა, ჩერნიგოვისა, რაზანისა, ზოლოტკისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდარისა, ობდორისა, კონდიისა, ვიტებსკისა, მსტისლავისა და სრულად ჩრდილოეთ ქვეყნებისა, მბრძანებელი და ხელმწიფე ივერიისა, ქართლისა და ყაბარდოს მიწებისა და სომხების ქვეყნისა, ჩერქესთა და მთიელთა თავადებისა და სხვთა ხელმწიფე და მფლობელი, ხელმწიფე თურქესტანისა, მეძვეიდრე ნორფეგიისა, ჭერცოვა შლეზვიგ-ჰოლშტეინისა, სტარმარისა, დიტიმარსენისა და ოლდენბურგისა და სხვთა და სხვთა და სხვთა გუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: გზრუნვა რა მუდამ მშვიდობიანობის დაცვისათვის, ჩვენ ყოველგვარი საშუალება ვიხმარეთ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის გასამტკიცებლად. ამ სამშვიდობო ასრით იანხმობა განგაცხადეთ იაპონიის მთა-

ჯრობის რმ წინადადებაზე, რომ გადასინჯულ იქმნას ორსა-
ვე იმპერიის შორის არსებული შეთანხმებანი ჯორჯის სა-
ქმეების შესახებ. ძვგრამ ამ საგნის გამო აღმრული მოლა-
პარაკებანი დასრულებულ არ იქმნა; და იაზონიამ არ და-
უცხდა რა ჩვენის მთავრობის უკანასკნელ წინადადებების მი-
ღებას, გვაუწყა რუსეთთან მოლაპარაკების შეწყვეტისა და
სადიპლომატო ურთიერთობის მოსპობის შესახებ. იაზონიის
მთავრობამ არ გვანობა წინდაწინვე, რომ ასეთ ურთიერთო-
ბის მოსპობას მოსდევდა სამხედრო მოქმედების დაწყება და
უბრძანა თავის ნაღმიან გემებს, მოულოდნელად იერში მიე-
ტანათ შორც-არტურის სანაპირო რეიდზე ძღგომ ჩვენ ესკა-
დრაზე. რადესაც ამის შესახებ მაგიდეთ მოხსენება ჩვენის
ნაქმეტნიკისა შორეულ-აღმოსავლეთში, მასინვე ბრძანება გა-
გვსაგნეთ, შეიარაღებულის ძალითვე გაეცათ პასუხი იაზონი-
სათვის.

„ზაგხადებთ რა ჩვენს ასეთ გადაწყვეტილებას, გგწამს
უზენაესის დახმარება და შეურყეველი იქედი გვაქვს, რომ
ფეკლს ჩვენი ერთგული ქვეშევრდომი ჩვენთან ერთად თავს
გამოიდებს სამშობლოსთვის. ამასთან გთხოვ უფალს, მოუგ-
ლინოს ძადლი თვისი ჩვენის ჯარისა და ფლოტის მხედრო-
ბას.

„ბოძებულა სასკტ-პეტერბურგს იანგრის ოცდაშვიდსა
აღესა, ქრისტეს შობიდან ათას ცხრასს მკოთხესა წელსა; მე-
ფობისა ჩვენისა მკათესა წელსა“.

29 იანვარს გამოვიდა იაპონიის იმპერატორის მანიფეს-
ტიც: „ჩვენ, იაპონიის იმპერატორი ყველა ჩვენ ქვეშევრდო-
მებს ვაუწყებთ, რომ ამით რუსეთს ომს ვუცხადებთ და ჩვენ
ჯარსა და ფლოტს ვუბრძანებთ მთელის შეიარაღებულის ძალო-
ნითა ომი დაიწყოს. ჩვენი მუდმივი მისწრაფება იყო ჩვენის
სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარება, აყვავება, მეგობრულ
კავშირის განმტკიცება სხვა სახელმწიფოებთან, და საქმის ისე
მოწყობა, რომ აღმოსავლეთ აზიაში ხანგრძლივი მშვიდობი-
ანობა დამყარებულიყო და შიომავალში ჩვენი ძლიერება უზრუნ-

ველ ყოფილიყო, ამასთან სხვა სახელმწიფოების უფლებანი და ინტერესებიც არ დაგვერღვია. ჩვენის მოლოდინის წინააღმდეგ, გარემოებებმა, სამწუხაროდ, იძულებულ გვკვეს რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაგვეწყო. მხოლოდ იარაღით შეგვიძლიან უზრუნველ ვყოთ ჩვენი მომავალი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ქვეშევრდომთა ერთგულება და მამაცობა მალე აღადგენენ მტკიცე მშვიდობიანობას და დაიცავენ ჩვენის სახელმწიფოს დიდებას“.

როგოც ვთქვით, ფორმალურად ომის გამოცხადებას სამხედრო მოქმედებამ უსწრო წინ. აქამდე ორი დიდი ბრძოლა მოხდა—ერთი პორტ-არტურთან და მეორე ჩემულპოსთან. პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის ამბავს ასე მოგვითხრობენ გაზეთები:

„24 იანვარს, შაბათს, იაპონიის ესკადრა—16 ჯაგშნიანი გემი და კრეისერი და მრავალი ნაღმიანი ნავი ვეი-ჰაი-ვეის ახლო შეიკრიბა. კვირა დილას, 25 იანვარს, ესკადრასთან ნაღმიან გემის გამანადგურებელი გემი მოვიდა კუნძულ ცუშიმიდან. ამ გემით მთელის ესკადრის ადმირალი—ტოგო მოვიდა და თან მთავრობის ბრძანება მოიტანა, ეხლავე სამხედრო მოქმედება დაიწყეთო. ადმირალის მოსვლის უმალ იაპონიის ესკადრა, ბრძოლის რიგზე გამწყრივებული, პორტ-არტურისაკენ დაიძრა. რუსეთის წყალს რომ მიუახლოვდნენ, იაპონიის გემებმა სინათლე მთლად ჩააქრეს და ბნელაში გასწიეს. როცა პორტ-არტურს მიატანეს, ადმირალ ტოგომ ბრძანება გასცა, ნაღმიანმა გემებმა იერიში მიიტანონ რუსეთის ესკადრაზეო. სამი ნაღმიანი გემი გაქანებული წავიდა, რუსეთის ესკადრას ნახევარ ვერსზე მიუახლოვდა, ნაღმები ესროლა და ისევ უკან გამოჰქანდა. რუსის გემებმა-„რეტვიზან“-მა, ცესერევიჩ“-მა, „პალადა“-მ პატარა ზარბაზნები ესროლეს ნაღმიან გემებს, მაგრამ ეს გემები გამალეებული მივიდნენ თავიანთ ესკადრასთან. დილით მთელი ესკადრა სამის მილის მანძილზე მიუახლოვდა პორტ-არტურს და ზარბაზნები დაუშინა. რუ-

სის გემებიდან და პორტ-არტურის ციხიდან ზარბაზნები ესროლეს იაპონიის გემებს. ზარბაზნის სროლა შუადღეზე გათავდა⁶.

„რუსკია ვედომოსტი“ ასე სწერს ამ ბრძოლის თაობაზე: „ჯერ რიგზე არ ვიცით ამ ბრძოლის ამბავი, მაგრამ ყველაფრიდან ცხადათ სჩანს, რომ იაპონელი აღმირალი ტოგონიჭიერი, გამოცდილი, თან მეტის-მეტად გამბედავი, თითქმის თავზე ხელ-აღებული მეომარია. არც სიცივეს (ეხლა იქით დიდი სიცივეებია) დაჰხედა. არც ჩვენ მრისხანე ესკადრასა და პორტ-არტურის ბატარეებს შეუშინდა, ადგა და მდგარი იერიში მოიტანა ჩვენ ფლოტზე“.

პორტ არტურის ბრძოლაში რუსეთის ფლოტი დიდად დაზიანდა—სამი საუკეთესო ჯაფშნიანი გემი და ოთხი კრეისერი ნალმებმა ისე გააფუჭეს, რომ კარგი შეკეთება დასჭირდებოდათ დოკებში, სანამ საბრძოლველად გამოდგებოდნენ. ხალხი კი ცოტა დაზარალდა—თუთხმეტი ჯარის კაცი მოკლულია და ოთხმოცი დაჭრილი, ამათგან ხუთი აფიცურია.

რასაკვირველია, იაპონიის ფლოტიც დაზარალდა, მაგრამ როგორია ეს ზარალი, ჯერ არ ვიცით. თუ იაპონელებს დავუჯერებთ, ზარალი სულ უმნიშვნელო უნდა იყოს: არც ერთი გემი ისე არ დაზიანებულა, რომ დოკში შეყვანა სჭირდებოდეს.

იაპონელების მეტად გაბედული იერიში პორტ-არტურის სზმაგრესა და ესკედრაზე იმით აიხსნება, რომ ამ დროს იაპონიას ჯარი გადაჰყავდა კორეაში. რუსეთის ესკადრის დანიშნულება ის იყო, რომ ხელი შეეშალა იაპონელ ჯარების კორეაში გადასხმისათვის და სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ აღმირალი ტოგო პორტ-არტურის სამხედრო ფლოტს დაეჭვრა—უნდა გაეჩერებია და დაესუსტებია იგი, რომ იაპონელ ჯარების გადასხმა გაადვილებულიყო. მიაღწია კიდევ მიზანს: ჩემულპოში (კორეის სატახტო ქალაქ სეულის ახლოა) დიდძალი ჯარი შეიყვანეს იაპონელებმა, თუმცა აქაც კარგი ბრძოლა დასჭირდათ. ჩემულპოსთან ორი რუსის სამხედრო გემი

იყო — კრესერი „ვარიაგ“-ი და საკანონირო ნაფი „კორეც“-ი და ორივე დაღუპეს იაპონელ გემებმა; გემებთან ერთად უნდა დაღუპულიყოს 456 კაცი, მათ შორის 17 აფიცერი; დანარჩენი 264 კაცი საფრანგეთის გემმა „პასკალ“-მა შანჰაიში წაიყვანა და პირობით იქ უნდა დარჩნენ ომის გათავებამდე. ამ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა სრულებით თავისუფლად შეიყვანეს ჯარი ჩემულპოში და აქედან სეულში გადავიდნენ. სეულიდან რუსეთის ელჩი წავიდა და ეხლა ისიც ჩინეთში იმყოფება. უკანასკნელ დეპეშების მიხედვით, მთელი კორეა იაპონელების ხელში უნდა იყოს; ი-ჩუშიაც კი უნდა ჰყავდეთ გადაყვანილი ჯარი.

რუსეთის მეორე ესკადრა ვლადივასტოკში იდგა. ეხლა სად არის ეს ესკადრა ან რას შვრება, ნამდვილ ცნობებს გაზეთები არ გვატყობინებენ. როგორც ჰფიქრობენ, ეს ესკადრა იაპონიის სანაპირო ქალაქების თავდასხმას უნდა სცდილობდეს. იაპონიის ფლოტის ერთი წილი, რომელსაც ნაპირების დაცვა აქვს მინდობილი, ვლადივასტოკის ესკადრას დაეძებსო, გვატყობინებს ერთი დეპეშა.

როგორც უნდა იყოს, ზღვაზე მებრძოლ მხარეთა მდგომარეობა ეხლა დაახლოვებით შემდეგია: რუსეთის ფლოტი შესდგება (პორტა-რტურისა და ვლადივასტოკის ესკადრა ერთად) ცამეტ გემისაგან, რომლებზედაც 198 ზარბაზნია, აღმირალტოგოს ესკადრაში კი თუთხმეტი დიდი გემია 236 ზარბაზნით; იერიშით იაპონელები მოდიან და, როგორც კორეაში ჯარების გადაყვანიდან სჩანს, ზღვა მათ ხელშია. ყოველ შემთხვევაში კიდევ არის მოსალოდნელი ერთი თუ ორი დიდი ბრძოლა ზღვაზე და ეს ბრძოლა გადასწყვეტს საბოლოოდ, ვინ დარჩება ზღვის სრული და უცილობელი ბატონი. მანამდე კი ხმელეთზე არ უნდა მოველოდეთ დიდ ბრძოლას.

ხმელეთზე ბრძოლის ველი ჯერ კორეის ჩრდილოეთი ნაწილი და მდ. იალუს მიდამოები იქნება. იაპონიის ჯარი ძალიან კარგად იცნობს ამ ადგილებს. 1894 წლის ივნისში, როცა იაპონიასა და ჩინეთ შორის განხეთქილება ჩამოვარდა,

იაპონიამ ბრიგადა გაჰგზავნა ჩემულპოში. ამ ჯარმა სეული და-
ოკავა, დაამარცხა აზანთან (65 კილომეტრია სეულის სამხრე-
თით) ჩინეთის ესკადრა, კიდევ გადაიყვანა ერთი ბრიგადა
ჩემულპოში და მეორე გენსანში ან კენსანში (კორეის აღმო-
სავლეთ ნაპირზე) და ორ სექტემბერს პიენიანი აიღო იერი-
შით. სამი დღის შემდეგ იაპონიის ფლოტი შეხვდა ჩინეთის
ჩრდილოეთ ესკადრას მდ. იალუს შესართავში. ჩინეთის ესკად-
რა ბევრად ძლიერი იყო იაპონიისაზე; მიუხედავად ამისა, ია-
პონელებმა ხუთი გემი გაუფუქეს ჩინელებს და დანარჩენები
პორტ-არტურში გაბრუნდნენ. ამ დროიდან ზღვა იაპონელე-
ბის ხელში იყო და ამიტომ მათ შესძლეს სექტემბრის
შუა რიცხვებამდე მეორე დიდ ჯარისათვის მოეყარათ თავი
ტატუნის შესართავში. შემდეგ ეს ორი ლიაოლუნის ნახევარ-
კუნძულზე გადაიყვანეს პორტ-არტურის ჩრდილოეთით და
ცხრა ნოემბერს ეს სიმაგრე აიღეს. ამავე დროს მეორე ჯარი
მანჯურიაში გადავიდა, მივიდა ხაიჩენამდე (ნიუჩუანის აღმოსავ-
ლეთით) და შემდეგ 1895 წ. თებერვლის გასულს ლიაოხესთან
იყვნენ. მესამე ჯარმა იანვრის ბოლოს აიღო ვეი-ჰაი-ვეი. ზამ-
თრის ეს ლაშქრობა მეტად დიდი განსაცდელი იყო იაპონელე-
ბისათვის, მაგრამ გამარჯვებული გამოვიდნენ ამ განსაცდელი-
საგან. ჩინეთ-იაპონიის ომიანობის შემდეგ იაპონიის მთავარ
შტაბის მთელი ყურადღება კორეისა და მანჯურიის შესწავ-
ლაზე იყო მიქცეული და ეხლა, როგორც ინგლისელები
და სხვა უცხოელებაც ირწმუნებიან, ზედ მიწევნით იციან
ეს ადგილები. მზვერაობა და სამხედრო ჯაშუშობა უმაღლეს
ხარისხამდე არის განვითარებული იაპონიაში. ბევრი იაპონე-
ლი აფიცერი უბრალო მუშად იყო მანჯურიის რკინის გზაზე,
რომელიც რუსებს გაჰყავთ.

იაპონიის ჯარის დახასიათება წინა წერილებშიც გვქონ-
და მოყვანილი, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ ექნება
სხვა რუს მწერლების აზრიც მოვიყვანოთ. „პეტერბურგსკია
გაზეტა“ში ბ. ელეცი სწერდა: „ჩინეთის არეულობის დროს
გენერალ ვოგაკს ვესტუმრე ტიანძინში. ერთხელ მე და ჩემმა

ამხანაგმა აფიცერმა ქალაქ გარედ გავისერიწეთ. როცა მინდორში გავედით, უცებ თითქო ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა გაგვაყრუა. ჩინელები ხომ არ მოსდგომიან ისევ ტიანძინსაო? გაკვირვებით ვიკითხეთ და იქითკენ გავსწიეთ, საიდანაც სროლის ხმა მოდიოდა. ახლო რომ მივედით, დავინახეთ, რომ იაპონელ ჯარის ბატალიონი თოფის სროლაში ვარჯიშობდა, ფუჭ პატრონებს ისროდა. იაპონელებმა კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს და უნდა სწორედ მოგახსენოთ, მშვენივრად, იდეალურად ისროდნენ: მთელი ბატალიონი ისე ერთბაშად გაისროდა ხოლმე, რომ თითქო ერთ კაცი ისერის თოფსაო. ერთ ჯარის კაცსაც არ დაჰგვიანებია გასროლა, უნდა იცოდეთ, რომ ჯარის კაცები უბრალო ვარჯიშობის დროსაც კი ღელდებიან, ფიცხობენ და უდრო-უდროვოდ სცლიან თოფებს. ეტყობოდა, რომ იაპონელი ჯარის-კაცები მეტად დინჯად, აუჩქარებლად სცლიდნენ თოფებს. სწორედ გავგაოცა ასეთმა უმაგალითო სროლამ.

ჩემმა ამხანაგმა მითხრა: ეს კიდევ არაფერი; საკვირველი ისაა, რომ იაპონელები ბრძოლის დროსაც სწორედ ამნაირადვე დინჯადა და აუღელვებლად სცლიან თოფებსაო.

ამ დროს გამახსენდა, რომ ჩვენი განსვენებული ადმირალი ლესოვსკი და ჩვენი ცნობილი მწერალი ვ. კრესტოვსკიც ძლიერ აქებდნენ იაპონელ მეზღვაურებსა და იმათ მარჯვე გასაშტერებელ სროლას. ჩვენს ადმირალს იაპონიის მეზღვაურ კადეტების (მომავალ ოფიცრების) სროლა ენახა. სხვათა შორის, კადეტებს არმსტრონგის 8 დიდი ზარბაზანი ესროლათ დიდის ნავისთვის 3 $\frac{1}{2}$ ვერსის მანძილზე. კადეტებს სულ რვაჯერ ესროლათ. ხუთჯერ ფუჭი ყუმბარები ესროლათ, სამჯერ ასაფეთქებელი ყუმბარები. ყველა ზარბაზანს ერთბაშად ისროდნენ თურმე. არც ერთ ზარბაზანს, ერთი წუთი რა არის, ერთი წუთი არ დაეგვიანებინა, დიდი ნავი სულ ლუკმა-ლუკმად ექციათ. ურიგო არ იქნება, ჩვენმა მამაცმა მეზღვაურებმაც ყურადღება მიაქციონ ამ ამბავს.

მერე თითონ იაპონიაში, სიმონოსეკში იაპონელი ცხენოსანი ჯარისკაცები ვნახე. ძველი ჯარისკაცები ცალკე სწავლობდნენ, ახლები ცალკე. ყველა ესკადრონი დავათვალიერე. ცხენები თვალში არ მომივიდა, მაგრამ ჯარისკაცები კი თამამად, თავისუფლად იხსდნენ და კარგად ხმარობდნენ ცხენებს. მაშინ გამახსენდა, რომ იაპონელები უწინაც კარგ ცხენოსნებად ითვლებოდნენ. ცხენოსან ჯარის ახლო, ქვევითა ჯარის როტა თოფს ისროდა. გავკვირდი, ისე მეტად მძიმე მძიმედ სკლიდნენ თოფებს. მერე გავიგე, რომ იაპონელი ჯარისკაცები, სანამ კარგად, დინჯად არ დაუმიზნებენ, ტყუილუბრალოდ არ სკლიან თურმე თოფსა. ყველამ თავის კკუაზე და თავის ნებაზე უნდა გაისროლოს. იაპონიის ჯარში ბრძანება „ჩქარ-ჩქარა ესროლეთ“ არ არსებობს. ეს მეტად გონივრული წესია, რადგან ჩქარ-ჩქარა სროლას არაფერი ხეირი არ მოაქვს: ტყვია მუქთად იკარგება. იაპონელ ჯარისკაცს კი სასტიკად აქვს ნაბრძანები, რომ ყოველი ტყვია უსათუოდ მიზანს მოახვედროს.

შანჰაი-გუანში იაპონიის არტილერიის ბატარეის სწავლა ვნახე. ჯარისკაცები მშვენივრად იყვნენ ნასწავლნი, მეტად მარად ხტოდნენ ზარბაზნებზე, მაგრამ ამავე დროს ნამცეცი აჩქარება და აღელვება არ ეტყობოდათ. ყოველმა ჯარისკაცმა კარგად იცოდა თავისი მოვალეობა.

მოდლინში კიდევ იაპონელების სამხედრო სანგრები და თხრილები ვნახე. სანგრებისა და თხრილების გაკეთებას იაპონიაში საპიორებს გარდა, ყველა ქვეითა ჯარისკაციც სწავლობს. საქმეს ისე სუფთად, მშვენივრად ასრულებდნენ, როგორც მარტო იაპონელებს შეუძლიანთ. იაპონელებმა მეტად სუფთა, ლაზათიანი საქმე იციან. ამ მხრივ ესენი თითონ გერმანელებსაც კი გააფასებენ. ხომ იცით, რა სუფთა, მშვენიერი ხელოვნური ნაწარმოები მზადდება იაპონიაში. ყველა ჯარისკაცი შეგნებითა და სერიოზულად ეკიდებოდა საქმეს და ყველაფერს, თხრილსა თუ სანგარს, თანამედროვე მამხედრო მეცნიერების თანახმად აკეთებდა.

იაპონიის ჯარში მეტად სასტიკი დისციპლინაა დაწესებული, ჯარის-კაცებიც ხმაამოუღებელივ ასრულებენ ყოველ სამხედრო წესს. იაპონელი ჯარის-კაცები დღეში სამ იჯრასა სკამენ: ბრინჯი, თევზი და ბოსტნეულობა ეძლევათ. კვირაში ორჯელ თუ სამჯერ ხორციც ეძლევათ. ჩაის ყოველ დღე ასმევენ“.

იმავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი საუბარი ერთ რუს სამხედრო მწერალთან: „იაპონელები საუცხოო ჯარის-კაცები არიან, გულწრფელი პატრიოტები და ნამდვილი ვაჟკაცები; სიკვდილს არად აგდებენ, ზიზლით უყურებენ. სიკვდილი იაპონელებისათვის თითქმის არაფერიაო. ამიტომ იაპონელები თითქმის არას დროს არა ჰნებდებიან შტერს, ტყვეობას ყოველთვის სიკვდილს რჩეობენ.

— მაშ იაპონელები საშიშ მტრად მიგაჩნიათ?

— რუსის ჯარს არავისი არ ეშინიან, მაგრამ კორეის საზღვარზე, იალუს ნაპირებზე მედგარი ბრძოლა მოგვიხდება ჩვენ მოწინააღმდეგეებთან, მეტადრე, თუ იაპონიის ჯარმა დაგვასწრო, მთები დაიჭირა და გამაგრდა. მთებიდან იაპონელების განდევნა მეტად ძნელი საქმეა; სულ თუ გავწყვეტთ, თორემ ისე არ დაგვანებებენ.

— ხომ არ სცდებით?

— როგორ თუ ვცდებით?

— რა ვიცი, ამ ბოლო დროს იაპონელებს ყველანი გატაცებით აქებდნენ.

— არა, სრულობითაც არა ვარ გატაცებული. იაპონელ ჯარის კაცს ყველა მცოდნე სამხედრო კაცი აქებს; რუსის აფიცრები, თუ ევროპელები, ყველანი ქებით იხსენიებდნენ იაპონთს ჯარის მოქმედებას ჩინეთის არეულობის დროს.

— მაშ როგორ გგონიათ, ხმელეთზეც გაგვიჭირდება იაპონიასთან ბრძოლა?

— მე ეგ არ მითქვამს. მე მხოლოდ იმას ვამბობ და ვსწერ, რომ იაპონელებთან ბრძოლა ადვილი არაა“.

თვით. რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე მეტად კარგის აზრისაა იაპონიის ჯარზე, რაც ცხადად სჩანს მის უდიდებულესობის სიტყვიდან, რომლითაც მიჰმართა ბრძოლის ველზე მიმავალ ციმბირის მსროლელთა პოლკის მესამე ბატალიონს: „მიხარიან, ძმებო, რომ წასვლამდე გხედავთ და გზის დალოცვა შემიძლიან. დარწმუნებული ვარ, რომ სახელოვნათ დაიცავთ თქვენ ძველ სამხედრო დიდებას და ძვირფას სამშობლოსთვის თავს გასწირავთ. გახსოვდეთ, რომ თქვენი მტერი მამაცი, გამბედავი და მოხერხებულ არის.“*)...

ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია, როცა მტრის ძალა ასე სამართლიანად არის დაფასებული და აწონილ დაწონილი. ეს დაფასება იმის საბუთია, რომ „შაჰკა მი ზაკიდაემ“ ს ადგილი აღარ აქვს; პირიქით, დიდის სიფრთხილით და წინდახედულობით მოიქცევიან; ამიტომ არის, რომ ხმელეთზე, სადაც რუსეთის მდგომარეობა უფრო ძლიერია, დიდი და სერიოზული ომიანობაა მოსალოდნელი. იაპონელები აქ უფრო მედგარ წინააღმდეგობას შეხვდებიან, ვიდრე ეს ზღვაზე იყო.

როგორ უცქერიან ჩინეთი და ევროპის დიდი სახელმწიფოები რუსეთ-იაპონიის ომიანობას?

ყველამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ე. ი. არავის არ სურს აქტიური, პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს ომიანობაში. რაც შეეხება ზნეობრივ თანაგრძნობას, ჩინეთიცა და ევროპაც უფრო იაპონიისაკენ არიან.

მეტად არა ჩვეულებრივია ჩინეთის მდგომარეობა: მთავარი ომი ჩინეთის ტერიტორიაზე — მანჩურიაში მოხდება და ეს კი ნეიტრალიტეტს აცხადებს! ამიტომაც არის, რომ ეს ნეიტრალიტეტი არავის სჯერა. თუ პირდაპირ ვერ ერევა ომში

*) გაზეთშიდან მოყვანილი. ეს ადგილებზე „ცნობის ფურცელი“-დან არის ამოღებული.

ჩინეთი, ეს სამხედრო მოუმზადებლობის მიზეზით ხდება. ფარულად კი ჩინეთი იაპონიას უნდა ეხმარებოდეს, რაც უკანასკნელ დებეშებიდანაც სჩანს: ჩინელები სცდილობენ რკინის გზებისა და ხიდების დანგრევას, აღარ უნდათ რუსებისათვის იმუშაონ და სურსათ-სანოვავის გაყიდვაზედაც უარს ამბობენო, იტყობინებიან მანჩჯურიიდან. ასეთი მოქმედება ჩინელების დიდათ საზარალო იქნება რუსეთის მხედრობისათვის და სრულიად საბუთიანია იმ რუს მწერლების მოსაზრება, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნეიტრალ ჩინეთს ისევ აშკარად მტერი ჩინეთი გვიჩვენიაო. მართლაც, როცა ჩინეთი პირდაპირ ეომება რუსის ჯარს, ამ უკანასკნელს სრული უფლება ექნება გადავიდეს ჩინეთის ტერიტორიაზე და მოხერხებული პოზიციები დაიკავოს. ეხლა კი ამის უფლება არა აქვს. ამერიკის სტატუს-სექრეტის წინადადება, რომ ჩინეთის ტერიტორიას, გარდა მანჩჯურიისა, რასაკვირველია, არც რუსეთმა არც იაპონიამ ხელი არ უნდა ახლოსო, მიმართულია რუსეთის წინაღმდეგ: ჩინელები ფარულად ხელს უწყობენ იაპონელებს და რუსის ჯარი კი ვერ დასჯის მათ ამისათვის, რადგან ჩინეთის მთავრობამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და ამ ნეიტრალიტეტის დაცვას თხოულობენ ამერიკა და ევროპა. (აღსანიშნავია, რომ სხვაზე აღრე საფრანგეთმა მიიღო ამერიკის მთავრობის ეს წინადადება).

**

ბევრი ჰკითხულობს, თუ როგორ მოიქცევიან ინგლისი და საფრანგეთი იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მეომარი მხარე დამარცხდება. ჯერ ჯერობით, როგორც ვიცით, ინგლისმაც და საფრანგეთმაც მტკიცე ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, მაგრამ ბევრს ინგლისის ნეიტრალიტეტის არა სჯერა, რადგან იაპონიის დამარცხებას ინგლისის ინტერესების შელახვაც მოჰყვება.

საფრანგეთი რუსეთის მოკავშირეა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთს მიუდგებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს შეუძლებელი გახდა. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ საფრანგეთის ეხლანდელი სამინისტრო დაწინაურებულ პარტიების ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება და ეს პარტიები კი უფრო იაპონელებს თანაუგრძნობენ, ვიდრე რუსებს. მეორე — ინგლისი და საფრანგეთი ერთობ დაახლოვდნენ ამ ბოლოს დროს; მესამე — საფრანგეთის საქმეში ჩარევას აუცილებლად მოჰყვება სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისისა და ამერიკის, სცენაზე გამოსვლა. ეს გარემოება კი მეტად გაართულებს ისედაც რთულსა და მძიმე საქმეს.

მკითხველის საყურადღებოდ მინც მოგვყავს ინგლის-იაპონიის 1902 წლის ხელშეკრულება*) და რუსეთ საფრანგეთის საპასუხო დეკლარაცია.

ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება, ხელმოწერილი 1902 წლის 30 იანვარს. მუხლი 1. ინგლისი და იაპონია ცნობილობენ ჩინეთისა და კორეის დამოუკიდებლობას და აცხადებენ, რომ სრულებით არ ჰფიქრობენ რომელიმე ახალ ადგილების დაპყრობას. მაგრამ რადგან ორსავე სახელმწიფოს ჩინეთსა და კორეაში საგანგებო ინტერესები აქვთ, როგორც პოლიტიკური, ისე სავაჭრო და სამრეწველო, ამიტომ მოკავშირენი იტოვებენ უფლებას საჭირო ღონისძიებანი იხმარონ თავიანთ ინტერესების დასაცველად, თუ რომელიმე სახელმწიფოს მოქმედება საშიში იქნება ამ ინტერესებისათვის ან კორეასა და ჩინეთში ატყდება არეულობა, რომელიც მოითხოვს ერთ-ერთ მოკავშირის საქმეში ჩარევას თავის ქვეშევრდომთა და მათ ქონების დასაცველად.

*) თავის დროზე მოყვანილი გვექონდა.

მუხლი 2. თუ ინგლისს ან იაპონიას, თავის ინტერესების დაცვის დროს, ომი მოუხდება რომელიმე სახელმწიფოსთან, მოკავშირე ნეიტრალიტეტს იცავს და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ სხვა სახელმწიფოებიც არ ჩაერიონ ომში.

მუხლი 3. თუ ზემო აღნიშნულ შემთხვევაში ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას ომში, მოკავშირე დაეხმარება თავის მოკავშირეს და მანამ იბრძოლებს, სანამ ერთად ზავით არ შეეკვრებიან წინააღმდეგ მხარეს.

მუხლი 4. მოკავშირენი პირობას სდებენ, რომ ზემოხსენებულ ხელშეკრულების მზავს პირობით არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ შეეკვრებიან მოკავშირის შეუტყობინებლად.

სათრანგეთ-რუსეთის საპასუხო დეკლარაცია:

„რუსეთისა და სათრანგეთის მოკავშირე მთავრობათ შეატყობინეს ინგლის-იაპონიის კონვენცია, რომლის მიზანია უზრუნველ ჰყოს „სტატუსკვო“ და შორე-აღმოსავლეთის მშვიდობიანობა, დაიცვას დამოუკიდებლობა ჩინეთისა და კორეისა, რომელნიც ღია უნდა იქმნენ ყველა ერების ვაჭრობისა და მრეწველობისათვის; მოკავშირე მთავრობათ სრულნი კმაყოფილებით დაინახეს ამ კონვენციაში იმ არსებით პრინციპების დამტკიცება, რომელნიც არა ერთხელ გამოუთქვამთ მოკავშირე სახელმწიფოებს და შეადგენენ მათ პოლიტიკის საფუძველს.

ორივე მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ პრინციპების პატივისცემა არის ამათთანავე გარანტია მათ საგანგებო ინტერესებისა შორე-აღმოსავლეთში. მაგრამ რადგან შესაძლებელია, რომ რომელიმე სახელმწიფოს მოქმედება ან ახალი არეულობა საშიშარ მდგომარეობაში ჩაავდებს ჩინეთის დამოუკიდებლობა-

ბას და თავისუფალ განვითარებას და თან მოკავშირე სახელმწიფოების ინტერესებსაც, ამიტომ მოკავშირე მთავრობანი იტოვებენ უფლებას, საჭიროების დროს მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი“.

კაცმა რომ ამ ხელშეკრულებათა აზრი ირწმუნოს, გამოდის, რომ ყველა სახელმწიფოს ერთი და იგივე აზრი და მიზანი ჰქონიათ; ეს მიზანია—კორეასა და ჩინეთის დამოუკიდებლობა და მათი თავისუფალი განვითარება. მართლა რომ ეგრე იყოს, არც ხელშეკრულება იქნებოდა საჭირო და არც ეხლანდელი დავიდარაბა ასტყდებოდა...

როცა საფრანგეთ-რუსეთის ზემოდ-მოყვანილი დეკლარაცია გამოცხადდა, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს შეეკითხნენ პარლამენტში.

— რა მოაღება, როცა დადგება ის მომენტი, რომელიც დეკლარაციის ბოლო წინადადებაშია ნათქვამიო?

მინისტრი დელკასე: „დეკლარაცია ცხადსა და გარკვეულ პასუხს აძლევდა ამ კითხვაზედ“.

— ეს პირდაპირი მუქარაა! ეს ნამდვილი ომია!

დელკასე: „ჩვენ დავიწყებთ მოქმედებას, როცა ჩინეთს დაეცემიან, საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებენ მის ტერიტორიას და შინაგან განვითარებას და ამით ავნებენ ჩვენ საკუთარ ინტერესებს. და ამისთანა შემთხვევაში რომ დიდმა სახელმწიფომ ყოყმანი დაიწყოს, ეს ხომ თავისთავის უარ-ყოფა იქნება“.

საფრანგეთმა მტკიცე ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაშასადამე იაპონიის მოქმედებაში მას არ დაუნახავს ის, რასაც საფრანგეთის საქმეში ჩარევა უნდა გამოეწვია — ჩინეთზე თავდასხმა, მის განვითარების საშიშარ მდგომარეობაში ჩაგდება და საფრანგეთის საკუთარ ინტერესების გადალახვა.

ამიტომაც არის, რომ იაპონია უზრუნველყოფილად სთვლის თავს საფრანგეთის მხრივ — არც ჩინეთს, არც საფრანგეთის ინტერესებს ერთი იოტის ოდენა შიშიც არ მოელის ჩვენის მოქმედებიდან.

წარსული წლის დეკემბრის №-ში „მოკლე მინერალურა ქიმია“ შემდეგი შეცდომებია:

	დაბეჭდილია	უნდა იყოს.
გვერდი 27 სტრიქ. 7 ქვეიდ.	{ 1,74 Fe+S	1,74 Fe+1S
გვერდი 27 სტრიქ. 6 ქვ.	{ 2,03 Z+S	2,03 Zn+1S
გვერდი 28 სტრიქ. 5 ხვეიდ.	{ ატომთა ჯგუფისაგან	ატომთა ჯგუფებისაგან.
გვერდი 28 სტრიქ. 14 ქვ.	{ ასე რომ, ყოველი მარტივი ნივთიერება უნდა იყოს ერთნაირ ორ-ატომიან მოლეკულებისაგან	შესდგება
უნდა იყოს:		
ასე რომ, ყოველი მარტივი ნივთიერება უნდა შესდგებოდეს ერთნაირ ორ-ატომიან მოლეკულებისაგან.*)		
გვერდი 30, 31 სტრიქ. 6 ხვე. 8 ხვე.	{ კოილ-მარიოტი	ბოილ-მარიოტი
გვერდი 40 სტრიქ. 4 ხვე.	{ ექვსი გრადუსიანი	ექვსი 60 გრადუსიანი.
გვერდი 41 ფიგურის ქვეშ	{ - ლი პრამ დი	რომბული პრამიდი.

*) ზოგიერთ მარტივ ნივთიერებების მოლეკულთა არა ორ ატომიანობაზედ შესაფერ აღვიღებდ ვილაპარაკებთ.

რედაქტორი
აღ. ჭყონია.

გამომცემელი
აღ. ჯანადაძე.

« მოზგის » უინაარსი

წარსულის ათის წლისა

(1894—1903)

I. ორგინალი კასმული მწერლობა, ლექსება და ხალხური სიტყვიერება.

- ა. გ.—ა) ლამაზ ქალს (1900, IX *).—ბ) * * * ლექსი (1900, IX).
საპიძე გრ.—ლექსები: ა) „ვიშ, რა დილაა...“, (1896, XII).—ბ) მგონის
ჩანგი. (1897, I).—გ) ეჭვი განდგომილისა (1897, III).
ახუკინო — ჩემი დღიურიდან (1895, XI).
აზიანისა (ნ. შ. დონდაროვისა):—ა) ინჯილური ან დობტური.—კო-
მედია 4 მოკ. (1898, III და IV).—ბ) გატრუებული იმედი,
ორ მოკ. კომედია (1901, XII).—გ) ცოდვა,—სცენები (1902, I).
აკაკი — ლექსები: ა) მღერალ ქალს (1894, I).—ბ) ჩანგი მტირალი (1894,
III).—გ) პასუხი (1894, IV).
არაბული გაეიკა —ა) ხევსურული ლექსები (1895, V).—ბ) ხალხური
ლექსები (1900, XII).
არაგვისპირელი შ.—ა) „ადე ჩამოვიდა“. — ფსიხოლოგიური ეტიუდი
(1894, I).—ბ) და-ძმა—მოთხრობა (1894, II).—გ) „ქარი კი
ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინავედა“. — ფსიხოლოგიური
ეტიუდი (1895, X).—დ) „ღმერთო, რა დაგიშავე!“ — ეტიუდი
(1895, XI).—ე) „ეპ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“ — საშო-
ბაო ეტიუდი (1895, XII).—ვ) ქეშმარიტად!... — საადგომო

*) არაბული ციფრებით აღნიშნულია წელიწადი და რომელით №-ი ეჭრ-
ნაღისა.

ეტიუდი (1896, III).—ზ) „ბეჩა, რაღა მკლაგ?!“ (1896, IV).—
 ც) „ხითხითებს და ხითხითებს...“—ეტიუდი (1896, VII).—
 თ) „მზრები-ლა ავიჩე...“—ეტიუდი (1896, X).—ი) „ისი?“
 (1896, XII).—ია) „ღირსი ვარ ამისი, ღირსი!..“—ეტიუდი
 (1897, III).—იბ) იუდა.—საადღვამო ეტიუდი (1897, V).—
 იგ) „...სულ ერთია!..“—ეტიუდი (1897, VI).—იდ) ორი
 მკურნალი, (1898, II).—იე) ეტიუდი (1899, IX).—ივ) „შე-
 მუსვრილი სამი მცნება“.—ლევენდლური ამბავი (1899, X).—
 იზ) „უცნაურია, უცნაური!..“—ფსიხოლოგიური ეტიუდი
 (1900, I).—იპ) „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!“.—
 ამბავი (1900, III).—ით) ჭედილის გოდება —(ეტიუდი)
 (1900, V).—იკ) „ეპი“ სურათი (1900, VI).—იკა) „ბალდი
 ყოფილხარო!“—ეტიუდი (1900, XII).—იკბ) ბუნების მეფენი—
 ეტიუდი (1900, VIII).—იკგ) „გიული“.—მოთხრობა (1900, IX
 და X).—იკდ) „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ (1901, III).—
 იკე) „მიწაა“. (1901, V).—იკვ) „გრძნული ციხე“ (1901, VIII).—
 იკზ) „ღვინის ქურდი.“ (1901, IX).—იკთ) „ჩემი თავგადასავალი“
 (1901, XI).—იკთ) დიდი დედა მარიაში და ხატურა.—მო-
 თხრობა (1902, III და IV).—ლ) ანტონ ზურაბიჩი.—ეტი-
 უდი. (1902, V).—ლა) ეპ, მეტივე!—ლექსი პოზად (1902,
 VI).—ლბ) ბედის მსჯავრი.—ეტიუდი (1902, VII).—ლგ)
 „კურცხალია და ხატი“.—გაგონილი ამბავი (1902, VIII).—
 ლდ) „ჩემი პირველი სიყვარული“ (ეტიუდი) (1903 I).

არბოკელი—ა) ყოვლის მხრიდან (1900, IV).—ბ) სამ-ფენა ამირანი.—
 ანბავი (1896, II).—გ) ქრისტიანი ლეკები.—(ფოტოგრაფიუ-
 ლი სურათი) (1896, V).

ახალგაზდა ქართველი—ფ...ს.—ლექსი (1895, V).

ახობაძე ლადო —ლექსები: ა) * * (1901, III).—ბ) * *.—ნმ-ს (1901,
 XII).—გ) მგონანს (1902, VII).

ბარნოვი ვ.—ა) ქორთა ხე.—აღზრდის ისტორიიდან ჩვენში (1898,
 V).—ბ) იოსებ კიაფა.—ისტორიული ამბავი (1899, II).—
 გ) ვაი შენს დამკარგავს!—ამბავი (1899, XII).—დ) მეჩვენა.—
 მოთხრობა (1901, II).—ე) პრაფესორი (1901, V).—ვ) ის-
 ნის ცისკარი (1901, IX).—ზ) დაეწაფა სურვილით (1902,
 VII).—თ) სოკო! სოკო!—მოთხრობა (1902, X).—თ) უძღე-
 ბი.—მოთხრობა (1903, IV).—ი) ზრუნე მსხალი.—მოთხრო-
 ბა (1903, X).

ბანანა —ლექსები: ა) სანაძლეო (1894, XI).—ბ) სიმღერა (1901, IX).

